

1973



# სახჭოთა სამართალი

საქართველოს ენციკლოპედიის გამომცემლობა

1973

3



საქართველოს  
ენციკლოპედია

№ 3

მაისი — ივნისი

1973 წელი

გამოცემის XX წელი

# საბჭოთა სამართალი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და  
უმაღლესი სასამართლოს ორგანო  
ორთვიური ქურონალი

## შინაარსი

ცნობა საქართველოს სსრ მშრომელთა დემუტატების ადგილობრივი საბჭოების არ- ჩეგნების შედეგების შესახებ . . . . .	3
<b>ა. ტაკიძე</b> — ავამაღლოთ საპროკურორო ზედამხედველობის დონე . . . . .	5
<b>ს. ჭაფარიძე</b> — ოჯახის წევრთა საბინაო უფლებები და მოვალეობები . . . . .	11
<b>ლ. ისაკიძე</b> — სიახლე საავტორო სამართლის კანონმდებლობაში . . . . .	18
<b>ჭ. ბაბილაშვილი</b> — ავტოსატრანსპორტო დანაშაულის სუბიექტური მხარისათვის . . . . .	24
ოფიციალური მასალა . . . . .	32
<b>გ. ბაქრაძე</b> — შოთა რუსთველის სამართლებრივი ნააზრევი და სამართლის ფილო- სოფიის ისტორიის ძირითადი დოქტრინები . . . . .	80
<b>მ. კვესელავა</b> — დამოკლეს მახვილი . . . . .	88
ანგორმაცია . . . . .	93

12.232

კ. მარტისის სსრ

СОДЕРЖАНИЕ

Сообщение об итогах выборов в местные Советы депутатов трудящихся Грузинской ССР . . . . . 3

А. Такидзе — Повысить уровень прокурорского надзора . . . . . 5

С. Джапаридзе — Жилищные права и обязанности членов семьи . . . . . 11

Л. Исакадзе — Новое в законодательстве авторского права . . . . . 18

Дж. Бабилашвили — К вопросу субъективной стороны автотранспортных преступлений . . . . . 24

Официальный материал . . . . . 32

Дж. Бакрадзе — Правовое воззрение Шота Руставели и основные доктрины истории философии права . . . . . 30

М. Квеселава — Дамоклов меч . . . . . 88

Информация . . . . . 93

სარედაქციო კოლეგია

შევხ. № 1892  
ტირაჟი 18.100  
შე 01939

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინჭიკიშვილი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩხია, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვს ქ. № 22. ტელეფონი — 99-09-62.

გალეცა წარმოებას 29/V-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VIII-73 წ., ქალაქის ზომა 70 X 108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4, სააღრიცხვო-ხაგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვკე-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინს ქ. № 14.  
Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



# ც ნ ო ბ ა

## საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების აღმშენებლის საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

მონაცემები არჩევნების შედეგების შესახებ ქვეშნაშთა იმ მასალის მიხედვით, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრედიტუმიმა მიიღო ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების კრედიტუმიებისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტებისაგან

კვირას, 1973 წლის 17 ივნისს, გაიმართა მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები.

არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობდა საბჭოთა ადამიანების მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში, რომლებიც ისწრაფვიან ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ზუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში, დამკვირვებელი შრომით უპასუხონ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას დედაშიწაზე მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ქენჭისყრა დაიწყო დღის 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე ადგილობრივი დროით. არჩევნებმა ყველგან ჩაიარა ორგანიზებულად. კვლავ ცხადყო რესპუბლიკის მშრომელთა ერთიანობა და შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

არჩეული არიან სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების 66 რაიონული საბჭოს, 51 საქალაქო საბჭოს, ქალაქ თბილისის 8 რაიონული საბჭოს, 925 სასოფლო საბჭოსა და 50 სადაბო საბჭოს დეპუტატები.

საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობდა:

- საოლქო საბჭო — 57474 ამომრჩეველი, ანუ 99,99 პროცენტი;
- რაიონული საბჭოები — 1.756.193 ამომრჩეველი, ანუ 99,99 პროცენტი;
- საქალაქო საბჭოები — 1.422.942 ამომრჩეველი, ანუ 99,99 პროცენტი;

- ქალაქ თბილისის რაიონული საბჭოები — 606.826 ამომრჩეველი, ანუ 99,99 პროცენტი;
- სასოფლო საბჭოები — 1.388.984 ამომრჩეველი ანუ 99,99 პროცენტი;
- სადაბო საბჭოები — 129.215 ამომრჩეველი, ანუ 99,99 პროცენტი.

ქენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხაერთო რიცხვიდან კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ზმა მისცა:

- საოლქო საბჭო — 57.449 ამომრჩეველმა ანუ 99,96 პროცენტმა;
- რაიონული საბჭოები — 1.755.752 ამომრჩეველმა, ანუ 99,97 პროცენტმა;
- საქალაქო საბჭოები — 1.422.561 ამომრჩეველმა, ანუ 99,97 პროცენტმა;

- ქალაქ თბილისის რაიონული საბჭოები — 606.699 ამომრჩეველმა, ანუ 99,98 პროცენტმა;
- სასოფლო საბჭოები — 1.388.774 ამომრჩეველმა, ანუ 99,98 პროცენტმა;
- სადაბო საბჭოები — 129.174 ამომრჩეველმა, ანუ 99,97 პროცენტმა;

დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ მიცემული ხმების რიცხვი შეადგინა:

- საოლქო საბჭო — 25, ანუ 0,04 პროცენტს;
- რაიონული საბჭოები — 441, ანუ 0,03 პროცენტს;
- საქალაქო საბჭოები — 375, ანუ 0,03 პროცენტს;

ქალაქ თბილისის რაიონული საბჭოები — 123, ანუ 0,02 პროცენტს;

- სასოფლო საბჭოები — 210, ანუ 0,02 პროცენტს;
  - სადაბო საბჭოები — 41, ანუ 0,03 პროცენტს.
- ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებზე არჩეული არიან მუშათა კლასის, კომმუნურენ გლეხობისა და ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები.

სულ ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია  
49.181 დეპუტატი.

დეპუტატთა შორის არიან:

სკკ წევრები და წევრობის კანდიდატები —  
21.413, ანუ 43,6 პროცენტი;

უპარტიოები — 27.688, ანუ 56,4 პროცენტი  
მუშები და კოლმეურნეები — 32.726, ანუ  
66,6 პროცენტი;

ქალები — 23.109, ანუ 47,0 პროცენტი.

13.612 დეპუტატი, ანუ 27,7 პროცენტი 30

წლამდე ასაკისა, 27.950 დეპუტატი. ანუ 56,9  
პროცენტი კი არ ყოფილა წინა მოწვევის ად-  
გილობრივი საბჭოების დეპუტატი.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატი-  
ების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შე-  
დეგები დამაჯერებლად მოწმობენ კომუნისტე-  
ბისა და უპარტიოების ურდვევი ბლოკის  
ბრწყინვალე გამარჯვებას, პარტიისა და ხალხის  
მონოლითურ ერთიანობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

# საქართველოს საკომუნისტო პარტიის პროკურორი

ა. ტაბიძე,

საქართველოს სსრ პროკურორი

ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ დროს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

რესპუბლიკაში მხილებული არიან სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფები, საქმოსნები და კომბინატორები, რომლებიც მოკალათებული იყვნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა ობიექტებში და ასეულათასობით მანეთის ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა ბრძოლა მექრთამეობის, ხულიგნობისა და პიროვნების მიმართ ჩადენილ დანაშაულობათა წინააღმდეგ. მაგრამ მთლიანად რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოებისა და, კერძოდ, პროკურატურის ორგანოთა მუშაობის დღევანდელი დონე, სრულად ვერ უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რაც დღეს ადმინისტრაციული ორგანოების წინაშეა დასმული.

პროკურორი, რომელსაც სამსახურებრივი მოვალეობა აკისრებს ზედამხედველობას უწევდეს კანონის სწორად და განუხრევლად გატარებას, სისტემატურად უნდა იბრძოდეს სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ავლენდეს კანონის დარღვევებს და ახორციელებდეს ღონისძიებებს მისი აღმოფხვრისათვის, პრინციპულად აყენებდეს იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, ვინც კანონისადმი უპატივცემლობას იჩენს.

პროკურორს არ უნდა სჭირდებოდეს ვინმეს მითითება ამა თუ იმ ობიექტის შემოწმებისათვის. მისი თვალი ყველგან უნდა სწვდებოდეს, რეაგირებას ახდენდეს კანონიერების დარღვევის ყოველ ფაქტზე. საპროკურორო ზედამხედველობა უფრო მკაცრი და ქმედითი უნდა იყოს. საქმე მართო ის კი არ არის, რომ გამოვავლინოთ უყაირათობის, სახელმწიფო დისციპლინისა და სხვა სამართალდარღვევათა შემთხვევები, არამედ აღკვეთოთ კიდევ ისინი, ვზრუნავდეთ მათი წარმომშობი და ხელშემწყობი გარემოებების აღმოსაფხვრელად.

პროკურორი მართალი, პრინციპული და პირდაპირი უნდა იყოს, კანონიერების გატარებისათვის ბრძოლაში არ უნდა ერიდებოდეს არავითარ წინააღმდეგობას, რადგან იგი საბჭოთა სახელმწიფოს სახელით, მისი ინტერესებისათვის, ხალხის ინტერესებისათვის მოქმედებს.

ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში გამოვლინდა და ამჟამადც ვლინდება სოციალისტური საკუთრების დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცების, წამატებების, თვალისახვევის შემთხვევები და სოციალისტური კანონების სხვა დარღვევები, იმაზე მეტყველებს, რომ ბევრ შემთხვევაში ადგილზე პროკურორები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას, არ ამოწმებენ თანამდებობის პირთა მიერ

კანონების დაცვის მდგომარეობას, არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს კანონიერების დარღვევათა დროულად გამოვლინებისა და მათი აღმოფხვრისათვის.

მუშაკები, რომლებიც არ ღვანახ დღევანდელ მოთხოვნათა საფუძველზე და თავს ვერ ართმევენ სამუშაოს, უნდა წავიდნენ პროკურატურის რიგებიდან წარსულში მათი დამსახურების მიუხედავად.

სამართალდარღვევათა და დანაშაულობათა შემცირება დიდად არის დამოკიდებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სწორ ორგანიზაციაზე. ამ საქმეში გადაწყვეტი როლი ენიჭება სამართალდარღვევათა თავიდან აცილების პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეოდეს მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდას. უნდა მივალწიოთ იმას, რომ თითოეული მოქალაქისათვის გასაგები იყოს ჩვენი კანონი, მისი მოთხოვნები, თითოეული ადამიანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დანაშაულის ჩადენისას სასჯელს ვერ გადაურჩება, ვინც არ უნდა იყოს და რა თანამდებობაც უნდა ეჭიროს.

დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს დასჯის სწორი პოლიტიკის გატარებას. უნდა მივალწიოთ იმას, რომ ყველა დამნაშავე კანონის შესაბამისად, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით ისჯებოდეს.

ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელებას პროკურორი უნდა ხელმძღვანელობდეს, ორგანიზაციას უკეთებდეს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლას. უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაააქტიურა მუშაობა რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილებამ. შემოწმდა საქართველოს სსრ მშენებლობის, საბჭოთა მეურნეობების, საავტომობილო გზების მშენებლობის, მსუბუქი მრეწველობისა და სხვა სამინისტროებსა და უწყებებში სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონების შესრულებისა და უზარისხოდ და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვების მდგომარეობა.

შემოწმების შედეგად გამოვლინებულ სერიოზულ დარღვევებზე იმსჯელეს სათანადო ორგანოებმა და დამნაშავენი მკაცრად დაისჯნენ, განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა და მათი ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრისათვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთო ზედამხედველობის ზანით ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების პროკურორები ვერ კიდევ სუსტად მუშაობენ. ხოლო, თავის მხრივ, რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილება სუსტად ეხმარება მათ საპროკურორო მუშაობის სწორად მოწყობისათვის.

გეგმეპროგნოსისა და წულუკიძის რაიონების პროკურატურის მუშაობის შესწავლით გამოირკვა, რომ აქ პროკურორები ხშირად ამოწმებენ რაიონმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა კანონიერებას, ამასთან ისინი ხშირად ესწრებიან აღმასკომის სხდომებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ, თუმცა აღმასკომების გადაწყვეტილებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ეწინააღმდეგება კანონს, ისინი მათ არ აპროტესტებენ. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ აღნიშნული რაიონების პროკურორებმა შ. ქაჯიაშვილი და გ. ხურცილავამ ან არ იციან კანონის მოთხოვნა, ანდა უპრინციპობას იჩენენ.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და მასში შე-



მაგალი საწარმოების საერთო ზედამხედველობის წესით შემოწმებამ ცხადყო, რომ გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში უხეშად ირღვევა კანონები სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების მარეგულირებელ კანონთა დაცვას, განსაკუთრებით დიდია სამრეწველო ტრავმატიზმის რიცხვი სამშენებლო და სამთამადნო მრეწველობაში.

საჭიროა რაიონისა და ქალაქის პროკურორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შრომისა და უსაფრთხოების წესების დაცვას, ხოლო იმ პირებმა, რომლებიც უხეშად არღვევენ უსაფრთხოების წესებს, პასუხი ავონ კანონის მთელი სიმკაცრით. ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი არ არის ტყიბულის, ჭიათურის, ტყვარჩელისა და ახალციხის რაიონების პროკურორების — გოგოლაძის, მიროტაძის, გოგიასა და ნადირაძის მუშაობა.

სერიოზული ნაკლოვანებებია საგამოძიებო მუშაობაში. დიდია იმ საქმეების რიცხვი, რომლებიც პროკურატურას უბრუნდება დამატებითი გამოძიებისათვის; ხშირ შემთხვევაში უსაფუძვლოდ ირღვევა საგამოძიებო ვადები; ჯერ კიდევ ბევრია ისეთი მაგალითებიც, როცა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე პროკურორი უსაფუძვლოდ ამბობს უარს და აღძრულ საქმეს უკანონოდ შეწყვეტს ხოლმე. და პირიქით, არც ისე იშვიათია მოქალაქეთა უსაფუძვლოდ პასუხისგებაში მიცემისა და დაპატიმრების ფაქტები.

რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობა, მისი კოლეგია, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ გამოძიების ხარისხის გაუმჯობესებისა და საგამოძიებო ვადების დაცვის საკითხს. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საკითხში სრული წესრიგის დამყარებას დღემდე ვერ მივაღწიეთ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ წინასწარ გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა არა გვაქვს დაყენებული სათანადო დონეზე. გამოძიების ვადების დარღვევა ძირითადად აიხსნება გამოძიებლების სუსტი მუშაობითა და მათი საქმიანობისადმი სუსტი საპროკურორო ზედამხედველობით. დაბალია შრომის ორგანიზაცია; პროკურორები მუდმივ ზედამხედველობას არ უწევენ გამოძიებელთა საქმიანობას; ბევრი მათგანი გამოძიების მასალებს მხოლოდ მაშინ ეცნობა, როცა გამოძიებელი საბრალდებო დასკვნას მიუტანს ხოლმე დასამტკიცებლად.

ექვს თვეზე მეტია ჭიანჭურდება ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურატურაში ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ მიერ 1971-1972 წლებში არასტანდარტული და უხარისხო პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. ამ ხნის განმავლობაში საქმე გამოსაძიებლად სხვადასხვა დროს წარმოებაში ჰქონდა სამ გამოძიებელს, მაგრამ გამოძიების დამთავრებას ჯერ კიდევ არ უჩანს პირი. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება აშკარა უპასუხისმგებლობაა.

საგარეჯოს რაიონის პროკურატურაში გ. ლ-ის საქმის გამოძიება, რომელსაც ბრალი ედებოდა საქართველოს სსრ სსკ 160-ე და 186-ე მუხლის 11 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში, თითქმის ორ წელიწადსა და ხუთ თვეს გავრძელდა. აფხაზეთის ასსრ პროკურატურა (გამომძიებელი შელიმოვი) ავიძბასა და სხვათა საქმეს 1970 წლის 22 ნოემბრიდან მოკიდებული დღემდე იძიებს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურის ორგანოები 1967



წლის 24 აგვისტოდან იძიებენ პ-ის, მ-ისა და სხვათა მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს. ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ეს საქმე ჯერ ოლქის პროკურატურის ცენტრალური აპარატის წარმოებაში იყო (გამოძიებელი ელიშაყოვი), საქმე რამდენჯერმე გაიგზავნა სასამართლოში და კვლავ დაბრუნდა გამოძიებაში, ხოლო ბოლოს ლენინგორის რაიონის პროკურატურამ შეწყვიტა წარმოებით, რაც სწორად არ ჩათვალა რესპუბლიკის პროკურატურამ და საქმე ხელახალი გამოძიებისათვის ოლქის პროკურატურას დაუბრუნა.

გამოძიების ვადების დაცვაში ცუდი მაჩვენებლები აქვთ ქ. თბილისის პროკურატურის ორგანოებს. აქ ვადის დარღვევით დამთავრებულია საქმეთა 24,7 პროცენტი. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა ამ მხრივ ქ. თბილისის პირველი მაისის, კალინინისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების პროკურატურებში.

საქმის გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზია გამოძიების უხარისხოდ წარნობა. ამ მიზეზით პროკურატურას 1972 წლის ცხრა თვეში დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნდა 108 საქმე, ანუ გამოძიებით დამთავრებულ საქმეთა 4,4 პროცენტი.

გამოძიების ხაზით მუშაობაში არსებული ზემოჩამოთვლილი ნაკლოვანებები იმაზე მეტყველებენ, რომ ქალაქისა და რაიონის პროკურორები მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან კანონით დაკისრებული მოვალეობის ზუსტად და განუხრელად შესრულებას. ეს შეუწყნარებელია. ჩვენ, პროკურორები, ნოვალენი ვართ ყველასაგან მოვითხოვდეთ კანონის განუხრელად დაცვას, კანონის მოთხოვნათა შესრულებას, მაგრამ თუ ჩვენ თვითონ არ შევასრულებთ მის მოთხოვნებს, მორალური უფლება გვერთმევა სხვას მოვითხოვოთ კანონიერების განუხრელი გატარება.

საპროკურორო მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უბანია სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ვერ ვანხორციელებთ ეფექტურ საპროკურორო ზედამხედველობას სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე, არა ვართ დასჯითი პოლიტიკის მიმართულების მიმცემი, ყოველთვის დროულად, საკასაციო ვადებში არ ვაპროტესტებთ სასამართლოს უკანონო განაჩენებს, საკასაციო ვადებში არ გამოწმებთ პროკურორის მონაწილეობის გარეშე განხილულ საქმეებს, რის გამოც საკასაციო კოლეგიაში განაჩენების გაუქმება ან შესწორება ხდება ძირითადად საკასაციო საჩივრების საფუძველზე.

პროკურორებს გაცილებით უფრო აწუხებთ სსკმის გამოძიებაში დაბრუნება. ვიდრე დამნაშავისათვის ლმობიერი სასჯელის შეფარდება, ეს არასწორია. ზოგჯერ პროკურორები ყოვლად გაუმართლებელ დათმობებზე მიდიან, მაგალითად, უხარისხოდ გამოძიებული საქმე ხელახალ გამოძიებაში რომ არ დაბრუნდეს, შუამდგომლობენ დამნაშავისათვის მსუბუქი სასჯელის შეფარდებას.

ხშირად პროკურორები სახელმწიფო ბრალდებას მტკიცედ და დასაბუთებულად ვერ უჭერენ მხარს, რადგან მოუმზადებელი მიდიან პროცესზე და, მიუხედავად იმისა, რომ სამსჯავრო გამოძიების ცენტრალურ ფიგურას პროკურორი წარმოადგენს, ისინი სხვების გავლენის ქვეშ ექცევიან. ეს ერთნაირად ეხება როგორც რაიონისა და ქალაქის პროკურატურის, ასევე ცენტრალური აპარატის მუშაკებს.

რაიონის და ქალაქის პროკურორები იშვიათად სწავლობენ დასჯით პრაქტიკას ამა თუ იმ კატეგორიის საქმეების მიხედვით, ანალიზს არ უკეთებენ საქ-



მეთა განხილვის დროს დაშვებულ შეცდომებს. ამ მხრივ რესპუბლიკის პროკურატურის ცენტრალური აპარატის საქმიანობაც სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს. აღნიშნული მიმართულებით არაღამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგია ის, რომ რესპუბლიკის მასშტაბით არა გვაქვს ერთიანი დასჯითი პრაქტიკა ერთი და იმავე კატეგორიის საქმეებზე.

მაგალითად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო სასამართლოები მომხმარებლის 3-4 მანეთით მოტყუებისათვის დამნაშავეს იშვიათად უფარდებენ სასჯელის ღონისძიებად თავისუფლების აღკვეთას, ხოლო ამას წინათ ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ ს. მილორავეს თავმჯდომარეობით 19 წლის გოგონას ც. გ-ს მომხმარებლისათვის 97 კაპიკის ზედმეტად გადახდევინებისათვის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა და პატიმრობაში აიყვანა.

გულრიფშის რაიონის სახალხო სასამართლომ მომხმარებლისათვის 43 მანეთის ზედმეტად გადახდევინებისათვის წინათ ანგარებითი დანაშაულის გამო პასუხისმგებლობაში ნამყოფ ჭ-ას, სასჯელის ზომად ერთი წლით გამასწორებელი მუშაობა შეუფარდა, ხოლო ასპინძის სახალხო სასამართლომ რვა შვილის მამას ა. ო-ძეს, რომლის უფროსი შვილი დაბადებულია 1958 წელს, ხოლო უმცროსი ერთი წლისაც არ არის, მომხმარებლისათვის 12 მანეთის ზედმეტად გადახდევინებისათვის ერთი წლით პატიმრობა შეუფარდა და დააპატიმრა.

სასჯელის განსაზღვრისას როგორც ზედმეტი სიმკაცრე, ისე ზედმეტი ლმობიერება ერთნაირად მავნეა და ზიანს აყენებს მართლმსაჯულების განხორციელებას. განაჩენის გამოტანის დროს სასამართლო უნდა ითვალისწინებდეს დანაშაულის სიმძიმესა და დამნაშავეს პიროვნებას. სასჯელის განსაზღვრის დროს ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს რამდენად გავრცელებულია ესა თუ ის დანაშაული მოცემული რაიონის ტერიტორიაზე. ჩვენ იმასაც ვუწევთ ახგარბის, რომ მომხმარებელთა მოტყუება რესპუბლიკაში დიდად გავრცელებული დანაშაულია და მის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება აუცილებლად საჭიროა, მაგრამ არა მგონია ვინმეს ჭკუა ასწავლოს შრომისუუნარო დედის ამარა მიტოვებული რვა მცირეწლოვანი შვილის მამის დაპატიმრებამ.

ზემოთ აღწერილი სერიოზული ნაკლოვანებები არ გვექნებოდა, რესპუბლიკის პროკურატურის ცენტრალური აპარატის ყველა მუშაკი ოპერატიულად რომ ხელმძღვანელობდეს და სისტემატურად ამოწმებდეს რაიონებისა და ქალაქების პროკურორთა მუშაობას ადგილებზე.

ყველა ჩვენი მუშაკი არ არის მომთხოვნი და პრინციპული, ერიდება რაიონებისა და ქალაქების პროკურორებთან ურთიერთობის გამწვავებას, დროულად არ მიუთითებს შეცდომებზე, პრინციპულად არ აყენებს კანონის დარღვევის გამო პროკურორის დასჯის საკითხს, მივლინებაში ყოფნის დროს ძირფესვიანად არ ავლენს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს. ყოველივე ამას შედეგად ის მოსდევს, რომ ადგილებზე მუშაკები თავს არხეინად გრძნობენ, რადგან ფიქრობენ, კარგად ვმუშაობთო.

ჩვენი მუშაკები უხარისხოდ ამოწმებენ არა მარტო დაქვემდებარებულ პროკურატურებს, არამედ ზოგჯერ იმ ორგანიზაციებსაც, რომელთა მიერ კანონების შესრულებას ვალდებული ვართ სისტემატურად ვუწვევდეთ კონტროლს.

1972 წლის სექტემბერში რესპუბლიკის პროკურატურის არასრულწლოვანთა განყოფილებამ შეამოწმა ავჭალის არასრულწლოვანთა შრომა-აღმზრდებლობითი კოლონიის საქმიანობა და იქ რაიმე სერიოზული დარღვევა ვერ აღ-

მოაჩინა, ხოლო ერთი თვის შემდეგ, ნოემბერში ამავე კოლონიიდან რამდენიმე ბავშვი გაიქცა. ბავშვთა გაქცევის მიზეზი იყო ის, რომ ზედამხედველები და აღმზრდელები არასწორად ეპყრობოდნენ მათ, საერთოდ დაბალი იყო აღმზრდელობითი მუშაობის დონე.

რესპუბლიკის პროკურატურის არასრულწლოვანთა განყოფილებამ ეს გარემოება უნდა გაითვალისწინოს თავის მომავალ მუშაობაში. აღნიშნული ფაქტი სამაგალითო უნდა გახდეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობის განყოფილებისთვისაც.

ცენტრალური აპარატის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ აპარატი მთლიანად არა გვყავს შემოწმებული და საქმის მცოდნე კადრებით დაკომპლექტებული. საერთო საქმისადმი ყველა როდი იჩენს ერთგულებას, ყველა ერთნაირი შემართებით როდი ზბრძვის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლინებისა და აღმოფხვრისათვის, ერთნაირად როდი განიცდის ჩვენს ავსა და კარგს.

მაგრამ ეს ნაკლოვანებები ვერ ჩრდილავს რესპუბლიკის პროკურატურის დამაკმაყოფილებელ მუშაობას. მისი მუშაკების ძირითადი ბირთვი ჯანსაღი და შრომისმოყვარეა. მუშაობის სწორი ორგანიზაციის პირობებში მას შეუძლია იმ ამოცანების შესრულება, რაც დღევანდელ ეტაპზე ჩვენ წინაშე დგას.

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები თავის გადამწყვეტ სიტყვას იტყვიან რესპუბლიკაში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლაში.

## ოჯახის წევრთა საბინაო უფლებები და მოპალაობები

დოც. ს. ჯაფარიძე

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 296-ე მუხლით საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლის ოჯახის წევრებს, რომლებიც დამქირავებელთან ერთად ცხოვრობენ, მის თანაბრად აქვთ ყველა უფლება და ეკისრებათ ყველა მოვალეობა, რომლებიც ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს.

დამქირავებლის ოჯახის წევრებად ითვლებიან დამქირავებლის მეუღლე, მათი შვილები და მშობლები. სხვა ნათესავები და აგრეთვე მათ კმაყოფაზე მყოფი შრომისუუნარო პირები შეიძლება ცნობილ იქნან დამქირავებლის ოჯახის წევრებად. თუ ისინი ცხოვრობენ დამქირავებელთან და მასთან ერთად ეწევიან საერთო-საოჯახო მეურნეობას.

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების 25-ე მუხლის პირველი ნაწილით შვილად აყვანილი და შვილად ამყვანი, პირადი და ქონებრივი უფლებებითა და მოვალეობებით უთანაბრდებიან შთამომავლობით ნათესავებს. ამ გარემოების ძალით შვილად აყვანილი და შვილად ამყვანი აღიარებულ უნდა იქნან საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლის ოჯახის წევრებად.

ამრიგად, დამქირავებლის ოჯახის წევრებად ითვლებიან: მეუღლე, შვილები (შვილად აყვანილები), მშობლები (შვილად ამყვანები), რომლებიც დამქირავებელთან ერთად ცხოვრობენ, მიუხედავად მასთან ცხოვრების ვადის ხანგრძლივობისა. მათ აქვთ საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის დამოუკიდებელი უფლება. დამქირავებლის სხვა საცხოვრებელ სადგომში გადასვლა, მისი ოჯახის წევრებისათვის არ წარმოშობს იმ საცხოვრებელი სადგომის განთავისუფლების ვალდებულებას, რომელზეც მათ მოპოვებული აქვთ უფლება.<sup>1</sup>

მოქმედი საოჯახო კანონმდებლობით დამქირავებლის მეუღლედ ჩაითვლება პირი, რომელიც მასთან რეგისტრირებულ ქორწინებაშია. გამონაკლისი ამ საერთო დებულებიდან დაწესებულია: იმ პირთათვის, რომლებიც დაქორწინდნენ რელიგიური წესით მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერსა და საბჭოთა ორგანოების შექმნამდე; აგრეთვე იმ პირთათვის, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემამდე იმყოფებოდნენ ფაქტიურ საქორწინო ურთიერთობაში და ეს ურთიერთობა ცნობილია სასამართლოს გადაწყვეტილებით.

დამქირავებლის შვილებად ითვლებიან პირები, რომელთა მიმართ დამქირავებელი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში ჩაწერილია მშობლად. დამქირავებლის შვილად აყვანილად ითვლება ისეთი პირი,

<sup>1</sup> «Социалистическая законность», 1967, № 7, стр. 86.

რომელიც კანონით დადგენილი წესით აყვანილია შვილად და მისი მტკიცებისათვის არსებობს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს მიერ გაცემული მოწმობა შვილად აყვანის შესახებ.

დამქირავებლის მშობლებად ითვლებიან პირები, რომლებიც დამქირავებლის დაბადების მოწმობაში აღნიშნული არიან მის მშობლებად, ხოლო შვილად ამყვანად—პირი, რომელიც მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში ჩაწერილია დამქირავებლის შვილად ამყვანად.

დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან მხოლოდ ის ნათესავეები, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ და ეწვეიან საერთო საოჯახო მეურნეობას. კანონით დამქირავებლის ოჯახის წევრი არ არის ის პირი, რომელიც ნათესაურ ურთიერთობაში არ იმყოფება დამქირავებელთან, თუნდაც, რომ იგი დამქირავებელთან ერთად ცხოვრობდეს და ეწეოდეს საერთო საოჯახო მეურნეობას.

დამქირავებლის ოჯახის წევრებად ითვლებიან აგრეთვე შრომისუუნარო სარჩენი პირები, იმ პირობით თუ ისინი იმყოფებიან დამქირავებლის კმაყოფაზე, მასთან ერთად ცხოვრობენ და ეწვეიან საერთო საოჯახო მეურნეობას, მიუხედავად მათი ნათესაური ურთიერთობისა.

დამქირავებლის კმაყოფაზე მყოფად ჩაითვლება შრომისუუნარო პირი, რომელიც იმყოფება მის სრულ კმაყოფაზე ან მისგან მუდმივად დეზულობს ძირითად საარსებო წყაროს. შრომისუუნაროებად ითვლებიან პირები, რომლებსაც შეუსრულდათ საპენსიო ასაკი (ქალებს—55 წელი, მამაკაცებს—60 წელი) და პირველი, მეორე და მესამე ჯგუფის ინვალიდები, დამოუკიდებლად იმისა დანიშნული აქვთ თუ არა მათ პენსია ინვალიდობის თუ მოხუცებულობის გამო, აგრეთვე პირები, რომლებსაც არ შესრულებიათ 16 წელი და მოსწავლეები — 18 წლამდე. დამქირავებლის ოჯახის წევრის უფლებებს აღნიშნული პირები მოპოვებენ, თუ ისინი დამქირავებელთან ერთად ცხოვრობენ და მასთან ერთად ეწვეიან საერთო საოჯახო მეურნეობას, ერთად ცხოვრობისა და საერთო საოჯახო მეურნეობის წარმოების ვადის ხანგრძლივობის მიუხედავად.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 296-ე მუხლისაგან განსხვავებით, ტაჯიკეთის სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 298-ე მუხლის მეორე ნაწილით დამქირავებლის ოჯახის წევრებად ითვლებიან სხვა ნათესავეები და შრომისუუნარო სარჩენი პირები, თუ ისინი დამქირავებელთან ერთად ცხოვრობენ და ეწვეიან საერთო საოჯახო მეურნეობას არანაკლებ ერთი წლისა.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსახზობა, რომ რუსეთის სფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 301-ე მუხლის მესამე ნაწილის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების სიტყვები „სხვა ნათესავეები“ შეიცვალოს სიტყვებით „სხვა მოქალაქენი“ და ამის გათვალისწინებით რუსეთის სფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 301-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით: „დამქირავებლის ოჯახის წევრებად ითვლებიან დამქირავებლის მეუღლე, მათი შვილები (მათ შორის შვილად აყვანილები) და მშობლები (მათ შორის შვილად ამყვანნი). შრომისუუნარო სარჩენი პირები და სხვა მოქალაქენი შეიძლება ცნობილი იქნენ დამქირავებლის ოჯახის წევრებად, თუ ისინი დამქირავებელთან ერთად

ცხოვრობენ და მასთან ერთად ეწვევიან საერთო საოჯახო მეურნეობას.<sup>2</sup> ასეთი მოსაზრება არ შეიძლება სწორად იქნას მიჩნეული. ქორწინების და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებით ამომწურავად არის განსაზღვრული ოჯახის წევრთა წრე (მეუღლე, შვილები, შვილად აყვანილები, შვილიშვილები, მშობლები, შვილად ამყვანი ბებია; პაპა, დედი, ძმები, მამინაცვალი, დედინაცვალი, გერები) და მისი გაფართოებისათვის არ არსებობს საფუძველი. „სხვა მოქალაქეების“ ოჯახის წევრად აღიარება იმ ნიშნის მიხედვით, რომ ისინი საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელთან ერთად ცხოვრობენ და მასთან ერთად ეწვევიან საერთო საოჯახო მეურნეობას, არ შეესაბამება მოქმედ საოჯახო კანონმდებლობის მოთხოვნებს.

იმ პირებს, რომლებიც დამქირავებლის საცხოვრებელ სადგომში ცხოვრობენ როგორც მეურვეები ან მზრუნველები, დამოუკიდებელი უფლება ამ სადგომზე არა აქვთ. მეურვეობის ან მზრუნველობის შეწყვეტისას, თუ ამ პირების მიერ დაკავებული სადგომი არ არის მათზე გაფორმებული კანონით დადგენილი წესით, ისინი გამოსახლდებიან სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის № 3 დადგენილების მე-6 პუნქტი).

მოქმედი კანონმდებლობით, იმ პირს, რომელმაც დამქირავებელთან შეწყვიტა საოჯახო ურთიერთობა, ისეთივე უფლებები და მოვალეობები აქვს, როგორც დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 296-ე მუხლის შესამე ნაწილი). ამის შესაბამისად განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შემთხვევაში ყოფილ მეუღლეს ენარჩუნება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება, მაგრამ თუ ქორწინება ბათილად ცნობილია, როგორც ფიქტიური, მეუღლე კარგავს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლებას და მისი გამოსახლება შეიძლება სასამართლოს წესით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.<sup>3</sup>

განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობისას, შვილებს ყველა შემთხვევაში რჩებათ საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება.

შვილად აყვანის გაუქმება ან მისი ბათილად ცნობა არ წრმოადგენს საფუძველს შვილად ამყვანის ან შვილად აყვანილის გამოსახლებისათვის.

საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლის ოჯახის იმ სრულწლოვან წევრს, რომელსაც დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო აქვს, შეუძლია დამქირავებლისა და ოჯახის დანარჩენ სრულწლოვან წევრთა თანხმობით მოითხოვოს, რომ რგი ცნობილი იქნეს დამქირავებლად. ასეთივე უფლება აქვს დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახის ყოველ სრულწლოვან წევრს.

თუ დამქირავებელი არ დააკმაყოფილებს დამქირავებლის ოჯახის სრულწლოვანი წევრის ასეთ მოთხოვნას, მაშინ საკითხი გადაწყდება სასამართლოს მიერ. საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლის ოჯახის სრულწლოვანი წევრის დამქირავებლად ცნობის წესი არ ვრცელდება სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებისა და ცალკეული უწყებების, საწარმოების და დაწესებულებების სახლებში მცხოვრებ იმ პირებზე, რომელთა გამოსახლება შეიძლება სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად ამ სახლებში მცხოვრებ სხვა პირ-

<sup>2</sup> Ю. К. Толстой. Советское жилищное право, 1967, стр. 68 — 69.

<sup>3</sup> «Социалистическая законность», 1964, № 5, стр. 87.



ოჯახის სრულწლოვან წევრებს საერთო წესით შეუძლიათ მოითხოვონ, რომ პირი ცნობილი იქნენ საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლად.

დამქირავებლის ოჯახის სრულწლოვან წევრს, რომელსაც არსებობის დამოუკიდებელი წყარო მოეპოვება, უფლება აქვს აგრეთვე ოჯახის სრულწლოვან წევრების თანხმობით მოითხოვოს, რომ მასთან დადონ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ცალკე ხელშეკრულება, თუ მისი ხვედრი საცხოვრებელი ფართობი შეიძლება გამოიყოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 295-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 307-ე მუხლი). ვამქირავებლის უარი ცალკე ხელშეკრულების დადებაზე, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

სასამართლო პრაქტიკის თანახმად დასაშვებია აგრეთვე ოჯახის გამოყოფა საერთო სარგებლობის საცხოვრებელი სადგომის გადაკეთების საშუალებით, იმ პირობით, თუ ამაზე არის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობა.

მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლებში საცხოვრებელი სადგომის გადაკეთებისა და დამქირავებლის ოჯახის წევრთათვის დამოუკიდებელი საცხოვრებელი სადგომის გამოყოფისათვის, კანონით გათვალისწინებული სხვა სავალდებულო პირობებთან ერთად აუცილებელია სახლის პირადი მესაკუთრის—დამქირავებლის თანხმობა.<sup>4</sup> სახლის პირადი მესაკუთრის უარი საცხოვრებელი სადგომის გადაკეთებისა და დამქირავებლის ოჯახის წევრისათვის დამოუკიდებელი ფართობის გამოყოფის შესახებ არ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. დამქირავებლის ოჯახის წევრისათვის ცალკე დამოუკიდებელი საცხოვრებელი სადგომის გამოყოფის საკითხის გადაწყვეტისას, გარდა კანონით გათვალისწინებული სავალდებულო პირობებისა, დაცული უნდა იქნეს დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი. ამ საკითხთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის № 3 დადგენილებით, როცა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის წესი განპირობებული იყო დამქირავებლის და მისი ოჯახის ყველა წევრის შეთანხმებით, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ შეთანხმების გათვალისწინებით, თუნდაც ცალკეული პირებისათვის გამოყოფილი სადგომი თავისი ზომით მთლიანად არ შეესაბამებოდეს მათს წილს საერთო სარგებლობის საცხოვრებელ ფართობში.<sup>5</sup>

დაუშვებელია სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის, აგრეთვე სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების და ცალკეული უწყებების, საწარმოების და დაწესებულებების სახლებში საცხოვრებელი სადგომის გაყოფა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დამქირავებელი ასეთ სახლებში, ისეა ჩასახლებული, რომ თავისი სამუშაოთი დაკავშირებული არ არის მასთან, ან როცა ასეთ პირთა გამოსახლება არ შეიძლება სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

საცხოვრებელი სადგომის გაყოფისას, ოჯახის იმ წევრს, რომელიც სარგებლობს დამატებითი ფართობის უფლებით, შეიძლება მიეცეს აგრეთვე დამატებითი ფართობი, თუ ოჯახის დანარჩენ წევრებს შეხვდათ საცხოვრებელი ფა-

<sup>4</sup> «Социалистическая законность», 1966, № 3, стр. 87 — 88.

<sup>5</sup> «Бюллетень Верховного суда СССР», 1964, № 3, стр. 22.

რობი არანაკლებ კანონით დაწესებული საბინაო სანიტარული ნორმისა (12 კვ. მეტრი).

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 307-ე მუხლით გათვალისწინებული წესი, დამქირავებლის ოჯახის წევრის მოთხოვნით საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ არ გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომში და სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოფანესი დარგებისა და ცალკეული უწყებების საწარმოთა და დაწესებულებათა სახლებში (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 292-ე და 327-ე მუხლები). სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის № 3 დადგენილების მე-3 პუნქტის მე-4 ნაწილით, სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის, აგრეთვე საწარმოსა და დაწესებულების სახლებში საცხოვრებელი სადგომის გაყოფა, დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონით დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლება არ შეიძლება სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

მოქმედი საბინაო კანონმდებლობით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის) საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შეცვლა შეიძლება აგრეთვე დამქირავებელთა მოთხოვნით. მოქალაქეებს, რომლებიც ერთ ბინაში ცხოვრობენ და სარგებლობენ საცხოვრებელი სადგომით, დამოუკიდებელი ხელშეკრულებების საფუძველზე უფლება აქვთ მოითხოვონ მათ მიერ დაკავებულ მთელ საცხოვრებელ სადგომზე ერთ-ერთ მათგანთან ქირავნობის ხელშეკრულების დადება, იმ პირობით თუ ისინი ერთ ოჯახად გაერთიანდებიან. იმ პირთა წრე, რომელთაც სურთ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შეცვლა ერთ ოჯახად გაერთიანების გამო, განისაზღვრება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 296-ე მუხლის მეორე ნაწილით. კანონის აზრით, დაუშვებელია ხელშეკრულების პირობების შეცვლა იმ დამქირავებელთა მოთხოვნით, რომლებიც ერთი ოჯახის წევრებად არ ითვლებიან.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 308-ე მუხლით გათვალისწინებული წესი ერთ ოჯახად გაერთიანების გამო საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ, არ გამოიყენება იმ დამქირავებელთა მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ საწარმოს ან დაწესებულების საუწყებო სახლებში, თუ კანონით მათი გამოსახლება შეიძლება სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

საცხოვრებელი ფართობის გამქირავებლის უარი 308-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.<sup>6</sup>

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 297-ე მუხლის შესაბამისად მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს უფლება აქვს გამქირავებლის თანხმობის გარეშე დადგენილი წესით თავის საცხოვრებელ სადგომში ჩაისახლოს მეუღლე, შვილები, მშობლები, იმ პირობით, თუ მას აქვს თავისი ოჯახის ყველა სრულ-

<sup>6</sup> «Социалистическая законность», 1966, № 6, стр. 86 — 87.

წლოვანი წევრების წერილობითი თანხმობა. მშობლებთან მათი არასრულწლოვანი შვილების ჩასახლებისათვის ოჯახის დანარჩენი წევრების თანხმობა საცირო არ არის. ამ წესით ჩასახლებული მოქალაქენი მოიპოვებენ დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრებთან საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის თანასწორ უფლებას, თუ ეს მოქალაქენი ითვლებიან მისი ოჯახის წევრებად (ამ კოდექსის 296 მუხლი) და თუ შესახლებისას დამქირავებელსა და მასთან მცხოვრებ მისი ოჯახის სრულწლოვან წევრებსა და ჩასახლებულებს შორის სხვა შეთანხმება არ ყოფილა.

ამრიგად, პირი, რომელიც ბინაში ჩასახლებულია დამქირავებლისა და მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრების წერილობითი თანხმობით, საცხოვრებელ ფართობზე უფლებას მოიპოვებს მხოლოდ მაშინ, თუ იგი კანონით შეიძლება ჩაითვალოს დამქირავებლის ოჯახის წევრად. ამ პირობების დარღვევით ჩასახლებული პირი საცხოვრებელ ფართობზე უფლებას ვერ მოიპოვებს და ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი წევრის მოთხოვნით შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოსახლებულ იქნეს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 297-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაკუთრებული პირობებია დაწესებული იმ პირთათვის, რომლებიც ცხოვრობენ მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელ სახლებში. ამ მუხლით მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლებში მცხოვრებ დამქირავებელს უფლება აქვს დამქირავებლის თანხმობის გარეშე ჩაისახლოს დამქირავებულ სადგომში თავისი არასრულწლოვანი შვილები, ხოლო იზოლირებულ საცხოვრებელ სადგომში აგრეთვე. მეუღლე და მშობლები.

ამრიგად, მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლებში საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს სხვა ნათესავები და მისი სარჩენი შრომისუუნარო პირების ჩასახლება შეუძლია მხოლოდ სახლის პირადი მესაკუთრის — დამქირავებლისა და დამქირავებლის ოჯახის სრულწლოვანი წევრების წერილობითი თანხმობით. ის პირი, რომელიც ამ წესის დარღვევით არის ჩასახლებული საცხოვრებელ ფართობზე უფლებას ვერ მოიპოვებს და სახლის პირადი მესაკუთრის ან დამქირავებლის ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი წევრის მოთხოვნით შეიძლება გამოსახლებულ იქნას სასამართლოს მიერ. სახლის პირადი მესაკუთრის ოჯახში ჩასახლებული პირის საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება განისაზღვრება მესაკუთრესთან და მისი ოჯახის წევრებთან შეთანხმებით.<sup>7</sup>

დამქირავებლის ოჯახის წევრებს უფლებებთან ერთად ეკისრებათ გარკვეული მოვალეობები, რომლებიც საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობენ. დამქირავებლის ოჯახის სრულწლოვან წევრებს ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებისათვის. სოლიდარული პასუხისმგებლობის ძალით საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს უფლება აქვს ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება მოსთხოვოს როგორც დამქირავებელს, ისე მისი ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს ან ყველას ერთად (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 179-ე მუხ.).

<sup>7</sup> «Бюллетень Верховного суда СССР», 1966, № 4, стр. 25 — 26.

დამჭირავებლის და მისი ოჯახის სრულწლოვან წევრთა სოლიდარული მოვალეობებია: საცხოვრებელი სადგომისა და დამხმარე სათავსოების მიმდინარე შეკეთება, მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება, ბინის ქირის გადახდა და სხვ.

გარდა ამისა დამჭირავებლის ოჯახის წევრები, რომლებმაც საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების წესით მიიღეს ახალი საცხოვრებელი სადგომი ვალდებული არიან გაათავისუფლონ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი, იმ პირობით, თუ მათ წერილობით იკისრეს ვალდებულება დაკავებული საცხოვრებელი სადგომის გაათავისუფლების შესახებ და ამასთან ერთად მოხსენებული არიან ორდერში.<sup>8</sup>

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 1 ივლისის № 346 დადგენილებით დამტკიცებული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების თანახმად, მოქალაქე, რომელიც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლისას განაცხადებს, რომ კოოპერატივის სახლში გადავა მისი ოჯახის მთელი შემადგენლობით, ვალდებულია მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი გადასცეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ან საწარმოსა და ორგანიზაციას, მას შემდეგ რაც მას კოოპერატივის სახლში მისცემენ საცხოვრებელ სადგომს.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს პროფსაბჭოს 1972 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების თანახმად მოქალაქეები, რომლებიც საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების წესით ლეზულობენ საცხოვრებელ სადგომს, ვალდებული არიან მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი გაათავისუფლონ და წესიერ მდგომარეობაში ჩააბარონ სახლმმართველობას. დამჭირავებლისა და მისი ოჯახის წევრების ასეთი ვალდებულება უნდა წერილობით გაფორმდეს და დადასტურდეს სახლმმართველობის მიერ.

დამჭირავებლისა და მისი ოჯახის წევრების მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობისას საბინაო ორგანოებს უფლება აქვთ აღძრონ სარჩელი სახალხო სასამართლოში გაცემული ორდერის გაუქმებისა და ახალი საცხოვრებელი სადგომიდან მათი გასახლების შესახებ.

ოჯახის ის წევრები, რომლებსაც წერილობითი ფორმით არ უკისრიათ ახალ საცხოვრებელ სადგომში გადასვლის ვალდებულება და არც ორდერში არიან მოხსენებულნი, ინარჩუნებენ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომში ცხოვრების უფლებას. ამასთან, თუ მათ აღმოაჩნდებათ ნორმაზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, გამჭირავებელს შეუძლია მისი ჩამორთმევა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 310-ე მუხლით დადგენილი წესის და პირობების დაცვით.

<sup>8</sup> «Сборник жилищного законодательства», 1963, стр. 333 — 334.

# სიახლე საავტორო სამართლის კანონმდებლობაში

ლ. ისაბაძე

1973 წლის 27 თებერვალს სსრ კავშირი შეუერთდა საავტორო სამართლის შესახებ მსოფლიო (ჟენევის) კონვენციას. კონვენციის წესების შესაბამისად საბჭოთა კავშირისათვის ის ძალაში შევიდა შეერთების შესახებ განცხადებიდან სამი თვის შემდეგ ე. ი. 1973 წლის 27 მაისს.

სსრ კავშირის შეერთება მსოფლიო კონვენციასთან წარმოადგენს მნიშვნელოვან ღონისძიებას სხვა ქვეყნებთან მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების ურთიერთგაცვლის, ხალხთა ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ინტერესებისათვის; იგი ხელს შეუწყობს სსრ კავშირის ხალხთა კულტურის განვითარებასა და გამდიდრებას, მსოფლიოში საბჭოთა კავშირისადმი, საბჭოთა კულტურისადმი ინტერესის გაზრდას, საერთაშორისო კულტურული ურთიერთობის განვითარებას.<sup>1</sup>

საავტორო სამართლის შესახებ მსოფლიო (ჟენევის) კონვენცია მიღებულ იქნა 1952 წლის 6 სექტემბერს, ქ. ჟენევის სამთავრობათშორისო კონფერენციაზე<sup>2</sup>. კონვენცია მომზადებული და შემუშავებულია იუნესკოს ინიციატივით.

სსრ კავშირის გარდა საავტორო სამართლის შესახებ მსოფლიო კონვენციაში მონაწილეობს 63 სახელმწიფო: ავსტრია, ავსტრალია, არგენტინა, აშშ, ახალი ზელანდია, ბელგია, ბრაზილია, გერ, დანია, ესპანეთი, ინდოეთი, იტალია, კანადა და სხვ.; სოციალისტური სახელმწიფოებიდან მონაწილეობენ იუგოსლავია, კუბა, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია.

კონვენციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ კონვენცია შექმნილია ყველა სახელმწიფოში ლიტერატურულ, მეცნიერულ და მხატვრულ ნაწარმოებებზე საავტორო უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად, და გამოთქმულია რწმენა, რომ იგი კეთილსასურველ გავლენას მოახდენს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაზე, აგრეთვე გააადვილებს ინტელექტუალური შრომის ნაყოფის გავრცელებას, ხელს შეუწყობს საერთაშორისო ურთიერთგაგებას.

ჟენევის კონვენცია დაფუძნებულია ნაციონალური რეგულირების, ეგრეთ წოდებული „ნაციონალური რეჟიმის“ პრინციპზე. ეს ნიშნავს, რომ კონვენციის მონაწილე თითოეული ქვეყანა ისევე იცავს მისი მონაწილე ყოველი სხვა ქვეყნის მოქალაქის საავტორო უფლებას როგორც თავის მოქალაქისას. ამგვარად, ნაციონალური რეჟიმიდან გამომდინარე, კონვენციის მონაწილე თითოეულმა

<sup>1</sup> ბოლო წლებში სსრ კავშირი ინტელექტუალური საკუთრების დაცვის არაერთი შეთანხმების მონაწილე გახდა. მაგალითად, 1965 წელს სსრ კავშირი შეუერთდა საერთაშორისო შეთანხმებას საგამომგონებლო საკითხებზე; დადებულია ორმხრივი ხელშეკრულება საავტორო უფლებათა დაცვაზე უნგრეთის და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკებთან.

<sup>2</sup> პირველი კონვენცია ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა საერთაშორისო დაცვაზე მიღებულ იქნა 1886 წელს ქ. ბერნში. ეს კონვენცია რამდენჯერმე შეივსო; მისი ბოლო რედაქციები შეიმუშავეს და დაამტკიცეს სტოკჰოლმის (1967 წ.) და პარიზის (1971 წ.) კონვენციებზე.

ქვეყანაში უცხოელ ავტორთა ნაწარმოებების მიმართ უნდა გაავრცელოს საავტორო სამართლის ადგილობრივი კანონმდებლობა.

მსოფლიო კონვენცია საავტორო უფლების ობიექტებს მიაკუთვნებს ლიტერატურულ, მეცნიერულ და მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფიან: გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებად. რამდენადაც „გამოქვეყნებული ნაწარმოების“ ცნებას, მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და ამასთან კონვენციის მონაწილე ქვეყნების შინაკანონმდებლობით იგი ერთნაირად არ არის განსაზღვრული, ამდენად კონვენციის მე-6 მუხლში მოცემულია ამ ცნების განმარტება. აღნიშნული მუხლის მიხედვით, ნაწარმოების გამოქვეყნებად ითვლება „ნაწარმოების ეგზემპლარების მატერიალური ფორმით აღბეჭდვა და თავისუფალი, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გავრცელება, რაც ადამიანთა განუსაზღვრელ წრეს აძლევს მათი წაითხვის ან ყოველი სხვა საშუალებით ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას“.

კონვენციის პირველი პარაგრაფის მეორე მუხლის მიხედვით კონვენციის მონაწილე ქვეყნის მოქალაქის გამოქვეყნებული ნაწარმოები დაცულია ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, თუ ეს ნაწარმოები პირველად რომელ ქვეყანაშია გამოქვეყნებული. ამგვარად, დაცვა გარანტირებულია იმ შემთხვევაშიც, თუ ნაწარმოები პირველად გამოქვეყნდა იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც ამ კონვენციის მონაწილე არ არის. ამასთან ერთად, თუ კონვენციის მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე პირველად გამოქვეყნდა იმ ქვეყნის მოქალაქის ნაწარმოები, რომელიც კონვენციის მონაწილე არ არის, ეს ნაწარმოები დაცული იქნება კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყნის ტერიტორიაზე.

კონვენციის მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილი გამოუქვეყნებელი ნაწარმოები ისევეა დაცული მისი მონაწილე სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე, როგორც იმ ქვეყნის მოქალაქის გამოუქვეყნებელი ნაწარმოები, სადაც დაცვა უნდა განხორციელდეს.

კონვენციაში გათვალისწინებულია წესი საავტორო უფლების ნიშანზე. რადგანაც კონვენციაში მონაწილე ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულია განსაზღვრული ფორმალობის ასრულება ნაწარმოების დაცვისათვის, ამდენად ნაწარმოებზეც ნიშნის არსებობა უცხოელ ავტორს გარანტიას აძლევს ნაწარმოების დაცვაზე იმ ქვეყანაში, სადაც ამ ფორმალობის ასრულება საჭიროდ არის მიჩნეული.

მსოფლიო (ყენევის) კონვენცია ბერნის კონვენციისაგან განსხვავებით ნაკლებად ეხება კონვენციის მონაწილე ქვეყნების საავტორო სამართლის შინაკანონმდებლობას. იგი განსაზღვრავს მხოლოდ საავტორო უფლების მოქმედების ვადას და სხვა ენაზე ნაწარმოების თარგმნის უფლებას.

კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, საავტორო უფლების მოქმედების ვადა განისაზღვრება იმ ქვეყნის შინაკანონმდებლობით, სადაც დაცვა უნდა განხორციელდეს, მაგრამ ეს უფლება უნდა მოქმედებდეს აუცილებლად ავტორის მთელი სიცოცხლისა და მისი გარდაცვალებიდან არანაკლებ 25 წლის განმავლობაში.<sup>3</sup> დაიშვება ზოგიერთი გამონაკლისიც.

კონვენციის მე-4 პარაგრაფის მე-4 მუხლის მიხედვით, თუ იმ ქვეყანაში, სადაც ნაწარმოები პირველად გამოქვეყნდა ნაწარმოების დაცვის უფრო ხანგრძლივი ვადაა, ვიდრე ნაწარმოების ავტორის ქვეყანაში, მაშინ შესაძლებ-

<sup>3</sup> ბერნის კონვენციით, ეს ვადა 50 წლით განისაზღვრება.

ლია კონვენციის მონაწილე ქვეყანამ დაიცვას ეს ნაწარმოები იმავე ვადის განმავლობაში, როგორც ავტორის ქვეყანაშია დატული. თუ კონვენციის მონაწილე ქვეყნის მოქალაქის ნაწარმოები პირველად გამოქვეყნდება იმ ქვეყანაში, რომელიც კონვენციის მონაწილე არ არის, ამ ნაწარმოების მიმართ გავრცელებულია საავტორო უფლებათა მოქმედების ის ვადა, რომელიც მოქმედებს ამ მოქალაქის ქვეყანაში (მე-5 პარაგრაფის მე-4 მუხლი); კონვენციის მე-6 პარაგრაფის მე-4 მუხლის მიხედვით თუ ნაწარმოები ერთდროულად კონვენციის მონაწილე ორ ან რამდენიმე ქვეყანაში გამოქვეყნდება (ნაწარმოები ერთდროულად გამოქვეყნებულად ითვლება მაშინ, თუ მისი სხვადასხვა გამოცემის ვადებს შორის სხვაობა 30 დღეს არ აღემატება), ამ ნაწარმოების მიმართ გავრცელება საავტორო უფლებათა მოქმედების ვადა იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც უფრო ნაკლებია ეს ვადა, რომელიც რასაკვირველია 25 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს.

კონვენცია ავტორს განუმტკიცებს განსაკუთრებულ უფლებას ნაწარმოების თარგმნის ნებართვასა და მის პუბლიკაციაზე. კონვენციის მონაწილე არც ერთ ქვეყანაში არ შეიძლება ითარგმნოს და გამოიცეს ნაწარმოები ავტორის თანხმობის გარეშე ან იმ გამოცემლობის ნებართვის გარეშე, რომელმაც ეს უფლება ავტორისაგან მიიღო. ამასთან ერთად კონვენციის მე-2 პარაგრაფის მე-5 მუხლის მიხედვით, კონვენციას დასაშვებად მიიჩნია იძულებითი ლიცენზიის გაცემა ნაწარმოების თარგმნისა და მისი პუბლიკაციის ნებართვაზე ავტორისაგან დამოუკიდებლად. ამისათვის საჭიროა, რომ ნაწარმოების პირველი პუბლიკაციის დღიდან გავიდეს შვიდი წელი და ამ შვიდი წლის განმავლობაში ნაწარმოები თარგმნილი და გამოცემული იყოს იმ სახელმწიფოს ენაზე, სადაც გამოითხოვება ლიცენზია, მაგრამ გამოცემა არ უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნილებას.

ზემოაღნიშნულ პირობებთან ერთად ლიცენზიის გაცემისათვის აგრეთვე საჭიროა:

ა) ავტორმა უარი განაცხადოს თავისი ნაწარმოების თარგმნისა და პუბლიკაციაზე. ასეთ შემთხვევაში ნაწარმოების თარგმნით ან გამოცემით დაინტერესებულმა პირმა აუცილებლად უნდა წარადგინოს მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მან სთხოვა ნებართვა ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს და ამაზე უარი უთხრეს ან უბასუხოდ დატოვეს მისი თხოვნა;

ბ) მთარგმნელმა ვერ შეძლოს საავტორო უფლების მფლობელის მოძებნა. ამ დროს მთარგმნელი მოვალეა თარგმნის ნებართვა სთხოვოს გამომცემლობას, რომელმაც ეს ნაწარმოები გამოსცა და, ამასთან ერთად თუ ცნობილია საავტორო უფლების მფლობელის მოქალაქეობა, მსგავსი თხოვნა გაგზავნოს ამ ქვეყნის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობაში.

ამ პირობების შესრულების შემდეგ მთარგმნელმა შეიძლება კომპეტენტური ორგანოსაგან ნებართვა მიიღოს სათანადო თხოვნის გაგზავნიდან არა უგვიანეს ორი თვისა.

აღნიშნულ შემთხვევაში საავტორო უფლების მფლობელის „სამართლიან გასამრჯელოს“ უზრუნველყოფს ნებართვის მიმცემი ქვეყანა შინაკანონმდებლობით და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნას ნაწარმოების თარგმნის სისწორე.

მსოფლიო კონვენციას რომ შეუერთდა, სსრ კავშირმა ვალდებულება იკისრა დაიცვას კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყნის ავტორთა უფლებები. მათი ნაწარმოების გამოყენებისას და, პირიქით, ყველა ეს ქვეყანა ვალდებულია და-

იცვას საბჭოთა ავტორთა უფლებები და ინტერესები მათი ნაწარმოების გამოყენებისას.<sup>4</sup>

სსრ კავშირის შეერთებას კონვენციასთან უკუქცევით ძალა არა აქვს. საბჭოთა კავშირში დაცვას დაექვემდებარება უცხოელ ავტორთა ის ნაწარმოებები, რომლებიც გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ 1973 წლის 27 მაისიდან. ამ დღემდე გამოქვეყნებულ უცხოელ ავტორთა ნაწარმოებებზე ძალაში რჩება არაკონვენციური რეჟიმი, ე. ი. ის ორგანიზაციები ან პირნი, რომელთაც სურთ ისარგებლონ ამ ნაწარმოებებით მოვალენი არ არიან დადონ ხელშეკრულებანი ავტორებთან ან საავტორო უფლების მქონე სხვა პირებთან და გადაუხადონ მათ საავტორო გასამრჩელო. ასეთ შემთხვევაში საბჭოთა ორგანიზაციები პატივს სცემენ რა უცხოელ ავტორთა ინტერესებს, რომლებიც დაკავშირებულია ავტორობასთან და მათი ნაწარმოებების ხელშეუხებლობასთან, დაიცავენ ავტორთა ამ პირად უფლებებს.<sup>5</sup>

მხედველობაშია მისაღები, რომ კონვენციითა და საბჭოთა კანონმდებლობით სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული ნაწარმოების „გამოქვეყნების“ ცნება. ჩვენში ნაწარმოები გამოქვეყნებულად ითვლება, თუ იგი გამოცემულია, საჯაროდ შესრულებულია, საჯაროდ ნაჩვენებია, გადაცემულია რადიოთი თუ ტელევიზიით ან თუ მას სხვა რაიმე საშუალებით მოქალაქეთა განუსაზღვრელი წრე გაეცნო“ (იხ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 490-ე მუხლი, რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 476-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლები). კონვენციის მე-9 მუხლი კი როგორც ზევით აღნიშნეთ უფრო შეზღუდულად განსაზღვრავს ნაწარმოების გამოქვეყნების ცნებას, ვიდრე ჩვენი კანონმდებლობა. ამას კი საჭირო ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც „გამოქვეყნების“ კონვენციური ცნების მიხედვით განისაზღვრება იმ ნაწარმოებთა წრე, რომელნიც კონვენციით არიან დაცული სსრ კავშირში. ამგვარად, თუ ნაწარმოები 1973 წლის 27 მაისამდე არ ყოფილა გამოქვეყნებული, ე. ი. დაბეჭდილი ქურონალში, გაზეთსა თუ სხვა გამოცემებში, ის დაცულ უნდა იქნა ექნევის კონვენციით.

მსოფლიო (ექნევის) კონვენციასთან საბჭოთა კავშირის შეერთებასთან დაკავშირებით საბჭოთა საავტორო სამართლის კანონმდებლობა შეუსაბამეს ამ კონვენციის პირობებს. 1973 წლის 21 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში დამატებებისა და

<sup>4</sup> მსოფლიო (ექნევის) კონვენციასთან შეერთების მომენტში სსრ კავშირმა სპეციალური დათქმა გააკეთა კონვენციის მე-13 მუხლის თაობაზე, რომლის დებულება „წარმოადგენს მოძველებულს და ეწინააღმდეგება გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაციას კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ (1960 წლის 14 დეკემბრის 1514 XIV რეზოლუცია).

მსოფლიო (ექნევის) კონვენცია შევსებულ იქნა 1971 წლის იენისში პარიზის დიპლომატიურ კონფერენციაზე. ძირითადი დამატებანი შეეხებოდა განვითარებადი ქვეყნების ავტორთა ნაწარმოებების გამოყენების წესს. აღნიშნული ტექსტი 1973 წლის დასაწყისისათვის ძალაში არ იყო შესული.

<sup>5</sup> მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირი არ მონაწილეობდა საერთაშორისო შეთანხმებაში, ეს პრინციპი თანამიმდევრულად ზორციელდება ჩვენში. ამაზე დაწვრილებით იხ. **М. М. Богуславский, А. А. Рубанов, Правовое положение иностранцев в СССР, М., 1962, стр. 90—92.**

ცვლილებების შეტანის შესახებ“<sup>6</sup>, რითაც კიდევ უფრო განმტკიცდა და სრულყოფილ იქნა საავტორო უფლებათა დაცვა.

აღნიშნულმა ბრძანებულებამ პირველ რიგში გააფართოვა საავტორო უფლების მფლობელთა წრე. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც პირველად გამოქვეყნდა სსრ კავშირის ტერიტორიაზე ან არ გამოქვეყნებულა, მაგრამ სსრ კავშირის ტერიტორიაზე არსებობს რაიმე ობიექტური ფორმით, ეკუთვნის არა მარტო ავტორს და მის მემკვიდრეებს მათი მოქალაქეობის მიუხედავად (როგორც ეს „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების“ 97-ე მუხლის პირველ ნაწილში იყო აღრე აღნიშნული), არამედ ავტორის სხვა უფლებამონაცვლეებსაც. თუ ვინ ჩაითვლება ავტორის უფლებამონაცვლედ და რა პირობებში გადაეცემათ მათ საავტორო უფლებანი, ყოველივე ეს შემდგომ დასახუტებელი საკითხებია.

სავტორო უფლება ეკუთვნის ავტორის უფლებამონაცვლეებს მაშინაც, როდესაც სსრ კავშირის მოქალაქის ნაწარმოები პირველად გამოქვეყნდა ან რაიმე ობიექტური ფორმით არსებობს უცხოეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე. სხვა პირებს საავტორო უფლება იმ ნაწარმოებზე, რომელიც პირველად გამოქვეყნდა ან რაიმე ობიექტური ფორმით არსებობს უცხოეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ეკუთვნის იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან საერთაშორისო შეთანხმებათა შესაბამისად, რომლებშიც სსრ კავშირი მონაწილეობს.

სსრ კავშირის მოქალაქე ავტორების უფლებამონაცვლეებს, საავტორო უფლება ეკუთვნით სსრ კავშირის ტერიტორიაზე იმ შემთხვევაში, თუ მათ ამ უფლებას გადასცემენ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნული ბრძანებულებით „საფუძვლების“ 98-ე მუხლი შეივსო შემდეგი შინაარსის მე-2 ნაწილით: „სსრ კავშირის მოქალაქე ავტორის მიერ უცხოეთის სახელმწიფო ტერიტორიაზე მისი ნაწარმოების გამოყენების უფლების გადაცემის წესს ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა“. აღნიშნული წესი შემდგომ ჩამოყალიბდება ნორმატიულ აქტებში.

გახანგრძლივდა საავტორო უფლების მოქმედების ვადა („საფუძვლების“ 105-ე მუხლი). ახლა საავტორო უფლება მოქმედებს ავტორის მთელ სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 25 წლის განმავლობაში იმ წლის 1 იანვრიდან, რომელიც მოჰყვება ავტორის გარდაცვალების წელს.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს ფოტოგრაფიულ და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლების მოქმედების შემცირებული ვადები. ეს ვადები არ შეიძლება იყოს ათ წელზე ნაკლები ასეთი ნაწარმოების აღბეჭდვის გზით გამოქვეყნების მომენტიდან. საავტორო უფლების მოქმედების შემცირებული ვადის შემთხვევაში ეს უფლება მემკვიდრეზე გადადის ვადის იმ ნაწილის ფარგლებში, რომელიც არ გასულა ავტორის გარდაცვალებამდე.

სავტორო უფლების მოქმედების ვადების ახალი წესები არ გამოიყენება იმ ნაწარმოების მიმართ, რომელზედაც საავტორო უფლების მოქმედების ვადა ამოიწურა 1973 წლის 1 იანვრამდე. მაშასადამე, 1959 წელსა და მის შემდგომ წლებში ავტორების მემკვიდრეები ისარგებლებენ საავტორო უფლებით 25 წლის განმავლობაში იმ წლის 1 იანვრიდან, რომელიც მოჰყვება ავტორის გარდაცვალების წელს.

<sup>6</sup> „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973, № 9, 198-ე მუხლი.

„საფუძვლების“ 105-ე მუხლის ახალი რედაქცია მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციას არ მიაკუთვნებს მემკვიდრეებისათვის საავტორო უფლების განხორციელების ფარგლების დადგენას, კერძოდ იმას, თუ რა რაოდენობით უნდა მიეცეს მემკვიდრეს საავტორო გასამრჩელო. ადრე მოქმედი კანონმდებლობით (რუსურ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 496-ე მუხლი, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 510-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლები) მემკვიდრის მიერ მისაღები გასამრჩელო არ უნდა ყოფილიყო იმ გასამრჩელოს 50 პროცენტზე მეტი, რაც თვითონ ავტორს ერგებოდა. ამჟამად ეს შეზღუდვა აღარ არის კანონით გათვალისწინებული ვინაიდან 1973 წლის 21 თებერვლის ბრძანებულების წესები გამოიყენება იმ უფლებათა და მოვალეობათა მიმართ, რომლებიც აღმოცენდება 1973 წლის 1 ივნისიდან, ამიტომ ავტორთა მემკვიდრეები 1973 წლის 1 ივნისიდან საავტორო გასამრჩელოს მთლიანად მიიღებენ.

შეიცვალა სხვა ენაზე ნაწარმოების თარგმნის წესებიც („საფუძვლების“ 101-ე და 102-ე მუხლი). ადრე მოქმედი კანონმდებლობით, ყოველი გამოცემული ნაწარმოები შეიძლებოდა გადათარგმნილიყო სხვა ენაზე ავტორის თანხმობის გარეშე, მაგრამ მისთვის შეტყობინებით და იმ პირობით, რომ შენარჩუნებული იქნებოდა ნაწარმოების მთლიანობა და აზრი. სხვა ენაზე სათარგმნელად ნაწარმოების გამოყენებისათვის საზღაურის მიღების უფლება ეკუთვნოდა ორიგინალის ავტორს იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებული იყო მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. საფუძვლების 102-ე მუხლის ახალი რედაქციით კი ნაწარმოების თარგმნა სხვა ენაზე გამოქვეყნების მიზნით დასაშვებია მხოლოდ ავტორის ან მისი უფლებამონაცვლეების თანხმობით; ხოლო 101-ე მუხლით ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმნა დასაშვებია მხოლოდ ავტორთან ან მის მემკვიდრეებთან ხელშეკრულების დადების საფუძველზე. აღნიშნული წესი ვრცელდება მთარგმნელებზე, რომლებსაც ეკუთვნით საავტორო უფლება მათ მიერ შესრულებულ თარგმანზე.

სხვა ენებზე ნაწარმოების თარგმნის ახალი წესი არ ვრცელდება იმ მასალებზე, რომლებიც გაზეთებში ქვეყნდება (103-ე მუხლის ახალი რედაქციის მე-5 პუნქტი). გაზეთებში დასაშვებია საჯაროდ წარმოთქმული სიტყვების, მოხსენებებისა და აგრეთვე ლიტერატურის, მეცნიერებისა თუ ხელოვნების გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთა მოთავსება დედნის ან თარგმნის სახით. გამოცემის შეადგენს სტატია, რომელსაც სპეციალურად შეუკვეთს ესა თუ ის რედაქცია უცხოელ ავტორებს, რისთვისაც მათ გასამრჩელოს აძლევს.

„საფუძვლების“ 103-ე მუხლს დაემატა მე-7 პუნქტი, რომლითაც დასაშვებია მიჩნეული გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა დაბეჭდვა სამეცნიერო, სასწავლო და საგანმანათლებლო მიზნით, ოღონდ მოგების მიუღებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შეუსაბამონ ამ ბრძანებულებას.

# ავგოსტრანსპორტო დანაშაულის სპეციალური მხარისათვის



## ჯ. ბაგილაშვილი

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლში, სადაც ავტოსატრანსპორტო დანაშაულის ძირითადი შემადგენლობაა გათვალისწინებული, კანონმდებელი არაფერს ამბობს ქმედობის სუბიექტურ მხარეზე.

საბჭოთა სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, განსახილველ დანაშაულში ბრალის საკითხი ცალ-ცალკე უნდა დადგინდეს მოქმედებისა და მანვანე შედეგის მიმართ.<sup>1</sup> ამ საკითხის გარკვევისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ პირმა შეგნებულად დაარღვია მოძრაობის წესები და ამიტომ მას იზოლირებულად აღებული მოქმედების ან უმოქმედობის მიმართ აქვს განზრახვი ბრალი. რადგან შედეგი ამ შეხედულების მომხრეთა აზრით სატრანსპორტო დანაშაულში შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ გაუფრთხილებლობით, ამიტომ აღნიშნული ავტორები აღიარებენ 241-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ორმაგი ბრალის არსებობას: განზრახვას — მოქმედებისა და გაუფრთხილებლობას — შედეგის მიმართ.

ანალოგიურად წყდებოდა ეს საკითხი სასამართლო პრაქტიკაში.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წლის № 2 დადგენილებაში „ავტოსატრანსპორტის ან ქალაქის ელექტროტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ აღნიშნული იყო, რომ ავტოსატრანსპორტო დანაშაულში დამნაშავის დამოკიდებულება სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევისადმი შეიძლება გამოიხატოს როგორც განზრახვით, ასევე გაუფრთხილებლობის ფორმით, ხოლო დამდგარი შედეგებისადმი — მარტო გაუფრთხილებლობითი ფორმით.<sup>2</sup>

ეს შეხედულება საჯავოდ მიგვაჩნია.

ორმაგ ბრალზე მხოლოდ იქ შეიძლება ვილაპარაკოთ, სადაც მითითება განზრახვაზე პირდაპირ არის შეტანილი კანონის დისპოზიციაში დანაშაულის აღმასრულებელი ქმედობის აღწერის დროს (მაგალითად, მუხ. 186), ან როდესაც დანაშაულის შემადგენლობა ორ შედეგს ითვალისწინებს და პირველი შედეგის მიმართ კანონი მოითხოვს განზრახვ ბრალს, ხოლო მეორე შედეგის მიმართ — გაუფრთხილებლობას. ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებთან. როგორც მართებულად მიუთითებს მ. უგრეხელიძე — „მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტი რთული საკანონმდებლო წარმონაქმნია, რომელიც ორი დამოუკიდებელი და დასრულებული შემადგენლობისაგან ყალიბდება“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> С. А. Домахин, Ответственность за преступления на автотранспорте, М., 1956, стр. 38, П. С. Матышевский, Ответственность за преступления против общественной безопасности, общественного порядка и здоровья населения, М., 1964, стр. 53—57. П. Дагель, Субъективная сторона автотранспортных преступлений. «Советская юстиция», 1968, № 19, стр. 18. В. К. Глистин, Б. Е. Боровский, Автотранспортные преступления. Ленинград, 1969, стр. 10. Ю. Ляпунов, Квалификация автотранспортных преступлений, «Советская юстиция», 1969, № 18, стр. 15—16. Б. А. Куринов, Автотранспортные преступления, М., 1970, стр. 88—89. გ. ცუცქერიძე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის, თბ., 1971, გვ. 136 და სხვ.

<sup>2</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1965, № 3, стр. 10.

<sup>3</sup> მ. უგრეხელიძე, შერეული ანუ ორმაგი ბრალი სისხლის სამართალში, „მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, № 1, გვ. 165.

ის, რომ ტრანსპორტის უსაფრთხოების წესების დარღვევა შეიძლება ჩა-  
დენილ იქნას არა მარტო შეუცნობლად, არამედ შეგნებულადაც, სრულიადაც  
არ მოითხოვს რთული ანუ შერეული ბრალის კონსტრუქციას.

241-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილში გათვალისწინებული ქმედობა  
თავისი ბუნებით გაუფრთხილებლობითი დანაშაულია. იგი არაფრით განსხვავ-  
დება სხვა ისეთი ზოგადი შემადგენლობებისაგან, როგორცაა: გაუფრთხილებ-  
ლობითი მკვლელობა (მუხ. 108), გაუფრთხილებლობით სხელის დაზიანება  
(მუხ. 115) და სხვა, რომლებიც ასევე წინდახედულობის ნორმების დარღვევის  
შედეგს წარმოადგენენ. ვასაგებია ამიტომ, რომ განსახილველი დანაშაულის  
სუბიექტური მხარე უნდა განვიხილოთ საერთოდ სხვა გაუფრთხილებლობითი  
დანაშაულის სუბიექტური მხარის ანალოგიურად. გაუფრთხილებლობითი და-  
ნაშაული კი აუცილებლად გულისხმობს რაიმე წინდახედულობის ნორმის დარ-  
ღვევას, თუნდაც მითითება ამ დარღვევაზე პირდაპირ არ იყოს შეტანილი კა-  
ნონის დისპოზიციასში<sup>4</sup>. თანაც დანაშაულებრივი თვითიმედოვნების დროს წინ-  
დახედულობის ნორმის დარღვევა ყოველთვის შეგნებულად ხდება, ხოლო დაუ-  
ღვევრობის დროს — წინდახედულობის ნორმა შეიძლება დარღვეულ იქნას შეგ-  
ნებულადაც და შეუგნებლადაც. მაგრამ ეს შეგნების მომენტი არ გადააქცევს  
არც თვითიმედოვნებას და არც მითუმეტეს დაუღვევრობას ნახევრად განზრახ-  
ვად და ნახევრად გაუფრთხილებლობად.

თუ ავტოსატრანსპორტო დანაშაულში ორმაგ ბრალს ვაღიარებთ, მაშინ  
თანმიმდევრობა მოითხოვს „შერეულ ბრალად ვცნოთ ყოველი თვითიმედოვნე-  
ბა და აგრეთვე დაუღვევრობის ყველა შემთხვევა, როდესაც მოქმედება შეგნე-  
ბულადაა ჩადენილი, ხოლო შედეგი არაცნობიერად განხორციელდა“<sup>5</sup>.

ავტოსატრანსპორტო დანაშაულში ორმაგი ბრალის აღიარება ჰქმნის ამ  
შემადგენლობის ბუნების მცდარი გაგების საშიშროებას<sup>6</sup>, სახელდობრ. — გარ-  
კვეულ სირთულეს, როდესაც საკითხი ეხება პირობითი მსჯავრის ან ამნისტი-  
ის გამოყენებას და სხვ. მოსამართლემ, ვიდრე პირობითს მსჯავრს გამოიყე-  
ნებდეს, უნდა იმსჯელოს, მთლიანად ქმედობა განზრახია თუ გაუფრთხილებ-  
ლობითი. მაგრამ რის მიხედვით უნდა გადაწყვიტოს მან ეს საკითხი: იმის მი-  
ხედვით, თუ როგორი იყო ბრალის ფორმა გამაფრთხილებელი წესის დარღვე-  
ვის მიმართ, თუ იმის მიხედვით, — როგორი ბრალი ჰქონდა პირს შედეგის  
მიმართ?

ამ საკითხის გაურკვეველობას სასამართლო პრაქტიკა ზოგჯერ არასწორ  
დასკვნამდე მიჰყავდა.

მაგალითად, სარატოვის ოლქის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ  
რ-ის მიერ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა შეაფასა, როგორც  
განზრახი ქმედობა ისე, რომ საჭიროდ არ მიიჩნია ემსჯელა გამოწვეული შედე-  
გისადმი პირის გაუფრთხილებლობაზე. ამის გამო, მთლიანად დანაშაულიც გან-

<sup>4</sup> В. Г. Макашвили, Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, стр. 119—140.

<sup>5</sup> ო. გამყრელიძე, პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის (რეცენზია გ. ტყემელაძის წიგნზე — „პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის“) „საბჭო-  
თა სამართალი“ 1966 წ., № 6, გვ. 85—86; მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

<sup>6</sup> იხ. უ. კობიაშვილი, ორმაგი ანუ შერეული ბრალის საკითხისათვის, „საბჭოთა სამარ-  
თალი“, 1969, № 3, გვ. 16.

ზრახ ჩადენილად ჩათვალა და ამ მოტივით უარი თქვა მსჯავრდებულის მიმართ ამნისტიის გამოყენებაზე<sup>7</sup>.

მსგავს შეცდომებს იურიდიულ ლიტერატურაშიც ვხვდებით.

„საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს, — წერს გ. ცუცქირიძე, — ყოველთვის უპირატესობა უნდა მიეცეს დამნაშავეს ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედობისადმი და არა შედეგებისადმი. ეს უკანასკნელი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს“<sup>8</sup>.

თუ მძლოლმა სათანადო წესები დაარღვია განზრახ, მავენ შედეგი კი განხორციელდა გაუფრთხილებლობით, ამ შეხედულების მიხედვით გამოდის, რომ მთლიანად ქმედობა სასამართლომ განზრახ დანაშაულად უნდა ჩათვალოს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, უმართებულოა და არ შეესაბამება კანონს.

უკანასკნელ ხანს სასამართლო პრაქტიკაშიც უარი თქვა ორმაგი ბრალის აღიარებაზე ავტოსატრანსპორტო დანაშაულში. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის დადგენილებაში „ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ ნათქვამია, რომ ავტოსატრანსპორტო დანაშაული უნდა განხილულ იქნას, როგორც გაუფრთხილებლობით ჩადენილი, რამდენადაც ქმედობის სუბიექტურ მხარეს განსაზღვრავს სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის ან ექსპლოატაციის წესების დარღვევისას პირის გაუფრთხილებელი დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობისადმი<sup>9</sup>.

ავტოსატრანსპორტო დანაშაული თავისი ბუნებით გაუფრთხილებლობითი დელიქტია. დამნაშავე თავისი წინდაუხედავი და ქარაფშუტული მოქმედებით არღვევს წინდახედულობის განსაზღვრულ ნორმებს და აზიანებს კანონით დაცულ სიკეთეს. 241-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილში გათვალისწინებული ქმედობა როგორც წესი შეიძლება ჩადენილ იქნას თვითიმედოვნებით, ან დაუდევრობით.

დანაშაულებრივი თვითიმედოვნება მაშინ იქნება, როდესაც პირს შეგნებული აქვს, რომ არღვევს ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესებს; ითვალისწინებს მავენ შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობს მათს თავიდან აცილებას. თვითიმედოვნებით ჩადენილი ავტოსატრანსპორტო დანაშაულის ინტელექტუალური მხარე გულისხმობს, რომ დამნაშავე ითვალისწინებს მძიმე შედეგების დადგომის შესაძლებლობას (რაც შეიძლება მოჰყვეს მის მიერ სათანადო წესების დარღვევას). საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება, დანაშაულებრივი თვითიმედოვნების გარდა, დამახასიათებელია ევენტუალური განზრახვისთვისაც. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ თვითიმედოვნების დროს შესაძლებლობის გათვალისწინება ატარებს აბსტრაქტულ ხასიათს, რამდენადაც დამნაშავე შეგნებულად არ უშვებს მავენ შედეგების დადგომას. შედეგების განხორციელების შესაძლებლობის გათვალისწინება აქ მოკლებულია იმ კონკრეტულ განსაზღვრულობას (მიზეზობრივი

<sup>7</sup> იხ. ბ. ა. კურინოვი. დასახ. ნაშრ., გვ. 93-94.

<sup>8</sup> გ. ცუცქირიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 144.

<sup>9</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1970, № 6, стр. 21. ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ აგრეთვე В. Н. Кудрявцев, Общая теория квалификаций преступлений. М., 1972, стр. 173—174.

კავშირის ასპექტში ქმედობასა და შედეგს შორის), რაც დამახასიათებელია ევენტუალური განზრახვისათვის<sup>10</sup>. დამნაშავეს მიერ თავისი ქმედობის გაცნობიერება ჯერ კიდევ არ ნიშნავს დანაშაულებრივი თვითიმედოვნების არსებობას. საჭიროა დადგინდეს აგრეთვე მისი ნების დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგებისადმი. თვითიმედოვნების დროს პირს არა თუ არ სურს შესაძლო მავნე შედეგების განხორციელება, არამედ პირიქით, იგი დარწმუნებულია, რომ არ დაუშვებს მათ დადგომას. ვინაიდან იმედს ამყარებს კონკრეტულ გარემოებებზე, რომელთა დახმარებითაც შესძლებს თავიდან აიცილოს ეს შედეგები. დამნაშავე, გამორიცხავს მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას და სწორედ ამიტომ თანხმდება იგი ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევაზე. დამნაშავეს თვითდაკერებულობა შეიძლება ემყარებოდეს ისეთ კონკრეტულ ფაქტორებს, როგორცაა: პირადი გამოცდილება, მანქანის კარგი ტექნიკური მდგომარეობა, შესაძლო პირთა მოქმედება, გარემო პირობები და სხვ. პირის ქარაფშუტული საქციელი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი გადაჭარბებულად აფასებს აღნიშნულ ფაქტორებს, არასწორად აქვს წარმოდგენილი მიზეზობრივი კავშირის განვითარება თავის ქმედობასა და შესაძლო შედეგებს შორის, რაც საბოლოო ჯამში შესაძლებლობას სინამდვილედ გადააქცევს. თვითიმედოვნების მაგალითად შეიძლება მივიტანოთ შემდეგი შემთხვევა:

გორის სახალხო სასამართლომ მსჯავრი დასდო ბ-ს სსკ-ს 241-ე მუხლის პესამე ნაწილით იმისათვის, რომ მან მოტოციკლის მართვის დროს დაარღვია მოძრაობის წესების 33-ე მუხლის მოთხოვნა და დააზიანა მოქ. ჩ. როგორც გამოირკვა, ბ-მ შეამჩნია, რომ გზაზე გადაბროდა მცირეწლოვანი ბავშვი, რომელსაც დასაჭერად მისდევდა ჩ., მძლოლი იმედოვნებდა, რომ ჩ. შეძლებდა ბავშვის დაჭერას და ამიტომ თავის დროზე არ მიიღო სათანადო ზომები სიჩქარის შესამცირებლად, ხოლო როდესაც მისი ვარაუდი არ გამართლდა და შეჩახება გარდაუვალი გახდა, მან გააკეთა მანევრირება ბავშვის გადასარჩენად, მაგრამ ჩ. მაინც სასიკვდილოდ დააზიანა<sup>11</sup>.

თუ დანაშაულებრივი თვითიმედოვნების დროს დამნაშავეს არ სურს მავნე შედეგების განხორციელება და არ ვარაუდობს მათი დადგომის შესაძლებლობას, ევენტუალური განზრახვის დროს პირი სათვალავში იღებს და თავის წარმოდგენაში არ უუუაგდებს თანამდევს მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობას, ანუ, როგორც იტყვიან, თანხმდება ამ შედეგების დადგომაზე. ევენტუალური განზრახვის დროს საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების რისკი, რომელიც განუწყვეტლად დააკავშირებული სუბიექტის ქმედობასთან, არა მარტო გათვალისწინებულია მოქმედის მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტში, არამედ აგრეთვე შედის სუბიექტის ნებელობით გადაწყვეტილებაში და მაშასადამე, მისი ნებისყოფის შინაარსში<sup>12</sup>. თუ თვითიმედოვნების დროს დამნაშავე ეყრდნობა ვარკვეულ გარემოებებს და დარწმუნებულია,

<sup>10</sup> А. А. Пионтковский, Курс Советского уголовного права, том II, М., 1970, стр. 312—313.

<sup>11</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1965 წლის № 60 განჩინება.

<sup>12</sup> ვ. მაყაშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის. „საბჭოთა სამართალი“, № 4, 1965, გვ. 27.



რომ არ დაუშვებს მძიმე შედეგების დადგომას, ამას ვერ ვიტყვით ევენტუალური განზრახვით მოქმედ პირზე. აქ მავნე შედეგების თავიდან აცილებისათვის ზრუნვა ალაღებდნენა მიტოვებული. პირი არ გამორიცხავს მათს დადგომას. იგი მხოლოდ ვარაუდობს, რომ „იღბალზე“, შემთხვევით გარემოებათა გამო ყველაფერი კარგად დამთავრდება. პირის ქარაფშუტობა და უზრუნველობა ამ შემთხვევაში აღწევს იმ ხარისხს, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი უშეებს საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომას<sup>13</sup>.

ამ მხრივ საყურადღებოა შემდეგი მაგალითი: ომსკის საოლქო სასამართლომ მსჯავრი დასდო მ-ს მასში, რომ იგი არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა პირადი საკუთრების ავტომანქანას, უხეშად დაარღვია მოძრაობის წესები და დაეჯახა მოქ. მ-ს, ნ-სა და ზ-ს. ავტოშემთხვევის შედეგად პირველმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, ხოლო დანარჩენი ორი მსუბუქად დაზიანდა. მ. შეეცადა მიმალულიყო შემთხვევის ადგილიდან, მკვეთრად გადააჭარბა სიჩქარეს, შეიჭრა ტრამვაის გაჩერებაზე, სადაც დაეჯახა მოქ. ო.-ს, პ.-ს და კ.-ს, რომელთაგან პირველი მძიმედ დაზიანა, ორი უკანასკნელი კი მსუბუქად. შემდგომ ამისა მან გზა განაგრძო სავალი ნაწილის მარცხენა მხარეს, მოძრაობის საწინააღმდეგოდ და დაეჯახა მოქ. დ.-ს, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. მ. კვლავ ცდილობდა მიმალვას, მაგრამ დაკავებული იქნა. მას პასუხისმგებლობა დაეკისრა განზრახი მკვლელობისა და სხეულის დაზიანებისათვის<sup>14</sup>.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა საეგებით მართებულია, რამდენადაც მსჯავრდებული მ., როდესაც იგი ცდილობდა მიმალულიყო ავტოსატრანსპორტო დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მოსალოდნელი მავნე შედეგების მიმართ მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით. მთვრალს მანქანა გადაჭარბებული სიჩქარით მიჰყავდა. თუმცა ითვალისწინებდა, რომ ამას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყოლოდა. როგორც ჩანს, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ დამნაშავე შეუტირდა სხვა მავნე შედეგების დადგომასაც.

ავტოსატრანსპორტო დანაშაული, თვითიმედოვნების გარდა, შეიძლება ჩადენილი იქნეს დანაშაულებრივი დაუდევრობითაც.

საფუძვლების მიღებამდე საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დაუდევრობა განსაზღვრული იყო მხოლოდ ობიექტური მასშტაბით. დაუდევრად მოქმედებდა ის, „ვინც არ ითვალისწინებდა თავისი მოქმედების შედეგს, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა იგი“.

კანონის ეს ფორმულა, აღნიშნავს პროფ. თ. წერეთელი, არ აკმაყოფილებდა არც სისხლის სამართლის თეორიას და არც სასამართლო პრაქტიკას. ვინაიდან გათვალისწინების ვალდებულების დარღვევა ასაბუთებს მხოლოდ ქმედობის ობიექტურ მართლწინააღმდეგობას და არა ბრალს.<sup>15</sup>

მოქმედი კანონმდებლობა დაუდევრობის განსაზღვრებაში იძლევა როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ კრიტერიუმებს. პირს შეიძლება ბრალად შეეჩივოს შესაბამისი წესების დარღვევით გამოწვეული მავნე შედეგები მხოლოდ

<sup>13</sup> В. Г. Макашвили, Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, стр. 40.

<sup>14</sup> «Советская Юстиция», 1968, № 10, стр. 28—29.

<sup>15</sup> თ. წერეთელი, ბრალის ცნების განვითარება საბჭოთა სისხლის სამართალში, „საბჭოთა სამართალი“, 1967, № 4, გვ. 43.

მაშინ, თუ წინდახედულობის ვალდებულებასთან ერთად დადგინდება, რომ მას-ჰქონდა რეალური შესაძლებლობა გაეთვალისწინებინა და თავიდან აეცილებინა ეს შედეგები.

გაუფრთხილებლობის ობიექტური მასშტაბის მიხედვით სასამართლო ადგენს, დაარღვია თუ არა მძღოლმა მართლწესრიგით დადგენილი სათანადო წინდახედულობისა და მზრუნველობის ნორმა. საზოგადოებაში მოქმედებენ სხვადასხვა სპეციალური წესები, რომლებიც განსაზღვრავენ პირის მოქმედებას ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის დროს. ეს წესები ძირითადად სიტუაციური ხასიათისაა და მიუთითებენ, თუ როგორ უნდა მოიქცეს მძღოლი კონკრეტული დროისა და ადგილის პირობებში, მოძრაობის ცალკეულ მონაწილეთა მიმართ და ა. შ. მიუხედავად ნორმების სიმრავლისა, ძნელი ამოწურავად იქნეს გადმოცემული ყველა ის ქცევა, რომლის უგულვებელყოფამაც შეიძლება განაპირობოს მავნე შედეგები. ამიტომ, მძღოლი ვალდებულია შეასრულოს წინდახედულობის არა მარტო სპეციალური წერილობითი წესები, არამედ მზრუნველობის ზოგადი ხასიათის საერთო ნორმაც. მაგალითად, არც მოძრაობის წესებში და არც სხვაგან სადმე არ არის ჩაწერილი, რომ მძღოლმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება გზასთან ბავშვების სიახლოვის დროს. მაგრამ აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა რომ გამოიწვევს პასუხისმგებლობას სსკ-ს 241-ე მუხლით (თუ მას მძიმე შედეგები მოჰყვება), ეს სასამართლო პრაქტიკაში არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამ მხრივ საყურადღებოა რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება ერთ-ერთ კონკრეტულ საქმეზე, სადაც ხაზგასმულია, რომ მცირეწლოვანი ბავშვების ყოფნა გზის მახლობლად მძღოლისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ წინდახედულობას. ამ მოთხოვნათა დარღვევა, ნათქვამია დადგენილებაში, თუ მას შედეგად მოჰყვება კანონში მითითებული შედეგები, შეადგენს რსფსრ სსკ-ს 211-ე (საქართველოს სსრ სსკ-ს 241-ე) მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას.<sup>16</sup>

მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს წინდახედულობის ვალდებულებათა რაიმე დიფერენციაციას ავტოსატრანსპორტო საშუალებათა წამყვან პირთათვის. ყველა, იქნება ეს მძღოლი — პროფესიონალი, ავტომოყვარული, თუ საერთოდ მანქანის მართვის უფლების არამქონე პირი, ერთნაირად ვალდებულია გამოიჩინოს სიფრთხილე მანქანის მართვის დროს, ვინაიდან ეს უკანასკნელი მომეტებული საფრთხის წყაროს წარმოადგენს.

დამნაშავის მითითება, რომ მან არ იცოდა ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესები, არ ანთავისუფლებს მას 241-ე მუხლით პასუხისმგებლობისაგან, რადგან წინდახედულობის საერთო მოთხოვნიდან გამომდინარე, იგი ვალდებული იყო არ მოეკიდა ხელი მანქანის მართვისათვის. ამიტომ სასამართლო, შესაბამის გარემოებათა არსებობისას, აღნიშნულ პირებს აკისრებს პასუხისმგებლობას ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის.

მძღოლის წინდახედულობის ვალდებულების დადგენა, ე. ი. ქმედობის მართლწინააღმდეგობის გარკვევა, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს მაშინ, როდესაც ესა თუ ის ქცევა გათვალისწინებულია სპეციალურ ნორმატიულ აქტში. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც პირის კონკრეტული მოქმედება წარმოადგენს წინდახედულობის ზოგადი ნორმის დარღვევას, რაც არ არის მოწესრიგებული ზემოაღნიშნული წესებით. როგორ უნდა განისაზღვროს ამ დროს პი-

<sup>16</sup> «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1968, № 3, стр. 7.

რის მზრუნველობის ფარგლები, იყო თუ არა იგი ვალდებული გამოეჩინა სათანადო წინდახედულობა?

ასეთ ვითარებაში სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს წინდახედულობის იმ წერილობით ნორმათა საერთო შინაარსი, რომლებიც არეგულირებენ მანქანის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების საკითხებს.

ჩვეულებრივად შემდეგნაირად მსჯელობენ: როგორ მოიქცეოდა ანალოგიურ სიტუაციაში იმავე პროფესიისა და კვალიფიკაციის მქონე პირი თავისი პროფესიული მოვალეობის შესაბამისად. თუ პირი გაითვალისწინებდა საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას და აცილებდა მათ თავიდან, მაშინ მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულს დარღვეული აქვს წინდახედულობისა და მზრუნველობის ზომები. თუ ბრალდებულის ადგილზე აზრობრივად დაყენებული პირიც ვერ შესძლებდა აღნიშნულს გაკეთებას, მაშინ არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მძღოლმა დაარღვია ვალდებულება, გაეთვალისწინებინა და არ დაეშვა განხორციელებული შედეგები.<sup>17</sup> ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო. ზუსტად ასეა გადაჭრილი ეს საკითხი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგინებებში კ-ს საქმეზე.<sup>18</sup>

მოქმედი კანონმდებლობა დაუდევრობით გამოწვეული მძიმე შედეგებისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მარტო ქმედობის მართლწინააღმდეგობის დადგენით არ კმაყოფილდება. იგი სასამართლოსაგან მოითხოვს გამოარკვიოს, ჰქონდა თუ არა პირს რეალური შესაძლებლობა გაეთვალისწინებინა და თავიდან აეცდინა განხორციელებული მავნე შედეგები.

მძღოლის წინდაუხედავი მოქმედება შეიძლება გაპირობებული იყოს რიგი ფაქტორებით: ფიზიკური ნაკლით (ახლომხედველობა, დალტონიზმით დაავადება), ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობით (ავადმყოფობა, გადაღლა) და სხვ. ამასთან პირმა არ უნდა იცოდეს, რომ იგი ასეთ მდგომარეობაში იმყოფება, ვთქვათ. ავადაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გარემოება არ მიიღება მხედველობაში და იგი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად პასუხს აგებს ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის, რამდენადაც წინდახედულობის ზოგადი მოთხოვნებიდან გამომდინარე, პირი ვალდებული იყო საერთოდ არ მოეკიდა ხელი ტრანსპორტის მართვისათვის.

საბჭოთა სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ დღევანდელ პირობებში, ე. ი. ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით გაუფრთხილებლობის ისეთი გაგება, რომელიც მოცემულია მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და ვაბატონებულია სისხლის სამართლის თეორიაში, აღარ არის გამოსადეგი. ასე მაგალითად, პროფ. მ. შარგოროდსკის აზრით კანონის ფორმულა — „შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების შესაძლებლობა“, არ შესაბამეა გაუფრთხილებლობით დანაშაულთან ბრძოლის ამოცანებს და იგი უნდა შეიცვალოს ფორმულით — „შეეძლო ან უნდა გაეთვალისწინებინა“<sup>19</sup>.

<sup>17</sup> ვ. გ. შაყაშვილი, დსახ. ნაშრ. გვ. 137.

<sup>18</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР» 1965, № 3, стр. 25—26. იხ. აგრეთვე «Бюллетень Верховного Суда СССР» 1964, № 2, стр. 36.

<sup>19</sup> М. Д. Шаргородский, Научный прогресс и уголовное право, «Советское государство и право», 1969, № 12, стр. 88—89.

ეს შეხედულება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს.

კანონის მოთხოვნა, რომ გაუფრთხილებლობით მოქმედს „უნდა გაეთვალისწინებინა“ დანაშაულებრივი შედეგი, როგორც უკვე დავინახეთ გაუფრთხილებლობითი ქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათს გამოხატავს. თუ არ არსებობს ქმედობის გათვალისწინების ვალდებულება, ეს ქმედობა საზოგადოდ არ შეიძლება ჩაითვალოს გამაფრთხილებელი წესის დარღვევად და მაშასადამე მართლსაწინააღმდეგოდ<sup>20</sup>. მაგრამ მხოლოდ მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ვერ დასაბუთებს. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია ბრალის არსებობა, ხოლო ბრალის მომენტი გაუფრთხილებლობაში სწორედ იმით განისაზღვრება, რომ სუბიექტს ჰქონდა ინდივიდუალური შესაძლებლობა გაეთვალისწინებინა ის, რისი გათვალისწინების ვალდებულებაც გამაფრთხილებელი წესებით ან სხვა ნორმებით ევალებოდა<sup>21</sup>.

თავისი აზრის დასაბუთებისათვის მ. შარგოროდსკის მოჰყავს შემთხვევა, როდესაც დალტონიზმით დაავადებული, რომელმაც იცის თავისი ავადმყოფობის შესახებ, ვერ შესძლებს წითელი შუქნიშნის გარჩევას მწვანისაგან და ამის შედეგად გამოიწვევს ავარიას. მ. შარგოროდსკი ფიქრობს, რომ ასეთ შემთხვევაში, ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, შოფერი უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, რადგან მას არ შეეძლო თავიდან აეცილებინა ავარია, და რომ პასუხისმგებლობის დაკისრება აქ შესაძლებელია მხოლოდ ობიექტური მასშტაბის მიხედვით, ე. ი. გათვალისწინების ვალდებულების საფუძველზე.

სინამდვილეში, შოფრის პასუხისმგებლობა, ისე როგორც გაუფრთხილებლობითი დანაშაულის სხვა შემთხვევებში, აქაც გათვალისწინების ვალდებულებისა და შესაძლებლობის საფუძველზე წყდება. შოფერი ვალდებული იყო საერთოდ არ მოეკიდა ხელი მანქანის მართვისათვის, რადგან იცოდა თავისი დაავადების შესახებ, იცოდა რომ მის მიერ მანქანის მართვას შეიძლება საზოგადოებრივად საშიში შედეგი მოჰყოლოდა<sup>22</sup>.

<sup>20</sup> საინტერესოა, რომ ამავე წერილში თვით შარგოროდსკი გაუფრთხილებლობისათვის უფრო მკაცრ მოთხოვნას აყენებს. სახელდობრ, მისი აზრით გაუფრთხილებლობისათვის პირმა მხოლოდ მაშინ უნდა აგოს პასუხი, თუ თავისთავად მოქმედება აკრძალული იყო. გაუგებარია, მითხვავს თუ არა პროფ. შარგოროდსკი ქმედობის აკრძალული ხასიათის დადასტურებას თვით სისხლის სამართლის კანონში, მაგრამ რაც შეეხება გაუფრთხილებლობითი ქმედობის მართლწინააღმდეგობას, იგი ყოველთვის იგულისხმება, იმისდა მიუხედავად სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შემადგენლობაში არის თუ არა შეტანილი მითითება ამ ქმედობაზე. სახელდობრ, ქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი იგულისხმება კანონის მოთხოვნით, რომ გაუფრთხილებლობით მოქმედ პირს უნდა გაეთვალისწინებინა შედეგი.

<sup>21</sup> როგორც მართებულად აღნიშნავს პროფ. ა. პიონტოკოვსკი, დაუდევრობისათვის მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმის გამოყენება უცილობლად მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ ბრალეულად უნდა ვცნოთ პირი, რომელსაც სინამდვილეში არ ახასიათებს „საშუალო ადამიანის“ წინდახედულობა («Курс Советского уголовного права, том II», М., 1970, стр. 321).

იქვე სხვა ადგილას. „ჩვენი სოციალისტური სისხლის სამართალი, რომელიც მტკიცედ ატარებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს, დანაშაულებრივ დაუდევრობაში ბრალის საკრიტის გადაწყვეტისას უნდა ხელმძღვანელობდეს სუბიექტური კრიტერიუმით“.

<sup>22</sup> როდესაც პროფ. მ. შარგოროდსკი ასაბუთებს ასეთი პირის პასუხისმგებლობას, არცნითოდ მას მოჰყავს არგუმენტები, რომლებიც გამომდინარეობენ გათვალისწინების შესაძლებლობიდან.

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს საკომუნისტო სოციალისტური რესპუბლიკის

#### საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი და სამოქმედოდ შემოღებული იქნეს 1973 წლის 1 ოქტომბრიდან.
2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესი და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შესაბამისი გახადოს ამ კოდექსისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძიწაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭავაძე**

თბილისი, 1973 წლის 28 ივნისი.

### საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო ექსპლუატაციისა და ჩავერის წყობილება. ექსპლუატატორებისათვის საუკუნობრივი მონური შრომის შემდეგ მშრომელვება პირველად მიიღეს შესაძლებლობა იმუშაონ თავიანთთვის, თავიანთი საზოგადოებისათვის.

სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირში მთლიანად და სამუდამოდ მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია. სსრ კავშირში, რომლის შემადგენლობაშიც შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის საფუძველია სოციალისტური საკუთრება, რითაც იწყება მშრომელი ადამიანის უკეთესი ცხოვრებისათვის თავისუფალი შრომის ებოქა. ექსპლუატაციისაგან შრომის თავისუფლება, რაც გარანტირებულია სოციალისტური წყობილებით, პიროვნების წამდვილი თავისუფლების ძირითადი პირობაა.

სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც არ არიან ექსპლუატატორები და ექსპლუატირებულნი, შრომა საყოველთაოა საზოგადოების ყველა შრომისუნარიანი წევრისათვის და ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია შრომის შესაძლებლობით. სსრ კავშირში მოქმედებს

სოციალიზმის პრინციპი: „თითოეულისაგან — მისი უნარის მიხედვით, თითოეულს — მისი შრომის მიხედვით“. შრომა თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და მორალური ვალდებულებაა თანახმად პრინციპისა: „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს“.

სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება წარმოქმნის შრომის უკეთესი შედეგით, საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტლივ განვითარებისა და სრულყოფით ადამიანთა მატერიალურ და მორალურ დაინტერესებას. სოციალისტური წარმოების ზრდა უზრუნველყოფს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუზრვლავი ამაღლების მტკიცე ბაზსს. საბჭოთა სახელმწიფო სრულყოფს შრომის მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმებს და ყოველი ღონისძიებით უწყობს ხელს მშრომელთა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის განვითარებას.

კომუნისტების აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევა, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა დაჩქარებას მთელ სახალხო მეურნეობაში, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური მომზადების განუზრვლავ ზრდას, მათი შრომის ორგა-



ნეზბუღობისა და დისციპლინის დონის ამაღლებას.

სსრ კავშირში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უზრუნველყოფს მოსახლეობის მთლიან დასაქმებასთან და ხელს უწყობს შრომის ძირეულ შემსუბუქებას, სამუშაო კვირის შემცირებას, მძიმე ფიზიკური და ყოველგვარი არაკვალიფიციური შრომის ლიკვიდაციას. მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან ერთად მიმდინარეობს პროცესი ადამიანთა საწარმოო საქმიანობაში გონებრივი და ფიზიკური შრომის თანდათანობითი ორგანული შერწყმისა. უფასო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური განათლების განხორციელება ფართო მასშტაბით უზრუნველყოფს სამუშაოსა და პროფესიის თავისუფალ არჩევას საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებით.

შრომელთა ჯანმრთელობის დაცვა, უსაფრთხო შრომის პირობები, პროფესიულ დაავადებათა და საწარმოო ტრავმატიზმის ლიკვიდაცია საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია.

საბჭოთა საზოგადოებაში შრომელთა დეპუტატების საბჭოებისა და მათ მიერ შექმნილი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ააშუალებით შრომელები მართავენ საწარმოებს, რომლებიც საყოველთაო-სახალხო (სახელმწიფო) საკუთრებაა. წარმოების მართვაში მუშათა და მოსამსახურეთა ჩაბმის საქმეში უდიდეს როლს ასრულებენ პროფესიული კავშირები.

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად მიქალაქებს, ეროვნებისა და რასის მიუხედავად, უზრუნველყოფილი აქვთ თანასწორუფლებიანობა შრომაში. სსრ კავშირში ქალს აქვს მამაკაცთან თანაბარი უფლებები შრომის, შრომის ანაზღაურების, დასვენებისა და სოციალური უზრუნველყოფისა.

მიქალაქეთა შრომით უფლებებს იცავს კანონი. შრომითი უფლებების დაცვას ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები, აგრეთვე პროფესიული კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის ამოცანები

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი აწესრიგებს ყველა მუშისა და მოსამსახურის შრომით ურთიერთობას, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, საზოგადოებრივი

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და ამ საფუძველზე შრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას და საზოგადოების საკეთილდღეო შრომის თანდათან გადაქცევას თითოეული შრომისუნარიანი ადამიანის ბირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი აწესებს შრომის პირობების მაღალ დონეს, მუშათა და მოსამსახურეთა შრომითი უფლებების ყოველმხრივ დაცვას.

მუხლი 2. მუშათა და მოსამსახურეთა ძირითადი შრომითი უფლებანი და მოვალეობანი

სსრ კავშირის მიქალაქეთა შრომის უფლებები უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციით, საბჭოთა საზოგადოების საწარმოო ძალთა განუხრელი ზრდით, სამეურნეო კრიზისის შესაძლებლობის აღკვეთით და უმუშევრობის ლიკვიდაციით.

მუშები და მოსამსახურეები შრომის უფლებას ახორციელებენ საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში მუშაობის შესახებ შრომის ხელშეკრულების დღების გზით.

მუშებსა და მოსამსახურეებს აქვთ უფლება ჰქონდეთ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ხელფასი, აქვთ დასვენების უფლება სამუშაო დღის და სამუშაო კვირის შემცირებისა და ყოველწლიური ფასიანი შევებულების შესახებ კანონების შესაბამისად, აქვთ უფლება ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის პირობებისა, უფასო პროფესიული მომზადებისა, უფასო კვალიფიკაციის ამაღლებისა, პროფესიულ კავშირებში გაერთიანებისა, წარმოების მართვაში მონაწილეობისა, მოხუცებულობაში, აგრეთვე ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით სახელმწიფო სასარგებო მატერიალური უზრუნველყოფისა.

ყველა მუშისა და მოსამსახურის მოვალეობაა დაიცვას შრომის დისციპლინა, გაუფრთხილდეს სახალხო დოვლათს, შეასრულოს შრომის ნორმები, რომლებსაც სახელმწიფო აწესებს პროფესიული კავშირების მონაწილეობით.

მუხლი 3. კოლმეურნეობის წევრთა შრომის მოწესრიგება

კოლმეურნეობის წევრთა შრომას აწესრიგებს კოლმეურნეობის წესდება, რომელიც მიღებულია სანიმუშო წესდების საფუძველზე და მის შესაბამისად, აგრეთვე სსრ კავშირისა



და საქართველოს სსრ კანონმდებლობა, რომელიც კოლმეურნეობებს ეხება.

**მუხლი 4. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობა**

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობა შედგება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებისა და ამის შესაბამისად მიღებულ სსრ კავშირის შრომის კანონმდებლობის სხვა აქტების, საქართველოს შრომის კანონთა, კოდექსისა და შრომის კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

მუხლი და მოსამსახურეთა შრომას იმ საკითხებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებით, საქართველოს სს რესპუბლიკაში აწესრიგებს:

სსრ კავშირის კანონმდებლობა;

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა;

საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კომპეტენციის გამოყენება მუშათა და მოსამსახურეთა შრომის მოწესრიგების დარგში სდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 107-ე მუხლისა და სხვა მუხლების მიხედვით (ამ კოდექსის 246-ე მუხლი და სხვა მუხლები).

მუშათა და მოსამსახურეთა შრომის საკითხებს, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებით, აწესრიგებს სსრ კავშირის კანონმდებლობა, ეს კოდექსი და საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობის სხვა აქტები.

**მუხლი 5. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სხვა მოკავშირე რესპუბლიკის შრომის კანონმდებლობის გამოყენება**

თუ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განიხილება საკითხი მუშათა და მოსამსახურეთა იმ უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების შესახებ, რომლებიც წარმოიშვნენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გამოყენებულ უნდა იქნეს ამ რესპუბლიკის შრომის კანონმდებლობა.

**მუხლი 6. შრომის ხელშეკრულების იმ პირობათა ბათილობა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან შრომის კანონმდებლობას**

შრომის ხელშეკრულების პირობები, რომლებიც აუარესებენ მუშათა და მოსამსახურეთა მდგომარეობას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობასთან შედარებით, ან სხვა მხრივ ეწინააღმდეგებიან ამ კანონმდებლობას, — ბათილია.

**კოლექტიური ხელშეკრულება**

**მუხლი 7. კოლექტიური ხელშეკრულების დადება**

მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივის სახელით საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან კოლექტიურ ხელშეკრულებას დებს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი.

კოლექტიური ხელშეკრულების დადებას წინ უნდა უძღოდეს მისი პროექტის განხილვა და მოწონება მუშათა და მოსამსახურეთა კრებებზე (კონფერენციებზე).

კოლექტიური ხელშეკრულება დაიდება ყოველწლიურად წერლობით და რეგისტრაციას არ საჭიროებს.

კოლექტიური ხელშეკრულება უნდა ეცნობოს საწარმოს, ორგანიზაციის ყველა მუშასა და მოსამსახურეს.

**მუხლი 8. კოლექტიური ხელშეკრულების შინაარსი**

კოლექტიური ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს მოცემული საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ძირითად დებულებებს შრომისა და ხელფასის საკითხებზე, აგრეთვე დებულებებს სამუშაო დროის, დასვენების დროის, შრომის ანაზღაურების, მატერიალური სტიმულირების და შრომის დაცვის შესახებ, რომლებიც შემუშავებულია ადმინისტრაციისა და პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის მიერ მათთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში და რომელთაც აქვთ ნორმატიული ხასიათი.

კოლექტიური ხელშეკრულება აწესებს ადმინისტრაციისა და მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის ურთიერთვალდებულებებს საწარმოო გეგმების შესრულების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის, ახალი ტექნიკის დანერგვის და შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების, სოციალისტური შეჯიბრების განვითარების, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცების და უშუალოდ წარმოებაში კადრების კვალიფიკაციის ამაღლების და მომზადების შესახებ.

კოლექტიური ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს ადმინისტრაციისა და პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ვალდებულებებს წარმოების მართვაში მუშა-მოსამსახურეთა ჩაბმის, შრომის ნორმირების, შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების ფორმათა სრულყოფის

ფის, შრომის დაცვის, წარმოების მოწინავე-  
თათვის შედგათისა და უპირატესობის მინი-  
ჭების, მშრომელთა საბინაო პირობებისა და  
კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების  
გაუმჯობესების, აღმზრდელობითი და კულტუ-  
რულ-მასობრივი მუშაობის განვითარების თა-  
ობაზე.

კოლექტიური ხელშეკრულების დებულებანი  
არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შრომის კანონ-  
მდებლობას.

**მუხლი 9. კოლექტიური ხელშეკრულებას  
მოქმედება**

კოლექტიური ხელშეკრულება ვრცელდება  
საწარმოს, ორგანიზაციის ყველა მუშასა და  
მოსამსახურეზე მიუხედავად იმისა, არიან თუ  
არა ისინი პროფესიული კავშირის წევრები.

**მუხლი 10. კოლექტიური ხელშეკრულების  
ძალაში შესვლა**

კოლექტიური ხელშეკრულება ძალაში შედის  
მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან ან  
რავით ხელშეკრულებაში აღნიშნული ვადიდან.

**მუხლი 11. კოლექტიური ხელშეკრულების  
დადებისას წარმოშობილი უთანხმოების გადა-  
წყვეტის წესი**

კოლექტიური ხელშეკრულების დადებისა  
საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და  
პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო,  
ადგილობრივ კომიტეტს შორის წარმოშობილ  
უთანხმოებას გადაწყვეტენ ზემდგომი სამეურ-  
ნეო და პროფკავშირული ორგანოები მხარეთა  
მონაწილეობით.

**მუხლი 12. კოლექტიურ ხელშეკრულებაში  
ცვლილებათა და დამატებათა შეტანა**

ცვლილებანი და დამატებანი კოლექტიურ  
ხელშეკრულებაში მისი მოქმედების ვადის  
განმავლობაში შეაქვს პროფესიული კავშირის  
საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს  
და საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციას  
მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების  
(კონფერენციის) მიერ მათი მოწონების შემ-  
დეგ.

**მუხლი 13. ანგარიშის ჩაბარება კოლექტიუ-  
რი ხელშეკრულების შესრულების შესახებ**

საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია და  
პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო,  
ადგილობრივი კომიტეტი ანგარიშს აბარებენ  
მუშებსა და მოსამსახურეებს კოლექტიური  
ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდე-  
ბულებათა შესრულების შესახებ.

**მუხლი 14. კონტრილი კოლექტიური ხელ-  
შეკრულების შესრულებაზე**

კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალის-  
წინებულ ვალდებულებათა შესრულების კონ-  
ტროლს ახორციელებენ საწარმოს, ორგანიზა-

ციის ადმინისტრაცია, პროფესიული კავშირის  
საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტე-  
ტი და მათი ზემდგომი ორგანოები.

**მუხლი 15. პროფესიული კავშირების გან-  
თავისუფლება კოლექტიური ხელშეკრულების  
გამო მატერიალური პასუხისმგებლობისაგან**

კოლექტიური ხელშეკრულების გამო მატე-  
რიალური პასუხისმგებლობა პროფესიულ კავ-  
შირებს არ ეკისრებათ.

**თავი III**

**შრომის ხელშეკრულება**

**მუხლი 16. შრომის ხელშეკრულების მხარე-  
ები და შინაარსი**

შრომის ხელშეკრულება არის მშრომელსა  
და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის  
შორის შეთანხმება, რომლითაც მშრომელი  
ვალდებულებას იღებს შეასრულოს სამუშაო  
გარკვეული სპეციალობის, კვალიფიკაციის თუ  
თანამდებობის მიხედვით, დამორჩილოს შრო-  
მის შინაგანაწესს, ხოლო საწარმო, დაწესებუ-  
ლება, ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს  
მშრომელს გადაუხადოს ხელფასი და უზრუნ-  
ველყოს იგი შრომის იმ პირობებით, რაც გათ-  
ვალისწინებულია შრომის კანონმდებლობით,  
კოლექტიური ხელშეკრულებით და მხარეთა  
შეთანხმებით.

**მუხლი 17. გარანტიები სამუშაოზე მიღების  
დროს**

აკრძალულია დაუსაბუთებელი უარე სამუ-  
შაოდ მიღებაზე.

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქარ-  
თველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად დუ-  
შუვებელია სამუშაოზე მიღებისას უფლებათა  
რაიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდ-  
ვა ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი უპირატე-  
სობის მინიჭება სქესის, რასის, ეროვნული  
კუთვნილებისა და რელიგიისადმი დამოკიდე-  
ბულების მიხედვით.

**მუხლი 18. შრომის ხელშეკრულების ვადა  
შრომის ხელშეკრულება იღება:**

- 1) განუსაზღვრელი ვადით;
- 2) განსაზღვრული ვადით, არაუმეტეს სამე-  
წლის;
- 3) გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით.

**მუხლი 19. შრომის ხელშეკრულების და-  
დება**

შრომის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს  
ზეპირი ან წერილობითი ფორმით.

სამუშაოზე მიღება ფორმდება საწარმოს,  
დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრა-  
ციის ბრძანებით (განკარგულებით). ბრძანების



(განკარგულების) გამოცხადების შესახებ მუშაკს ჩამოართმევნ ხელწერილს.

შრომის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მაშინაც, როცა ბრძანება ან განკარგულება არ იყო გაცემული, მაგრამ მუშაკი ფაქტიურად დაწვებული იყო სამუშაოდ.

ხელმძღვანელთა შორის შეთანხმებით სხვა საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან გადმოყვანის წესით სამუშაოზე მოწვეულ მუშაკს არ შეიძლება უარი ეთქვას შრომის ხელშეკრულების დადებაზე.

**მუხლი 20. ნათესავების ერთად მუშაობის შეზღუდვა**

აკრძალულია ერთსა და იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში იმ პირთა ერთად მუშაობა, რომლებიც ერთმანეთთან ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფებიან (მშობლები, მეუღლეები, ძმები, დები, შვილები, აგრეთვე მეუღლეების ძმები, დები, მშობლები და შვილები), თუ სამსახურებრივად ერთი უშუალოდ ექვემდებარება ან კონტროლს უწევს მეორეს.

ამ წესიდან გამონაკლისი შეიძლება დაწესებული იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ.

**მუხლი 21. შრომის ხელშეკრულების დადებას წარსადგენი დოკუმენტები**

შრომის ხელშეკრულების დადებას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია მშრომელს მოსთხოვოს პასპორტი, შრომის წიგნაკი, ხოლო იმ პირთ, რომლებიც პირველად იწყებენ მუშაობას, სახელმძღვანელოების, სასოფლო ან საღაბო საბჭოს ცნობა უკანასკნელი საქმიანობის შესახებ, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნილ პირებს კი — სამხედრო ბილეთი.

კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ადმინისტრაციას უფლება აქვს მოსთხოვოს მუშაკს საბუთები, რომლებიც ადასტურებენ, რომ მას აქვს გარკვეული პროფესია, სპეციალობა (ექიმები, ავტორტრანსპორტის მძღოლები და სხვა).

აკრძალულია სამუშაოზე მისაღები პირებისაგან კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი დოკუმენტების მოთხოვნა.

**მუხლი 22. გამოცდა სამუშაოზე მიღებისას**

შრომის ხელშეკრულების დადებას, მხარეთა შეთანხმებით, შესასრულებელი სამუშაოსათვის მუშის ან მოსამსახურის შესაფერისობის შემოწმების მიზნით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მისი გამოცდა. პირთა გამოცდის შესახებ მითითებულ უნდა იქნეს ბრძა-

ნებაში (განკარგულებაში) სამუშაოდ მიღების შესახებ.

გამოცდის პერიოდში მუშებსა და მოსამსახურეებზე მთლიანად ვრცელდება შრომის კანონმდებლობა.

გამოცდის გარეშე სამუშაოზე მიიღებიან

1) პირები, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი;

2) ახალგაზრდა მუშები პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დამთავრების შემდეგ;

3) ახალგაზრდა სპეციალისტები უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ;

4) სამამულო ომის ინვალიდები, რომლებიც სამუშაოზე გაგზავნილი არიან ჯავშნის ანგარიშში;

5) მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ვადაპყავთ სხვა სამუშაოზე ან რომლებსაც სამუშაოდ აგზავნიან სხვა ადგილას;

6) სხვა პირები, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**მუხლი 23. საგამოცდო ვადა სამუშაოზე მიღებისას**

საგამოცდო ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ კვირას — მუშებისათვის, ორ კვირას — მოსამსახურეთათვის, გარდა პასუხისმგებელი მუშაკებისა და ერთ თვეს — პასუხისმგებელი მუშაკებისაფვის, თუ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დაწესებული.

სამინისტროებისა და უწყებების სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ ორგანიზაციებში, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევით ქვეგანყოფილებაში სამუშაოზე მიღებისას მუშაკებს, რომლებსაც ეხებათ ატესტაცია, სამუშაოზე საბოლოოდ მიღებამდე შეიძლება დაუწესდეთ გამოცდა ვადით სამ თვემდე, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, რაც შეთანხმებული უნდა იქნეს შესაბამისი პროფესიული კავშირის კომიტეტთან, — ვადით ექვს თვემდე.

საგამოცდო ვადაში არ ითვლება დროებითი შრომისუწყნარობის და სხვა საპატიო მიზეზის გამო გაცდენილი დრო.

გამოცდის დრო ჩაითვლება სამუშაო სტაჟში.

**მუხლი 24. სამუშაოზე მიღებისას გამოცდის შედეგები**

თუ საგამოცდო ვადა დამთავრდა, ხოლო მუშა ან მოსამსახურე აგრძელებს მუშაობას, გამოცდა ჩაბარებულად ითვლება და შრომის ხელშეკრულების შემდგომი გაუქმება დასაშვებია მხოლოდ საერთო საფუძველზე.

თუ გამოცდის შედეგი არადამაკმაყოფილო-

ბელია, ადმინისტრაციას უფლება აქვს გააუქმოს შრომის ხელშეკრულება პროფესიული კავშირის საფარბიო, საქარბნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეუთანხმებლად და გასასვლელი დახმარების გაცემის გარეშე. მუშას ან მოსამსახურეს უფლება აქვს სამუშაოდან ასეთი განთავისუფლება გასაჩივროს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში, ხოლო შესაბამის შემთხვევებში (მუხლი 213-ე) ხელქვეითობის წესით ზემდგომ ორგანოებში.

**მუხლი 25. შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებელი სამუშაოს შესრულების მოთხოვნის აკრძალვა**

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს მოსთხოვოს მუშას ან მოსამსახურეს იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც გათვალისწინებული არ არის შრომის ხელშეკრულებით.

**მუხლი 26. სხვა სამუშაოზე გადაყვანა**

სხვა სამუშაოზე გადაყვანა იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, აგრეთვე სამუშაოდ გადაყვანა სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან ტერიტორიულად სხვა ადგილას, თუნდაც საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან ერთად, დასაშვებია მხოლოდ მუშის თუ მოსამსახურის თანხმობით, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 27-ე, 28-ე და 135-ე მუხლებით.

სხვა სამუშაოზე გადაყვანად არ ითვლება მუშის თუ მოსამსახურის გადანიაცვლება სხვა სამუშაო ადგილზე იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში სპეციალობის, კვალიფიკაციის, თანამდებობის, ხელფასის ოდენობის, შეღავათების, უპირატესობათა და შრომის სხვა არსებითი პირობების შეუცვლელად.

**მუხლი 27. სხვა სამუშაოზე დროებითი გადაყვანა საწარმოო აუცილებლობის გამო**

საწარმოო აუცილებლობის შემთხვევაში საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება აქვს ერთ თვემდე ვადით გადაიყვანოს მუშები და მოსამსახურეები შრომის ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ სამუშაოზე იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან ტერიტორიულად იმავე ადგილას მდებარე სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში. ამ შემთხვევაში შრომა უნდა ანაზღაურდეს შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მაგრამ არანაკლებ წინანდელი საშუალო ხელფასისა.

ამგვარი გადაყვანა დასაშვებია:

სტიქიური უბედურებების, საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად თუ სალიკვიდაციოდ ან მათი შედეგების დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად;

უბედური შემთხვევების, მოცდენის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაღუპვის ან გაუუქმების თავიდან ასაცილებლად და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში;

სამუშაოზე გამოუცხადებელი მუშის თუ მოსამსახურის შესაცვლელად.

სამუშაოზე გამოუცხადებელი მუშაკის შესაცვლელად სხვა სამუშაოზე გადაყვანის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს კალენდარული წლის განმავლობაში.

**მუხლი 28. მოცდენის შემთხვევაში სხვა სამუშაოზე დროებითი გადაყვანა**

მოცდენის შემთხვევაში მუშები და მოსამსახურეები მათი სპეციალობისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით გადაყვანილ უნდა იქნენ სხვა სამუშაოზე იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მოცდენის მთელი დროის მანძილზე ან ტერიტორიულად იმავე ადგილას მდებარე სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ერთ თვემდე ვადით.

მოცდენის შედეგად დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანისას მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც გამოიმუშავების ნორმებს ასრულებენ, უნარჩუნდებთ საშუალო ხელფასი წინანდელი სამუშაოს მიხედვით. იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ვერ ასრულებენ ნორმებს ან გადაყვანილი არიან დროებითი ანაზღაურების სამუშაოზე, უნარჩუნდებთ თავიანთი სატარიფო განაკვეთი (სარგო).

**მუხლი 29. არაკვალიფიციურ სამუშაოზე გადაყვანის შეზღუდვა**

მოცდენის ან სამუშაოზე არმყოფი მუშაკის დროებით შეცვლისას დაუშვებელია კვალიფიციური მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანა არაკვალიფიციურ სამუშაოზე.

**მუხლი 30. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები**

შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

- 1) მხარეთა შეთანხმება;
- 2) ვადის ვასლა (მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შრომითი ურთიერთობა ფაქტიურად გრძელდება და არც ერთი მხარე არ ითხოვს მის შეწყვეტას;
- 3) მუშის ან მოსამსახურის გაწვევა ან შესვლა სამხედრო სამსახურში;
- 4) შრომის ხელშეკრულების მოშლა მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით (32-ე და 33-ე მუხლები) ადმინისტრაციის ინიციატივით (მუხლი 34-ე) ან პროფკავშირული ორგანოს მოთხოვნით (მუხლი 39-ე);
- 5) მუშაკის გადაყვანა მისი თანხმობით სხვა სამუშაოზე ან არჩევით თანამდებობაზე გადასვლა;



6) მუშის ან მოსამსახურის უარი საწარმოს-თან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან ერთად ტერიტორიულად სხვა ადგილას სამუშაოდ გადასვლაზე;

7) სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რომლითაც მუშა ან მოსამსახურე მსჯავრდებულია თავისი ვალდებულების აღკვეთით (გარდა პირობითი მსჯავრისა), გამასწორებელი სამუშაოებით არა თავისი მუშაობის ადგილას ან სხვა სასჯელით, რომელიც გამოირიცხავს ამ სამუშაოს ვაგრძელების შესაძლებლობას.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის გადაცემა ერთი ორგანოს დაქვემდებარებიდან სხვა ორგანოს დაქვემდებარებაში არ შეწყვეტს შრომის ხელშეკრულების მოქმედებას. საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების შერწყმის, გაყოფის ან შეერთებისას შრომითი ურთიერთობები გრძელდება მუშის ან მოსამსახურის თანხმობით. ასეთ შემთხვევებში ადმინისტრაციის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხდება მუშაყაზა რაოდენობის ან შტატების შემცირება.

**მუხლი 31. ვადიანი შრომის ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება.**

თუ შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის (მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები) შემდეგ შრომითი ურთიერთობა ფაქტიურად გრძელდება და არც ერთმა მხარემ არ მოითხოვა მისი შეწყვეტა, ხელშეკრულების მოქმედება ითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით.

**მუხლი 32. განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების მოშლა მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით**

მუშებსა და მოსამსახურეებს უფლება აქვთ მოშალონ განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება, მაგრამ ამის შესახებ წერილობით უნდა გააფრთხილონ ადმინისტრაცია ორი კვირით ადრე. ამ ვადის გასვლის შემდეგ მუშის თუ მოსამსახურეს უფლება აქვს შეწყვიტოს მუშაობა, ხოლო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია მისცეს მუშაკს შრომის წიგნაი და გაუსწოროს მას ანგარიში .

მუშაკისა და ადმინისტრაციის შეთანხმებით შრომის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს ორი კვირის ვადის გასვლამდე.

თუ ორი კვირის ვადის შემდეგ ადმინისტრაციამ არ გამოსცა ბრძანება მუშაკის განთავისუფლების შესახებ, ხოლო იგი განაგრძობს მუშაობას და არ მოითხოვს შრომის ხელშეკრულების მოშლას, ვაგრძელობა ძალას კარგავს.

**მუხლი 33. ვადიანი შრომის ხელშეკრულების მოშლა მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით**

ვადიანი შრომის ხელშეკრულების (მე-18 მუხლის მე-2 დ მე-3 პუნქტები) ვადადგე მოშლა მუშაკის მოთხოვნით ხდება შემდეგ შემთხვევებში:

1) მუშაკის ავადმყოფობის ან ინვალიდობის გამო, რაც აბრკოლებს ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოს შესრულებას;

2) ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონმდებლობის, კოლექტიური ან შრომის ხელშეკრულების დარღვევის დროს;

3) სხვა საპატიო მიზეზების გამო.

**მუხლი 34. შრომის ხელშეკრულების მოშლა ადმინისტრაციის ინიციატივით**

განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება, აგრეთვე ვადიანი შრომის ხელშეკრულება მისი მოქმედების ვადის გასვლამდე, შეიძლება მოშალოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:


1) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის, მუშაყაზა რიცხვისა თუ შტატის შემცირების გამო;

2) თუ გამოვლინდება, რომ მუშა ან მოსამსახურე არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რომლებიც ხელს უშლიან ამ სამუშაოს შესრულებაში;

3) მუშის ან მოსამსახურის მიერ არასაპატიო მიზეზით შრომის ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულებების სისტემატურად შეუსრულებლობის გამო, თუ მუშის ან მოსამსახურის მიმართ აღდგამოყენებული იყო დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი;

4) არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენის გამო (მათ შორის სამუშაოზე არაუბრუნებლად მდგომარეობაში გამოცხადების გამო);

5) სამუშაოზე გამოუცხადებლობისას ზედღირებით თვეზე მეტი ხნის განმავლობაში დროებით შრომისუუნარობის გამო, ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით მიცემული შევებულების ჩათვლელად, თუ სსრკავშირის კანონმდებლობით არ არის დადგენილი სამუშაო ადგილის (თანამდებობის) შენახვის უფრო ხანგრძლივი ვადა ვარკვეული დავადების დროს. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც დაკარგეს შრომის უნარი შრომითი დასახიჩრებისა თუ პროფესიული დაავადების გამო, სამუშაო ადგილი (თანამდებობა)



ენახებათ შრომის უნარის აღდგენამდე ან ინვალიდობის დადგენამდე;

6) თუ სამუშაოზე აღადგენენ იმ მუშას ან მოსამსახურეს, რომელიც აღრე ასრულებდა ამ სამუშაოს.

დათხოვნა ამ მუხლის 1-ლ, მე-2 და მე-3 პუნქტებში აღნიშნული საფუძვლით დასაშვებია, თუ შეუძლებელია მუშაკის გადაყვანა სხვა სამუშაოზე მისი თანხმობით.

დაუშვებელია ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკის დათხოვნა დროებით შრომისუუნარობისა (გარდა მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) და შევებულებაში ყოფნის პერიოდში. ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც ხდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მთლიანი ლიკვიდაცია.

**მუხლი 35. განსაზღვრულ პირობებში ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის დამატებითი საფუძვლები**

ამ კოდექსის 30-ე და 34-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ხელშეკრულება, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება შეწყვეტილ იქნეს შემდეგ შემთხვევებში:

1) იმ მუშაკის მიერ შრომითი ვალდებულებების ერთჯერადი უხეში დარღვევის გამო, რომელსაც დაეისრებული აქვს დისციპლინური პასუხისმგებლობა ხელქვეითობის წესით.

2) იმ მუშაკის ბრალეული ქმედობის გამო, რომელიც უშუალოდ ემსახურება ფულად ან სასაქონლო ფასეულობებს, თუ ეს ქმედობა იძლევა ადმინისტრაციის მხრივ მის მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს;

3) იმ მუშაკის მიერ ამორალური გადაცდომის ჩადენის გამო, რომელიც აღმზრდელით ფუნქციებს ასრულებს, რაც შეუთავსებელია ამ მუშაობის გაგრძელებასთან;

4) სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკორიუმში სასამართლოს დადგენილებით მუშაკის გაგზავნის გამო.

სსრ კავშირის კანონმდებლობით და მის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს სსრ კანონმდებლობით, სამუშაოზე მიღების წესების დარღვევისას და სხვა შემთხვევებში, შეიძლება დაწესდეს ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის დამატებითი საფუძვლები.

ამ მუხლის მე-2, და მე-3 პუნქტებში მითითებული საფუძვლით შრომის ხელშეკრულების

მოშლა ხდება ამ კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

**მუხლი 36. სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება მუშაკთა რიცხვის ან შტატის შემცირებისას**

მუშაკთა რიცხვის ან შტატის შემცირებისას სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება ეძლევა იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც აქვთ უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერება და კვალიფიკაცია.

თანაბარი შრომის ნაყოფიერებისა და კვალიფიკაციის შემთხვევაში სამუშაოზე დარჩენის უპირატესობა, ეძლევათ:

1) ოჯახის მქონეთ — თუ კმაყოფიანაა ჰყავთ ორი ან მეტი პირი;

2) იმ პირთ, რომელთა ოჯახში არ არის დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე სხვა მუშაკი;

3) ომის ინვალიდებს, სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას დაღუპულ და უგზო-უხვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახის წევრებს;

4) იმ პირთ, რომლებიც წარმოებიდან მოუწყვეტლად იმაღლებენ კვალიფიკაციას უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში;

5) იმ პირთ, რომელთაც აქვთ ამ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობის ხანგრძლივი უწყვეტი სტაჟი;

6) იმ მუშაკებს, რომლებმაც ამ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მიიღეს შრომითი სახიზრობა ან პროფესიული დავადება.

**მუხლი 37. ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლის აკრძალვა პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის გარეშე**

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლა დაუშვებელია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე, სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

ამ მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნების დარღვევით შრომის ხელშეკრულების მოშლა უკანონოა, ხოლო დათხოვნილი მუშაკი აღდგენილ უნდა იქნეს წინანდელ სამუშაოზე (მუხლი 206-ე).

ადმინისტრაციას უფლება აქვს მოშალოს შრომის ხელშეკრულება არაუფიციანს ერთი თვისა პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის მიღების დღიდან, ხოლო ამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული



საფუძვლებით დათხოვნისას — ერთი თვის განმავლობაში დღიდან გადაცდომის გამოძღვარებისა.

**მუხლი 38. გასასვლელი დახმარება**

თუ შრომის ხელშეკრულება შეწყდა ამ კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებში და 34-ე მუხლის 1-ლ, მე-2 და მე-6 პუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით ან ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონმდებლობის, კოლექტიური ან შრომის ხელშეკრულების დარღვევის შედეგად (მუხლი 33-ე) მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ გასასვლელი დახმარება ორი კვირის საშუალო ხელფასის ოდენობით.

**მუხლი 39. პროფკავშირული ორგანოს მოთხოვნით შრომის ხელშეკრულების მოშლა**

პროფკავშირული ორგანოს (არანაკლებ რაიონული) მოთხოვნით ადმინისტრაცია ვალდებულია მოშალოს შრომის ხელშეკრულება ხელმძღვანელ მუშაკთან ან ჩამოაყენოს იგი დაკავებული თანამდებობიდან, თუ ის არღვევს შრომის კანონმდებლობას, არ ასრულებს კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, იწენს ბიუროკრატიზმს, აჭიანურებს საქმეს.

პროფკავშირული ორგანოს მოთხოვნა მუშაკმა ან ადმინისტრაციამ შეიძლება გაასაჩივროს ზემდგომ პროფკავშირულ ორგანოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

**მუხლი 40. სამუშაოდან გადაყენება**

მუშის ან მოსამსახურის სამუშაოდან (თანამდებობიდან) გადაყენება დასაშვებია მხოლოდ იმ ორგანოების წინადადებით, რომლებიც საამისოდ არიან უფლებამოსილი, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუშაკს, რომელიც სამუშაოზე არაღებულ მდგომარეობაში გამოცხადდება, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია იმ დღეს (იმ ცვლაში) არ დაუშვებს სამუშაოდ.

**მუხლი 41. შრომის წიგნაკები**

შრომის წიგნაკი წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს მუშის ან მოსამსახურის შრომითი საქმიანობის შესახებ.

შრომის წიგნაკი შედგება ყველა მუშასა და მოსამსახურეზე, რომლებიც საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობენ ხუთ დღეზე მეტს.

შრომის წიგნაკში იწერება ცნობები მუშაკისა და მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესახებ, აგრეთვე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში შრომითი წარმატებისათვის წახალისებისა და დაჯილდოებების თაობაზე. სასჯელი შრომის წიგნაკში არ ჩაიწერება.

ჩანაწერი სამუშაოდან განთავისუფლების მიზეზის შესახებ შრომის წიგნაკში უნდა გაკეთდეს მოქმედი კანონმდებლობის ფორმულირების ზუსტი შესაბამისობით და მითითებული უნდა იქნეს შესაბამისი კანონის მუხლი, პუნქტი. მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით ავადმყოფობის, ინვალიდობის მოხუცებულობის გამო პენსიაზე გასვლის, უმალდეს თუ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ან ასპირანტურაში ჩარიცხვის და სხვა მიზეზების გამო, რომლებსაც კანონმდებლობა უკავშირებს განსაზღვრული შეღავათებისა და უპირატესობათა მიცემას, შრომის ხელშეკრულების მოშლისას სამუშაოდან დათხოვნის შესახებ შრომის წიგნაკში გაკეთებული ჩანაწერში უნდა აღინიშნოს ეს მიზეზი.

სამუშაოდან დათხოვნისას მუშაკს შრომის წიგნაკს აძლევენ დათხოვნის დღეს.

**მუხლი 42. ცნობის გაცემა სამუშაოსა და ხელფასის შესახებ**

ადმინისტრაცია მოვალეა მუშებსა და მოსამსახურეებს მათი თხოვნით მისცეს ცნობა ამ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობის შესახებ სპეციალობის, კვალიფიკაციის, თანამდებობის, მუშაობის დროისა და ხელფასის ოდენობის მითითებით.

**თავი IV  
სამუშაო დრო**

**მუხლი 43. სამუშაო დროის ნორმალური ხანგრძლივობა**

საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დროის ნორმალური ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს 41 საათს კვირაში. ეკონომიური და სხვა საჭირო პირობების შექმნის კვალობაზე განხორციელდება უფრო შემცირებულ სამუშაო კვირაზე გადასვლა.

სამუშაო დროის ხანგრძლივობის ნორმირებას სახელმწიფო ახორციელებს პროფესიული კავშირების მონაწილეობით. არ შეიძლება სამუშაო დროის ხანგრძლივობის ნორმების შეცვლა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ადმინისტრაციასა და პროფესიული კავშირის სათაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს შორის ან მუშაკთა შორის შეთანხმებით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 44. სამუშაო დროის შემცირებული ხანგრძლივობა**

სამუშაო დროის შემცირებული ხანგრძლივობა წესდება:

1) 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის მუშა-მოსამსახურეებისათვის — 36 საათი კვირაში,



ხოლო 15 წლიდან 16 წლამდე ასაკის პირებისათვის (167-ე მუხლი) — 24 საათი კვირაში.

2) შრომის მეფე პირობებიან სამუშაოზე დასაქმებულ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის — არაუმეტეს 36 საათისა კვირაში.

სია შრომის მეფე პირობების მქონე იმ საწარმოების, საამქროების, პროფესიების და თანამდებობებისა, რომლებიც იძლევიან შემცირებული ხანგრძლივობის სამუშაო კვირის უფლებას, მტკიცდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გარდა ამისა, სსრ კავშირის კანონმდებლობით წესდება სამუშაო კვირის შემცირებული ხანგრძლივობა ცალკეული კატეგორიის მუშაკებისათვის (მასწავლებლები, ექიმები და სხვები).

**მუხლი 45. ხუთდღიანი და ექვსდღიანი სამუშაო კვირა და ყოველდღიური მუშაობის ხანგრძლივობა**

მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დაწესებულია ხუთდღიანი სამუშაო კვირა ორი დასვენების დღით. ხუთდღიანი სამუშაო კვირის დროს ყოველდღიური მუშაობის (ცვლის) ხანგრძლივობა განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით ან ცვლიანობის განრიგით, რომლებსაც ამტკიცებს ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, სამუშაო კვირის დადგენილი ხანგრძლივობის დაცვით (43-ე და 44-ე მუხლები).

იმ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სადაც წარმოების ხასიათისა და შრომის პირობებით ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემოღება მიზანშეწონილი არ არის, წესდება ექვსდღიანი სამუშაო კვირა ერთი დასვენების დღით. ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს ყოველდღიური მუშაობის (ცვლის) ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 7 საათს, როცა კვირის ნორმა 41 საათია, 6 საათს, როცა კვირის ნორმა 36 საათია და 4 საათს, როცა კვირის ნორმა 24 საათია.

ცვლიანობის განრიგს მუშებსა და მოსამსახურეებს აცნობენ, როგორც წესი, არაუგვიანეს ორი კვირისა განრიგის ძალაში შესვლამდე.

**მუხლი 46. მუშაობის ხანგრძლივობა უქმე და დასვენების დღეების წინ**

უქმე დღეების წინ (მუხლი 64-ე) მუშათა და მოსამსახურეთა მუშაობის ხანგრძლივობა, გარდა ამ კოდექსის 44-ე მუხლში აღნიშნული მუშა-მოსამსახურეებისა, მცირდება ერთი საათით როგორც ხუთდღიანი, ისე ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს.

ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს დასვენების წინა დღეებში მუშაობის ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს ექვს საათს.

**მუხლი 47. მუშაობის ხანგრძლივობა ღამით დაწესებული მუშაობის (ცვლის) ხანგრძლივობა ღამით მუშაობის დროს მცირდება ერთი საათით. ეს წესი არ ვრცელდება იმ მუშებსა და მოსამსახურეებზე, რომლებისათვისაც უკვე გათვალისწინებულია სამუშაო დღის შემცირება (44-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტი და მესამე ნაწილი).**

ღამის სამუშაოების ხანგრძლივობა გათანაბრებულია დღის სამუშაოსთან იმ შემთხვევებში, როცა ეს წარმოების პირობების გამოა აუკონსულტებელი, აკრძალ, უწყვეტ წარმოებაში, ავარეთვე ცვლიან სამუშაოზე, სადაც ექვსდღიანი სამუშაო კვირაა ერთი დასვენების დღით.

ღამის დროდ ითვლება დრო საღამოს 10 საათიდან დღის 6 საათამდე.

**მუხლი 48 ღამით მუშაობის შეზღუდვა** ღამით სამუშაოებზე არ დაიშვებიან:

ორსული ქალები, მეძუძური დედები, ქალები, რომლებსაც ჰყავთ შვილები ერთ წლამდე ასაკისა;

მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც დაავადებული არიან ტუბერკულოზის აქტიური ფორმით;

მუშები და მოსამსახურეები, რომლებსაც 18 წელი არ შესრულებიათ;

სხვა კატეგორიის მუშაკები კანონმდებლობის შესაბამისად.

ინვალიდების დასაქმება ღამის სამუშაოებზე შესაძლებელია მხოლოდ მათი თანხმობით და იმ პირობით, თუ ასეთი სამუშაო სამედიცინო რეკომენდაციით მათ არ ექრძალებათ.

**მუხლი 49 არასრული სამუშაო დრო**

მუშებს, მოსამსახურეებსა და ადმინისტრაციას შორის შეთანხმებით როგორც სამუშაოზე მიღებისას ისე შემდეგაც შეიძლება დაწესდეს არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა. ამ შემთხვევებში შრომის ანაზღაურება ხდება ნამუშევარი დროის პროპორციულად ან გამომუშავების მიხედვით.

მუშაობა არასრული სამუშაო დროის პირობით არ იწვევს მუშებისა და მოსამსახურეების ყოველწლიური შევებულების ხანგრძლივობის, შრომითი სტაჟის გამოთვლისა და სხვა შრომითი უფლებების რაიმე შეზღუდვას.

**მუხლი 50. ყოველდღიური მუშაობის დასრულებისა და დამთავრების დრო**

ყოველდღიური მუშაობის (ცვლის) დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით და ცვლიანობის განრიგით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 51. ცვლიანი მუშაობა**

ცვლიანი მუშაობისას მუშაკთა ყოველი ჯგუფი



ფი უნდა მუშაობდეს დაწესებული ხანგრძლივობის სამუშაო დროის განმავლობაში.

მუშაკები ერთმანეთს თანაბრად ენაცვლებიან ცვლების მიხედვით. ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა უნდა ხდებოდეს, როგორც წესი, ყოველი კვირის შემდეგ, ცვლიანობის განრიგით განსაზღვრულ საათებში.

აკრძალულია მუშაკის სამუშაოდ დანიშვნა ზედიზედ ორ ცვლაში.

**მუხლი 52. სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვა**

უწყვეტად მოქმედ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, აგრეთვე ცალკეულ წარმოებებში, სააქროებში, უბნებში, განყოფილებებსა და ზოგიერთი სახის სამუშაოებზე, სადაც წარმოების (მუშაობის) პირობებით არ შეიძლება ამ კატეგორიის მუშა-მოსამსახურეებისათვის დადგენილი ყოველდღიური ან ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა, პროფესიული კავშირის საჯარბიო, საქარბნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით შეიძლება სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის შემოღება იმ პირობით, რომ სამუშაო დროის ხანგრძლივობა აღსარიცხ პერიოდში არ აღემატებოდეს სამუშაო საათების ნორმალურ ოდენობას (43-ე და 44-ე მუხლები).

**მუხლი 53. სამუშაო დღის ნაწილებად გაყოფა**

იმ სამუშაოებზე, სადაც ეს აუცილებელია შრომის განსაკუთრებული ხასიათის გამო, მუშათა და მოსამსახურეთა ცალკეული კატეგორიისათვის სამუშაო დღე შეიძლება გაყოფილი იქნეს ნაწილებად კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ამასთან სამუშაო დროის საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს მოცემული კატეგორიის მუშაკებისათვის დაწესებულ სამუშაო დღის ხანგრძლივობას.

**მუხლი 54. ზეგანაკვეთური მუშაობის შეზღუდვა**

ზეგანაკვეთური მუშაობა, როგორც წესი, არ არის დაშვებული.

ზეგანაკვეთურად ითვლება სამუშაო, რომელსაც ასრულებენ დაწესებული ხანგრძლივობის სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ (45-ე და 52-ე მუხლები).

ადმინისტრაციას შეუძლია ზეგანაკვეთური მუშაობა გამოიყენოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 55-ე მუხლით. ზეგანაკვეთური სამუშაოები დაიშვება მხოლოდ პროფესიული კავშირის საჯარბიო, საქარბნო, ადგილობრივი

კომიტეტის ნებართვით. ზეგანაკვეთური მუშაობა ფორმდება ბრძანებით (განკარგულებით).

ზეგანაკვეთურ სამუშაოზე არ დაიშვებიან: ორსული ქალები, მეძუძური დედები, ქალები, რომლებსაც ჰყავთ ბავშვები ერთ წლამდე ასაკისა;

მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც დაავადებული არიან ტუბერკულოზის აქტიურ ფორმით;

მუშები და მოსამსახურეები, რომელთაც 18 წელი არ შესრულებიათ.

მუშაკები, რომლებიც წარმოებიდან მოუწყვეტლად სწავლობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში — მეცადინეობის დღებში; სხვა კატეგორიის მუშები და მოსამსახურეები კანონმდებლობის შესაბამისად.

ქალები, რომელთაც ერთი წლიდან რვა წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, და ინვალიდები შეიძლება ჩააბან ზეგანაკვეთურ სამუშაოში მხოლოდ მათი თანხმობით, ამასთან ინვალიდებს იყენებენ მხოლოდ იმ პირობით, თუ ასეთი სამუშაო სამედიცინო რეკომენდაციით მათ არ ეკრძალებათ.

**მუხლი 55. ზეგანაკვეთური მუშაობის გამოყენების გამონაკლის შემთხვევები**

ზეგანაკვეთური მუშაობა დაშვებულია მხოლოდ შემდეგ გამონაკლის შემთხვევებში:

1) ისეთი სამუშაოს წარმოების დროს, რომელზეც აუცილებელია ქვეყნის თავდაცვისათვის, აგრეთვე საზოგადოებრივი ან სტიქიური უბედურების, საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად და მათი შედეგების დაუყოვნებელი აღმოფხვრისათვის;

2) საზოგადოებრივად აუცილებელი ისეთი სამუშაოების საწარმოებლად როგორცაა წყალმომარაგება, ვაზით მომარაგება, გათბობა, ვანათება, კანალიზაცია, ტრანსპორტი, საფოსტო სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის შემთხვევითი ან მოულოდნელი ვარემოებები, რაც არღვევს მათ ნორმალურ ფუნქციონირებას.

3) როცა აუცილებელია დამთავრებულ იქნეს დაწყებული სამუშაო, რომელიც გაუთვალისწინებელი ან შემთხვევითი შეფერხების მიზეზით ვერ დამთავრებოდა ნორმალური სამუშაო დროის განმავლობაში წარმოების ტექნიკური პირობების გამო, თუ დაწყებული მუშაობის შეწყვეტის შეუძლია გამოიყვიოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გაუშუქება ან დაღუპვა;

4) მექანიზმების ან ნაგებობების შესაკეთებლად და აღსადგენად დროებითი სამუშაოების წარმოების დროს, იმ შემთხვევებში თუ მათი

მოუწყვრიველობა გამოიწვევს მშრომელთა მნიშვნელოვანი რაოდენობის მუშაობის შეწყვეტას;

5) შემცველი მუშაკის გამოუცხადებლობისას მუშაობის გასაგრძელებლად, თუ დაუშვებელია სამუშაოს შეწყვეტა; ასეთ შემთხვევებში აღმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები შემცველის სხვა მუშაკით შეცვლისათვის;

6) როდესაც აუცილებელია დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა შესრულება იმ მიზნით, რომ არ იქნეს დაშვებული ან აღკვეთილ იქნეს მოძრაობა შემადგენლობის მოცდენა ან ტვირთის დატვირთვა გავზანის და დანიშნულების პუნქტებში.

**მუხლი 56. ზეგანაკვეთური მუშაობის ზღვრული ოდენობა**

თითოეული მუშის ან მოსამსახურის ზეგანაკვეთური მუშაობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ საათს ზედიზედ ორი დღის განმავლობაში, მთელი წლის განმავლობაში კი — 120 საათს.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაცია ვალდებულია ზუსტად აღრიცხოს თითოეული მუშაკის მიერ ნამუშევარი ზეგანაკვეთური საათები.

**თავი V  
დასვენების დრო**

**მუხლი 57. შესვენება კვებისა და დასვენებისათვის**

მუშებსა და მოსამსახურებს კვებისა და დასვენებისათვის ეძლევათ შესვენება არაუმეტეს ორი საათის ხანგრძლივობისა. შესვენება არ შედის სამუშაო დროში.

მუშა ან მოსამსახურე შესვენებას იყენებს თავისი ნება-სურვილის მიხედვით. ამ ხნის განმავლობაში მას ეძლევა სამუშაოს შესრულების ადგილიდან წასვლის უფლება.

შესვენება კვების და დასვენებისათვის, როგორც წესი, უნდა მიეცეთ სამუშაოს დაწყებიდან ოთხი საათის შემდეგ.

შესვენების დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით.

იმ სამუშაოებზე, სადაც წარმოების პროცესის გამო შესვენების შემოღება არ შეიძლება, მუშას ან მოსამსახურეს უნდა მიეცეს ჭამის შესაძლებლობა სამუშაო დროის განმავლობაში. ასეთი სამუშაოების წესსა, საკმლის მიღების წესსა და ადგილს განსაზღვრავს აღმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

**მუხლი 58. დასვენების დღეები**

ხუთდღიანი სამუშაო კვირის დროს მუშებსა და მოსამსახურებს ეძლევათ ორი დასვენე-

ბის დღე კვირაში, ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს კი ერთი დასვენების დღე.

საერთო დასვენების დღე არის კვირა. ხუთდღიანი სამუშაო კვირის დროს მეორე დასვენების დღე, თუ იგი განსაზღვრული არ არის კანონმდებლობით, წესდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაობის განრიგით. ორივე დასვენების დღეს, როგორც წესი, აძლევენ ერთად.

**მუხლი 59. ყოველკვირეული განუწყვეტელი დასვენების ხანგრძლივობა**

ყოველკვირეული განუწყვეტელი დასვენების ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ ორმოცდარიო საათისა.

**მუხლი 60. დასვენების დღეები უწყვეტად მოქმედ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში**

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სადაც საწარმოო-ტექნიკური პროცესისა ან მოსახლეობის მუდმივი, განუწყვეტელი მომსახურების აუცილებლობის მიუხედავად შეუძლებელია მუშაობის შეჩერება, აგრეთვე სხვა საწარმოებში, სადაც შემოღებულია უწყვეტი წარმოება, მუშებისა და მოსამსახურეების ყოველ ჯგუფს დასვენების დღეები ეძლევათ რიგრიგობით, კვირის სხვადასხვა დღეს, ცვლიანობის განრიგის შესაბამისად. განრიგს ამტკიცებს აღმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

**მუხლი 61. დასვენების დღეები მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში**

იმ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სადაც საერთო დასვენების დღეს მუშაობის შეწყვეტა არ შეიძლება მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევის აუცილებლობისათვის დაკავშირებული (მლაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, თეატრები, მუზეუმები და სხვა), დასვენების დღეებს აწესებენ მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 62. დასვენების დღეებში მუშაობის აკრძალვა. დასვენების დღეებში სამუშაოდ გამოწვევის გამოჩაკლის შემთხვევები**

დასვენების დღეებში მუშაობა აკრძალულია. დასვენების დღეს ცალკეული მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაოდ გამოწვევა, როგორც გამოჩაკლის, დასაშვებია მხოლოდ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარნო, ადგილობრივი კომიტეტის ნებართვით და მხოლოდ შემდეგ გამოჩაკლის შემთხვევებში:

1) საზოგადოებრივი ან სტიქიური უბედუ-



რების, საწარმოო ავარიის აცილების თუ ლიკვიდაციის დროს ან მათი შედეგების დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის;

2) უბედური შემთხვევების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაღუპვის ან გაფუჭების თავიდან აცილების დროს;

3) ისეთი გადაუღებელი, წინასწარ გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულების დროს რომელთა სწრაფად შესრულებაზე დამოკიდებულია მთლიანად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან მათი ცალკეული ქვეგანყოფილების ნორმალური მუშაობა შემდგომში.

დასვენების დღეებში მუშებსა და მოსამსახურეებს სამუშაოდ გამოიწვევენ აღმინისტრაციის წერილობითი ბრძანებით (განკარგულებით), ამასთანავე დაცული უნდა იქნეს ამ კოდექსის 153-ე, 157-ე და 171-ე მუხლებით დადგენილი შეზღუდვები.

**მუხლი 63. კომპენსაცია დასვენების დღეს მუშაობისათვის**

დასვენების დღეს მუშაობისათვის მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ სამაგიერო დასვენების დღე უახლოეს ორ კვირაში.

თუ სამაგიერო დასვენების დღის მიცემა შეუძლებელია (მუშის, მოსამსახურის დათხოვნასთან დაკავშირებით ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში), დასვენების დღეს მუშაობა ანაზღაურდება ორმაგი ოდენობით. დასვენების დღეს მუშაობის ანაზღაურება გამოანგარიშებული უნდა იქნეს ამ კოდექსის 87-ე მუხლში გათვალისწინებული წესით.

**მუხლი 64. უქმე დღეები**

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები არ მუშაობენ შემდეგ უქმე დღეებში:

- 1 იანვარს — ახალ წელს,
- 8 მარტს — ქალთა საერთაშორისო დღეს,
- 1 და 2 მაისს — შრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს,
- 9 მაისს — გამარჯვების დღეს,
- 7 და 8 ნოემბერს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავზე,
- 5 დეკემბერს — კონსტიტუციის დღეს.

უქმე დღეებში დასაშვებია მხოლოდ ისეთი სამუშაოები, რომელთა შეჩერება შეუძლებელია საწარმო-ტექნიკური პირობებით (უწყვეტად მოქმედ საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია), სამუშაოები, რომლებიც გამოწვეულია მოსახლეობის მომსახურების აუცილებლობით, აგრეთვე გადაუღებელი სარემონტო და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები.

**მუხლი 65. ყოველწლიური შვებულება**

ყველა მუშასა და მოსამსახურეს ეძლევა ყოველწლიური შვებულება სამუშაო ადგილის (თანამდებობის) და საშუალო ხელფასის შენარჩუნებით (67-ე და 69-ე მუხლები).

**მუხლი 66. შვებულებაში წახვლის რიგი**

შვებულებაში წახვლის რიგს აწესებს აღმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

შვებულებაში წასვლა შეიძლება წლის ყოველ დროს მუშის, მოსამსახურის სურვილისა და საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობის ნორმალური მსგელობის აუცილებელი უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

**მუხლი 67. შვებულების ხანგრძლივობა**

მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველწლიური შვებულება ეძლევათ არანაკლებ 15 სამუშაო დღის ხანგრძლივობით, მეტი ხანგრძლივობის შვებულებაზე თანდათანობით გადასვლით. ყოველწლიური შვებულების ხანგრძლივობის გამოანგარიშების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველწლიური შვებულება ეძლევათ ერთი კალენდარული თვის ხანგრძლივობით.

შვებულება, რომელიც დადგენილი წესით ეძლევათ დროებითი შრომისუუნარობის ორსულობისა და მშობიარობის გამო, არ შედის ყოველწლიური შვებულების ანგარიშში.

**მუხლი 68. ფულადი კომპენსაციით შვებულების შეცვლის აკრძალვა**

ფულადი კომპენსაციით შვებულების შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამუშაოდან დათხოვნილ მუშას ან მოსამსახურეს შვებულებით არ უსარგებლია.

**მუხლი 69. დამატებითი შვებულება**

ყოველწლიური დამატებითი შვებულება ეძლევათ:

- 1) შრომის მანვე პირობებიან სამუშაოზე დასაქმებულ მუშებსა და მოსამსახურეებს;
- 2) სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში დასაქმებულ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთაც აქვთ ერთ საწარმოში, ორგანიზაციაში მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი;
- 3) მუშაკებს რომელთაც აქვთ არანორმირებული სამუშაო დღე;
- 4) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 70. დამატებითი შვებულება, რომელიც წახალისების სახით მიეცემათ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მოვალეობების შესრულებისათვის**

სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებისათვის დამატებითი შვებულება სამუშაო ადგილზე წახალისების სახით, შწილება მიეცეთ არასრულწლოვანთა საზოგადოებრივ აღზრდელებს, საზოგადოებრივი წესრიგის

გის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრებს, ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების წევრებს და სხვ. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 71. შვებულების მიცემის წესი**

მუშაობის პირველ წელს მუშებსა და მოსამსახურეებს შვებულება ეძლევათ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მათი უწყვეტი მუშაობის თერთმეტი თვის გასვლის შემდეგ. თერთმეტი თვის უწყვეტი მუშაობის ვადის გასვლამდე მუშაკის თხოვნით შვებულება ეძლევათ: ქალებს — ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებაში წასვლის წინ ან უშუალოდ მის შემდეგ; თერამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებსა და მოსამსახურეებს: სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილი არიან თადარიგში და ორგანიზებული შვებულების წესით გაიგზავნენ სამუშაოდ — მუშაობის დაწყებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ; კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც გადაყვანილი არიან ერთი საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან მეორე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, შვებულება შეიძლება მიეცეთ სამუშაოზე გადაყვანიდან თერთმეტი თვის გასვლამდე. თუ ახალ სამუშაოზე გადაყვანამდე მუშაკს არ შესრულება ერთ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობის თერთმეტი თვე, მას შვებულება შეიძლება მისცენ ძველ და ახალ სამუშაოზე მისი მუშაობიდან მთლიანად თერთმეტი თვის გასვლის შემდეგ.

მუშაობის მეორე და შემდგომი წლების შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს, შვებულებაში გასვლის რიგის შესაბამისად.

**მუხლი 72. შვებულების ყოველწლიურად მიცემა. შვებულების გადატანის გამონაკლისი შემთხვევები**

მუშებსა და მოსამსახურეებს შვებულება უნდა მიეცეთ ყოველ წელს, დადგენილ ვადაში.

ყოველწლიური შვებულება გადატანილი ან გავრცელებული უნდა იქნეს: მუშის ან მოსამსახურის დროებითი შრომისუუნარობისას; მუშის ან მოსამსახურის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისას; კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მუშის ან მოსამსახურისათვის მიმდინარე სამუშაო წელს შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საწარმოს, დაწესებულების,

ორგანიზაციის მუშაობის ნორმალურ მსვლელობაზე დასაშვებია, მუშაკის თანხმობით, პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარბნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, შვებულების გადატანა შემდეგი წლისათვის. გადატანილი შვებულება შეიძლება დაემატოს შემდეგი სამუშაო წლის შვებულებას.

აკრძალულია ყოველწლიური შვებულების მიტევაში ორგანიზაციის წლის განმავლობაში, აგრეთვე შვებულების მიტევაში თერამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშისა და მოსამსახურისათვის და იმ მუშაკებისათვის, რომლებსაც შრომის მავნე პირობებთან დაკავშირებით აქვთ დამატებითი შვებულების უფლება.

**მუხლი 73. შვებულების უფლების მოსაპოვებლად საჭირო სტაჟის გამოთვლა**

შვებულების უფლების მოსაპოვებლად საჭირო შრომის სტაჟში ჩაითვლება:

- 1) ფაქტიურად ნამუშევარი დრო;
- 2) ის დრო, რომლის განმავლობაში მუშა ან მოსამსახურე ფაქტიურად არ მუშაობდა, მაგრამ მას ენახებოდა სამუშაო ადგილი (თანამდებობა) და ხელფასი მთლიანად ან ნაწილობრივ (მათ შორის სამუშაოს იძულებითი გაცდენის ანაზღაურებული დრო. თუ მუშაკი სამუშაოდან არასწორად იყო დათხოვნილი ან სხვა სამუშაოზე გადაყვანილი, ხოლო შემდეგ აღდგენილი);
- 3) ის დრო, რომლის განმავლობაში მუშა ან მოსამსახურე ფაქტიურად არ მუშაობდა, მაგრამ მას ენახებოდა სამუშაო ადგილი (თანამდებობა) და იღებდა დახმარებას სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით;
- 4) კანონმდებლობით გათვალისწინებული დროის სხვა პერიოდები.

**მუხლი 74. უხელფასო შვებულება**

ოჯახური პირობების და სხვა საპატიო მიზეზების გამო აღმინისტრაციის შეუძლია მუშას და მოსამსახურეს მისი განცხადებით მისცეს მოკლევადიანი უხელფასო შვებულება.

**თავი VI**

**ხელფასი**

**მუხლი 75. შრომის მიხედვით ანაზღაურება**  
სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად მუშების და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება ხდება მისი რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

აკრძალულია შრომის ანაზღაურების ოდენო-



ბის რაიმე შემცირება სქესის, ასაკის, რასისა და ეროვნული კუთვნილების მიხედვით.

**მუხლი 76. ხელფასის მინიმალური ოდენობა**  
მუშის ან მოსამსახურის თვითური ხელფასი არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები.

**მუხლი 77. ხელფასის ნორმირება**  
ხელფასის ნორმირებას ახორციელებს სახელმწიფო პროფესიული კავშირების მონაწილეობით.

**მუხლი 78. მუშების შრომის ანაზღაურება სატარიფო განაკვეთების საფუძველზე**

მუშების შრომის ანაზღაურება ხდება სატარიფო განაკვეთების (სარგებების) მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია ცენტრალიზებულ წესით.

შესასრულებელი სამუშაოების მიკუთვნებას გარკვეული სატარიფო თანრიგისათვის და მუშებისათვის საკვალიფიკაციო თანრიგის მინიჭებას ახდენს საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარის შესაბამისად.

**მუხლი 79. მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება თანამდებობრივი განაკვეთების სქემების საფუძველზე**

მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება ხდება თანამდებობრივი განაკვეთების სქემების საფუძველზე, რომლებიც დამტკიცებულია ცენტრალიზებულ წესით.

მოსამსახურეებს თანამდებობრივ განაკვეთებს უწყისებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მუშაკის თანამდებობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

**მუხლი 80. განსაკუთრებულ პირობებში შრომის ანაზღაურება**

მძიმე სამუშაოებზე, შრომის მძიმე პირობებთან სამუშაოებზე და სამუშაოებზე იმ ადგილებში, სადაც მძიმე კლიმატური პირობებია, დადგენილია შრომის გადიდებული ანაზღაურება.

**მუხლი 81. შრომის ანაზღაურების სისტემები**

მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება ხდება დროებითად ან ნარდობლივად. ნარდობლივი შრომის ანაზღაურება შეიძლება აყო ინდივიდუალური ან კოლექტიური.

საწარმოო გეგმების შესრულებასა და ვადაკარბებით შესრულებაში, წარმოების ეფექტიანობისა და რენტაბელობის გადიდებაში, შრომის ნაყოფიერების ზრდაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და რესურსების მომჭირნებაში მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური დინტერესების გასაძლიერებ-

ლად შეიძლება შემოღებულ იქნეს შრომის ანაზღაურების დროებით-პროვიალური და ნარდობლივ-პრემიალური სისტემები.

მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შრომის ანაზღაურების დროებით ან ნარდობლივ სისტემას ადგენს, აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების პრემირების დებულებას ამტკიცებს საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

**მუხლი 82. გასამრჯელო წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით**

შრომის ანაზღაურების სისტემების დამატებით შეიძლება დაწესდეს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის გასამრჯელო წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით საწარმოს, ორგანიზაციის მიერ მიღებული მოგების ხარჯზე შექმნილი ფონდიდან.

ამ გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება მუშის ან მოსამსახურის შრომის შედეგების და საწარმოში მუშაობის მისი განუწყვეტელ სტაქის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

დებულება წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით გასამრჯელოს გადახდის წესისა მტკიცდება საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

**მუხლი 83. მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შრომის ანაზღაურების ახალი ან შეცვლილი პირობების შემოღების შეტყობინება**

შრომის ანაზღაურების პირობების შეცვლა ან ახალი პირობების შემოღება მუშებსა და მოსამსახურეებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ უნდა აცნობოს არაუგვიანეს ორი კვირისა მათ შემოღებამდე.

**მუხლი 84. შრომის ანაზღაურება სხვადასხვა კვალიფიკაციის სამუშაოთა შესრულებისას**

სხვადასხვა კვალიფიკაციის სამუშაოთა შესრულებისას დროებით მუშათა, აგრეთვე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება ხდება უფრო მაღალი კვალიფიკაციის სამუშაოს მიხედვით.

ვენარდ მუშებს შრომა აუნაზღაურდებათ შესასრულებელი სამუშაოსათვის დაწესებულ ფასდების მიხედვით. სახალხო მეურნეობის იმ დარგებში, სადაც წარმოების ხასიათის მიხედვით მენარდ მუშებს ევალებათ ისეთი სამუშაოს შესრულება, რომლის სატარიფო განაკვეთი მათთვის მიკუთვნებულ თანრიგზე დაბალია. მუშებს, რომლებიც ასრულებენ ასეთ სამუშაოს, უხდიათ სათანოგთშორისო სხვაობას, თუ ეს გათვალისწინებულია კოლექტიური ხელშე-



რულებით. ანაზღაურება ხდება მაშინ, თუ მუშა შესრულებს გამოძღვების ნორმას და თანრიგთა შორის სხვაობა შეადგენს ორ თანრიგს მაინც.

**მუხლი 85. შრომის ანაზღაურება პროფესიების შეთავსებისას**

მუშებს, რომლებიც ერთსა და იმავე საწარმოში, ორგანიზაციაში სამუშაოს ასრულებენ რამდენიმე პროფესიის (სპეციალობის) მიხედვით, ეძლევათ დანამატი პროფესიის (სპეციალობის) შეთავსებისათვის.

პროფესიების (სპეციალობების) შეთავსებას და შეთავსებისათვის დანამატის ოდენობას იმ ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით, აწესებს საწარმოს, ორგანიზაციის აღმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

**მუხლი 86. შრომის ანაზღაურება ზეგანაკვეთური მუშაობისას**

შრომის დროებლივი ანაზღაურებისას ზეგანაკვეთური მუშაობისათვის შრომის ანაზღაურება ხდება: პირველი ორი საათისათვის — ერთნახევარი ოდენობით, მომდევნო საათებისათვის კი — ორმაგად.

შრომის ნარდობლივი ანაზღაურებისას, აგრეთვე სახალხო მეურნეობის იმ დარგებში, სადაც ნარდობლივი და დროებლივი მუშებისათვის დაწესებულია ერთიანი სტარტიფიკაციით, ზეგანაკვეთური მუშაობისათვის ეძლევათ დანამატი სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით.

ზეგანაკვეთური მუშაობისათვის დანამატი შრომის ნარდობლივი ანაზღაურებისას, სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, გაიცემა შესაბამისი თანრიგის დროებლივი მუშის სტარტიფიკაციის განაკვეთის ორმოცდაათი პროცენტის ოდენობით პირველი ორი საათის ზეგანაკვეთური მუშაობისათვის, ხოლო შემდეგი საათებისათვის — ამ სტარტიფიკაციის განაკვეთის ასი პროცენტის ოდენობით.

ზეგანაკვეთური მუშაობის კომპენსაცია დღე-მაგიერის მიცემით არ დაიშვება.

**მუხლი 87. უქმე დღეებში მუშაობის ანაზღაურება**

უქმე დღეებში მუშაობა (64-ე მუხლის მეორე ნაწილი) ორმაგად აუნაზღაურდებათ:

- 1) მენარდებს — ორმაგი სანარდო ფასდებით;
- 2) მუშაკებს, რომელთა შრომის ანაზღაურება ხდება საათობრივი ან დღიური განაკვეთებით, — საათობრივი ან დღიური განაკვეთების ოდენობით;
- 3) მუშაკებს, რომლებიც თვითურ ხელფასს

იღებენ, — საათობრივი ან დღიური განაკვეთების ერთმაგი ოდენობით, გარდა ხელფასისა, თუ მუშაობა უქმე დღეს წარმოებდა სამუშაო დროის თვითური ნორმის ფარგლებში, და საათობრივი ან დღიური განაკვეთის ორმაგი ოდენობით, გარდა ხელფასისა, თუ მუშაობა წარმოებდა თვითური ნორმის ზევით.

მუშას, ან მოსამსახურეს, რომელიც უქმე დღეებში მუშაობდა, შეიძლება მიეცეს მისი სურვილის მიხედვით, სხვა დასვენების დღე.

**მუხლი 88. შრომის ანაზღაურება ღამით მუშაობისას**

შრომის ანაზღაურება ღამით მუშაობისას (მუხლი 47-ე) ხდება გადიდებული ოდენობით, სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილია წესით.

**მუხლი 89. შრომის ანაზღაურება გამოშვების ნორმათა შეუსრულებლობისას, წუნდებული პროდუქციის გამოშვებისას და მოცდენისას, რაც გამოწვეული არ იყო მუშის ან მოსამსახურის ბრალით**

გამომშვების ნორმათა შეუსრულებლობისას, წუნდებულ პროდუქციის გამოშვებასა და მოცდენისას, რომელიც მუშის თუ მოსამსახურის ბრალით არ იყო გამოწვეული, შრომის ანაზღაურება ხდება სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით.

**მუხლი 90. მოცდენის დროის საზღაურის ოდენობა**

სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად მუშებსა და მოსამსახურეებს მოცდენის დროს, რაც მათი ბრალით არ არის გამოწვეული, ხელფასი ეძლევათ შესაბამისი კვალიფიკაციის მუშაკთა დროებლივი შრომითი ანაზღაურების სტარტიფიკაციის განაკვეთის ნახევრის ოდენობით. მეტალურგიული, სამთამადნო და კაქსის მრეწველობის მუშაკებს მოცდენის დროს, რაც მათი ბრალით არ არის გამოწვეული, ხელფასი ეძლევათ სტარტიფიკაციის განაკვეთის ორი მესამედის ოდენობით. ასეთ შემთხვევებში ხელფასი არ შეიძლება იქნეს დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები (მუხლი 76-ე).

ახალი წარმოების ათვისების პერიოდში (დაზგების, მანქანების, ძრავების, ტურბინების, ტრანსფორმატორების დეტალების დამუშავება და ა. შ.) მოცდენისას, თუ ეს მუშაკის ბრალით არ არის გამოწვეული, შრომის ანაზღაურება, როგორც ახალ ისე მოქმედ საწარმოებში, ხდება შესაბამისი თანრიგის დროებლივი მუშაკის სტარტიფიკაციის განაკვეთის მიხედვით.

სახალხო მეურნეობის იმ დარგებში, სადაც დაწესებულია ერთიანი სტარტიფიკაციით, მოცდენის დროის საზღაურის ოდენობა, თუ მოცდენა მუშაკის ბრალით არ არის გამოწვეუ-



ლი, განისაზღვრება სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუშაკს მისი ბრალით გამოწვეული მოცდენის დროს ხელფასი არ ეძლევა.

**მუხლი 91. შრომის ანაზღაურება წუნდებულის პროდუქციის გამოშვებისას**

სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, თუ დამზადებული პროდუქცია აღმოჩნდა წუნდებულში, რაც მუშაკის ბრალით არ არის გამოწვეული, შრომის ანაზღაურება მთლიანად წუნდებულ პროდუქციისათვის ხდება შესაბამისი თანრიგის დროებლივი მუშაკის სატარიფო განაკვეთის ორი მესამედის ოდენობით. ნაწილობრივ წუნდებულ პროდუქციისათვის შრომის ანაზღაურება ხდება შემცირებული ფასდებით, პროდუქციის ვარგისიანობის ხარისხის შესაბამისად, მაგრამ სატარიფო განაკვეთის არანაკლებ ორი მესამედისა. ამ შემთხვევაში თვითრი ხელფასი არ შეიძლება იყოს დადგენილ მინიმუმზე ნაკლები (მუხლი 76-ე).

წუნდებული ნაწარმისათვის, რაც გამოწვეულია დასამუშავებელი ლითონის დეფექტით (მასალის ხარისხის შეუსაბამობა, ნიჟარა ან ბზარი ლითონში) და ეს აღმოჩნდება დეტალის დამუშავების ან აწყობისათვის დახარჯული არანაკლებ ერთი სამუშაო დღის შემდეგ, შრომის ანაზღაურება წარმოებს ნორმალური სანარდო ფასდებით.

თუ ნაწარმის წუნი, რაც მუშაკის ბრალით არ არის გამოწვეული, აღმოჩნდა ტექნიკური კონტროლის ორგანოს მიერ ნაწარმის მიღების შემდეგ, შრომის ანაზღაურება წუნდებული პროდუქციისათვის ხდება ვარგისი პროდუქციის თანაბრად.

ახალი წარმოების ათვისების პერიოდში (დაზგების, მანქანების, ძრავების, ტურბინების, ტრანსფორმატორების დეტალების დამუშავება და ა. შ.) წუნდებული პროდუქციისათვის, რაც მუშაკის ბრალით არ არის გამოწვეული, როგორც ახალ, ისე მოქმედ საწარმოებში შრომის ანაზღაურება ხდება შესაბამისი თანრიგის დროებლივი მუშაკის სატარიფო განაკვეთის მიხედვით.

მუშაკის ბრალით გამოწვეული მთლიანად წუნდებული პროდუქციისათვის შრომის ანაზღაურება არ ხდება. მუშაკის ბრალით გამოწვეული ნაწილობრივ წუნდებული პროდუქციისათვის შრომის ანაზღაურება ხდება შემცირებული ოდენობით, დამზადებული პროდუქციის ვარგისიანობის ხარისხის გათვალისწინებით.

**მუხლი 92. შრომის ანაზღაურების ოდენობა გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობისას**  
სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობა-

სას, რაც მუშაკის ბრალით არ არის გამოწვეული, შრომის ანაზღაურება ხდება მუშაკის სატარიფო განაკვეთის (სარგოს) არანაკლებ ორი მესამედის ოდენობით. ამ შემთხვევებში თვითრი ხელფასი არ შეიძლება იყოს დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები (მუხლი 76-ე).

გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობისას, რაც მუშის ან მოსამსახურის ბრალით არის გამოწვეული, შრომის ანაზღაურება ხდება შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

**მუხლი 93. ხელფასის შენარჩუნება სხვა მუდმივ, დაბალხელფასიან სამუშაოზე გადავანის დროს**

სხვა მუდმივ, დაბალხელფასიან სამუშაოზე მუშის ან მოსამსახურის გადაყვანის დროს მუშაკს გადაყვანის დღიდან ორი კვირის განმავლობაში უნარჩუნებენ უწინდელ სამუშაო ხელფასს.

**მუხლი 94. ხელფასის გაცემის ვადები**  
ხელფასი გაიცემა ყოველი ნახევარი თვის შემდეგ მაინც.

სკოლის მსწავლებლებს სოფლად და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებების ადგილსამყოფელიდან დაშორებული სასოფლო და სადაბო საბჭოების საბიუჯეტო დაწესებულებათა მუშაკებს, აგრეთვე სხვა კატეგორიის მუშაკებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, ხელფასი მიეცემათ თვეში ერთხელ.

შეგულებლის დროის ხელფასი მუშაკს უნდა მიეცეს არა უგვიანეს სამი დღისა შეგულებლის დაწყებამდე.

იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის დღე ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, ხელფასი გაიცემა წინა დღეს.

**მუხლი 95. ხელფასის გაცემის ადგილი**  
მუშებსა და მოსამსახურეებს ხელფასი მიეცემათ, როგორც წესი, სამუშაოს შესრულების ადგილას.

**მუხლი 96. ანგარიშსწორების ვადები და თხოვნისას**

მუშას ან მოსამსახურეს, მისი დათხოვნისას, საწარმოსაგან, დაწესებულებისაგან, ორგანიზაციისაგან კუთვნილი მთელი თანხა ეძლევა დათხოვნის დღეს, თუ მუშაკი დათხოვნის დღეს არ მუშაობდა, მაშინ შესაბამისი თანხა გაცემულ უნდა იქნეს არა უგვიანეს შემდეგი დღისა დათხოვნილი მუშაკის მიერ ანგარიშსწორების შესახებ მოთხოვნის წარდგენიდან.

**მუხლი 97. ანგარიშსწორების წესი დათხოვნისას, როცა კუთვნილი თანხის ოდენობა სადავოა**

თუ სადავოა იმ თანხის ოდენობა, რომელიც დათხოვნისას მუშაკს ეკუთვნის, ადმინისტრა-

ცოცხელი შემთხვევაში ვალდებულია ამ კოდექსის 96-ე მუხლში მითითებულ ვადაში გადაიხადოს ის თანხა, რომელიც მას არ მიანიჭოს სადავოდ.

**მუხლი 98. პასუხისმგებლობა ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის**

თუ დათხოვნილ მუშაკს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ბრალით არ გადაუხდიან კუთვნილ თანხას ამ კოდექსის 96-ე მუხლით მითითებულ ვადაში, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია მოვალეა, როცა არ არსებობს დავა ამ თანხის ოდენობაზე, გადაუხადოს მუშაკს მისი საშუალო ხელფასი დაყოვნების მთელი დროისათვის ფაქტიური ანგარიშსწორების დღის ჩათვლით. დათხოვნილი მუშაკის კუთვნილი თანხის ოდენობაზე დავის დროს ადმინისტრაცია მოვალეა გადაიხადოს ამ მუხლში აღნიშნული საზღაური იმ შემთხვევაში, თუ დავა გადაწყვეტილია მუშაკის სასარგებლოდ. თუ დავა მუშაკის სასარგებლოდ მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყვეტა და არა მთლიანად, მაშინ ანაზღაურების ოდენობის დაყოვნების დროისთვის განსაზღვრავს ის ორგანო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება დავის არსის შესახებ.

თუ დათხოვნილმა მუშაკმა საბოლოო ანგარიშის მიღებამდე სხვაგან დაიწყო მუშაობა, ანგარიშის დაყოვნების დროის განმავლობაში კუთვნილი თანხის ოდენობა მცირდება იმ თანხით, რომელიც მან მიიღო ახალ სამუშაოზე ანგარიშსწორების დაყოვნების პერიოდში შესრულებული სამუშაოსათვის.

ადმინისტრაციის ბრალით შრომის წიგნაკის გაცემის დაყოვნების შემთხვევაში მუშაკს ეძლევა საშუალო ხელფასი იძულებითი გაცდენის მთელი დროისათვის.

**მუხლი 99. საანგარიშსწორებო წიგნაკები**

ყველა მუშას, აგრეთვე მოსამსახურეს, რომელთა შრომა ნარდობლივად ანაზღაურდება, ადმინისტრაცია ვალდებულია სამუშაოზე მიღებიდან ხუთი დღის შემდეგ მისცეს საანგარიშსწორებო წიგნაკები.

საანგარიშსწორებო წიგნაკებში ჩაიწერება მუშაობის პირობები და ხელფასის ანგარიშსწორება.

**მუხლი 100. მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურება საზოგადოებრივი მოხმარების ფონდის ხარჯზე**

მუშებსა და მოსამსახურეებს ხელფასის გარდა, საზოგადოებრივი მოხმარების ფონდიდან ეძლევათ დახმარება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით და პენსიები, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და ტუ-

რისტული ბაზების საგზურები, ისინი უზრუნველყოფილი არიან უფასო სამედიცინო დახმარებით და უფასო სწავლით, ეძლევათ სხვა ფულადი საზღაური და სხვადასხვა შეღავათები, სახსრებს აღნიშნული ფონდიდან იყენებენ აგრეთვე საცხოვრებელი სახლების, სკოლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობისათვის, მუშებისა და მოსამსახურეების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე ბავშვების მოვლა-პატრონობისათვის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში.

თავი VII

**შრომის ნორმები და სანარდო ფასდებები**

**მუხლი 101. გამომუშავების ნორმები (დროის ნორმები), მომსახურების ნორმები და მუშაკთა რაოდენობის ნორმატივები**

მუშათა და მოსამსახურეთა გამომუშავების ნორმები (დროის ნორმები), მომსახურების ნორმები და მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობის ნორმატივები დაწესდება ტექნიკის მიღწეული დონის, შრომის და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციისა და შრომის მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით. ეს ნორმები და ნორმატივები უნდა შეიცვალოს ახლით წარმოებაში იმ ტექნიკურ, სამეურნეო და ორგანიზაციულ ღონისძიებათა დანერგვის კვალდაკვალ, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების ზრდას.

**მუხლი 102. ახალი ნორმების შემოღება, მოქმედი ნორმებისა და ნორმატივების გადასინჯვა**

ახალი ნორმების შემოღებას და მოქმედი ნორმებისა და ნორმატივების გადასინჯვას ახორციელებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის სფეროში, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

გამომუშავების ახალი ნორმების (დროის ნორმების) და მომსახურების ნორმების შემოღება მუშებსა და მოსამსახურეებს უნდა ეცნობოს არა უგვიანეს ორი კვირისა ამ ნორმების შემოღებამდე.

**მუხლი 103. შრომის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა გამომუშავების ნორმების შესასრულებლად**

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოვალეა უზრუნველყოს მუშაობის ნორმალური პირობები, მუშებისა და



მოსამსახურეების მიერ გამომუშავების ნორმების შესასრულებლად მუშაობის ნორმალურ პირობებზე ითვლება:

- 1) მანქანების, დაზგების და მოწყობილობათა წესიერი მდგომარეობა;
- 2) ტექნიკური დოკუმენტაციით დროული უზრუნველყოფა;
- 3) სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მასალებისა და ინსტრუმენტების სათანადო ხარისხი, მათი დროული მიწოდება;
- 4) წარმოების დროული უზრუნველყოფა ტექტროენერგიით, გაზითა და ენერგოცენტრის სხვა წყაროებით;
- 5) შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები (უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და ნორმების დაცვა, საჭირო განათება, გათბობა, ვენტილაცია, სმუტის, გამოსხივების, ვიბრაციის მიყენე შედეგების და სხვა იმ ფაქტორების თავიდან აცილება, რომლებიც უპირატესად მოქმედებენ მუშაკების ჯანმრთელობაზე, და ა. შ.).

**მუხლი 104. ერთიანი ან ტიპობრივი ნორმებისა და ნორმატივების დაწესება**

ერთგვაროვანი სამუშაოებისათვის შეიძლება დაწესდეს ერთიანი ან ტიპობრივი (დარგთაშორისი, დარგობრივი, უწყებრივი) ნორმები და ნორმატივები

**მუხლი 105. ფასდების განსაზღვრა შრომის ნარდობლივი ანაზღაურების დროს**

შრომის ნარდობლივი ანაზღაურების დროს ფასდება განისაზღვრება დადგენილ სამუშაოთა თანრიგის, სატარიფო განაკვეთის (სარგოს) და გამომუშავების ნორმების (დროის ნორმების) მიხედვით.

სანარდო ფასდება განისაზღვრება შესასრულებელი სამუშაოს თანრიგის შესაბამისი საათობრივი (დღიური) სატარიფო განაკვეთის გაყოფით გამომუშავების საათობრივი (დღიური) ნორმაზე. სანარდო ფასდება შეიძლება განსაზღვრულ იქნეს აგრეთვე შესასრულებელი სამუშაოს თანრიგის შესაბამისი საათობრივი ან დღიური სატარიფო განაკვეთის გამრავლებით დროის დაწესებულ საათობრივ ან დღიურ ნორმაზე.

**მუხლი 106. გამომგონებელი და რაციონალიზატორი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის წინანდელი ფასდებთა განსაზღვრული ვადით შენარჩუნება**

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთა გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება ცვლის ტექნიკურ ნორმებსა და ფასდებებს, გამომუშავების აღრე მოქმედი ფასდებანი უნარჩუნდებთ ექვსი თვის განმავლობაში ახალი ნორმების და ფასდებების შე-

მოღების დღიდან. სხვა მუშაკებს, რომლებმაც გამოგონებლებს ან რაციონალიზატორებს დახმარება აღმოუჩინეს წინადადების დანერგვაში, წინანდელი ფასდებები უნარჩუნდებთ სამი თვის განმავლობაში.

წინანდელი ფასდებები რჩება იმ შემთხვევებშიც, როცა გამომგონებელი ამ რაციონალიზატორი აღრე არ ასრულებდა იმ სამუშაოს, რომლის ნორმები და ფასდებები შეიცვალა მისი წინადადების დანერგვასთან დაკავშირებით, და ამ სამუშაოზე გადმოყვანილია წინადადების შეტანის შემდეგ.

**მუხლი 107 მომსახურების ნორმებისა ნორმირებული და საწარმოო დავალებების დაწესება**  
შრომის დროებლივი ანაზღაურებისას მუშებსა და მოსამსახურეებს უწესდებთ მათზე მიმავრებული დაზგების, ავრეგატების მომსახურების ნორმები ან ნორმირებული საწარმოო დავალებები კარკვეული პერიოდისათვის. ცალკეული ფუნქციების ან სამუშაოს მოცულობის შესასრულებლად შეიძლება დაწესდეს მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობის ნორმატივები.

**მუხლი 108. გამომუშავების ნორმების (დროის ნორმების), მომსახურების ნორმების დადგენისა და გადასინჯვის დროს წარმოშობილი უთანხმოების გადაწყვეტის წესი**

გამომუშავების ნორმების (დროის ნორმების), მომსახურების ნორმების დადგენის ან გადასინჯვის დროს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაციასა და პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს შორის წარმოშობილ უთანხმოებას გადაწყვეტენ ზემდგომი სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოები.

**თავი VIII  
გარანტია და კომპენსაცია**

**მუხლი 109. გარანტია არჩევის თანამდებობაზე არჩეული მუშებისა და მოსამსახურეებისათვის**

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც სამუშაოდან განთავისუფლდნენ იმის გამო, რომ არჩეული არიან სახელმწიფო ორგანოებში, აგრეთვე პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, არჩევის თანამდებობაზე რწმუნებულების ვადის დამთავრების შემდეგ ეძლევათ წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ ასეთი არ არის, სხვა ტოლფასოვანი სამუშაო (თანამდებობა) ამავე ან, მუშაკის თანხმობით, სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

საქართველო  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს

**მუხლი 110. გარანტია მუშებისა და მოსამსახურეებისათვის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების დროს**

სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების დროს განმავლობაში, თუ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით ეს მოვალეობანი შეიძლება განხორციელდეს სამუშაო დროს, მუშებისა და მოსამსახურეებისათვის გარანტირებულია სამუშაო ადგილისა (თანამდებობის) და სამუშაო ხელფასის შენარჩუნება.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც გაწვეული არიან სსრ კავშირის საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონით გათვალისწინებულ მოვალეობათა შესასრულებლად, ექლევათ გარანტია და შეღავათი ამ კანონის შესაბამისად.

მუშას ან მოსამსახურეს სამუშაო ხელფასი შეუნარჩუნდება, თუ იგი სამუშაო დროს განმავლობაში ასრულებს შემდეგ სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ მოვალეობას:

- 1) ახორციელებს საარჩევნო უფლებას;
- 2) არის დეპუტატი და მონაწილეობს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სესიის მუშაობაში; ან, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში; ასრულებს სხვა სადეპუტატო მოვალეობას;
- 3) მონაწილეობს სახელმწიფო, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყრილობების, პლენუმების ან კონფერენციების მუშაობაში, როგორც დელეგატი;

4) გამოწვევით გამოცხადდება მოკლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ან სამართლო ორგანოებში როგორც მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი, სპეციალისტი, მთარგმნელი, დამსწრე, ან მონაწილეობს სასამართლოს სხდომაზე, როგორც სახალხო მსაჯული, საზოგადოებრივი ბრალმდებელი, საზოგადოებრივი დამცველი. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენელი;

5) ასრულებს სახალხო კონტროლის ორგანოების დავალებებს — ამ ორგანოების დებულების შესაბამისად;

6) მონაწილეობს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული პენსიების დამნიშვნელი კომისიის ან სექციო-შრომითი სექსპერტი კომისიის მუშაობაში, როგორც მისი წევრი;

7) გამოწვევით გამოცხადდება, როგორც მოწმე, პენსიის დამნიშვნელ კომისიაში შრომითი სტაჟის შესახებ ჩვენების მისაცემად;

8) მონაწილეობს ხანძრის ან ავარიის ღიჯ-

ვიდაციაში, როგორც ნებაყოფლობითი სახმადრო რაზმის წევრი;

9) ასრულებს სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ მოვალეობებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**მუხლი 111. გარანტია იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებლად**

იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც წარმოებისაგან მოწყვეტით იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ენახებათ სამუშაო ადგილი (თანამდებობა) და ეძლევათ კანონით გათვალისწინებული თანხა.

**მუხლი 112. გარანტია გამოგონებელ და რაციონალიზატორ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის**

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადების ავტორები არიან, იმავე საწარმოში, ორგანიზაციაში გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების დანერგვაში მონაწილეობისათვის ძირითად სამუშაოდან განთავისუფლებისას უნარჩუნდებათ სამუშაო ხელფასი.

სხვა საწარმოში, ორგანიზაციაში თავისი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების დანერგვაში მონაწილეობისათვის მუშებსა და მოსამსახურეებს მუდმივ სამუშაო ადგილზე ენახებათ თანამდებობა, ხოლო გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების დანერგვისათვის გაწვეული შრომის ანაზღაურება სხვადასხვა შეთანხმებით, მაგრამ მუდმივი სამუშაო ადგილის სამუშაო ხელფასზე არანაკლები ოდენობით.

**მუხლი 113. სამედიცინო დაწესებულებაში გამოსაკვლევად გაგზავნილი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის საშუალო ხელფასის შენარჩუნება**

სამედიცინო დაწესებულებაში გამოსაკვლევად ყოფნისას მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც მოვალენ არიან გაიარონ ასეთი გამოკვლევა, სამუშაო ადგილზე უნარჩუნდებათ სამუშაო ხელფასი.

**მუხლი 114. გარანტია იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც დონორები არიან**

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოვალეა დაუბრკოლებლად გაუშვას მუშები და მოსამსახურეები ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში სამედიცინო გამოკვლევის დღეს, სისხლის მიცემის დღეს და შეუნარჩუნოს მათ სამუშაო ხელფასი ამ დღეებისათვის.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც



არიან დონორები, სისხლის მიცემის ყოველი დღის შემდეგ უშუალოდ ეძლევათ დასვენების დღე საშუალო ხელფასის შენარჩუნებით. მუშაკის სურვილისამებრ ეს დღე შეიძლება მიემართოს ყოველწლიურ შევბუღებას.

**მუხლი 115. გარანტია და კომპენსაცია მივლინების დროს**

მივლინებაში მყოფ მუშაკებს მივლინებაში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში ენახებათ სამუშაო ადგილი (თანამდებობა) და საშუალო ხელფასი.

მუშებსა და მოსამსახურეებს უფლება აქვთ აინაზღაურონ მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები და მიიღონ მივლინებასთან დაკავშირებული სხვა კომპენსაცია სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით და წესით.

მუშებს, რომლებსაც გზავნიან მოსამსახურებრივ მივლინებაში, აუნაზღაურდებათ: სადღეღამისო ხარჯები მივლინებაში ყოფნის მთელი დროისათვის, მგზავრობის ხარჯები და ბინის ქირა.

**მუხლი 116. გარანტია და კომპენსაცია სხვა ადგილზე სამუშაოდ წასვლის დროს**

მუშებსა და მოსამსახურეებს უფლება აქვთ აინაზღაურონ ხარჯი და მიიღონ კომპენსაცია ტერიტორიულად სხვა ადგილას სამუშაოდ გადაყვანასთან, მიღებასთან ან გავზავნასთან დაკავშირებით.

მუშაკებს, რომლებიც გადაყვანილი არიან ტერიტორიულად სხვა ადგილას სამუშაოდ (გარდა პირადი თხოვნით გადაყვანისა), ეძლევათ: თავისი და ოჯახის წევრების მგზავრობის ღირებულება; ქონების გადაზიდვის ღირებულება, სადღეღამისო ხარჯები გზაში ყოფნის პერიოდში; ხელფასი გზაში ყოფნის პერიოდში და დამატებით კიდევ ექვსი დღისა (სამგზავროდ მომზადებისა და ახალ ადგილზე მოწყობისათვის); ერთდროული დახმარება მუშაკსა და მისი ოჯახის თითოეულ წევრზე, რომლებიც მასთან ერთად გადადიან.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც სხვა სამუშაოზე გადადიან პირადი თხოვნით, აღნიშნული კომპენსაცია შეიძლება მიეცეთ მთლიანად ან ნაწილობრივ, მხარეთა შეთანხმების შესაბამისად.

მუშაკებს, რომლებიც ტერიტორიულად სხვა ადგილას სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით მიემგზავრებიან, აუნაზღაურდებათ: თავისი და ოჯახის წევრების მგზავრობის ღირებულება; ქონების გადაზიდვის ღირებულება; სადღეღამისო ხარჯები გზაში ყოფნის დროისათვის, ერთდროული დახმარება თვით მუშაკისა და მისი ოჯახის წევრებს, აგრეთვე ხელფასი იმ დროისათვის, ვიდრე მუშაობას დაიწყებდეს, შეიძლება მიეცეთ (მთლიანად ან ნაწილობრივ) ადმინისტრაციასთან მუშაკის შეთანხმების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული მუშაკებისათვის კომპენსაციის მიცემის ოდენობასა და წესს, აგრეთვე კომპენსაციის ორგანიზებული შეგროვების წესით სამუშაოზე მიღებული მუშების ტერიტორიულად სხვა ადგილას გადასვლისას, სასწაულებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მუშებისა და სპეციალისტების სამუშაოდ გავზავნისას, ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

**მუხლი 117. კომპენსაცია მუშებისა და მოსამსახურეების კუთვნილი ინსტრუმენტების გაცევისათვის**

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის საქიროებისათვის იყენებენ თავიანთ კუთვნილ ინსტრუმენტებს, უფლება აქვთ მიიღონ კომპენსაცია ინსტრუმენტების გაცევისათვის (ამორტიზაციისათვის).

ამ კომპენსაციის ოდენობასა და გადახდის წესს განსაზღვრავს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო საქარზნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, თუ კომპენსაციის ოდენობა და გადახდის წესი ცენტრალიზებული გზით არ არის დადგენილი.

**თავი IX**

**გარანტია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებისას**

**მუხლი 118. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობის შეზღუდვა**

შრომითი მოვალეობის შესრულებისას საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება მუშას ან მოსამსახურეს იმ პირობით, თუ ზიანი გამოწვეული იყო მისი ბრალით. ეს პასუხისმგებლობა, როგორც წესი, განისაზღვრება მუშის ან მოსამსახურის ხელფასის გარკვეული ნაწილით (მუხლები 119-ე და 120-ე).

ზიანის ოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებენ მხოლოდ პირდაპირ ნამდვილ ზიანს და არა იმ შესაძლო შემოსავალს, რაც ვერ მიიღეს მიყენებული ზიანის შედეგად.

დაუშვებელია მუშას ან მოსამსახურეს დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს ნორმალური საწარმო-სამეურნეო რისკის კატეგორიას.

**მუხლი 119. გარანტია საწარმოს, დაწესებულების ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის**



ნის გამო მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებისას

შრომითი მოვალეობების შესრულებისას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშებისა და მოსამსახურეებს, რომელთა ბრალით გამოწვეულია ზიანი, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა პირდაპირი ნამდვილი ზიანის ოდენობათ, მაგრამ არა უმეტეს მათი თვითური სატარიფო განაკვეთის (სარგოს) ერთი მესამედისა.

მატერიალური პასუხისმგებლობა თვითური სატარიფო განაკვეთის (სარგოს) ერთ მესამედზე მეტი ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს მიყენებული ზიანის სრული ოდენობისა, დასაშვებია მხოლოდ სსრ კავშირის კანონმდებლობით მითითებულ შემთხვევებში.

**მუხლი 120. მუშათა და მოსამსახურეთა შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობის შემთხვევები**

შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობა თვითური სატარიფო განაკვეთის (სარგოს) ერთ მესამედზე მეტი ოდენობით, სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, ეკისრებათ:

1) მუშებსა და მოსამსახურეებს მასალების, ნახევარფაბრიკატების ან ნაწარმის, დაუდევრობით გაფუჭებისათვის — მიყენებული ზიანის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვის საშუალო ხელფასის ორი მესამედისა;

2) აღმინისტრაციულ-ტექნიკურ და აღმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალს მასალების, ნახევარფაბრიკატების, ნაწარმის ან მუშაკისათვის სარგებლობაში მიცემული საგნების (სპეცტანსაცმელი, ინსტრუმენტები, საზომი ხელსაწყოები და ა. შ.) აღრიცხვისა და დაცვის საქმის უსწოროდ დაყენების, აგრეთვე ამ ქონების გატაცების, განადგურების ან დაზიანების წინააღმდეგ აუცილებელი ზომების მიღებლობისათვის — მიყენებული ზიანის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს საშუალო თვითური ხელფასისა;

3) თანამდებობის პირთ, რომელთაც ბრალი მიუძღვით მუშაკთა უკანონოდ დაზოვნაში ან სხვა სამუშაოზე გადაყვანაში, იმ შემთხვევაში და იმ ოდენობით, რაც ვათვალისწინებულა ამ კოდექსის 209-ე მუხლით.

**მუხლი 121. მუშათა და მოსამსახურეთა სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შემთხვევები**

სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად მუშებსა და მოსამსახურეებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მატერიალური პასუხისმგებ-

ლობა სრული ოდენობით ეკისრებათ შემდეგ შემთხვევებში;

1) როდესაც ზიანი მიყენებულია მუშაკის მოქმედებით, რომელიც შეიცავს ისეთი ქმედობის ნიშნებს, რაც იხვევა სისხლის სამართლის წესით;

2) როდესაც სპეციალური კანონებით და დადგენილებებით მუშაკს დაკისრებული აქვს სრული მატერიალური პასუხისმგებლობა შრომითი მოვალეობების შესრულებისას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო.

3) როდესაც საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაციისა და იმ მუშაკს შორის, რომლის თანამდებობა დაკავშირებულია ფულად ან სასაქონლო ფასეულობის მომსახურებასთან და მითითებულია შესაბამის ნუსხაში, დადებულია განსაკუთრებული წერილობითი ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ მუშაკს ეკისრება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა მისთვის შესაბამისად ან სხვა მიზნით გადაცემული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის დანაკლისის გამო, ვათვალისწინებული ნორმის ზევით.

4) როდესაც ზიანი მიყენებული არაა შრომითი მოვალეობების შესრულების დროს.

**მუხლი 122. საწარმოსთვის, დაწესებულებისთვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი**

ზიანის ანაზღაურება იმ ოდენობით, რასაც ვითვალისწინებს ამ კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილი, ხდება მუშაკის წერილობითი თანხმობით, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაციის განკარგულების საფუძველზე, ხელფასიდან დაქვითვის საშუალებით. განკარგულება დაქვითვის შესახებ აღმინისტრაციას შეუძლია გასცეს არა უკვიანეს ორი კვირისა იმ დღიდან, როცა გამოვლინდა მუშაკის მიერ მიყენებული ზიანი. თუ არ არის მუშაკის წერილობითი თანხმობა, დაქვითვა არ ხდება და საკითხს ზიანის ანაზღაურების შესახებ, აღმინისტრაციის განცხადებით, განიხილავს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო.

დანარჩენ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურება ხდება აღმინისტრაციის მიერ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში სარჩელის წარდგენის საშუალებით.

თუ დადგენილი წესის დარღვევით აღმინისტრაციამ მუშას ან მოსამსახურეს ხელფასიდან დაუქვითა თანხა მისი წერილობითი თანხმობისა და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, მაშინ შრომითი დავის განმხილველი ორგანო მუშაკის საჩივრის შედეგად იღებს გადა-



წყვეტილებას უკანონოდ დაქვითული თანხის დაბრუნების შესახებ.

**მუხლი 123. გარემოებანი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნენ ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას**

ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს მუშაკის ბრალის ხარისხს და იმ კონკრეტულ გარემოებას, რომლის დროსაც მიყენებული იყო ზიანი. თუ ზიანი არა მარტო მუშაკის ბრალეული ქცევის შედეგი იყო, არამედ მატერიალურ ფასეულობათა შენახვის უზრუნველყოფი პირობების უქონლობაც, ანაზღაურების ოდენობა შესაბამისად უნდა შემცირდეს.

სასამართლოს შეუძლია შეამციროს მუშაკის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ოდენობა მისი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი მიყენებულია მუშაკის მიერ ანგარიშით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებით;

ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ისიც, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს ზიანის ანაზღაურება შეუძლიათ ნატურით (წარმოადგინოს იმავე სახეობისა და ხარისხის ნივთი, შეაკეთოს დაზიანებული ნივთი და ა. შ.).

**მუხლი 124. ხელფასიდან დაქვითვის შეზღუდვა**

ხელფასიდან დაქვითვა შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებაც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

თუ მუშას ან მოსამსახურეს აქვს იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის დავალიანება, სადაც იგი მუშაობს, მისი ხელფასიდან ამ დავალიანების დასაფარავად ადმინისტრაციას შეუძლია მოახდინოს დაქვითვა, თავისი განკარგულებით:

1) ხელფასის ანგარიშში გაცემული ავანსის დასაბრუნებლად; გამოთვლითი შეცდომის გამო ზედმეტად გადახდილი თანხის დასაბრუნებლად; დასაფარავად ავანსისა, რომელიც გაცემული იყო სამსახურებრივი მივლინების, ან სხვა სამუშაოზე გადაყვანის, ან სამეურნეო საქმიანობისათვის, მაგრამ მიღებული თანხა არ დაუხარჯავთ და არ დაუბრუნებიათ თავის დროზე, თუ მუშაკი არ დავობს დაქვითვის საფუძვლისა და ოდენობის შესახებ.

ასეთ შემთხვევებში ადმინისტრაციას უფლება აქვს გასცეს განკარგულება დაქვითვის შესახებ, არაუგვიანეს ერთი თვისა იმ ვალის გასვლის დღიდან, რომელიც დაწესებული იყო ავანსის დასაბრუნებლად, დავალიანების დასაფარავად, ან იმ დღიდან, როდესაც გაიცა არასწორად გამოანგარიშებული თანხა;

2) მუშის ან მოსამსახურის დათხოვნისას იმ სამუშაო წლის დამთავრებამდე, რომლის ანგარიშში მას უკვე მიღებული აქვს შევებულება — შევებულების გამოუმუშავებელი დღეებისათვის. ამ დღეების ანგარიშში დაქვითვა არ ხდება. თუ მუშაკს ითხოვენ იმ საფუძვლებით, რომლებიც მითითებულია ამ კოდექსის 30-ე მუხლის მე-3, მე-5 და მე-6 პუნქტებში და 34-ე მუხლის 1-ლ, მე-2 და მე-5 პუნქტებში, სასწავლებლად გავზავნისას, აგრეთვე პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით;

3) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მუშის ან მოსამსახურის ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, თუ მუშაკს მიცემული აქვს წერილობითი თანხმობა ხელფასიდან დაქვითვის თაობაზე (122-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ხელფასი, რომელიც მუშაკს ზედმეტად გადაუხადა ადმინისტრაციამ (მათ შორის კანონის არასწორად გამოყენების შემთხვევაში), არ შეიძლება დაექვითოს მას, გარდა იმ შემთხვევების, როცა გამოთვლისას დაშვებულია შეცდომა.

**მუხლი 125. ხელფასის გაცემისას დაქვითვის ზღვრული ოდენობა**

ხელფასის ყოველი გაცემისას ყველა დაქვითვის საერთო ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ოც პროცენტს, ხოლო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — მუშის ან მოსამსახურის კუთვნილი ხელფასის ორმოცდაათ პროცენტს.

რამდენიმე სააღსრულებლო საბუთით ხელფასიდან დაქვითვისას მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველგვარ შემთხვევაში უნდა შეუნარჩუნდეთ ხელფასის ორმოცდაათი პროცენტი.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილით დადგენილი შეზღუდვები არ ვრცელდება ხელფასიდან დაქვითვაზე, რომელსაც აწარმოებენ გამასწორებელი სამუშაოების მოხდისას.

**მუხლი 126. თანხა, რომლიდანაც არ შეიძლება დაქვითვა**

დაუმშვებელი დაქვითვა გასასვლელი დახმარებიდან, საკომპენსაციო და სხვა თანხებიდან, რომლებიდანაც კანონმდებლობის თანახმად გადახდევინება არ ხდება.

თავი X

შრომის დისციპლინა

**მუხლი 127. მუშათა და მოსამსახურეთა მოვალეობანი**

მუშები და მოსამსახურეები ვალდებული არიან იმუშაონ პატიოსნად და კეთილსინდის-

ერად, დაიცვან შრომის დისციპლინა, დროულად და ზუსტად შეასრულონ ადმინისტრაციის განკარგულებანი, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, დაიცვან ტექნოლოგიური დისციპლინა, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნები, გაუფრთხილდნენ და განამტკიცონ სოციალისტური საკუთრება.

**მუხლი 128. შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა**

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის დისციპლინას უზრუნველყოფს შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება, დარწმუნების მეთოდი, აგრეთვე წახალისება კეთილსინდისიერი შრომისათვის. ცალკეული არაკეთილსინდისიერი მუშაკების მიმართ საჭირო შემთხვევებში იყენებენ დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს.

**მუხლი 129. ადმინისტრაციის მოვალეობანი**

საწარმოს, დაწესებულებების, ორგანიზაციების ადმინისტრაცია ვალდებულია სწორად მოაწყოს მუშათა და მოსამსახურეთა შრომა, შექმნას შრომის ნაყოფიერების ზრდის პირობები, უზრუნველყოს შრომისა და საწარმოო დისციპლინა, განუხრელად დაიცვას შრომის კანონმდებლობა და შრომის დაცვის წესები, ყურადღებით მოეცილოს მუშაკთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, გააუმჯობესოს მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები.

**მუხლი 130. შრომის შინაგანაწესი. წესდებები დისციპლინის შესახებ**

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის განაწესს განსაზღვრავს შრომის შინაგანაწესი, რომელსაც ადგენს ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, დადგენილი წესით დამტკიცებული ტიპობრივი შინაგანაწესის საფუძველზე.

სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში ცალკეული კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მოქმედებს წესდებები დისციპლინის შესახებ.

**მუხლი 131. წახალისება მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისათვის**

შრომითი მოვალეობების სანიმუშოდ შესრულების, სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობის, შრომაში ნოვატორიებისა და მუშაობაში მოპოვებული სხვა მიღწევებისათვის იყენებენ წახალისების შემდეგ სახეობებს:

- 1) მაღლობის გამოცხადება;
- 2) პრემიის მიცემა;
- 3) ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება;
- 4) საპატიო სიგელით დაჯილდოება;
- 5) საპატიო წიგნში, საპატიო დაფაზე შეტანა, შრომის შინაგანაწესით და წესდებებით დისციპლინის შესახებ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა წახალისებანიც.

**მუხლი 132. წახალისების გამოყენების წესი**  
წახალისებას ადმინისტრაცია იყენებს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან ერთად ან მასთან შეთანხმებით.

**მუხლი 133. უპირატესობანი და შეღავათები იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც წარმატებით და კეთილსინდისიერად ასრულებენ შრომით მოვალეობებს**

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც წარმატებით და კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ შრომითს მოვალეობებს, პირველ რიგში ეძლევათ უპირატესობანი და შეღავათები სოციალურ-კულტურული და საბინაოსაყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში (სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები, საბინაო პირობების გაუმჯობესება და სხვ.). ასეთ მუშაკებს ეძლევათ აგრეთვე უპირატესობა სამუშაოზე დაწინაურების დროს.

**მუხლი 134. წახალისება განსაკუთრებული შრომითი დამსახურებისათვის**

მუშებსა და მოსამსახურეებს განსაკუთრებული შრომითი დამსახურებისათვის წარადგენენ ზემდგომ ორგანოებში წასახალისებლად, ორდენებით, მედლებით, საპატიო სიგელებით, სამკერდე ნიშნებით დასაჯილდოებლად და საპატიო წოდებებისა და მოცემული პროფესიის საუკეთესო მუშაკის წოდების მისანიჭებლად.

**მუხლი 135. სასჯელი შრომის დისციპლინის დარღვევისათვის**

შრომის დისციპლინის დარღვევისათვის საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია იყენებს შემდეგ დისციპლინურ სასჯელებს:

- 1) შენიღმნას;
- 2) საყვედურს;
- 3) სასტიკ საყვედურს;
- 4) დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანას. სმ თვემდე ვადით ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენებას იმავე ვადით;
- 5) დათხოვნას (34-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები).

დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონმდებლობითა და წესდებით დისციპლინის შესახებ, ცალკეული კატეგორიების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შეიძლება გათვალისწინდეს.



**ნებულ იქნეს აგრეთვე სხვა დისციპლინური სასჯელიც.**

დისციპლინური სასჯელის დადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი გადაცდომის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები, მუშის ან მოსამსახურის წინანდელი მუშაობა და ყოფაქცევა.

**მუხლი 136. დისციპლინურ სასჯელთა გამოყენებისა და გასაჩივრების წესი**

დისციპლინური სასჯელის დადებამდე შრომის დისციპლინის დამრღვევს უნდა მოეთხოვოს ახსნა-განმარტება.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაცია დისციპლინურ სასჯელს იყენებს გადაცდომის გამოვლენისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა მისი გამოვლენის დღიდან, მუშაკის ავადმოყოფობის ან შვებულებაში ყოფნის დროის ჩათვლევად.

დისციპლინური სასჯელი არ შეიძლება დადებულ იქნეს გადაცდომის ჩადენის დღიდან ექვსი თვის გავლის შემდეგ.

შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სასჯელი.

დისციპლინური სასჯელი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს დადგენილი წესით.

**მუხლი 137. დისციპლინური სასჯელის მოხსნა**

თუ დისციპლინური სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მუშას ან მოსამსახურეს არ დაედება ახალი დისციპლინური სასჯელი, იგი ჩაითვლება ისეთ პირად, რომელსაც დისციპლინური სასჯელი არ ჰქონია დადებულად.

თუ მუშას ან მოსამსახურეს ხელახლა არ დაურღმევია შრომის დისციპლინა და, ამასთან, თავი გამოიჩინა როგორც კარგმა და კეთილსინდისიერმა მუშაკმა, მას შეიძლება მოეხსნას დისციპლინური სასჯელი ერთი წლის გავლამდე.

**მუხლი 138. შრომის დისციპლინის დარღვევის საკითხის გადაცემა ამხანაგური სასამართლოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის განსახილველად**

აღმინისტრაციას უფლება აქვს დისციპლინური სასჯელის გამოყენების ნაცვლად შრომის დისციპლინის დარღვევის საკითხი განსახილველად გადასცეს ამხანაგურ სასამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

**თავი XI**

**შრომის დაცვა**

**მუხლი 139. შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა**

ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში იქმნება შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები.

შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა ეკისრება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაციას.

აღმინისტრაცია ვალდებულია საწარმო ტრავმატისთვის თავიდან ასაცილებლად დაწესდეს უსაფრთხოების ტექნიკის თანამედროვე საშუალებანი და უზრუნველყოს ისეთი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რომლებიც აღკვეთენ მუშებისა და მოსამსახურეების პროფესიული დაავადებების წარმოშობას.

**მუხლი 140. შრომის დაცვის მოთხოვნათა შესრულება საწარმოო შენობების, ნაგებობებისა და მოწყობილობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს**

საწარმოო შენობები, ნაგებობები, მოწყობილობა, ტექნოლოგიური პროცესები უნდა შეესაბამებოდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ჯანსაღ და უსაფრთხო პირობებს.

ეს მოთხოვნები შეიცავენ ტერიტორიისა და საწარმოო შენობების რაციონალურად გამოყენებას, მოწყობილობის სწორ ექსპლუატაციას და ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზაციას, მომუშავეთა დაცვას შრომის მაგნე პირობების ზემოქმედებისაგან, საწარმოო შენობებისა და სამუშაო ადგილების მოვლას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების შესაბამისად, სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სათავსების მიწყობას.

საწარმოო შენობებისა და ნაგებობათა დამროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის დროს დატულ უნდა იქნეს შრომის დაცვის წესები და ნორმები.

მანქანების, დაზვების და სხვა საწარმოო მოწყობილობის პროექტები უნდა შეესაბამებოდნენ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნებს.

სერტიფიკაციის წარმოებისათვის არ შეიძლება გადაცემულ იქნეს არც ერთი ახალი მანქანის, მექანიზმისა და სხვა საწარმოო მოწყობილობის ნიმუში, თუ იგი ვერ უზაუსუხებს შრომის დაცვის მოთხოვნებს.

**მუხლი 141. იხეთ საწარმოთა საექსპლუატაციოდ გადაცემის აკრძალვა, რომლებიც არ შესაბამებიათ შრომის დაცვის მოთხოვნებს**  
არც ერთი საწარმო, საამქრო, უბანი, წარ-



მოგება არ შეიძლება იქნეს მიღებული და გადაცემული საექსპლუატაციოდ, თუ იქ არ არის უზრუნველყოფილი შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები.

საწარმოო დანიშნულების ახალი და რეკონსტრუირებული ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემა დაუშვებელია, თუ არ არის იმ ორგანოების ნებართვა, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო სანიტარულ და ტექნიკურ ზედამხედველობას, პროფკავშირთა ტექნიკური ინსპექციის და იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ნებართვა, რომლებიც ობიექტებს გადასცემენ საექსპლუატაციოდ.

**მუხლი 142. შრომის დაცვის წესები, რომლებიც სავალდებულოა ადმინისტრაციისათვის საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს ყველა სამუშაო ადგილის სათანადო ტექნიკური მოწყობა და იქ შრომის ისეთი პირობების შექმნა, როგორიც შეესაბამება შრომის დაცვის წესებს (უსაფრთხოების ტექნიკის წესებს, სანიტარულ ნორმებსა და წესებს და სხვ.). ასეთ წესებს (რომლებიც ერთიანია სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის ან სადარგათაშორისო), სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების თანახმად ამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან მისი დაფუძნებით სხვა სახელმწიფო ორგანოები პროფკავშირების საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად ან მასთან შეთანხმებით.**

შრომის დაცვის დარგობრივ წესებსა და ნორმებს დადგენილი წესით ამტკიცებენ სამინისტროები, უწყებები, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები (მუხლი 237-ე) შესაბამისი პროფესიული კავშირების ცენტრალურ კომიტეტებთან ერთად ან მათთან შეთანხმებით.

თუ შრომის დაცვის წესებში არ არის ის მოთხოვნები, რომელთა დაცვა სამუშაოთა წარმოების დროს აუცილებელია შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფისათვის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან ერთად იღებს ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის უსაფრთხო პირობებს.

**მუხლი 143. მუშებისა და მოსამსახურეების ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის და საწარმოო სანიტარიის შესახებ**

ადმინისტრაციას ეკისრება მუშათა და მოსამსახურეთა ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, ხანძარსაწი-

ნაომდებო დაცვისა და შრომის დაცვის სხვა წესების შესახებ.

**მუხლი 144. შრომის დაცვის ინსტრუქციები, რომლებიც სავალდებულოა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის**

მუშები და მოსამსახურეები მოვალენი არიან შეასრულონ შრომის დაცვის ინსტრუქციები, რომლებიც ადგენენ სამუშაოთა შესრულებისა და საწარმოო შენობებსა და სამშენებლო მოედნებზე ქვეცის წესებს. ასეთ ინსტრუქციებს ამუშავენ და ამტკიცებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან ერთად. სამინისტროებსა და უწყებებს პროფესიული კავშირების ცენტრალურ კომიტეტებთან შეთანხმებით, ხოლო აუცილებელ შემთხვევებში — სახელმწიფო ზედამხედველობის შესაბამის ორგანოებთანაც (მუხლი 237-ე) შეუძლიათ დაამტკიცონ შრომის დაცვის ტიპობრივი ინსტრუქციები ძირითადი პროფესიების მუშებისათვის.

მუშები და მოსამსახურეები მოვალენი არიან აგრეთვე დაიცვან მანქანებითა და მექანიზმებით სარგებლობის დაწესებული მოთხოვნები, გამოიყენონ მათთვის მიცემული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

შრომის დაცვის ინსტრუქციის ყველა მოთხოვნათა შესრულების მუდმივი კონტროლი ეკისრება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას.

**მუხლი 145. სახსრები შრომის დაცვის ღონისძიებისათვის**

შრომის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის დადგენილი წესით გამოიყოფა სახსრები და საჭირო მასალები. ამ სახსრებისა და მასალების ხარჯვა სხვა მიზნებისათვის აკრძალულია.

აღნიშნული სახსრებისა და მასალების გამოყენების წესს განსაზღვრავს კოლექტიური ხელშეკრულებები ან შრომის დაცვის შეთანხმებები, რომლებიც იღება ადმინისტრაციასა და პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს შორის.

**მუხლი 146. სპეციალური ტანსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებათა გაცემა**

შრომის მანევ პირობებიან სამუშაოებზე, აგრეთვე ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც მიმდინარეობს განსაკუთრებულ ტემპერატურულ პირობებში ან დაკავშირებულია გაჭუჭყიანებასთან, მუშებსა და მოსამსახურეებს დადგენილი ნორმებით უფასოდ ეძლევათ სპეციალური ტანსაცმელი, სპეციალური ფეხსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებანი.



ადმინისტრაცია მოვალეა უზრუნველყოს მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მიცემული სპეცტანსაცმლის, სპეცფენსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებების შენახვა, გარეცხვა, გაშრობა, დეზინფექცია, დეგაზაცია, დეზაქტივიზაცია და შეკეთება.

**მუხლი 147. საპნისა და გამაუფნებლებელ საშუალებათა გაცემა**

ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც გაქუჭყიანებასთანაა დაკავშირებული, მუშებსა და მოსამსახურეებს დადგენილი ნორმებით უფასოდ ეძლევათ საპონი. იმ სამუშაოებზე, სადაც შესაძლებელია მავნე ნივთიერებების კანზე მოქმედება, დადგენილი ნორმებით უფასოდ გაიცემა ჩამოსახანი და გამაუფნებლებელი საშუალებანი.

**მუხლი 148. რძისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური კვების პროდუქტების გაცემა**

შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე მუშებსა და მოსამსახურეებს დადგენილი ნორმებით უფასოდ ეძლევათ რძე ან სხვა ტოლფასოვანი კვების პროდუქტები.

ისეთ სამუშაოებზე, სადაც შრომის განსაკუთრებით მავნე პირობებია, დადგენილი ნორმებით უფასოდ გაიცემა სამკურნალო პროფილაქტიკური კვების პროდუქტები.

**მუხლი 149. ცხელი საამქროების მუშების უზრუნველყოფა ვაზიანი მარილიანი წყლით**

საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოვალეა ცხელი საამქროების მუშები უფასოდ უზრუნველყოს ვაზიანი მარილიანი წყლით.

იმ საამქროებსა და საწარმოს უბნებს, რომლებიც უნდა მომარაგდნენ ვაზიანი მარილიანი წყლით, ადგენენ სანიტარული ზედამხედველობის ორგანოები ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

**მუხლი 150. შესვენებები, რომლებიც სამუშაო დროში ითვლება**

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ზამთრობით მუშაობენ ღია ცის ქვეშ ან დაბურულ შენობებში, რომლებიც არ თბება, მტვირთავებს, რომლებიც დასაქმებული არიან დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე, აგრეთვე სხვა კატეგორიის მუშაკებს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გათბობისა და დასვენებისათვის ეძლევათ სპეციალური შესვენებები, რომლებიც ითვლება სამუშაო დროში. საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოვალეა მოაწიოს სადგომი მუშაკთა გათბობისა და დასვენებისათვის.

**მუხლი 151. ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების სამედიცინო შემოწმება**

მინდობილი სამუშაოსათვის ვარგისიანობის

განსაზღვრისა და პროფესიულ დავადებათა თავიდან აცილების მიზნით, მძიმე სამუშაოებსა და შრომის მავნე ან საშიშ პირობებიან სამუშაოებზე, აგრეთვე ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე დასაქმებულ მუშათა და მოსამსახურეთა სამედიცინო შემოწმება სავალდებულოა სამუშაოზე მიღებისას წინასწარ, ხოლო შემდგომ — პერიოდულად.


მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით კვების მრეწველობის, საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის საწარმოთა, წყალსადენის ნაგებობათა, სამკურნალო-პროფილაქტიკურ და საბავშვო დაწესებულებათა, აგრეთვე ზოგიერთ სხვა საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მუშაკები გადიან აღნიშნულ სამედიცინო შემოწმებას.

**მუხლი 152. უფრო მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანა**

საწარმოს, დაწესებულების ადმინისტრაცია მოვალეა, მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ უფრო მსუბუქ სამუშაოს, გადაიყვანოს ასეთ სამუშაოზე მათი თანხმობით, დროებით ან ვადის შეუზღუდავად — სამედიცინო დასკვნის შესაბამისად.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უფრო მსუბუქ, დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანის დროს მუშებსა და მოსამსახურეებს შეუნარჩუნდებათ წინანდელი საშუალო ხელფასი ორი კვირის განმავლობაში სამუშაოზე გადაყვანის დღიდან, ხოლო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წინანდელ საშუალო ხელფასს ინარჩუნებენ დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების მთელი დროის მანძილზე ან ილებენ დახმარებას სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ტუბერკულოზით ან პროფესიული ავადმყოფობით დაავადებასთან დაკავშირებით დროებით არიან გადაყვანილი სხვა დაბალხელფასიან სამუშაოზე, გადაყვანის მთელი დროის მანძილზე, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა, ეძლევათ დახმარება ავადმყოფობის ფურცლით ისეთი ოდენობით, რომ ახალ სამუშაოზე დანიშნულ ხელფასთან ერთად არ აღემატებოდეს სრულ ფაქტიურ შემოსედას, რასაც წინანდელ სამუშაოზე ილებდა. თუ ადმინისტრაცია ავადმყოფობის ფურცელში მითითებულ ვადაში არ ელოცის სხვა სამუშაოს, ამ მიზეზით გამოტოვებულ დღეებისათვის დახმარებას უხდის საერთო საფუძველზე.



მუშებსა და მოსამსახურებს, რომლებიც დროებით არიან გადაყვანილი დაბალხელფასიან სამუშაოზე დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების გამო, რაც სამუშაოსთან იყო დაკავშირებული, მათი ჯანმრთელობის დაზიანებისათვის პასუხისმგებელი საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია უხდის სხვაობას წინანდელ და ახალ სამუშაოზე დანიშნულ ხელფასებს შორის. ასეთ სხვაობას იხდის შრომისუნარიანობის აღდგენამდე ანდა შრომისუნარიანობის ხანგრძლივად დაკარგვის ან ინვალიდობის დადგენამდე.

**მუხლი 153. ინვალიდების შრომის გამოყენება**

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაცია ვალდებულია სამუშაოზე მიიღოს ინვალიდები და დაუწესოს მათ შემცირებული სამუშაო დღე და შრომის სხვა შეღავათიანი პირობები სამედიცინო რეკომენდაციის შესაბამისად.

ინვალიდების დასაქმება ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, დასვენების დღეებსა და ღამის სამუშაოებზე შეიძლება მხოლოდ მათი თანხმობით და იმ პირობით, თუ ასეთი სამუშაო მათ არ ეკრძალებათ. სამედიცინო რეკომენდაციით.

**მუხლი 154. ადმინისტრაციის მოვალეობა—გამოიძიოს და აღრიცხოს წარმოებაში მომხდარა უბედური შემთხვევები**

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობით, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელთა მონაწილეობითაც, ვალდებულია დროულად და სწორად ჩაატაროს წარმოებაში მომხდარ უბედური შემთხვევათა გამოძიება და აღრიცხვა.

ადმინისტრაცია ვალდებულია დაზარალებულის მოთხოვნით მისცეს მას უბედური შემთხვევის შესახებ აქტის დამოწმებული პირი. გამოძიების დამთავრებიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

თუ ადმინისტრაცია უარს ამბობს უბედური შემთხვევის შესახებ აქტის შედგენაზე ან დაზარალებული არ ეთანხმება აქტში უბედური შემთხვევის გარემოებათა აღწერას, დაზარალებულს შეუძლია მიმართოს საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს, რომლის დადგენილება აქტის შედგენის ან შინაარსის შესახებ საეკლდებულა ადმინისტრაციისათვის.

უბედურ შემთხვევათა გამოძიებისა და აღრიცხვის მასალების საფუძველზე ადმინისტრაცია მრვალდა, დროულად მიიღოს აუცილებელი

ლონისძიებები იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც იწვევენ უბედურ შემთხვევას.

**მუხლი 155. საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მატერიალური პასუხისმგებლობა მუშებისა და მოსამსახურეების ჯანმრთელობისათვის დაზიანებით მიყენებული ზიანის გამო.**

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები მატერიალურად პასუხისმგებელი არიან მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მიყენებული ზიანის გამო, რაც გამოწვეულია შრომითი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით მათი დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ვნებით.

**თავი XII**

**ქალის შრომა**

**მუხლი 156. სამუშაოები, სადაც ქალის შრომის გამოყენება აკრძალულია**

აკრძალულია ქალის შრომის გამოყენება მძიმე სამუშაოებზე და შრომის მავნებრობებიან სამუშაოებზე, აგრეთვე მიწისქვეშა სამუშაოებზე, გარდა ზოგიერთი მიწისქვეშა სამუშაოებისა (არაფიზიკური მუშაობა ან მუშაობა სანიტარული და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში).

აკრძალულია ქალების მიერ ისეთი სიმძიმეების გადატანა ან გადაადგილება, რომლებიც აღემატებათ მათთვის დადგენილ ზღვრულ ნორმებს.

მძიმე და შრომის მავნებრობებიან სამუშაოთა სიებს, აგრეთვე ქალების მიერ სიმძიმეთა გადატანისა და გადაადგილების ზღვრულ ნორმებს ამტკიცებენ სსრ კავშირის კანონმდებლობით და ამ კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში — საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 157. ქალის შრომის შეზღუდვა ღამის და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, მათი მივილინებაში გავზავნის შეზღუდვა**

დაუშვებელია ქალის შრომის გამოყენება ღამის სამუშაოებზე, სახალხო მეურნეობის იმ დარგების გარდა, სადაც ეს გამოწვეულია განსაკუთრებული აუცილებლობით და ნებადართულია როგორც დროებითი ღონისძიება.

დაუშვებელია გამოყენებულ იქნეს შრომა ორსული ქალებისა და მეძუძური დედებისა, აგრეთვე ქალებისა, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, ღამისა და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, დასვენების დღეებში, დაუშვებელია აგრეთვე მათი გავზავნა მივილინებაში.



ქალები, რომლებსაც ჰყავთ ერთი წლიდან რვა წლის ასაკამდე ბავშვები, არ შეიძლება ჩაბმულ იქნენ ზეგანაკეთიურ სამუშაოებში ან გაიგზავნონ მივლინებაში მათი თანხმობის გარეშე.

**მუხლი 158.** უფრო მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანა ორსული ქალებისა, მეძუძური დედებისა და იმ ქალებისა, რომელთაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ

ორსული ქალები, საექიმო დასკვნის შეხაზამისად, ორსულობის განმავლობაში გადაჰყავთ სხვა უფრო მსუბუქ სამუშაოზე წინანდელი სამუშაოს მიხედვით საშუალო ხელფასის შენარჩუნებით.

მეძუძური დედები და ქალები, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია, რომ მათ შეასრულონ წინანდელი სამუშაო, წინანდელი საშუალო ხელფასის შენარჩუნებით გადაჰყავთ სხვა სამუშაოზე ბავშვის კვების მთელი დროის მანძილზე, ან მანამ, სანამ ბავშვს შეუსრულდება ერთი წლის ასაკი.

**მუხლი 159.** შევებულებები ორსულობისა და მშობიარობის გამო

ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ შევებულება, რომლის ხანგრძლივობაა ორმოცდათექვსმეტი კალენდარული დღე მშობიარობამდე და ორმოცდათექვსმეტი კალენდარული დღე მშობიარობის შემდეგ; ამ პერიოდში მათ ეძლევათ დახმარება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით, არანორმალური მშობიარობისა და ორი ან მეტი ბავშვის შობის შემთხვევაში. მშობიარობის შემდეგ ქალებს შევებულება ეძლევათ სამოცდაათი კალენდარული დღის ხანგრძლივობით.

**მუხლი 160.** ორსულობისა და მშობიარობის გამო შევებულებასთან ყოველწლიური შევებულების შეერთება

ქალს, მისი განცხადების თანახმად, ორსულობისა და მშობიარობის გამო შევებულების წინ ან უშუალოდ მის შემდეგ ეძლევა ყოველწლიური შევებულება ამ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მისი მუშაობის სტაჟის მიუხედავად.

**მუხლი 161.** დამატებითი უხელფასო შევებულება დედებისათვის, რომლებსაც ჰყავთ ერთ წლამდე ასაკის ბავშვები.

ორსულობისა და მშობიარობის გამო შევებულების გარდა ქალს, მისი განცხადების თანახმად, ეძლევა დამატებითი უხელფასო შევებულება, ვიდრე ბავშვი მიაღწევდეს ერთი წლის ასაკს, და შევებულების განმავლობაში ენახება სამუშაო ადგილი. (თანამდებობა).

ეს შევებულება შეიძლება გამოყენებულ იქ-

ნეს მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ ნებისმიერ დროს, ვიდრე ბავშვს შეუსრულდება ერთი წლის ასაკი.

დამატებითი უხელფასო შევებულება ჩაითვლება მუშაობის საერთო და უწყვეტ სტაჟში, აგრეთვე სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟში.

მუშაობის იმ სტაჟში, რომელიც იძლევა მომდევნო ყოველწლიური შევებულების უფლებას, დამატებითი უხელფასო შევებულების დრო არ ჩაითვლება.

**მუხლი 162.** შევებულებანი იმ ქალებისათვის, რომლებმაც ახალშობილი ბავშვი იშვილეს

ქალებს, რომლებმაც ახალშობილი ბავშვი იშვილეს უშუალოდ სამშობიარო სახლიდან, ეძლევათ შევებულება ბავშვის შვილად აყვანის დღიდან, ვიდრე ბავშვის დაბადებიდან გავიდოდეს ორმოცდათექვსმეტი დღე, ამ ხნის განმავლობაში მათ ეძლევათ დახმარება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით.

იმ ქალს, რომელმაც ახალშობილი ბავშვი იშვილა უშუალოდ სამშობიარო სახლიდან, თავისი განცხადების თანახმად ეძლევა დამატებითი უხელფასო შევებულება, ვიდრე ბავშვს შეუსრულდება ერთი წელი (მუხლი 161-ე).

ქალები, რომლებმაც ახალშობილი ბავშვი იშვილეს, სარგებლობენ იმ შეღავათებითა და უპირატესობით, რაც კანონით დადგენილია მეძუძური დედებისა და იმ ქალებისათვის, რომლებსაც ჰყავთ შვილები რვა წლის ასაკამდე.

**მუხლი 163.** შესვენება ბავშვის კვებისათვის მეძუძური დედებისა და ქალების, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, გარდა საერთო შესვენებისა, ეძლევათ დამატებითი შესვენება ბავშვის კვებისათვის.

ეს შესვენება ეძლევათ სულ ცოტა ყოველ სამ საათში თითოეული არანაკლებ ოცდაათი წუთის ხანგრძლივობით. თუ ქალს ჰყავს ერთ წლამდე ასაკის ორი ან მეტი ბავშვი, შესვენების ხანგრძლივობა უნდა დაწესდეს არა ნაკლებ ერთი საათისა.

შესვენება ბავშვის კვებისათვის ჩართვლება სამუშაო დროდ და ანაზღაურდება საშუალო ხელფასის მიხედვით.

შესვენების დროსა და მისი მიცემის წესს, დედის სურვილის გათვალისწინებით, ადგენს ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარზნო, ადგილობრივ კომიტეტთან ერთად.

**მუხლი 164.** სამუშაოზე მიღების გარანტია და სამუშაოდან დათხოვნის აკრძალვა ორსული ქალებისა, მეძუძური დედებისა და იმ ქალებისა, რომელთაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ

აკრძალული სამუშაოზე მიღებისას ქალები-სათვის უარის თქმა და მათთვის ხელფასის შემცირება ორსულობასთან ამ ბავშვის კვებასთან დაკავშირებული მოტივებით.

დაუშვებელია ორსული ქალების, მეძუძური დედებისა და იმ ქალების, რომლებსაც ერბ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, სამუშაოდ დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით, გარდა დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის შემთხვევებისა, როდესაც დათხოვნა დაშვებულია სავალდებულო შრომითი მოწყობით.

**მუხლი 165.** ორსული ქალებისათვის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურების მიცემა და მათთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა

საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციას პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია უფასოდ ან შეღავათთან პირობებში მისცეს ორსულ ქალებს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები და აგრეთვე აღმოუჩინოს მათ მატერიალური დახმარება.

**მუხლი 166.** ქალებისათვის მომსახურების გაწევა იმ საწარმოებში, ორგანიზაციებში, სადაც ფართოდ იყენებენ ქალთა შრომას

იმ საწარმოებში, ორგანიზაციებში, სადაც რთოდ იყენებენ ქალთა შრომას, ეწყობა სა-აღვსოვ ბავები და ბალები, ოთახები ძუძუთა ბავშვების კვებისათვის, აგრეთვე ოთახები ქალის პირადი ჰიგიენისათვის.

თავი XIII

ახალგაზრდობის შრომა

**მუხლი 167.** ასაკი, რომლის შემდეგ დასაშვებია სამუშაოზე მიღება

დაუშვებელია თექვსმეტ წელზე ნაკლები ასაკის პირთა სამუშაოზე მიღება.

გამონაკლის შემთხვევებში პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებთან შეთანხმებით შეიძლება სამუშაოზე მიღებულ იქნენ პირნი, რომლებსაც თხუთმეტი წელი შეუსრულდათ.

**მუხლი 168.** არასრულწლოვანთა შრომითი უფლებება

არასრულწლოვანნი (პირნი, რომლებსაც არ მიუღწევიათ თვრამეტი წლის ასაკამდე) შრომითს ურთიერთობებში უფლებრივად გათანაბრებული არიან სრულწლოვანებთან, ხოლო შრომის დაცვის, სამუშაო დროის, შვებულებებისა და შრომის ზოგიერთი სხვა პირობების მხრე სარგებლობენ იმ შეღავათებით, რომ-

ლებიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებით, ამ კოლექსით და შრომის კანონმდებლობის სხვა აქტებით.

**მუხლი 169.** სამუშაოები, რომლებზედაც აკრძალულია თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა პირთა შრომის გამოყენება

აკრძალულია თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა პირთა შრომის გამოყენება მძიმე სამუშაოებზე და მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოებზე, აგრეთვე მიწისქვეშა სამუშაოებზე.

სია მძიმე სამუშაოებისა, მავნე ან საშიშპირობებიანი სამუშაოებისა, რომლებზედაც აკრძალულია თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა პირთა შრომის გამოყენება, მტკიცდება სსრ კავშირის კანონმდებლობით და ამ კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში — საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკრძალულია არასრულწლოვანთა მიერ ისეთი სიმძიმეების გადატანა და გადაადგილება, რომელიც აღემატება მათთვის დადგენილ ზღვრულ ნორმებს.

**მუხლი 170.** თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა პირთა სამედიცინო შემოწმება

თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა ყველა პირს სამუშაოზე იღებენ მხოლოდ წინასწარი სამედიცინო შემოწმების შემდეგ და შემდეგში, თვრამეტი წლის მიღწევამდე, მათ ყოველწლიურად უნდა გაიარონ სავალდებულო სამედიცინო შემოწმება.

**მუხლი 171.** დამისა და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების დასაქმების აკრძალვა

აკრძალულია დამისა და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე და დასვენების დღეებში თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების დასაქმება.

**მუხლი 172.** თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების შვებულებები

თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველწლიური შვებულება (67-ე მუხლის მეორე ნაწილი) ეძლევათ ზაფხულში ან, მათი სურვილის მიხედვით, წლის ყოველ სხვა დროს.

**მუხლი 173.** გამომუშავების ნორმები ახალგაზრდა მუშებისათვის

ახალგაზრდა მუშებისათვის, რომლებსაც 16 წელი არ შესრულებიათ, გამომუშავების ნორმები წესდება სრულწლოვანი მუშების გამომუშავების ნორმების მიხედვით, შემოკლებუ-



ლი სამუშაო დროის იმ ხანგრძლივობის პროპორციულად, რომელიც დადგენილია თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდათათვის.

ახალგაზრდა მუშებისათვის, რომლებიც საწარმოში, ორგანიზაციაში მუშაობას იწყებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების, კურსების დამთავრების შემდეგ ან უშუალოდ საწარმოშივე სწავლების გავლის შემდეგ, შეიძლება ამტკიცებულ იქნეს გამომუშავების შემცირებული ნორმები იმ შემთხვევაში, იმ ოდენობით და იმ ვადით, რომლებიც განსაზღვრულია კანონმდებლობით. ამ ნორმებს ამტკიცებს საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

**მუხლი 174.** თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება ყოველდღიური მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობისას

თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველდღიური მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობის შემთხვევაში ხელფასი ეძლევათ იმავე ოდენობით. ორგორც შესაბამისი კატეგორიების მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველდღიური მუშაობის სრულ ხანგრძლივობის დროს.

ნარდობლივ სამუშაოებზე დაშვებული თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების შრომა ანაზღაურდება სანარდო ფასდებით, რომელიც დადგენილია მოზრდილი მუშაკებისათვის. ამასთანავე მათ მიეცემათ დანამატი სატარიფო განაკვეთით იმ დროისათვის, რომლითაც მათი ყოველდღიური მუშაობის ხანგრძლივობა მოზრდილების ყოველდღიური მუშაობის ხანგრძლივობასთან შედარებით მცირდება.

**მუხლი 175.** სამუშაოზე და საწარმოო სწავლებაზე ახალგაზრდობის მიღების ჯავშანი

ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის წესდება ჯავშანი იმ ახალგაზრდების სამუშაოზე და საწარმოო სწავლებისათვის მისაღებად, რომლებმაც დაამთავრეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები, ასეთივე ჯავშანი დაწესებულია თვრამეტ წლამდე ასაკის სხვა პირთა მისაღებად.

შრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოები ამტკიცებენ იმ ახალგაზრდების შრომითი მოწყობის გეგმებს, რომლებიც ამთავრებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს და უზრუნველყოფენ ამ გეგმების შესრულებას

ბას ყველა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ.

**მუხლი 176.** სასწავლებელდამთავრებულ ახალგაზრდა მუშებისა და სპეციალისტების უზრუნველყოფა სამუშაოთა სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით

ახალგაზრდა მუშები, რომლებმაც დაამთავრეს პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები, და ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სამუშაოთი მიღებული სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

**მუხლი 177.** თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების დათხოვნის შესწავლა

ადმინისტრაციის ინიციატივით თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების დათხოვნა, დაიშვება დათხოვნის საერთო წესის დაცვის გარდა, მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიის თანხმობით, ამასთან დათხოვნა ამ კოდექსის 34-ე მუხლის 1-ლ, მე-2 და მე-3 პუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით ხდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და დაუშვებელია შრომითი მოწყობის გარეშე.

**მუხლი 178.** არასრულწლოვანთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა მშობლების ან სხვა პირებისა და ორგანოების მოთხოვნით

არასრულწლოვანის მშობლებს, მშვილებლებს და მზრუნველს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, აგრეთვე იმ სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირთ, რომლებსაც დაკისრებული აქვთ შრომის კანონმდებლობის დაცვის ზედამხედველობა და კონტროლი, უფლება აქვთ მოითხოვონ არასრულწლოვანთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის ვადიანი ხელშეკრულებისაც), თუ მისი მოქმედების გავრცელება ემუქრება არასრულწლოვანის ჯანმრთელობას ან არღვევს მის კანონიერ ინტერესებს.

თავი XIV

შეღავათები იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც მუშაობას უთავსებენ სწავლას

**მუხლი 179.** საწარმოო სწავლების ორგანიზაცია და სწავლასთან მუშაობის უთავსებობათვის საჭირო პირობების შექმნა

მუშებისა და მოსამსახურეების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, პროფესიული მომზადება

ზისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საწარმოების, დაწესებულებების ორგანიზაციების ადმინისტრაცია აწყობს ინდივიდუალურ, ბრიგადულ, საკურსო და სხვა საწარმოო სწავლებას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხარჯზე.

ადმინისტრაცია ვალდებულია შეუქმნას მუშაობის სწავლასთან შეთავსებისათვის საჭირო პირობები იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც საწარმოო სწავლებას გადიან ან სწავლობენ სასწავლებლებში წარმოებისაგან მოუწყვეტლად.

საკვალიფიკაციო თანრიგების ამაღლების ან სამუშაოზე დაწინაურების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს მუშებისა და მოსამსახურეების მიერ საწარმოო სწავლების წარმატებით გავლა, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადება, აგრეთვე უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება.

**მუხლი 180. სწავლება სამუშაო დროის განმავლობაში**

ინდივიდუალური, ბრიგადული და საკურსო სწავლების გზით უშუალოდ წარმოებაში ახალი მუშაობის მომზადებისას თეორიული მეცადინეობა და საწარმოო სწავლება ეწყობა იმ სამუშაო დროის განმავლობაში, რომელიც დადგენილია შრომის კანონმდებლობით შესაბამისი ასაკის, პროფესიისა და წარმოების მუშაკებისათვის.

**მუხლი 181. სამუშაოს მიცემა მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად**

საწარმოო სწავლების დამთავრების შემდეგ მუშას კვალიფიკაცია ენიჭება სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარის თანახმად და ეძლევა სამუშაო მიღებული კვალიფიკაციისა და მისთვის მინიჭებული თანრიგის შესაბამისად.

**მუხლი 182. შეღავათები იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც სწავლობენ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში**

იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლობენ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში, დაწესებულია შემცირებული სამუშაო კვირა ან ყოველდღიური მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობა დადგენილი წესით ხელფასის შენარჩუნებით; მათ ეძლევათ აგრეთვე სხვა შეღავათები.

**მუხლი 183. იმ პირთათვის სამუშაო დროის შემცირება, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში**

მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც წარ-

მატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლად მუშა-ახალგაზრდობის სკოლების — საღამოს (ცვლების) და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX-XI კლასებში, სასწავლო წლის განმავლობაში დაწესებულია ერთი სამუშაო დღით ან სამუშაო საათების შესაბამისი რაოდენობით შემცირებული სამუშაო კვირა (როდესაც სამუშაო დღე შემცირებულია კვირის განმავლობაში), ხოლო იმ პირთათვის, რომლებიც სწავლობენ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (ცვლების), სეზონური სკოლების და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX-XI კლასებში — სამუშაო კვირა შემცირებულია ორი სამუშაო დღით ან სამუშაო საათების შესაბამისი რაოდენობით (როდესაც სამუშაო დღე შემცირებულია კვირის განმავლობაში).

აღნიშნული სკოლების IX-XI კლასის მოსწავლეები, როდესაც სამუშაო კვირა ექვსდღიანია, სამუშაოდან თავისუფლდებიან სასწავლო წლის განმავლობაში არა უმეტეს 36 სამუშაო დღისა ან სამუშაო საათების მათი შესაბამისი რაოდენობით. როდესაც სამუშაო კვირა ხუთდღიანია, მუშაობისაგან თავისუფალი სამუშაო საათების საერთო რაოდენობა რჩება უცვლელი, ხოლო სამუშაოსაგან თავისუფალი სამუშაო დღეების რაოდენობა იცვლება სამუშაო ცვლის ხანგრძლივობის შესაბამისად და შეადგენს 31,5 დღეს — თუ ცვლა რვასაათიანია, ან 31 დღეს — თუ ცვლის ხანგრძლივობა 8 საათი და 12 წუთია.

სამუშაოდან განთავისუფლების დროისათვის მოსწავლეებს ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით ეძლევათ საშუალო ხელფასის 50 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ ხელფასის დაწესებული მინიმალური ოდენობისა.

**V-VIII კლასების მოსწავლეთათვის სამუშაო დროის შემცირებას აწესრიგებს სსრ კავშირის კანონმდებლობა, და მის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში, საქართველოს სსრ კანონმდებლობა.**

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება აქვს საწარმოო საქმიანობისათვის ზიანის მიუყენებლად მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების IX-XI კლასების მოსწავლეებს, მათი სურვილისამებრ, დამატებით მისცეს კიდევ სამუშაოსაგან თავისუფალი ერთი-ორი დღე კვირაში უხელფასოდ.

**მუხლი 184. შევებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლასთან დაკავშირებით**

მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლად მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში, საღამოს



(ცვლების, სეზონურ) და დაუსწრებელ სამუ-  
ალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ექ-  
ლევით შევებულება გამოსაწვები გამოცდების  
დროისათვის XI კლასში — 20 სამუშაო დღის  
ხანგრძლივობით, ხოლო VIII კლასში — 8 სა-  
მუშაო დღის ხანგრძლივობით, ხელფასის შე-  
ნარჩუნებით ძირითად სამუშაო ადგილზე სატა-  
რიფო განაკვეთის ან ხელფასის მიხედვით.

იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც წარმოებისა-  
გან მოუწყვეტლად სწავლობენ აღნიშნული სკო-  
ლების V, VI, VII, IX და X კლასებში, წეს-  
დება გადასაყვანი გამოცდების ჩაბარების  
დროისათვის სამუშაოსაგან თავისუფალი 4-  
დან 6-მდე დღე, ძირითად სამუშაო ადგილზე  
სამუშაო ხელფასის შენარჩუნებით იმ დღეების  
საერთო რაოდენობის შემცირების ხარჯზე (8-  
12 დღით), რომლებიც ექლევით ამ კოდექსის  
183-ე მუხლის შესაბამისად.

**მუხლი 185.** ყოველწლიური შევებულენის  
მიცემის დრო მოსწავლეთათვის, რომლებიც  
წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლობენ ზო-  
გადსაგანმანათლებლო სკოლებში

მოსწავლეთათვის, რომლებიც წარმოებისაგან  
მოუწყვეტლად სწავლობენ ზოგადსაგანმანათ-  
ლებლო სკოლებში, ყოველწლიური შევებულე-  
ბის მიცემისას საწარმოს, დაწესებულების, ორ-  
განიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია მოს-  
წავლის სურვილით ეს შევებულება დაუკავში-  
როს სასკოლო გამოცდებს.

**მუხლი 186.** გაენაკვეთურ სამუშაოებზე  
ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნი-  
კური სასწავლო დაწესებულებების მოსწავ-  
ლეთა დასაქმების აკრძალვა

აკრძალულია მეცადინეობის დღეებში იმ მე-  
შა-მოსამსახურეების ზეგანაკვეთურ სამუშაოებ-  
ზე დასაქმება, რომლებიც წარმოებისაგან მო-  
უწყვეტლად სწავლობენ ზოგადსაგანმანათლებ-  
ლო და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო და-  
წესებულებებში.

**მუხლი 187.** შევებულება პროფესიულ-ტექნი-  
კურ სასწავლო დაწესებულებებში სწავლასთან  
დაკავშირებით

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც საღამოს  
(ცვლიან) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო  
დაწესებულებებში წარმატებით სწავლობენ  
წარმოებისაგან მოუწყვეტლად, თავისუფლდე-  
ბიან სამუშაოსაგან გამოცდებისათვის მოსამ-  
ზიდებლად და ჩასაბარებლად წელიწადში 20  
სამუშაო დღით, მათთვის ძირითადი სამუშაო  
ადგილის მიხედვით სამუშაო ხელფასის 50  
პროცენტის შენარჩუნებით.

**მუხლი 188.** შევებულება უმაღლეს და საშუ-  
ალო სპეციალურ სასწავლებლებში მისაღები  
გამოცდების ჩასაბარებლად

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც  
დაშვებული არიან მისაღებ გამოცდებზე უმაღ-  
ლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში,  
ექლევით უხელდასო შევებულება.

უმაღლეს სასწავლებლებში (მათ შორის სა-  
ქარხნო-უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში)  
მისაღებ გამოცდებზე დაშვებულთ ექლევით  
შევებულება 15 კალენდარული დღით, ხოლო  
საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 10  
კალენდარული დღით, სასწავლებლის ადგილზე  
წასვლის და უკან დაბრუნების დროის ჩათუ-  
ვლელად.

**მუხლი 189.** შეღავათები მუშა-მოსამსახურე-  
ებისათვის, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს  
და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც  
სწავლობენ საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს  
და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში,  
სწავლასთან დაკავშირებით ექლევით შევებულე-  
ბა, რომელიც ანაზღაურდება დადგენილი წე-  
სით და აგრეთვე სხვა შეღავათები.

საღამოს და დაუსწრებელი უმაღლესი სას-  
წავლებლების სტუდენტებს, საღამოს და და-  
უსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლე-  
ბეთა მოსწავლეებს, უფლება აქვთ სადიპლო-  
მო პროექტის (ნაშრომის) მომზადების ან სა-  
ხელმწიფო გამოცდების ჩაბარების დაწყებამ-  
დე 10 სასწავლო თვის განმავლობაში, თუ მათი  
სამუშაო კვირა ექვსდღიანია, მეცადინეობისა-  
თვის მიიღონ სამუშაოსაგან თავისუფალი ერთი  
დღე კვირაში ხელფასის 50 პროცენტის ანაზ-  
ღაურებით, მაგრამ არანაკლებ მინიმალური  
ოდენობისა. თუ სამუშაო კვირა ხუთდღიანია,  
სამუშაოსაგან თავისუფალი დღეების რაოდენ-  
ობა იცვლება სამუშაო ცვლის ხანგრძლივო-  
ბის შესაბამისად, მაგრამ შენარჩუნებული უნ-  
და იქნეს სამუშაოსაგან თავისუფალი საათების  
რაოდენობა.

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგა-  
ნიზაციების ადმინისტრაციას უფლება აქვს  
აღნიშნული ათი სასწავლო თვის განმავლო-  
ბაში, სტუდენტთა და მოსწავლეთა თხოვნით,  
დამატებით მისცეს მათ სამუშაოსაგან თავი-  
სუფალი ერთი ან ორი დღე კვირაში უხელ-  
ფასოდ.

**მუხლი 190.** შევებულება საღამოს, და დაუს-  
წრებელ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ  
სასწავლებლებში სწავლასთან დაკავშირებით

სტუდენტები, რომლებიც წარმატებით სწავ-  
ლობენ საღამოს უმაღლეს სასწავლებლებში,  
ლაბორატორიულ სამუშაოთა შესრულების,  
ჩათვლებისა და გამოცდების ჩაბარების პერა-  
ოდისათვის პირველ და მეორე კურსებზე ყო-  
ველწლიურად ექლევით შევებულება 20 კალენ-  
დარული დღით, მესამე და მომდევნო კურ-

ნებზე კვ — 30 კალენდარული დღით. მოსწავლეებს, რომლებიც წარმატებით სწავლობენ საღამოს საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, ლაბორატორიულ სამუშაოთა შესრულების, ჩათვლებისა და გამოცდების ჩაბარების პერიოდისათვის პირველ დე მეორე კურსებზე ყოველწლიურად ეძლევათ შევებულება 10 კალენდარული დღით, მესამე და მომდევნო კურსებზე კი — 20 კალენდარული დღით.

სტუდენტებსა და მოსწავლეებს, რომლებიც წარმატებით სწავლობენ დაუსწრებელ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, ლაბორატორიულ სამუშაოთა შესრულების, ჩათვლებისა და გამოცდების ჩაბარების პერიოდისათვის პირველ და მეორე კურსებზე ყოველწლიურად ეძლევათ შევებულება 30 კალენდარული დღით, მესამე და მომდევნო კურსებზე კი — 40 კალენდარული დღით.

ლაბორატორიულ სამუშაოთა შესრულების, ჩათვლებისა და გამოცდების ჩაბარების დროისათვის კურსების მიხედვით მიცემული შევებულების ხანგრძლივობა, სპეციალობის გათვალისწინებით, შეიძლება შეიცვალოს, როგორც გამოწვევის, დადგენილი წესით, სწავლების მთელი დროისათვის ამ შევებულების საერთო ხანგრძლივობის ფარგლებში.

საღამოს და დაუსწრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებსა და მოსწავლეებს სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებისათვის ეძლევათ შევებულება 30 კალენდარული დღით.

საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს სადიპლომო პროექტის (ნაშრომის) მომზადებისა და დაცვის პერიოდისათვის ეძლევათ შევებულება 4 თვის ხანგრძლივობით, ხოლო საღამოს და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებს — 2 თვით.

**მუხლი 191.** ხელფასის შენარჩუნება სწავლასთან დაკავშირებული შევებულების დროს  
შევებულების დროს, რომელიც ეძლევათ საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლასთან დაკავშირებით, მუშებსა და მოსამსახურეებს შეუენარჩუნდებათ ხელფასი დადგენილი წესით.

**მუხლი 192.** შევებულება არჩეული სპეციალობით სამუშაოს გასაცნობად და სადიპლომო პროექტისათვის მასალების მოხაზად

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება აქვს შესაბამისი სასწავლებლების რეკომენდაციით საღამოსა და დაუსწრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების უკანასკნელი კურსის მოსწავლეებს დამატებით მისცეს ერთი თვის

უხელფასო შევებულება უშუალოდ წარმოებაში არჩეული სპეციალობით — სამუშაოს გასაცნობად და სადიპლომო პროექტისათვის. მასალების მოხაზადგებად. შევებულების განმავლობაში სტუდენტებსა და მოსწავლეებს ენაშენება სტიპენდია საერთო საფუძველზე.

**მუხლი 193.** დაუსწრებელი სასწავლებლის ადგილამდე მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია დაუსწრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებს უნაზღაურებს მგზავრობის ღირებულებას ლაბორატორიულ სამუშაოთა შესრულების, ჩათვლების და გამოცდების ჩაბარების მიზნით სასწავლებლის ადგილამდე ჩასვლისა და უკან დაბრუნებისათვის, წელიწადში ერთხელ, მგზავრობის ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით.

ამას გარდა, ასეთივე ოდენობით ანაზღაურდება მგზავრობა სადიპლომო პროექტების (ნაშრომების) მომზადებისა და დაცვისათვის ან სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებისათვის.

თავი XV

შრომითი დავა

**მუხლი 194.** ორგანოები, რომლებიც განიხილავენ შრომითი დავას.

- შრომითი დავის განიხილავენ;
1) შრომითი დავის კომისიები;
2) პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები;
3) რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები.

ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთა შრომითი დავის განიხილავენ ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოები (მუხლი 213-ე).

**მუხლი 195.** შრომითი დავის განხილვის წესი  
შრომითი დავის კომისიებისა და პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების მიერ შრომითი დავის განხილვის წესს აწესრიგებს დებულება შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ და ეს კოდექსი.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ შრომითი დავის განხილვის წესს განსაზღვრავს დებულება შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ, ეს კოდექსი და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი.

### მუხლი 196. შრომითი დავის კომისია

შრომითი დავის კომისია აუცილებელი პირველადი ორგანოა, რომელიც განიხილავს საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში წარმოქმნილ შრომითს დავას, ერთს მხრივ მუშა-მოსამსახურეებს და, მეორე მხრივ, ადმინისტრაციას შორის, გარდა იმ დავისა, რომელიც კანონის თანახმად ჟუსუალოდ უნდა განიხილოს რაიონულმა (საქალაქო) სახალხო სასამართლომ ან სხვა ორგანომ.

კომისია გადაწყვეტილებას იღებს მხარეთა შეთანხმებით.

### მუხლი 197. შრომითი დავის კომისიების ორგანიზაცია

შრომითი დავის კომისიები იქმნება საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტისა და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის წარმომადგენლების თანაბარი რაოდენობით.

თითოეული მხარის წარმომადგენელთა რაოდენობა წესდება პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტისა და ადმინისტრაციის შეთანხმებით. მხარეთა წარმომადგენლებს კომისიაში გამოყოფენ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის რწმუნებულების ვადით. პროფესიული კავშირის წარმომადგენლად შრომითი დავის კომისიაში გამოიყოფა პროფესიული კავშირის კომიტეტის წევრი.

იმ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სადაც არ არის პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი, შრომითი დავის კომისია იქმნება პროფესიული კავშირის ორგანიზატორისა და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის შემაღვენლობით.

### მუხლი 198. შრომითი დავის განხილველ კომისიაში განცხადებათა მიღების წესი და შრომითი დავის განხილვის ვადა

შრომითი დავის განხილველ კომისიაში განცხადებათა მიღებას აწარმოებს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი, ხლო იქ, სადაც ასეთი არ არის, — პროფორგანიზატორი.

კომისია ვალდებულია შრომითი დავა განიხილოს ხუთ დღეში განცხადების მიღების დღიდან.

### მუხლი 199. შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილება

კომისიის გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს და არავითარ დამტკიცებას არ საჭიროებს.

### მუხლი 200. შრომითი დავის განხილვა იმ

შემთხვევაში, როცა მხარეები ვერ შეთანხმდებიან შრომითი დავის კომისიაში. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

თუ შრომითი დავის კომისიაში დავის განხილვისას ვერ შეთანხმდნენ პროფესიული კავშირის კომიტეტისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მუშას ან მოსამსახურეს უფლება აქვს კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერის მისთვის ჩაბარებიდან ათი დღის ვადაში მიმართოს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტს განცხადებით დავის გადაჭრის შესახებ.

შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილება მუშას ან მოსამსახურეს შეუძლია იმავე ვადაში გასაჩივროს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტში.

იმ შემთხვევაში, როდესაც მუშა ან მოსამსახურე არ ეთანხმება გადაწყვეტილებას შრომითი დავის შესახებ, რომელიც გამოიტანა კომისიამ პროფკავშირული ორგანიზატორისა და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის შემაღვენლობით ან ამ კომისიაში მხარეთა შეთანხმების მიუღწევლობისას, მას შეუძლია იმავე ვადაში მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს განცხადებით შრომითი დავის გადაჭრის შესახებ.

### მუხლი 201. შრომითი დავის განხილვა პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის მიერ

პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები შრომით დავას განიხილვენ მუშების და მოსამსახურეების განცხადებით იმ შემთხვევაში, თუ შრომითი დავის კომისიაში მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, აგრეთვე, როდესაც მუშებსა და მოსამსახურეებს საჩივარი შეაქვთ ამ კომისიის გადაწყვეტილებაზე.

იმ შრომითი დავის განხილვისას, რომელზედაც კომისიაში ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტს გამოაქვს დადგენილება დავის არსის გამო.

შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვის დროს საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტს შეუძლია ძალაში დატოვოს კომისიის გადაწყვეტილება ან გააუქმოს იგი და გამოიტანოს დადგენილება დავის არსის გამო.

პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი მოვალეა შრომითი დავა განიხილოს შვიდ დღეში დღიდან განცხადების ან საჩივრის მიღებისა.

პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტს საკუთარი ინიცია-

ტივით ან პროკურორის პროტესტით აღქმვას კომისიის გადაწყვეტილებას, რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, და გამოაქვს დადგენილება დავის არსის გამო.

**მუხლი 202. პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის მიერ განხილული შრომითი დავის სასამართლოსათვის გადაცემის შემთხვევები**

თუ მუშა ან მოსამსახურე არ ეთანხმება პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის მიერ შრომითს დავაზე გამოტანილ გადაწყვეტილებას, განცხადებით შრომითი დავის განხილვის შესახებ მას შეუძლია მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს ათი დღის ვადაში საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილების ხელზე მიღების დღიდან.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას შრომითი დავის გადასაჭრელად შეუძლია ზემოთ აღნიშნულ ვადაში მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს, თუ მას მიაჩნია, რომ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის მიერ გამოტანილი დადგენილება შრომითი დავის შესახებ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

**მუხლი 203. შრომითი დავის განხილვა რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში**

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები შრომითს დავას განიხილავენ:

1) მუშათა და მოსამსახურეთა განცხადებით, — როცა ისინი არ ეთანხმებიან პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებას ან ადმინისტრაციის განცხადებით, — როცა მას მიაჩნია, რომ საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

2) მუშათა და მოსამსახურეთა განცხადებით, — როცა ისინი არ ეთანხმებიან შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილებას, რომლის შემადგენლობაში შედიან პროფკავშირული ორგანიზატორი და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან როცა ამ კომისიაში მხარეები ვერ შეთანხმდნენ, აგრეთვე, როცა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში არ არის პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი და პროფკავშირული ორგანიზატორი.

გარდა ამისა, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები, უშუალოდ, შრომითი დავის კომისიისა და საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტისათვის მიუმართავად შრომით დავას განიხილავენ:

1) იმ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე აღდგენის შესახებ განცხადებით, რომლებიც დათხოვნილი არიან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ინიციატივით, გარდა იმ მუშაკთა დავისა, რომელთა თანამდებობანი გათვალისწინებულია განსაკუთრებული ნუსხით (მუხლი 213-ე);

2) ადმინისტრაციის განცხადებით საწარმო-სათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მუშებისა და მოსამსახურეების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

უშუალოდ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში განიხილავენ აგრეთვე მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის არსებულ შრომითს დავას შრომის კანონმდებლობის გამოყენების ისეთ საკითხზე, რომელიც ამ მუშაკის მიმართ მანამდე ჰქონდა გადაწყვეტილი ადმინისტრაციას პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტთან შეთანხმებით, მათთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში.

**მუხლი 204. შრომითი დავის გადასაწყვეტად მიმართვის ვადები**

მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ მიმართონ შრომითი დავის კომისიას ნებისმიერ დროს, რაიმე ხანდაზმულობის ვადით შეუზღუდავად, ხოლო დათხოვნის საქმეთა გამო — რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დათხოვნის ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

მუშაკის მიერ საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ადმინისტრაციას შეუძლია მიმართოს სასამართლოს შემდეგ ვადებში:

1) ამ კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ერთი თვის განმავლობაში მუშაკის მიერ მიყენებული ზიანის გამოძღვევების დღიდან;

2) ამ კოდექსის 119-ე მუხლის მეორე ნაწილით და 120-ე, 121-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ერთი წლის განმავლობაში მუშაკის მიერ მიყენებული ზიანის გამოძღვევებიდან.

თუ ამ მუხლით დადგენილი ვადები გასულია და მოსარჩელეს აქვს საპატიო მიზეზები, სასამართლოს შეუძლია აღადგინოს ეს ვადები.

**მუხლი 205. მუშებისა და მოსამსახურეების განთავისუფლება სასამართლო ხარჯებისაგან, როდესაც ისინი სასამართლოს მიმართავენ შრომის საქმეებზე**

მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც სასამართლოს მიმართავენ შრომითი სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნების თაობაზე, თავისუფალი არიან სა-



ხელშეწოვას შემოსავალში ჩასარიცხი სასამართლო ხარჯებისაგან (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები).

**მუხლი 206. სამუშაოზე აღდგენა**

კანონიერი საფუძვლის გარეშე ან დადგენილი წესის დარღვევით დათხოვნის ან სხვა სამუშაოზე უკანონოდ გადაყენების დროს მუშა ან მოსამსახურე სამუშაოზე უნდა აღადგინოს იმ ორგანომ, რომელიც განიხილავს შრომითს დაეცა.

**მუხლი 207. შრომის ანაზღაურება იძულებით გაცდენილი ან დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროისათვის**

სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ და წინანდელ სამუშაოზე აღდგენილ მუშას ან მოსამსახურეს სასამართლოს გადაწყვეტილებით აუნაზღაურდება იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან. მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა. სასამართლოს გადაწყვეტილებით ასეთივე ოდენობით აუნაზღაურდება იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დროის ხელფასი მაშინაც, როდესაც შრომის წიგნაკში არასწორად არის ფორმულირებული დათხოვნის მიზეზი, რაც მუშას ან მოსამსახურეს ხელს უშლიდა მოწყობილიყო ახალ სამუშაოზე.

სამუშაო ხელფასი იძულებით გაცდენილი დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა, მუშაკს შეიძლება მისცენ აგრეთვე შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილებით, პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებით.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც უკანონოდ გადაიყენეს სხვა სამუშაოზე და შემდგომ აღადგინეს წინანდელ სამუშაოზე, დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებით ან დადგენილებით იძულებით გაცდენილი დროისათვის ეძლევათ სამუშაო ხელფასი ან სხვაობა დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა.

უკანონოდ დათხოვნის ან გადაყენების შემთხვევაში იძულებით გაცდენილი დროის ანაზღაურება, აგრეთვე დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროს ხელფასის სხვაობის ანაზღაურება შეუძლია საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ადმინისტრაციას მაშინაც, როცა არ არსებობს შრომითი დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება ან დადგენილება.

**მუხლი 208. შრომითი დავის გამო ზოგიერთი გადაწყვეტილებისა და დადგენილების დაუყოვნებლივ აღსრულება**

შრომითი დავის განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან დადგენილება უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყენილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს. თუ ადმინისტრაციამ დააყოვნა ასეთი გადაწყვეტილების ან დადგენილების აღსრულება, მუშაკს დაეკისრება დროისათვის ეძლევა სამუშაო ხელფასი ან ხელფასის სხვაობა გადაწყვეტილების ან დადგენილების გამოტანის დღიდან მისი აღსრულების დღემდე.

დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილება მუშის ან მოსამსახურისათვის ხელფასის მიცემის შესახებ, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვის ხელფასისა.

**მუხლი 209. მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრება თანამდებობის პირისათვის, რომელსაც ბრალი მიუძღვის უკანონო დათხოვნას ან გადაყენებაში ან სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დაუყოვნებაში**

იმ თანამდებობის პირს, რომელსაც ბრალი მიუძღვის მუშაკის უკანონო დათხოვნას ან სხვა სამუშაოზე გადაყენებაში, სასამართლო აკისრებს ვალდებულებას აუნაზღაუროს საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ზიანი, რომელიც დაკავშირებულია იძულებით გაცდენილი ან დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროის ანაზღაურებასთან. თანამდებობის პირს ასეთი მოვალეობა ეკისრება მაშინ, თუ დათხოვნა ან გადაყენა მოხდა კანონის აშკარა დარღვევით ან ადმინისტრაციამ დააყოვნა სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება. ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობის პირის სამი თვის სარგოს.

**მუხლი 210. ადმინისტრაციის მიერ შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილებათა და საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების დადგენილებათა აღსრულების ვადები**

შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილება და პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება შრომითი დავის შესახებ, თუ მასში აღნიშნული არ არის შესრულების ვადა, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ უნდა აღსრულოს ათ დღეში, გარდა ამ კოდექსის 208-ე მუხლში მითითებული შემთხვევებისა.

**მუხლი 211. შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილების და საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილების იძულებითი აღსრულება**

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია 208-ე და 210-ე მუხლებში აღნიშნული ვადის განმავლობაში არ შეასრულებს შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილებას ან პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი

საქართველო  
საბჭოთაო

კომიტეტის დადგენილებას შრომითი დავის არსის შესახებ, საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი მუშას ან მოსამსახურეს აძლევს მოწმობას, რომელსაც აღმასრულებელი ფურცლის ძალა აქვს.

მოწმობას იმ გადაწყვეტილების აღსრულებით, რომელიც გამოიტანა კომისიამ პროფკავშირული ორგანიზაციისა და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის შემადგენლობით, ვასცემს ზემდგომი პროფკავშირული ორგანო.

მოწმობის მისაღებად მუშას ან მოსამსახურეს შეუძლია მიმართოს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მას ჩააბარებენ შრომითი დავის კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერს ან პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებას.

მოწმობა საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილების აღსრულებისათვის არ ვიცემა, თუ მუშაკმა ან აღმინისტრაციამ დადგენილ ვადაში მიმართა რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შრომითი დავის გადასაჭრელად.

პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის მიერ ვაცემული მოწმობის საფუძველზე, რომელიც რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს წარედგინა არაუგვიანეს სამი თვის ვადისა, სასამართლო აღმასრულებელი იძულებითი წესით აღასრულებს შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილებას ან საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებას.

**მუხლი 212.** იმ თანხების გადახდევინების შესუღღვა, რომლებიც ვაცემულია შრომითი დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებით.

მუშის ან მოსამსახურისათვის იმ თანხის უკანვე გადახდევინება, რომელიც მან მიიღო შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილებით ან პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებით, თუ შრომითი დავა შემდგომში სხვაგვარად ვადაწყდა, აგრეთვე შრომითი დავის გამო სასამართლოს გადაწყვეტილებით ვაცემული თანხის უკანვე გადახდევინება; თუ გადაწყვეტილება გაუქმებული იყო ზედამხედველობის წესით, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც გაუქმებული გადაწყვეტილება ან დადგენილება ემყარებოდა მუშის ან მოსამსახურის მიერ მიწოდებულ ყალბ ცნობებს ან მის მიერ წარმოდგენილ ყალბ საბუთებს.

**მუხლი 213.** შრომის დავის განხილვა ხელშეწყობის წესით ზემდგომი ორგანოების მიერ დავას იმ მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნისა

და სხვა სამუშაოზე გადაყვანის, აგრეთვე შრომის დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ, რომელთაც უკავიით განსაკუთრებულ ნუსხაში ჩამოთვლილი თანამდებობები, განიხილავენ ხელშეწყობის წესით ზემდგომი ორგანოები. ამავე წესით განიხილავენ დავას იმ მუშაკებისათვის დისციპლინური სასჯელის დადების თაობაზე, რომლებსაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ წესდებებით დისციპლინის შესახებ.

**მუხლი 214.** ხელშეწყობის წესით ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი ვაცდენის ანაზღაურება

ხელშეწყობის წესით ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით წინანდელ სამუშაოზე მუშაკის აღდგენის შემთხვევაში მუშაკს აუნაზღაურდება იძულებით ვაცდენილი დროის ხელფასი სამუშაოდან დათხოვნის დღიდან ან აუნაზღაურდება ხელფასი დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა. ამასთან შესაბამისად გამოყენებულ უნდა იქნეს ამ კოდექსის 207-ე—209-ე მუხლები.

**მუხლი 215.** შრომის პირობების დაწესების ან შეცვლის გამო დავის განხილვის წესი

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაციასა და მუშაკს შორის შრომის ახალი პირობების დაწესების ან არსებული პირობების შეცვლის გამო წამოჭრილ დავას, რასაც არ აწესრიგებს შრომის კანონმდებლობა ან სხვა ნორმატიული დებულებები შრომის შესახებ, განიხილავს აღმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო თუ შეთანხმებას ვერ მიალწვევენ, დავა გადაწყდება ზემდგომ პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს შორის მიღწეული შეთანხმებით.

**მუხლი 216.** შრომის პირობების დაწესების ან შეცვლის საკითხზე პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტსა და აღმინისტრაციას შორის არსებული უთანხმოების განხილვის წესი

უთანხმოება, რომელიც საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში შრომის პირობების დაწესების ან შეცვლის გამო წამოიჭრება პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტსა და აღმინისტრაციას შორის, გადაწყდება ზემდგომ პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს შორის მიღწეულ შეთანხმებით.



თავი XVI

**პროფესიული კავშირები, მუშათა და მოსამსახურეთა მონაწილეობა წარმოების მართვაში**

**მუხლი 217.** მუშებისა და მოსამსახურეების პროფესიულ კავშირებში გაერთიანების უფლება

სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კონსტიტუციების შესაბამისად მუშებსა და მოსამსახურეებს უზრუნველყოფილი აქვთ პროფესიულ კავშირებში გაერთიანების უფლება:

პროფესიული კავშირები მოქმედებენ მათ მიერ მიღებული წესდებების შესაბამისად და არ საჭიროებენ რეგისტრაციას სახელმწიფო ორგანოში.

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველნაირად შეუწყონ ხელი პროფესიული კავშირების საქმიანობას.

**მუხლი 218.** პროფესიული კავშირების უფლებები

პროფესიული კავშირები წარმოადგენენ მუშებისა და მოსამსახურეების ინტერესებს წარმოების, შრომის, ყოფაცხოვრების და კულტურის დარგში.

პროფესიული კავშირები მონაწილეობენ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შემუშავებასა და რეალიზაციაში, მატერიალური და ფინანსური რესურსების განაწილებისა და გამოყენების საკითხების გადაწყვეტაში, მუშებსა და მოსამსახურეებს ჩააბამენ წარმოების მართვაში, ორგანიზაციას უწყევენ სოციალისტურ შეჯიბრებას, მასობრივ-ტექნიკურ შემოქმედებას, ხელს უწყობენ საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

შრომის პირობებისა და ხელფასის დადგენას, შრომის კანონმდებლობის გამოყენებას, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გამოყენებას იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით ახორციელებენ საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მათი ზემდგომი ორგანოები პროფესიულ კავშირებთან ერთად ან მათთან შეთანხმებით.

პროფესიული კავშირები ზედამხედველობასა და კონტროლს უწყევენ შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის წესების შესრულებას, აკონტროლებენ მუშებისა და მოსამსახურეების საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურებას.

პროფესიული კავშირები განავევენ სახელმ-

წიფო სოციალურ დაზღვევას, აგრეთვე მათ გამგებლობაში მყოფ სანატორიუმებს, პროფესიულ კავშირებსა და დასასვენებელ სახლებს, კულტურულ-საგანმანათლებლო, ტურისტულ და სპორტულ დაწესებულებებს.

პროფესიულ კავშირებს საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს სახით აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

**მუხლი 219.** მუშებისა და მოსამსახურეების უფლება მონაწილეობდნენ წარმოების მართვაში

მუშებსა და მოსამსახურეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ წარმოების განვითარების საკითხთა განხილვასა და გადაწყვეტაში, შეიტანონ წინადადებები საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, აგრეთვე სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე.

**მუხლი 220.** წარმოების მართვაში მუშებისა და მოსამსახურეების მონაწილეობის ფორმები

წარმოების მართვაში მუშები და მოსამსახურეები მონაწილეობენ პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახალხო კონტროლის ორგანოების, მუშათა და მოსამსახურეების საერთო კრებების, საწარმოო თათბირების, კონფერენციებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვადასხვა ფორმის საშუალებით.

პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი მონაწილეობს საწარმოო გეგმების, ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის კაპიტალური მშენებლობის გეგმათა პროექტების და საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისა და შეკეთების, აგრეთვე კოლექტივის სოციალური განვითარების გეგმათა პროექტების შემუშავებაში.

**მუხლი 221.** ადმინისტრაციის მოვალეობა შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშებისა და მოსამსახურეების მონაწილეობას წარმოების მართვაში

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ადმინისტრაცია მოვალეა შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშებისა და მოსამსახურეების მონაწილეობას წარმოების მართვაში.

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების თანამდებობის პირები მოვალენი არიან დროულად განიხილონ მუშებისა და მოსამსახურეების კრიტიკული შენიშვნები და წი-



ნადიდებანი და აცნობონ მათ მიღებულ ღონისძიებათა შესახებ.

**მუხლი 222. პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ურთიერთობა ადმინისტრაციასთან**

პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ურთიერთობას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონი პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა შესახებ.

**მუხლი 223. პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის უფლებები**

პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი:

1) წარმოადგენს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშებისა და მოსამსახურეების ინტერესებს წარმოების, შრომის, ყოფაცხოვრების, კულტურის დარგში;

2) ადმინისტრაციასთან ერთად ანაწილებს მატერიალური წახალისების ფონდსა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდს დაწესებული მიმართულებით, ამტკიცებს ამ ფონდების ხარჯთაღრიცხვას, აგრეთვე განსაზღვრავს პრემიებისა და წახალისების, მატერიალური დახმარებისა და საწარმოს, ორგანიზაციის წლიური მუშაობის შედეგებისათვის დაჯილდოების სხვა სახეობებს მატერიალური წახალისების ფონდიდან;

3) ისმენს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მოხსენებას საწარმოო გეგმის, კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების, შრომის ორგანიზაციისა და შრომის პირობების გაუმჯობესების, მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების ღონისძიებათა შესრულების შესახებ და მოსთხოვს მათ გამოეყენონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას;

4) ადმინისტრაციასთან ერთად აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, მოძრაობას შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის და აჯამებს შედეგებს, განსაზღვრავს შეჯიბრებაში გამარჯვებულებს, ანიჭებს საწარმოს, ორგანიზაციის მოწინავე საამქროებს, განყოფილებებს, ბრიგადებისა და სხვა შინაგანი რგოლების კოლექტივებს გარდამავალ წითელ დროშებს, საპატიო სიგელებს, გადაწყვეტს სიგელითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოების, აგრეთვე საპატიო დაფაზე და საპატიო წიგნში წარმოების მოწინავეთა შეტანის საკითხს, ფარ-

თო პოპულარიზაციას უწყევს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, აგრეცელებს მოწინავე გამოცდილებას; სოციალისტურ შეჯიბრებაში პრემიების მიღელ სახსრებს ხარჯავს საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტთან შეთანხმებით;

5) ყოველწლიურად უწყობს ხელს გამომგონებლობის და რაციონალიზაციის განვითარებას და კონტროლს უწყევს მიღებულ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დროულად დანერგვას, საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან ერთად განიხილავს მუშათა და მოსამსახურეთა საჩივრებს შათი რაციონალიზატორული წინადადებების უარყოფის გამო, აგრეთვე საჩივრებს მიღებულ რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებისათვის გასამრჯელოს დარიცხვის წესისა და გაცემის ვადების საკითხებზე;

6) მონაწილეობს შრომისა და ხელფასის საკითხთა გადაწყვეტაში, რაც კანონმდებლობის თანახმად, უნდა გადაწყვიტოს ადმინისტრაციის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტთან ერთად ან მასთან შეთანხმებით;

7) კონტროლს უწყევს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონმდებლობის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესებისა და ნორმების შესრულებას, შრომის ანაზღაურების დაწესებული პირობების სწორად გამოყენებას;

8) განიხილავს საჩივარს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებაზე სამუშაოსთან დაკავშირებულ დისციპლინის ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების გამო მუშის და მოსამსახურისათვის მიყენებულ ზარალს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ ანაზღაურების შესახებ;

9) ახორციელებს მუშათა და მოსამსახურეთა სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას, უნიშნავს მათ დახმარებას სოციალური დაზღვევის ხაზით, ადმინისტრაციასთან ერთად ამზადებს საბუთებებს, რომლებიც საჭიროა მუშების, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის პენსიის დანიშვნისას, წარადგენს მათ პენსიის დასანიშნავად, გზავნის მუშებსა და მოსამსახურეებს სანატორიუმებში, პროფილაქტიკურებში და დასასვენებელ სახლებში, ამოწმებს მუშების, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციას;

10) ადმინისტრაციასთან ერთად, დადგენილი წესით, ანაწილებს საცხოვრებელ ფონდს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სახლებში, აგრეთვე იმ საცხოვრებელ ფონდს,



რომელსაც მათს განკარგულებაში გადასცემენ სხვა სახლებში.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელ სამეურნეო თანამდებობაზე მუშაკთა დანიშვნას აწარმოებს ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის აზრის გათვალისწინებით.

პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტს აქვს აგრეთვე სხვა უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

**მუხლი 224. პროფესიული კავშირების ორგანოთა უფლებამოსილება**

შრომის კანონმდებლობის დაცვის, შრომის დაცვის წესებისა და კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულების და მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურების კონტროლის განსახორციელებლად პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის წევრებს და ზემდგომ პროფკავშირულ ორგანოებს, აგრეთვე ამ ორგანოების სხვა უფლებამოსილ წარმომადგენლებს, უფლება აქვთ:

დაუბრკოლებლად შევიდნენ და დაათვალიერონ საამქროები, განყოფილებები, სახელოსნოები და სხვა სამუშაო ადგილები საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

მოთხოვონ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის შესაბამისი დოკუმენტები, ცნობები და განმარტებანი, აგრეთვე შეამოწმონ ხელფასის ანგარიშსწორება;

შეამოწმონ სავაქრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობა, აგრეთვე იმ პოლიკლინიკის, საბავშვო ბაღის, ბავის, საერთო საცხოვრებლის, აბანოს და სხვა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაობა, რომლებიც მომსახურებას უწყვენ მოცემულ საწარმოს, დაწესებულებას; ორგანიზაციას.

პროფკავშირულ ორგანოებს, როცა აუცილებელია, შესაბამის ორგანიზაციებში შეაქვთ წინადადებები იმ პასუხისმგებელი მუშაკების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც არღვევენ შრომის კანონმდებლობას და შრომის დაცვის წესებს. ეს ორგანიზაციები მოვალენი არიან ერთი თვის ვადაში აცნობონ პროფკავშირულ ორგანოს მიღებული ზომების შესახებ.

**მუხლი 225. პროფკავშირული ორგანოებისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ფულადი სახსრების ვადარიცხვა კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურული მუშაობისათვის**

საწარმოები და ორგანიზაციები მოვალენი

არიან პროფკავშირულ ორგანოებს გადაურიცხონ ფულადი სახსრები კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურული მუშაობისათვის.

**მუხლი 226. პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტისათვის სადგომის, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებების გამოყოფა**

საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია მთავალა პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტს უფასოდ გამოუყოს კომიტეტის მუშაობისა და მუშებისა და მოსამსახურეების კრებების ჩატარებისათვის აუცილებელი სადგომი ყველა მიწყობილობით, გათბობით, განათებით, დასუფთავებით და დაცვით.

ადმინისტრაცია საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტს უფასოდ გამოუყოფს სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებს.

**მუხლი 227. პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტისათვის შენობების, სადგომების, ნაგებობების, ბანებისა და პარკების გამოყოფა კულტურულ-საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელი, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ჩასატარებლად**

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშებსა და მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს შორის კულტურულ-საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელი, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ჩასატარებლად განკუთვნილი შენობები, სადგომები, ნაგებობანი, ბანები და პარკები, აგრეთვე პიონერთა ბანაკები არიან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ბალანსზე და უფასო სარგებლობაში გადაეცემათ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტს.

პროფესიული კავშირის კომიტეტს აგრეთვე უფასო სარგებლობაში გადაეცემა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ იჯარით აღებული, ამ მიზნისათვის განკუთვნილი შენობები, სადგომები და ნაგებობანი. ამ მუხლში აღნიშნული შენობების, სადგომებისა და ნაგებობების, აგრეთვე პიონერთა ბანაკის სამეურნეო მოვლა-პატრონობა, შეკეთება, გათბობა, განათება, დასუფთავება, დაცვა, აგრეთვე მათი მოწყობა ზდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხარჯზე.

**მუხლი 228. დამატებითი გარანტია არჩევითი პროფკავშირული მუშაკებისათვის**

მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც არჩეული არიან პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი, საამქრო კომიტეტის შემადგენლობაში და განთავისუფლ-



ბუღალტერი არ არიან თავიანთ სიწარმოთ სამუშაოსა-  
გან, არ შეიძლება გადაყვანილ იქნენ სხვა სა-  
მუშაოზე ან მათ დაადონ დისციპლინური სას-  
ჯელი პროფესიული კავშირის საფაბრიკო, სა-  
ქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის წინასწარი  
თანხმობის გარეშე, ხოლო ამ კომიტეტების თავ-  
მჯდომარეები და პროფკავშირული ორგანიზა-  
ტორები — ზემდგომი პროფკავშირული ორგა-  
ნოს წინასწარი თანხმობის გარეშე.

ადმინისტრაციის ინიციატივით პროფესიული  
კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრი-  
ვი კომიტეტების ამ თავმჯდომარეებისა და  
წევრების დათხოვნა, რომლებიც განთავისუფ-  
ლებული არ არიან საწარმოო სამუშაოდან, შე-  
იძლება, დათხოვნის საერთო წესის დაცვის  
გარდა, მხოლოდ ზემდგომი პროფკავშირული  
ორგანოს თანხმობით. პროფკავშირული ორგა-  
ნიზატორების სამუშაოდან დათხოვნა ადმინისტ-  
რაციის ინიციატივით შეიძლება მხოლოდ  
ზემდგომი პროფკავშირული ორგანოს თანხმო-  
ბით.

თავი XVII

სახელმწიფო სოციალური დაზღვევა

მუხლი 229. სოციალური დაზღვევის გავრ-  
ცელება ყველა მუშასა და მოსამსახურეზე  
სავალდებულოა ყველა მუშისა და მოსამსა-  
ხურის სახელმწიფო სოციალური დაზღვევა.

მუხლი 230. სოციალური დაზღვევის სახსრები  
მუშათა და მოსამსახურეთა სახელმწიფო  
სოციალური დაზღვევა ხორციელდება სახელ-  
მწიფოს ხარჯზე, სოციალური დაზღვევის შე-  
სატანს იხდიან საწარმოები, დაწესებულებები,  
ორგანიზაციები მუშებისა და მოსამსახურეების  
ხელფასიდან რაიმე დაქვითვის გარეშე. საწარ-  
მოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ სა-  
დაზღვევო შესატანის გადაუხდელობა მუშებ-  
სა და მოსამსახურეებს არ ართმევს სახელმწი-  
ფო დაზღვევის წესით უზრუნველყოფის უფ-  
ლებას.

მუხლი 231. სოციალური დაზღვევის წესთ  
უზრუნველყოფის სახეები

მუშები და მოსამსახურეები, ხოლო შესაბა-  
მის შემთხვევაში, მათი ოჯახის წევრებიც, სა-  
ხელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით უზ-  
რუნველყოფილი არიან:

- 1) დახმარებით დროებითი შრომისუუნარო-  
ბის გამო, ხოლო ქალები, გარდა ამისა, დახმა-  
რებით ორსულობისა და მშობიარობის გამო;
- 2) დახმარებით ბავშვის დაბადების გამო;  
დახმარებით დასაფლავებისათვის;
- 3) პენსიებით მოხუცებულობის, ინვალიდო-

ბის, მარჩენალის დაკარგვის გამო, აგრეთვე  
პენსიებით წელთა ნამსახურობისათვის, რომ-  
ლებიც დაწესებულია ზოგიერთი კატეგორიის  
მუშაკებისათვის.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახს-  
რებს იყენებენ აგრეთვე მუშებისა და მოსამ-  
სახურეების სანატორიულ-საკურორტო მკუ-  
რნალობისათვის, პროფილაქტიკურებითა და  
დასასვენებელი სახლებით მათი მომსახურე-  
ბისათვის, სამკურნალო (დიეტური) კვებისათვის,  
პიონერთა ბანაკების შენახვისა და სახელმწი-  
ფო სოციალური დაზღვევის სხვა ღონისძიებ-  
ბისათვის.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახს-  
რები შეიძლება დაინარჯოს მხოლოდ მათი  
პირდაპირი დანიშნულებით.

მუხლი 232. დახმარება დროებითი შრომის-  
უუნარობის გამო

დახმარება დროებითი შრომისუუნარობის  
გამო მთლიანი ხელფასის ოდენობამდე მუშაკს  
ეძლევა ავადმყოფობის, დასახიჩრების, დაავა-  
დებისთან დაკავშირებით სხვა სამუშაოზე დრო-  
ებით გადაყვანის, ოჯახის ავადმყოფი წევრის  
მოვლის, კარანტინის, სანატორიულ-საკურორ-  
ტო მკურნალობისა და პროთეზირების შემთხ-  
ვევაში.

ავადმყოფობის ან დასახიჩრების დროს დახ-  
მარება გაიცემა შრომისუუნარობის აღდგენამ-  
დე ან ინვალიდობის დადგენამდე.

მუხლი 233. დახმარება ორსულობისა და  
მშობიარობის გამო

დახმარებას ორსულობისა და მშობიარობის  
გამო გასცემენ ორსულობისა და მშობიარობის-  
ათვის აღებული მთელი შვებულების განმავ-  
ლობაში ხელფასის ორი მესამედისა და მთლიან  
ოდენობამდე.

მუხლი 234. საპენსიო უზრუნველყოფა

მუშებსა და მოსამსახურეებს პენსიები მო-  
ხუცებულობისა და ინვალიდობის გამო და პენ-  
სიები ოჯახის წევრებს მარჩენალის დაკარგვის  
გამო დაენიშნებათ სახელმწიფო პენსიების შე-  
სახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებისათვის დად-  
გენილი პენსიები წელთა ნამსახურობისათვის  
დაინიშნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს  
დადგენილებების შესაბამისად.

მუხლი 235. მოხუცებულობის პენსიები

მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლება  
აქვთ მუშებსა და მოსამსახურეებს;

მათაგან — რომლებსაც შეუძრულათ იმ  
წელი და აქვთ მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ  
25 წლისა;

ქალებს — რომლებსაც შეუძრულათ 55



წელს და იქით მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 20 წლისა;

შეღავათიანი პირობებით ასაკის და სტაჟის ან მხოლოდ ასაკის შემცირებით მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლება აქვთ: მუშებსა და მოსამსახურეებს; რომლებიც მუშაობენ მიწისქვეშა სამუშაოებზე, შრომის მავნებლობიან სამუშაოებზე და ცხელ საამქროებში, შრომის მძიმე პირობებთან სხვა სამუშაოებზე, საფეიქრო მრეწველობაში მომუშავე ქალებს წარმოებათა და პროფესიათა სიის მიხედვით: ქალებს, რომლებმაც შობეს ხუთი და მეტი შვილი და აღზარდეს ისინი რვა წლის ასაკამდე; მუშებსა და მოსამსახურეებს — ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდნენ სსრ კავშირის დაცვის დროს, ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების გამო ან დაინვალიდნენ იმ ავადმყოფობის შედეგად, რომელიც ფრონტზე ყოფნასთან იყო დაკავშირებული: ზოგიერთი სხვა კატეგორიის მუშებსა და მოსამსახურებს.

**მუხლი 236. პენსიები ინვალიდობის და მარჩენალის დაკარგვის გამო**

პენსიები ინვალიდობის და მარჩენალის დაკარგვის გამო ენიშნებათ იმ შემთხვევებში, როდესაც მუშაკის დაინვალიდება ან მარჩენალის გარდაცვალება გამოწვეულია შრომითი დასახიჩრებით, პროფესიული დაავადებით. საერთო დაავადებით ან დასახიჩრებით, რომელიც დაკავშირებული არ იყო სამუშაოსთან.

თავი XVIII

**ზედამხედველობა და კონტროლი შრომის კანონმდებლობის შესრულებაზე**

**მუხლი 237. შრომის კანონმდებლობის შესრულებაზე ზედამხედველობის და კონტროლის ორგანოები**

შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის წესების შესრულებაზე ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებენ:

- 1) სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები და ინსპექციები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში არ არიან დამოკიდებული საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისაგან და მათი ზემდგომი ორგანოებისაგან;
- 2) პროფესიული კავშირები, აგრეთვე მათ გამგებლობაში მყოფი ტექნიკური და შრომის სამართლებრივი ინსპექციები — ამ ინსპექცი-

ების შესახებ პროფკავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებების თანახმად.

შრომელთა დებუტატების საბჭოები და მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები კონტროლს შრომის კანონმდებლობის შესრულებაზე ახორციელებენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

სამინისტროები და უწყებები მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიმართ ახორციელებენ შიგნადაუწყებო კონტროლს შრომის კანონმდებლობის დაცვაზე.

ყველა სამინისტროს, უწყების, საწარმოს, დაწესებულების ორგანიზაციის და მათი თანამდებობის პირთა მიერ შრომის კანონების ზუსტი შესრულების უზადლეს ზედამხედველობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ახორციელებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი როგორც უშუალოდ, ისე საქართველოს სსრ პროკურორის მეშვეობით.

**მუხლი 238. მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი სახელმწიფო ზედამხედველობა**

სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესების დაცვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობას მრეწველობის ზოგიერთ დარგში და ზოგიერთ ობიექტზე (პროფკავშირების საბჭოს ტექნიკურ ინსპექციებთან ერთად) ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი (საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი) და მისი ადგილობრივი ორგანოები კომიტეტის დებულების შესაბამისად.

აღნიშნული ზედამხედველობა ხორციელდება ქვანახშირის, სამთამადნო, სამთოქიმიურ, არამადნეულ, ნავთობმომპოვებელ და გაზომომპოვებელ, ქიმიურ, მეტალურგიულ და ნავთობგაზგადამამუშავებელ მრეწველობაში, გეოლოგიურ-სალაზვერო ექსპედიციებზე და პარტიებში, აგრეთვე მაშინ, როდესაც აწყობენ და ექსპლუატაციას უწყვენ ამწენაგებობებს, აწევის ქვეშ მომუშავე საქვაბე დანადგარებსა და ჭურჭლებს, ორთქლსა და ცხელ წყლის მილგაყვანილობას, გაზის მოპოვებასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ ობიექტებს. მრეწველობაში აფეთქების სამუშაოთა წარმოების დროს.

**მუხლი 239. სახელმწიფო ენერგეტიკული ზედამხედველობა**  
სახელმწიფო ზედამხედველობას იმ ღონის-

დასკვნითი დებულებანი

ძიებათა ჩატარებაზე, რაც უზრუნველყოფს ელექტრო და სითბოგამომყენებელი დანადგარების უსაფრთხო მომსახურებას, ახორციელებენ სახელმწიფო ენერგეტიკული ზედამხედველობის ორგანოები, რომლებიც შედიან სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს სისტემაში — სსრ კავშირში სახელმწიფო ენერგეტიკული ზედამხედველობის დებულების შესაბამისად.

**მუხლი 240. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობა**

სახელმწიფო სანიტარიულ ზედამხედველობას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციების მიერ ჰიგიენური ნორმების, სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიის საწინააღმდეგო წესების დაცვაზე ახორციელებენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოები — სსრ კავშირში სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის დებულების შესაბამისად, ხოლო ზოგიერთ ობიექტზე — სთანადო სამინისტროების და უწყებების სამედიცინო სამსახური.

**მუხლი 241. საზოგადოებრივი კონტროლი შრომის კანონმდებლობის დაცვაზე**

შრომის კანონმდებლობისა და შრომის წესების დაცვის საზოგადოებრივ კონტროლს ახორციელებენ პროფესიული კავშირები, აგრეთვე პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქაზნო, ადგილობრივი კომიტეტის საზოგადოებრივი ინსპექტორები და კომისიები — პროფკავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებული მათი დებულების შესაბამისად.

საზოგადოებრივ სანიტარიულ კონტროლს საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში ახორციელებენ საზოგადოებრივი სანიტარიული ინსპექტორები.

**მუხლი 242. პასუხისმგებლობა შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის**

თანამდებობის პირთ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის წესების დარღვევაში, კოლექტიური ხელშეკრულებებითა და შრომის დაცვის შეთანხმებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობაში ან პროფესიული კავშირების საქმიანობისათვის ხელის შეშლაში, ეკისრებათ პასუხისმგებლობა (დისციპლინური, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლისა) სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 243. ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების შრომის მოწესრიგების თავისებურებანი**

სსრ კავშირის კანონმდებლობით და ამ კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს:

1) შედავთები შრომის დარგში მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც მუშაობენ რესპუბლიკის მაღალშიან რაიონებში, აგრეთვე ზოგიერთი სხვა კატეგორიების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის;

2) სამუშაო დროისა და დასვენების დროის მოწესრიგების თავისებურებანი ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებით დადგენილი ნორმების ფარგლებში.

3) შრომის განსაკუთრებული პირობები მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან სეზონურ სამუშაოებზე ან ხეტის მრეწველობასა და სატყეო მეურნეობაში, დროებით მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, აგრეთვე იმ პირთათვის, რომლებიც მოქალაქეებთან ხელშეკრულებით მუშაობენ (შინამოსამსახურეები და სხვ.), სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებიდან სამუშაო დროისა და დასვენების დროის რეჟიმის, ზეგანაკვეთურ დროს და არასამუშაო დღეებში მუშაობაში ჩაბმის, ამ სამუშაოს კომპენსაციის, სხვა სამუშაოზე დროებითი გადაყვანისა და დათხოვნის თაობაზე ცალკეული გამონაკლისით.

**მუხლი 244. მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობა იმ შემთხვევებში, როდესაც ფაქტიური ზიანის ოდენობა აღემატება მის ნომინალურ ოდენობას**

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებზე შესაბამისად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევებში, როდესაც ზიანის ფაქტიური ოდენობა აღემატება მის ნომინალურ ოდენობას, აწესდენ სსრ კავშირის კანონები და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები.



**მუხლი 245.** ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების შრომის მოწესრიგების სხვა თავისებურებანი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების შრომის მოწესრიგების სხვა თავისებურებები ცალკეულ საკითხებზე შეიძლება დაწესებულ იქნეს მხოლოდ სსრ კავშირის კანონებითა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით.

**მუხლი 246.** სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კომპეტენციის გამოჩენა იმ საკითხებში, რომლებიც გავალისწინებულა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებით

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის გამგებლობას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გავალისწინებულია საფუძვლების ცალკეული მუხლებით, განეკუთვნება იმ წესების დადგენა, რომლებიც განსაზღვრავენ: არაკვალიფიციურ სამუშაოებს, რომლებზეც არ შეიძლება მუშების გადაყვანა მოცდენასთან დაკავშირებით (29-ე მუხლი); ღამით მუშაობის ხანგრძლივობას (47-ე მუხლის მეორე ნაწილი); თვიური ხელფასის მინიმალურ ოდენობას (76-ე მუხლი); ანაზღაურების ოდენობას ნაწილობრივი წუნისათვის (91-ე მუხლის მეხუთე ნაწილი); კომბენსაციებს სამსახურებრივ მივილინებებთან და სხვა ადგილას სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით (115-ე მუხლის მეორე ნაწილი, 116-ე მუხლის პირველი ნაწილი); ღამის სამუშაოებზე ქალთა შრომის შეზღუდვას (157-ე მუხლის პირველი ნაწილი); მუშაკთა კატეგორიებს, რომელთა შრომითი დავა განიხილება ხელქვეითობის წესით (213-ე მუხლი); კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურული მუშაობის ჩასატარებლად პრაქტიკული ორგანოებისათვის ანარიცხების წესსა და ოდენობას (225-ე მუხლი); სახელმწიფო სოციალური დაზღვევით უზრუნველყოფის წესსა და ოდენობას (229-236-ე მუხლები).

სსრ კავშირის გამგებლობას და მის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში, საქართველოს სსრ გამგებლობას განეკუთვნება იმ წესების დადგენა, რომლებიც განსაზღვრავენ: ცალკეული კა-

ტეგორიის მუშაკებისათვის სამუშაო დროის შემცირებას (44-ე მუხლის მე-2 პუნქტი); ექსპლუატაციის სამუშაო კვირის გამოყენებას (45-ე მუხლის მეორე ნაწილი); იმ შემთხვევებს, როდესაც შეუძლებელია სამაგიერო დასვენების დღის მიცემა დასვენების დღეებში მუშაობისათვის (63-ე მუხლის მეორე ნაწილი); უქმე დღეებში წარმოებულ სამუშაოებს (64-ე მუხლის მეორე ნაწილი); ყოველწლიური დამატებითი შვებულებების მიცემასა და ხანგრძლივობას (69-ე მუხლი); ხელფასის ნორმირებას (77-ე—მე-89 მუხლები); შრომის ანაზღაურების პრემიალურ სისტემას (81-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილი); მუშაობის წლიური შედეგებისათვის გასამრჯელოს გაცემას (82-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი); გამომუშავების ერთიან ან ტიპობრივ ნორმებს (104-ე მუხლი); უქმე დღეებში მუშაობისათვის სამაგიერო დასვენების დღის მიცემას (87-ე მუხლის მეორე ნაწილი); ხელფასიდან დაქვითვების შეზღუდვის (126-ე მუხლი); შრომის ტიპობრივ შინაგანაწესს და წესდებებს დისციპლინის შესახებ (130-ე მუხლი, 131-ე და 135-ე მუხლების მეორე ნაწილები); შრომის დაცვის წესებს (142-ე მუხლი); შრომის დაცვის ღონისძიებებისათვის სახსრების გამოყოფასა და ხარჯვას (145-ე მუხლის პირველი ნაწილი); სპეცტანსაცმლის, რძისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური კვების პროდუქტების გაცემის წესს (146-ე მუხლის პირველი ნაწილი, 147-ე და 148-ე მუხლები); სამედიცინო შემოწმებას (151-ე მუხლი); სამუშაოებს, რომლებზეც არ დაიშვება ქალებისა და არასრულწლოვანების შრომა (156-ე და 169-ე მუხლების პირველი ნაწილები); ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღების ჯავშანს (175-ე მუხლის პირველი ნაწილი); ახალგაზრდა მუშებისა და სპეციალისტების სამუშაოთი უზრუნველყოფას (176-ე მუხლი); შეღავათს მათთვის, ვინც სწავლობს წარმოებისაგან მოუწყვეტლად (182-ე მუხლი, 188-ე და 189-ე მუხლების პირველი ნაწილები); პროფესიული კავშირების უფლებებს (218-ე მუხლი); შრომის კანონმდებლობის დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის ორგანოებს (237-ე მუხლის 1 პუნქტი); ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების შრომის მოწესრიგების თავისებურებებს (35-ე და 243-ე მუხლები).

საქართველოს სსრ გამგებლობას განეკუთვნება იმ წესების დადგენა, რომლებიც განსაზღვრავენ: ზეგანაკვეთურ სამუშაოთა გამოყენების შემთხვევებს (54-ე მუხლის მესამე ნაწილი); დასვენების დღეებში მუშაობის შემთხვევებს (62-ე და 63-ე მუხლების პირველი ნაწილები); ხელფასის გაცემის ვადებს (94-ე მუხლის მეორე ნაწილი).

მუხლი 217. ამ კოდექსით გათვალისწინებული ვადების გამოთვლა

ვადის გამოთვლა, რომელსაც ეს კოდექსი უკავშირებს შრომითი უფლებების და მოვალე-

ობების აღმოცენებას და შეწყვეტას, იწყება იმ კალენდარული თარიღის მეორე დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია ვადის დასაწყისი.

წლებით, თვეებით, კვირებით გამოსათვლელი ვადები მთავრდება უკანასკნელი წლის, თვის ან კვირის შესაბამის რიცხვში, ვადაში, რომელიც კალენდარული კვირებით ან დღეებით განისაზღვრება, შედის არასამუშაო დღეებიც.

თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ვადის დამთავრების დღედ ითვლება უახლოესი მომდევნო სამუშაო დღე.



# ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გააძლიერების შესახებ

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში აღდგენს:

1. დაწესდეს, რომ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება, თუ იგი ჩადენილია პირველად, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — პატიმრობას ვადით ათიდან თხუთმეტ დღემდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ორ თვემდე, ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვეითვით, ან ჯარიმას ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე, ანდა საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებას მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებით.

2. წარმოების, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მასალებს წვრილმანი გატაცების შესახებ, ვადაცდომის ჩადენიდან არაუგვიანეს სამი დღისა, გადასცემს შინაგან საქმეთა ორგანოებს, რომლებიც ამავე ვადაში განიხილავენ მიღებულ ან მათივე ინიციატივით მომზადებულ მასალებს, რასაც გზავნიან, ვადაცდომის ხასიათისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, სახალხო სასამართლოში — დამრღვევის ადმინისტრაციული წესით პასუხისგებაში მისაცემად, ან ამხანაგურ სასამართლოში — მის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოსაყენებლად.

3. სახალხო მოსამართლე მასალებს წვრილმანი გატაცების შესახებ განიხილავს ერთპირიანულად, არა უგვიანეს სამი დღისა სასამართლოში მასალების მიღების შემდეგ, წვრილმანი გატაცების ჩამდენი პირის თანდასწრებით და, როცა საჭიროა, მოწმეთა გამოწვევით.

სახალხო მოსამართლის დადგენილება ადმინისტრაციული ღონისძიების გამოყენების შესახებ საბოლოოა, გასაჩივრებას არ ექვემდებარება და დაუყოვნებლივ მოყავთ სისრულეში.

4. გაითვალისწინებს რა დამრღვევის პიროვნებას და ჩედენილი ვადაცდომის ხასიათს, სახალხო მოსამართლეს უფლება აქვს მისი ადმინისტრაციული წესით პასუხისგებაში მიცემის ნაცვლად, მასალები განსახილველად გაუგზავნოს ამხანაგურ სასამართლოს საზოგადოებრი-

ვი ზემოქმედების ღონისძიების გამოსაყენებლად.

5. ამხანაგური სასამართლო ვალდებულია დამრღვევის მიმართ გამოყენებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შესახებ აცნობოს სახალხო მოსამართლეს ან იმ შინაგან საქმეთა ორგანოს, რომელმაც გამოგზავნა მასალები წვრილმანი გატაცების შესახებ, ათი დღის ვადაში.

6. წვრილმანი გატაცებისათვის დაპატიმრებული პირები პატიმრობას იხდიან შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ განსაზღვრულ აღვილებში. დაპატიმრებულთა ვადაცდებთ კვების და შენახვის ღირებულება; პატიმრობაში ყოფნის დროს მათ არ ეძლევათ ხელფასი მუდმივ სამუშაო აღვილებზე.

დაპატიმრებულთა შრომის აუნაზღაურებლად იყენებენ ფიზიკურ სამუშაოზე. წვრილმანი გატაცებისათვის დაპატიმრებულ პირთა შრომითი გამოყენების ორგანიზაცია ეკისრება შესაბამის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

7. ის პირნი, რომლებსაც წვრილმანი გატაცებისათვის მიესაჯათ გამასწორებელი სამუშაოები, ადმინისტრაციულ სასჯელს იხდიან, სახალხო მოსამართლის დადგენილების შესაბამისად, მუდმივ სამუშაო აღვილას ან იმ აღვილებში, რომლებსაც განსაზღვრავენ გამასწორებელ სამუშაოთა აღსრულების განმგებელი ორგანოები, მაგრამ დამრღვევის მუდმივ საცხოვრებელ რაიონში.

თუ დამრღვევა თავი აარიდა გამასწორებელ სამუშაოთა მოხდას, ადმინისტრაციული ზემოქმედების ეს ღონისძიება სახალხო მოსამართლის დადგენილებით შეიძლება შეიცვალოს პატიმრობით ვადით ათიდან თხუთმეტ დღემდე.

8. წვრილმანი გატაცებისათვის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში შეიძლება მიცემულ იქნას ის პირნი, რომლებსაც ვადაცდომის ჩადენამდე შეუსრულებათ თექვსმეტი წელი.

თუ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებას პირველად ჩადენენ თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირნი, მასალები მათ შესახებ განსახილველად გადაე-

ცემა მშრომელთა დებუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს.

9. თუ დაპატიმრებულმა თავი აარილა პატიმრობის მოხდას ან ბოროტად დაარღვია დაწესებული რეჟიმი, საპატიმრო აღვილის ადმინისტრაციის ან მილიციის ორგანოს უფროსის წარდგინებით სახალხო მოსამართლეს შეუძლია გაუგრძელოს პატიმრობაში ყოფნის ვადა, ამასთან პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ დღეს.

10. შეტანილ იქნეს ცვლილებანი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 95. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება**

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება ჩადენილი ქურდობის, მითვისების, ვაფლანგვის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ან თაღლითობის გზით იმ პირის მიერ, რომლის მიმართ წინათ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება წვრილმანი გატაცებისათვის, ან ასეთი ღონისძიება არ ყოფილა გამოყენებული, მაგრამ წვრილმანი გატაცება მას ჩადენილი აქვს არაერთხელ, აგრეთვე ჩადენილი იმ პირის მიერ, რომლის მიმართ საქმის გარემოებათა მიხედვით ვერ იქნება გამოყენებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჩარიმით ას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით ან იმ პირის მიერ, რომელმაც წინათ ჩაიდინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცება, გათვალისწინებული ამ კოდექსის 78-ე, 91-94-ე, 96-ე, 96<sup>1</sup>, 150-153-ე მუხლებით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე\*.

11. საქართველოს სსრ ამხანაგური სასამართლოების დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის 1961 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულებით („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1961 წ. № 32; მუხ. 478; 1962 წ. № 11, მუხ. 159; 1964 წ. № 4, მუხ. 79; 1965 წ. № 16, მუხ. 341) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „პირველად ჩადენილი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება, წვრილმანი ხულიგნობა, წვრილმანი სპეკულაცია, აგრეთვე მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი მცირედ ღირებული საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნების პირველად ჩადენილი ქურდობა, იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე და დაზარალებული ერთი კოლექტივის წევრები არიან.

შენიშვნა: ამ პუნქტის მესამე ნაწილში ჩამოთვლილ საქმეებს ამხანაგურ სასამართლოებში გადაგზავნიან მილიციის, პროკურატურის ორგანოები ან სასამართლო. როცა დამარღვევის სამუშაო ან საცხოვრებელ იდგილზე ამხანაგური სასამართლო არ არის, აგრეთვე თუ დამარღვევის პიროვნების შესახებ მონაცემები და საქმის გარემოებანი მოწმობენ, რომ ამხანაგურ სასამართლოში მისი განხილვა მიზანშეუწონელია, საქმეს კანონით დადგენილი წესით განიხილავს რაიონის, ქალაქის სახალხო სასამართლო. ამხანაგურ სასამართლოში არ განიხილავენ იმ პირთა საქმეს, რომლებიც ამხანაგური სასამართლოს მიერ ერთხელ უკვე იყენენ გასამართლებული წვრილმანი გატაცებისათვის“.

ბ) მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „წვრილმანი გატაცების განმეორების შემთხვევაში კი — 50 მანეთამდე“.

12. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულების პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები და მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1965 წ., № 16, მუხ. 341).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — ზ. ძოწენიძე  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — ზ. კვანჭავაძე

# შოთა რუსთველის სამართლებრივი ნაზრები და სამართლის ფილოსოფიის ისტორიის ძირითადი დოქტრინები\*

გვამზავებ ბაქრაძემ,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ადვოკატი

შოთა რუსთველის სამართლებრივი მსოფლ-  
მხედველობის გაანალიზების შედეგად მისი სა-  
მართლებრივი შეხედულებების სისტემა ასე  
გვესახება: პიროვნებისა და საზოგადოების  
წინსვლა და სიცოცხლისუნარიანობა, რაც  
გულისხმობს ეკონომიურ, სოციალურ და  
კულტურულ განვითარებას, პოეტის აზრით,  
დამოკიდებულია, სამართლის ქეშმარიტ, სა-  
მართლიან „ქმნაზე“, ე. ი. მოღვაწეობა-  
ზე სამართლის მოთხოვნათა სწორი განხორ-  
ციელების მიზნით. „ქმნა მართლისა სამართლი-  
სა ხესა შეიქმს ზმელსა ნედლიად“ (542,4), სა-  
მართლის მოთხოვნები უნდა გულისხმობდნენ:  
პიროვნების თავისუფლებას, მოქალაქეთა ეკო-  
ნომიურ და უფლებრივ გათანაბრებას („მიეც  
გლახაკთა საჭურჭლე, თავისუფლე მონები, შენ  
დამდიდრე ყოველი ობოლი, არას მქონები“, —  
808,2,3); „გლახაკთა მიეც საჭურჭლე, ოქრო,  
ვერცხლი და რვალთა“, — 158,4); ქალთა და  
მამაკაცთა თანასწორობას („ლეკვი ღომისა  
სწორია, ძუ იყოს, თუნდა ზვადია“, — 39,4);  
ყოველი ერის პატივისცემას, რომელთა არსე-  
ბობის ამაღლებული მიზანი არის ქვეყნის, სამ-  
ყაროს ყოველმხრივი „შემკობა“, მშვიდობიანი  
თანაცხოვრებისა და თანაარსებობის, ბოროტე-  
ბაზე ხიკეთის გამარჯვებისა და „ავის მქმნელ-  
თა“ დაშინების შედეგად მიღწეული.

„მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოველი  
სულიერნი,  
კლდით ნადირნი, წყალშიც თევზნი, ზღვით  
ნიანგნი, ცით ფრინველნი  
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მამრით და  
მადრიბელნი,  
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით  
მეგვიბტელნი“ (998, 1—4).

„ყოველთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა  
მოათოვდეს;  
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ  
იბოვდეს;

ავის ქმნელნი დააშინნეს, კრავნი კრავთა ვერ  
უწოდეს;  
შივან მათთა საბრძანისთა თხა და მეგლი  
ერთად სძოდეს“ (1664, 1—4).

იმის ნათელსაყოფად, რომ აღნიშნული იდე-  
ები უადრესად მოწინავე იდეებია და ამ შეხე-  
დულებათა ავტორი შოთა რუსთველი დიდი  
მოაზროვნეა სამართლის ფილოსოფიის დარგ-  
შიც, საჭიროა სამართლის ფილოსოფიის ისტო-  
რიის ძირითადი დოქტრინების შესწავლა, რაც  
ცხადყოფს, რომ ექსპლუატირებულ საზო-  
გადოებათა არც ერთ იდეოლოგიას არ გა-  
მოუთქვამს თავისი დროისათვის ასეთი  
პროგრესული იდეები და არ შეუქმნია ესოდენ  
წარმატადი სამართლის ფილოსოფიის დოქტ-  
რინები, რომლებმაც გაუძღეს საუკუნეთა  
სრბოლას და შემდეგ გახდა მათი განხორციე-  
ლება პრაქტიკულად შესაძლებელი და საქაონ-  
მდებლო წესით დაკანონებული, ისიც მსოფლი-  
ოს ზოგიერთ ქვეყანაში.

შოთა რუსთველის დიდი პროგრესულობის,  
ამაღლებული პატრიოტიზმისა და ინტერნაცი-  
ონალიზმის შესახებ გამოჩენილი ინგლისელი  
მეცნიერი, მსოფლიო ლიტერატურის სახელ-  
განთქმული მკვლევარი, ბრიტანეთის სამეფო  
აკადემიის წევრი მორის ბორუა თავის შრო-  
მაში („შთავილება და პოეზია“) წერდა:

„რუსთველი, რომელიც იმ დროს წერდა, რო-  
ცა ტახტზე მისი სათაყვანო მანდილოსანი იჯ-  
და, ქალებს უთანასწორობს მამაკაცებს და ზო-  
გი მხრით მათზე მაღლაც კი აყენებს. რუსთვე-  
ლი არა მარტო აღიარებს პრინციპს, რომ „ლეკ-  
ვი ღომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ზვადია“,  
არამედ მთელი პოემის მანძილზე აღწერს ორი-  
ვე სქესის თანასწორობას. რაინდები სავსებით  
თავისუფლად ჯდებიან მყუდრო ოთახში გან-  
მარტოებულ ქალებს. ნესტანი, თინათინი, ასმა-  
თი და ფატმანი დამონებული ქალები კი არ  
არიან, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების  
აქტიური მონაწილენი, და თავისუფლად და-

\* იბეჭდება განხილვის წესით.



დიან, სადაც მოესურვებათ. ეს, რასაკვირველია, რუსთველის ეპოქის ქართულ სინამდვილეს ახანავს და გასაგებს ხდის, თუ როგორ მიაღწია იდეალური სიყვარულის კულტმა აქ ასეთ დიდ სიმაღლეს. ამასთანავე, თუმცა პოემაში მოქმედება უდიდეს არეზე იშლება და მოიცავს ინდოეთს, არაბეთსა და ჩინეთს და სრულდებათ არ არის ნახსენები საქართველო, რუსთაველს მიუხედავად ამისა, საკუთარი მრავალი პატრიოტიკაში ახასიათებს. ციხეში ჩაკეტილი ნესტანი, განთავისუფლებასზე სრულიად იმედდაკარგული, ტარიელს უგზავნის წერილს, სადაც უბრძანებს, სამშობლოს ემსახუროს. ეს მაინც მას ყველაზე დიდ მოვალეობად ასეთი განსაცდელის უამს (1288). რუსთაველი შეგნებული პატრიოტი იყო. მის დროს თავისუფალი საქართველო ყვაოდა და პოეტის იდეალი რაინდული სიქველისა მოიცავდა სამშობლოს სიყვარულსაც, თუმცა, ვიმეორებთ, მისი პოემის მოქმედება აზიის დიდ სივრცეებზეა გაშლილი.

„გეფხისტყაოსანი“ ისეთი ქართული ნაწარმოებია, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთსაც ერთნაირად გასცქერის და მაინც იგი წმინდა ერთგულებით ხასიათისაა!<sup>1</sup>

შოთა რუსთველის სამართლებრივი აზროვნება რომ თავისი დროისათვის უმაღლეს დონეზე იდგა, ამის ნათელსაყოფად საქმარისი იქნება, თუ მის ნაწარმებს შევუდარებთ წარსულის დიდ მოაზროვნეთა მოძღვრებებს სამართლის შესახებ. ამ მოძღვრებათა ანალიტიკური შედარება რუსთველის სამართლის მსოფლმხედველობასთან დავარწმუნებს, რომ, ასე მძლავრად და გამოკვეთილად არავის მოუცია მართლმსაჯულების არისი ამსახველი ზოგადი ფილოსოფიური ფორმულა, არავის დაუკავშირებია სამართლიანი მართლმსაჯულება ადამიანის სოციალურ ყოფასთან, საზოგადოების განვითარება, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებასთან, არ წამოუყენებია ქალთა ემანსიპაციის მოთხოვნა, ყველას გამადიდებელია და უფლებები გათანაბრების წარმატება დოქტრინა, ენების ურთიერთაპივიცემისა და სიყვარულის შედეგად მსოფლიოს მშვიდობიანი განვითარების დოქტრინა.

იმისათვის, რომ მკითხველი ზემოთ თქმულის სისწორეში დავარწმუნოთ, საჭიროა გავეცნოთ სამართლის ფილოსოფიის ისტორიის ძირითად დოქტრინებს.

შესანიშნავი ბერძენი ფილოსოფოსი ჰერაკლიტი (დაახ. 544-488 წწ. ჩვ. ერამდე) იყო „ღია-

ლექტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი“ (ლენინი). იგი მხოლოდ ღმერთში ხედავდა სამართლიანობას: *Все — едино: делимо, рожденное — нерожденное, смертное — бессмертное, логос, вечность, отец, сын, бог — справедли-вость; не мне, но логосу внимая, мудро признать, что все — едино*<sup>2</sup>.

ჰერაკლიტისათვის ადამიანთა კანონები ღვთაებრივი ნება-სურვილის გამოხატულებაა.

სოკრატეს მოძღვრება ძველი ბერძნული ფილოსოფიის უძველესი წყაროა. მართალია, სოკრატეს დროსვე არსებობდა სოფისტების სახელით ცნობილი მთელი მიმართულება ბერძნულ ფილოსოფიაში (პროტაგორი, ჰიპიასი, პროდიკი, ანტიფონტი, ფრაზიმახი, კალიკლი), მაგრამ მათ სამართლის სფეროში მნიშვნელოვანი რამ არ შეუქმნიათ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ, არისტოტელეს გადმოცემით, თავისი დროისათვის მოქალაქეთა ქონებრივ თანასწორობას მოითხოვდა ფაღვას ქალკედონელი, ხოლო მონობის დაგმობას — გორგი — ალკიდა მანტი.

სოკრატეს (469-399 წწ. ჩვ. ერამდე) დაწერილი შრომები არ დაუტოვებია, მაგრამ მისი მოძღვრება დატულია და დღესაც ცნობილია მისი მოწაფეებისა და მიმდევრების — პლატონის, ჰენოფონტისა და არისტოფანეს შრომების მიხედვით.

სოკრატეს სამართლის ფილოსოფია მისი ფილოსოფიური მოძღვრების განუყოფელი ნაწილია, რომელიც განაპირობებს მთელ ამ მოძღვრებას. განსაკუთრებით საინტერესოა მისი მოძღვრება კანონის („სიკეთის ამქვეყნიური გამოვლენის“) შესახებ. სოკრატეს მოძღვრებას ეკუთვნის შეგნებული დამორჩილება ღვთაებრივი წესრიგისადმი. როგორც ღმერთთან, ასევე სხვა ადამიანებთან ადამიანის ურთიერთობა მოწესრიგებულია კანონებით. კანონისადმი დამორჩილება არის სამართლიანობა და დიდი სიკეთე. ეს სიკეთე მიიღწევა ცოდნითა და თანხმობით. კანონთა ცოდნა და მათდამი უსიტყვო მორჩილება სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობაა.

სოკრატეს აზრით, არსებობს აგრეთვე დაუწერელი კანონები, რომლებიც ყველგან ბატონობენ. ეს კანონები გამოხატავენ ღმერთების ენას. ამ კანონთაგან უპირველესი კანონი აღიარებს ღმერთებისადმი მორჩილებას. ღმერთების კანონთა დამრღვევი ვერ გადურჩება სასჯელს, იმ დროს როდესაც ადამიანის მიერ დაწესებულ კანონს შეიძლება გაეჭყე ან წინ

<sup>1</sup> მორის ბორუა, „გეფხისტყაოსანი“, თბილისი, 1967, გვ. 17.

<sup>2</sup> «Материалисты древней Греции, Москва, 1955, стр. 45.

<sup>3</sup> არისტოტელი. „პოლიტიკა“ 1 ნაწ., 1936 წ., გვ. 27.



აღუდგე. აღსანიშნავია, რომ სოკრატე თავისი მოძღვრებით პრაქტიკულადაც ხელმძღვანელობდა თავის პირად ცხოვრებაში. მაგალითად, როდესაც ის გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს, მისმა მეგობარმა კრიტონმა, რომელმაც სოკრატე ციხეში ინახულა, შესთავაზა, რომ მას გაქცევით გადაერჩინა თავი. სოკრატე არ დაეთანხმა კრიტონს და თავი მოიწამლა.

სოკრატეს მიერ მონური მორჩილების აღიარება სრულიად აცლიდა საფუძველს იმდროინდელ ისედაც უუფლებო ადამიანს და არ უწყობდა ხელს საზოგადოებრივ პროგრესს. კანონი, სამართალი ზომ გაბატონებული კლასის ნებას გამოხატავდა და მათდამი მორჩილების ქადაგება მხაგვრელი კლასისადმი მორჩილებას ნიშნავდა.

ისეთმა დიდმა მატერიალისტმა, როგორც იყო დემოკრიტე (დაახლოებით 460-380 წწ. ჩვ. ერამდე), რომელსაც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰქონდა „ბერძენთა შორის უპირველესი ენციკლოპედიური გონება“ და რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შექმნა სამყაროს აგებულობის ატომური თეორია, საშარტლის ფილოსოფიაში დიდი ადგილი ვერ დაიკავა. თუ დემოკრიტე ანტიკური ქვეყნის შესანიშნავი მატერიალისტი იყო, თუ იგი იდეალისტი ფილოსოფოსებისაგან (სოკრატე და პლატონი) განსხვავებით სამყაროს წარმოშობას არ უკავშირებდა ღმერთის შემოქმედებას, არამედ იაზრებდა მატერიალისტურად, ადამიანის ქცევას უკავშირებდა მისივე სულს. რომელშიც ეძებდა მორალურ საწყისთა საზომს, მისი აზრით, საკუთარი თავის დათრგუნვა, აუცილებლობით და არა სახურველით დაკმაყოფილება, ცული საქციელისათვის დარცხვენა და სინანული — უფვილივე ეს იყო სიცოცხლის სველა. კანონში დემოკრიტე ხედავს ადამიანის თვითშეზღუდვის აუცილებელ პირობას ჭაერთო თანაცხოვრების სიკეთისათვის. მისი აზრით, მარტალია, კანონი ადამიანის შეზღუდვაა, მაგრამ ამასთან ერთად შურისა და მტრობის საწინააღმდეგო პირობაა. სახელმწიფოებრივად სპონტანუზად მსხვერპლს. მებრძობ სახეობებში სხელმწიფო არის უდიდესი სიკეთე საზოგადოებისათვის. აღსანიშნავია, რომ დემოკრიტე მეტად უარყოფითად უყურებდა ქალს, რადგან ფიქრობდა, რომ სიკეთისადმი მამაკაცის მიდრეკილებასაგან განსხვავებით ქალს აქვს მიდრეკილება ჩაიდინოს ყოველივე ცული. საკმარისია გავისწინოთ შოთან დამოკიდებულება ქალისადმი, მისი გონებისადმი (ნესტანის წერილი). მისი უფლებებისადმი (თინათინი და სხვ.), რომ ნათელი გახდეს ამ ორი მოაზროვნის პრინციპული დამოკიდება. ამ სამართლებრივ დოქტრინაში.

ანტიკური დროის იდეალისტი ფილოსოფოსი პლატონი (427-347 წწ. ჩვ. ერამდე) თავის შრომებში დიდ ყურადღებას უთმობდა მოძღვრებას იდეალური სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ. „პოლოგიის“ გარდა, პლატონის შრომები — „კრიტონი“, „პროთაგორი“, „გორგი“, „ტიმეტი“, „ფედრა“, „სახელმწიფო“, „ტიმეი“, „ფილები“ და „კანონები“ — დაწერილია საუბრების ფორმით, სადაც ერთ-ერთი მოსაუბრე პირია სოკრატე. აღსანიშნავია, რომ პლატონის ნაწერები მხატვრულ ნაწარმოებებს უფრო მოგვაგონებენ ვიდრე ფილოსოფიურ შრომებს. მათში უხვადაა მოცემული პლატონის მხატვრული და მოსწრებული გამოთქმები. პლატონის ფილოსოფიურ კონცეფციას მიიჩნევენ სოკრატეს მოძღვრების შემდგომ განვითარებად ფილოსოფიის ისტორიაში. ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში პლატონი აღიარებულია მატერიალიზმის მტრად. ობიექტური იდეალიზმის იდეოლოგიად, რომელიც ერთმანეთს უპირისპირებს ბუნებრივ საგანთცვალებად სამყაროს და უცვლელ, მუდმივ და უძრავ იდეათა იმპერეციურ სამყაროს, რომელსაც „ქემშარბტ ყოფიერებად“ თვლის.

პლატონის სამართლებრივი იდეები ძირითადად გადმოცემულია მის სამ დიალოგში — „პოლიტიკაში“, „სახელმწიფოში“ და „კანონებში“. ამ შრომებში განხილულია სახელმწიფოს, მისი მართვისა და კანონმდებლობის თეორია. პლატონის აზრით, სახელმწიფოს უნდა მართავდეს არა კანონი, არამედ ბრძენი ადამიანი. კანონი, რაც უნდა კარგ წესებს აკანონებდეს, მაინც ვერ მართავს ხალხს, რადგან ადამიანთა ურთიერთობა განუწყვეტელი იცვლება, რის გამოც შეუძლებელი ხდება მუდმივი წესების დამყარება. კანონი იწერება მხოლოდ იმიტომ, რომ შეუძლებელია თითოეულს განესაზღვროს ინდივიდუალური, გარკვეული ქცევის წესი. მაგრამ კანონი არ უნდა ბოჭავდეს ქვეყნის, ხალხის მმართველს, რადგან მმართველობის საუკეთესო ფორმა, პლატონის აზრით, არის ბრძენის შეუზღუდველი ბატონობა მისდამი დაქვემდებარებულ ადამიანთა პასიურ მახეზე. პლატონი მმართველის ფუნქციასა და მწყემსის დანიშნულებას აიგივებს, რადგან მმართველი მწყემსია, ხოლო სახელმწიფო — „ურჩო და ორფეხა ცხოველების“ ფარეხი. შეუზღუდველი მმართველობა ენიჭება მხოლოდ ბრძენს. მაგრამ თუ სახელმწიფოს სათავეში ბრძენი არაა, მაშინ ჯობს იგი დაემორჩილოს კანონებს. სწორად მმართველი ემსგავსება მქსოველს, რომელიც სხვადასხვა ფერის ძაფებისაგან ქმნის ერთ მთლიან ქსოვილს. ასევე მმართველი სხვადასხვა ადამიანთა სხვადასხვა თვისებებისაგან სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ქმნის და ადამიან-

საქართველო  
საზღვროთა

თა მამაცობა და ზომიერებას თავ-თავის აღ-  
გონიერებას მიუჩნევს. ყოველ ადამიანს, ისევე რო-  
გორც სახელმწიფოს, უნდა ახასიათებდეს  
ოთხი სიკეთე: სიბრძნე, სიმამაცე, ზომიერება  
და სამართლიანობა. სახელმწიფოს ბედნიერს  
ხდის ის გარემოება, რომ მონათუ მშობრთველ-  
მა, ხელისაწმა თუ მხედარმა, მოხუცმა თუ  
ბავშვმა, ქალმა თუ კაცმა — ყველამ აქეთოს  
მხოლოდ თავისი საქმე დ სხვის მოქმედებაში  
ნუ ჩაერვეა.

აღსანიშნავია, რომ პლატონი დამნაშავეს  
მოქმედებაში წინასწარ განზრახვას გამორი-  
ცხვდა, რადგან, ისევე როგორც სოკრატე, იგი  
ფიქრობდა, რომ ბოროტების ჩადენა შეგნებუ-  
ლად შეუძლებელია, ადამიანის ბოროტება მისი  
უფიცობის შედეგია. დასჯის მიზანი დანაშაულის  
შემცირება და კვლავ ჩადენის საშუალებების  
მოსპობაა, რასაც საზოგადოება აღწევს დამნა-  
შავეს გამოსწორებით, დამნაშავეს მოშორებითა  
და დამნაშავეს ცული გავლენის აღკვეთით სა-  
ზოგადოების სხვა წევრებზე.

არისტოტელე — ეს „უძველესი დროის  
უდიდესი მოაზროვნე“<sup>4</sup> იყო პლატონის მოწაფე.  
იგი ცხოვრობდა მშ4-322 წლებში ჩვ. ერამდე.  
არისტოტელეს ფილოსოფიური მრწამსი განსხ-  
ვებული მისი მასწავლებლისაგან, რომლის მოძ-  
ღვრებასაც იგი კრიტიკის ქარცეცხლში ატა-  
რებდა, მატერიალისტური იყო. არისტოტელე  
პლატონის შესახებ ამბობდა, რომ მან „არსება  
გამიჯნა იმისაგან, რის არსებაც იგი თვით იყო“.  
ამ გამიჯნვი იდეათა სამყაროს შექმნა, არის-  
ტოტელეს გაგებით, არაფრის მთქმელია და მხო-  
ლოდ შინაარსს მოკლებული მეტაფორებია.

ადამიანის დანიშნულებაა გონიერი მოღვა-  
წეობა და მით უფრო კარგია ადამიანი, რაც  
უფრო კარგია და გონიერია ეს მოღვაწეობა.

არისტოტელე კანონიერებასა და სამართლიან-  
ობას იკვლევს თავის შრომაში „რატორიკაში“  
(I, X და XIII თავები), სადაც განვითარებუ-  
ლია ის აზრი, რომ კანონები კერძო ხასიათისაა,  
ყველა ქვეყნისა და ხალხის მიერ მხოლოდ თავ-  
ისთვის გამომუშავებული. კანონები, ისევე  
როგორც სამართლიანობა, არის ზოგადი, ანუ  
ბუნებრივი, რომლებიც საერთოა ყველასათვის.  
არისტოტელეს აზრით, არსებობს სამართ-  
ლიანი და უსამართლო მოკლენა, რაც აღიარე-  
ბულია ყველას მიერ, მიუხედავად იმისა, რომ  
ეს ყველა შეიძლება შედგებოდეს სხვადასხვა  
ხალხებისაგან, სხვადასხვა ჯგუფებისაგან, სხვა-  
დასხვა ადამიანებისაგან, რომელთა შორის არ

არსებობს არავითარი შეთანხმება ან საერთო  
დაკანონება იმ წესისა, რომელიც განასხვავებს  
ბოროტებას სიკეთისაგან.

საერთო, ბუნებრივი კანონები, თავის მხრივ,  
განსაზღვრავენ კერძო კანონების განვითარებას  
სიკეთისაკენ მისწრაფებით და ამასთანავე წარ-  
მოადგენენ იმ ზოგადს, რომლის არსებობა აუ-  
ცილებელია, რადგან კერძო კანონები ყოველ-  
თვის ვერ იქნება ამომწურავი და მათი შევსე-  
ბა საჭიროა საერთო-სასიკეთო ნორმად მიჩნე-  
ული წესებით. აღნიშნულიდან გამომდინარე,  
არისტოტელე დასაშვებად მიიჩნევს, იმას, რომ  
სასამართლო რატორებმა მძაფრად გააკრიტი-  
კონ მატერიალური კანონი ყველა იმ შემთხვე-  
ვაში, როდესაც ეს კანონი ვერ გვაძლევს ან  
არ გვაძლევს კონკრეტული საქმის გადასაწყვე-  
ტად სიკეთის შემცველ ნორმას.

ძველი რომის შესანიშნავი იურისტი, ფილო-  
სოფოსი და რატორი მარკ ტული ციცერონი  
თავისი ცხოვრების მანძილზე უმთავრესად ად-  
ვოკატობას ეწეოდა. სასამართლო რატორობა  
იყო ის ძირითადი დარგი, რომელიც ყველაზე  
მეტად გაუთქვამდა სახელს ადამიანს ძველ  
რომში, ხოლო თუ როგორი რატორი იყო  
ციცერონი ამას დღესაც ამტკიცებს მის მიერ  
წარმოთქმული სიტყვები, რომლებმაც მას დე-  
მოსთენესთან ერთად რატორული ხელოვნე-  
ბის ოლიმპზე თავისებური ზევისის ტახტი და-  
უდგეს. ციცერონის რატორული ხიზონიის  
პირველი ძლიერი აკორდი სასამართლო რატორ-  
ობა იყო, უკანასკნელი კი — პოლიტიკური  
რატორული გამოსვლები. ციცერონი „არ  
იყო იმ ადამიანთაგანი, რომელთაც უყვართ  
მთელი კაცობრიობა მის მთლიანობაში თავის  
სამშობლოს საზიანოდ“<sup>5</sup>. უფრო მეტიც, მის-  
თვის კაცობრიობა რომისა და რომაელისათვის  
არსებობდა მხოლოდ.


რუსთველისათვის კი ერთი და კაცობრიობა  
წარმოდგენილი იყო მთლიანობაში, მისთვის  
სხვადასხვა ხალხის ერთი საერთო მიზანი არსე-  
ბობდა და ყველა ერთ ამ კეთილ მიზანს — ქვე-  
ყნის (სამყაროს) დამშვენებას ემსახურებო-  
და.

მსოფლიო მწერლებს შორის სამართლის შე-  
სახებ ყველაზე მეტი შექსპირს აქვს ნათქვამი.

<sup>4</sup> K. Маркс. Капитал, т. I, 1949, стр. 414.

<sup>5</sup> Демосфен. Речь, перевод проф. С. И. Радцига, Москва, 1959.

<sup>6</sup> Гастон Буасье. Цицерон и его друзья, СПб., 1916, стр. 57.



ტყუილად კი არ უწოდებენ შექსპირს სამართლისა და სიმართლის უდიდეს პოეტს. მისი „ვენეციელი ვაჭრის“ ენის გაანალიზების ხაფუძველზე, პროფ. კოლერის<sup>8</sup> მოწმობით, მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ XVI-XVII სს. ინგლისურ სახამართლო წარმოებაში ხმარებულ იურიდიულ ტერმინოლოგიასა და ენას ზუსტად იყენებს შექსპირი თავის თხზულებებში, ამასთან დაცვის მეთოდოქა ისე აქვს წარმოდგენილი, რომ შესაძლებლად. მიჩინიეს შექსპირის ადვოკატობა ახალგაზრდობის წლებში.

როგორც ცნობილია, შექსპირმა თავის დრამას „ვენეციელ ვაჭარს“ საფუძვლად ვალის უფლების განხორციელება დაუდო. ისტორიულად არსებული სამართლის ისეთი სამარცხვინო ინსტიტუტი, როგორც იყო ვალის აუნაზღაურებლობის შემთხვევაში მოვალის მიერ ვალის საკუთარი ხორციც, ხსენების ნაწილით ანაზღაურება, შექსპირმა დაგმო, რითაც სამართლის ამ ინსტიტუტის შემდგომი განვითარების გეზი მონახა.

ავილოთ შექსპირის მეორე შესანიშნავი ნაწარმოები, რომელსაც გოთემ, მიხევე სიტუვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ „შეხება“ გაუბედა. ეს ნაწარმოებია უძლიერესი ტრაგედია „ჰამლეტი“, რომლის კონფლიქტი დაფუძნებულია სისხლის აღებასა და შურისძიებაზე. ჰამლეტის წინაშე დგას მძიმე არჩევანი; მან ან უნდა უქუაგდოს თავისი ზნეობრივი პრინციპები და შური იძიოს, ან კიდევ არაფრად ჩააგდოს მამის შეურაცხყოფილი სულის ხმა საიქიოლან, რომელიც დანიერ პრინცს მოუწოდებს სისხლი აიღოს და არ ასვენებს მას. ჰამლეტში აღძვრება უსაშინელები შინაგანი ბრძოლა, რომელიც შეარყევს მთელ მის არსებას. ამ ბრძოლაშია დრამატული კონფლიქტის საწყისი და კვანძი მთელი ტრაგედიისა.

ამ შინაგან ბრძოლაში ავტორი აპარჯებინებს შურისძიების საწყისს, თუმცა ჰამლეტის ცნობიერებაში უკვე ნათლადა ჩამოყალიბებული ახალი ეთიკურ-უფლებრივი იდეები, თანაც იმდენად ძლიერად, რომ კოლიზია პრინციპის მორალურ შეხედულებებსა და დაკისრებულ ვალდებულებას შორის ჯერ წარმოქმნის ჰამლეტის პესიმიზმს, ხოლო შემდეგ სპობს ჰამლეტს, როგორც პიროვნებას. ამრიგად, ჰამლეტი დგას ორი ეპოქის მიჯნაზე, ერთი მხრივ, სისხლის აღებისა და შურისძიების ეპოქისა, ხოლო, მეორე მხრივ, უახლესი ეთიკურ-უფლებრივი თვალთახედვის ეპოქის მიჯნაზე. სწორედ ამიტომაცაა ჰამლეტი სამართლებრივის-

ტორიული ფიგურა, მით უმეტეს, რომ შექსპირმა თავის ტრაგედიას საფუძვლად დაუდო რეალურად არსებული ფაქტი — იუსტლანდის მეფის გორგენდალის შვილის ჰამლეტის ისტორია.

მიუხედავად იმისა, რომ შექსპირთან ვხვდებით ასეთ რთულსა და ღრმა სამართლებრივ ნააზრევს, ჩვენ საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ ინგლისელთა სიამაყე ვერ გვაძლევს სამართლის ისეთ ზოგადფილოსოფიურ გააზრებას, როგორც მოგვცა შოთა რუსთველმა. შექსპირმა, მართალია, მოხაზა სამართლის შემდგომი განვითარების გზა, მაგრამ სამართლის მხოლოდ ერთი დარგის, ერთი ინსტიტუტის განვითარების გეზი, — ერთ ნაწარმოებში, კერძოდ „ვენეციელ ვაჭარში“ — ვალდებულდებითი სამართლის ვალის უფლების პროგრესის ხაზი, ხოლო „ჰამლეტში“ სისხლის სამართლის ერთი ინსტიტუტის — შურისძიების განვითარების გეზი.

გერმანელი ფილოსოფოსის ემანუელ კანტის სამართლებრივი მსოფლმხედველობის მიხედვით აღამიანი ორ სამყაროს ეკუთვნის. როგორც ბუნების შვილი, ემპირიულად მოცემული არსება, იგი მიზეზობრივობით არის განპირობებული და ამიტომ არ არის თავისუფალი, მაგრამ აღამიანი როგორც „ხაგანი თავისთავად“ შეუცნობელია და დამოუკიდებელი, ამდენადვე — თავისუფალი. მიუხედავად იმისა, კანტი „კატეგორიული იმპერატივის“ ცნების შემოღებით შესაძლებელს ხდის დამუშავოს და ჩამოაყალიბოს მთელი თეორია ეთიკის, სამართლისა და სახელმწიფოს შეხახება.

კაცობრიობის მიზნის გამორკვევა, კანტის აზრით, აუცილებელია, რადგან შეუძლებელია საზოგადოების განვითარება ნათლად წარმოდგენილი მიზნის გარეშე; კაცობრიობის საბოლოო მიზნის გამორკვევას და პირველის თვითარსებობის გამართლებას მიუძღვნა კანტმა თავის შრომა «К вечному миру». კაცობრიობის განვითარება, ე. ი. მთელი ისტორიის აღამიანის უფლებებისათვის (თავისუფლებისათვის) ბრძოლის ისტორიაა. განვითარების მხოლოდ ევოლუციურ გზას ცნობს კანტი. სამართლის გარეშე წარმოუდგენელია თვით სახელმწიფოც, რომელიც, ფილოსოფოსის აზრით, არის აღამიანთა გაერთიანება სამართლის საფუძველზე. ცველა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტისა და სეართოდ, სახელმწიფოს მიზანი არის სამართლიანობის იდეის გამარჯვება. ისევე როგორც მორალურ ნორმათა და ქცევის წესთა არსებობა განპირობებულია კატეგორიული იმპერა-

<sup>8</sup> И. Колер. Шекспир с точки зрения права, СПб., 1895, стр. 2.



ტივის მოთხოვნით, ასევე უფლებრივი სახელმწიფოს შექმნა კატეგორიული იმპერატივის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მრავალ შემთხვევაში აღნიშნულ პროგრესულ მოთხოვნასთან ერთად კანტის სამართლის ფილოსოფიას ახასიათებს ბევრი თავისებურება, რაც მოწმობს მისი სამართლის ფილოსოფიის გაცორებასაც (დელაიზმს). ისევე როგორც საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუტია, კანტიც მოქალაქეებს უფოს ორ კატეგორიად. პირველნი მბრძანებლობენ, მსინი ეკუთვნიან აქტიურ მოქალაქეებს იმით, რომ ამჟღავნებენ თავის ნებას, მეორენი კი ასრულებენ პირველთა ნებას ამათ მართლებენ თავიანთ არსებობას. ეს უკანასკნელნი პასიურ მოქალაქეებად რჩებიან.

კანტის სახელმწიფო თეორიამ ფრანგთა განმანათლებლების დიდი გავლენა განიცადა, თუმცა კანტის საბოლოო კრედი ამ საკითხში უპირატესობას აძლევს განათლებულ აბსოლუტურ მონარქიას, რომელსაც მისი აზრით, ძალუძს სამართლიანობის საფუძველზე თავისი შეუზღუდველი უფლებამოსილების შეზღუდვა და ძალაუფლების მოხმარება უფლებრივი სახელმწიფოს ინტერესებთან შეფარდებით. ასეთი იდეის საუკეთესო პრაქტიკულ განხორციელებად კანტი მიიჩნევს ფრიდრიხ მეორის დროინდელ პრუსიას. მიუხედავად იმისა, რომ კანტი ცნობს სუვერენიტეტს, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ხალხის კუთვნილ უფლებას, იგი მაინც წინააღმდეგაა ხალხის მიერ საკანონმდებლო ხელისუფლების ხელყოფისა და შეცვლისა, რადგან კანონები და სახელმწიფო ხელისუფლება სამართლიანობის იდეის ამქვეყნიური გამოხატულებაა და ხალხი ამ ინსტიტუტებს მორჩილად უნდა ემსახურებოდეს.

ე. კანტი სამართალს განმარტავს როგორც «Совокупность условий, при которых произвол одного может быть согласован с произволом другого по общему закону свободы»<sup>9</sup>.

სისხლის სამართლის მიზანს ე. კანტი ხედავს ყოველგვარი სამართლიანობის დარღვევის აღკვეთაში. სასჯელი სამაგიეროს მიზლდა, მისი მიზანია დასჯა არა აღზრდისა და მომავლისათვის, არამედ დასჯა წარსულში ჩადენილი მოქმედების საპასუხოდ მისი მავნეობის ასანაზღაურებლად. იგი მოითხოვს ტალიონის პრინციპის აღიარებას, მკვლელის მოკვლას. ეს თეორია კარგად იყო ასახული სისხლის სამართლის კლასიკურ სკოლაში, მაგრამ მან დიდხანს ვერ იარსება, რადგან ადამიანი გონიერი არსებაა და ვერ ურბდება იმას, რომ დანაშაულის

მსხვერპლს მეორე მსხვერპლი დაემატოს. ცხადია, თუ მკვლელს მოსობ, მაშინ საზოგადოება ერთის ნაცვლად ორ ინდივიდს კარგავს. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ჯობს მკვლელი დაეკარგოთ, მაგრამ მკვლელი არ იბადება, იგი იქმნება ან ფსიქიკური დეფექტის ან ცუდი ცხოვრების პირობების, ან აღზრდის ცუდი მეთოდების არსებობის გამო. სამართლის მეცნიერებაში დიდი ხანია დამტკიცებულია ის უდავო დებულება, რომ განზრახ მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯის შემოღება კი არ ამცირებს მკვლელობათა რიცხვს, არამედ რა გინდ საქვირველადც გვეჩვენოს ეს, სიკვდილით დასჯის შემოღების შემდეგ განზრახ მკვლელობათა რიცხვი იზრდება. ამას ამტკიცებს მხოლოდ ისტორიული სტატისტიკა, რაც მშვენივრად არის დამუშავებული ღრმა იურიდიული ანალიზის საფუძველზე ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორის კ. ი. მიტერმაიერის შრომაში „სიკვდილით დასჯა“.<sup>10</sup>

როგორც ეს მრავალ დიდ მოაზროვნეს ახასიათებს, მას შემდეგ, რაც ადამიანის ბედნიერებისა და დანიშნულების დოქტრინას შექმნიან, იწყებენ კაცობრიობისა და სამყაროს განვითარების გააზრებასა და მომავალი გენეზისის ძიებას. სწორედ ამით ახსნება, რომ ე. კანტსაც, ისევე როგორც მრავალ დიდ ფილოსოფოსს, მნიშვნელოვანი შრომები აქვს მიძღვნილი ისტორიის ფილოსოფიისადმი.

როგორც აღნიშნული იყო, მუდმივი მშვიდობის იდეას მიუძღვნა ე. კანტმა 1795 წელს გამოქვეყნებული თავისი შრომა. ამ შრომაში ავტორი იძლევა ერთგვარ რჩევა-დარიგებას მომავლისათვის და იკვლევს იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს და რა არ უნდა გაკეთდეს, რათა მიღწეულ იქნეს მუდმივი მშვიდობა.

საინტერესოა გამოვარკვიოთ, ჰქონდა თუ არა მუდმივი მშვიდობის ფილოსოფიური დოქტრინა შოთა რუსთველს, და თუ ჰქონდა, როგორ ესმოდა იგი. ეს საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ 988-ე სტროფი, სადაც გამოთქმულია ზოგადსაკაცობრიო იდეა და ასახულია ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები, მათი მოქმედებანი, ქვეყნები და პოემის მთელი ქარგა ასახავს იმ სამყაროს, რომელიც თავისი დროისათვის ჰქონდა წარმოდგენილი შოთა რუსთაველს.

ეს სტროფი მეტად მნიშვნელოვანია. იგი პოე-

<sup>9</sup> И. Кант. Метафизика нравов, М., 1910, В. С. Д.  
<sup>10</sup> К. Ю. Митермайер. Смертная казнь, С.-Петербург, 1864, перевод А. Саранчова.



ემის აუცილებელი ნაწილია, რაც მტკიცდება იმით, რომ მთელი პოემა იმ ქვეყანათა ფონზეა გაშლილი, რომელიც ამ სტროფში არის დასახელებული. „მოფრანგენი“ უნდა გავიგოთ არა მარტო საფრანგეთის სახით, არამედ ფრანკთა იმპერიის სახით, სადაც შედიოდა დღევანდელი თითქმის მთელი ცენტრალური, დასავლეთი და სამხრეთი ევროპა აღსანიშნავია ისიც, რომ „კლდით ნადირნი“, ე. ი. ჯიხვი, ფხიანი და ვეფხვი არაბეთისა და სპარსეთისათვის დამახასიათებელი ფაუნაა, ისევე როგორც ნიანგი ეგვიპტისათვის, კერძოდ ნილოსისათვის. ე. ი. ცხოველთა სამყაროს ის წარმომადგენლები არიან ამ სტროფში დასახელებული, რომელნიც ამავე სტროფში მითითებულ ქვეყნებში გვხვდება. ყოველივე ეს კი ამტკიცებს იმას, რომ ჩვენმა სასიქაღულო პოეტმა კარგად იცოდა დასახელებული ქვეყნების დამახასიათებელი ფაუნა<sup>11</sup>, მაგრამ მთავარი ამ სტროფში ის არის, რომ შოთას მიერ დასახელებული მაშინდელი სამყაროს ხალხები მოწოდებული არიან ქვეყნის შესამკობლად, დასამშვენებლად, ამქვეყნიური ადამიანური სამყაროს ჰარმონიული ცხოვრების შესაქმნელად. ქვეყნის შემკობა მტრობით არ შეიძლება. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია იმის შენება, რასაც შური, მტრობა და ბოროტება ანგრევს. დედამიწაზე მცხოვრებ ერთა ძირითადი მიზანი ქვეყნის შემკობაა და არა გავერანება. უფრო მეტიც, როგორც ცას ფრინველი ამშვენებს, კლდეც ნადირი, ზღვას ნიანგი, წყალს კი თევზი, ასევე უნდა ამშვენებდეს და აღამაზებდეს ქვეყანას ყველა სულიერი, ე. ი. ადამიანიც, და არა მარტო ზოგადად ადამიანი, არამედ კონკრეტულად იმ დროს რეალურად არსებული ერები — ინდოელები, არაბები, ბერძნები, რუსები, სპარსელები, ფრანგები და ფრანგებთან ახლო მდგომნი, ეგვიპტელები და სხვები. ხალხთა მეგობრობის, მათი დანიშნულების იდეას, კოსმოსისა და დემოსის ურთიერთდამოკიდებულებას უფრო ჰუმანურად, უფრო ღრმად და უფრო პროგრესულად ვერ გამოხატავს და სინამდვილეშიც არც არავის გამოუთქვამს. მაგრამ შოთას მთელი სიღიადე მარტო ის კი არ არის, რომ თეორიულად ასეთი წარმტაცი იდეა წამოაყენა „მშუტის სამართლის“ არსებობის ეპოქაში, არამედ პრაქტიკულადაც განახორციელა ეს თავისი წარმტაცი დოქტრინა მის მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ არანაკლებ წარმტაც

სამყაროში. შემთხვევით არ არის, რომ შოთას თავის პოემას ამთავრებს ხალხთა სიყვარულის დევიზით და სამყაროში მშვიდობის სუფევის ძლიერი აკორდით (მართლაცდა, როგორ შეიძლება ამ სტროფების შოთასეულობაში დაექვება, სტროფებისა, რომლებიც ლოგიკური გვირგვინია ჩვენი მოაზროვნის მთელი მსოფლგაგებისა და ამასთანავე მთლიანად უკვდავი პოემისა).

თანასწორობა, უქონელთა დამდიდრება, ავის ვერქმნა, ამ ქვეყანაზე თხისა და მგლის ერთად უწყინარი ცხოვრება — აი, მსოფლიოს მუდმივი მშვიდობის ის დიდი დოქტრინა, რომელიც ასე გამოკვეთილად არის წარმოსახული კაცობრიობის იდეური განვითარების წინასწარმეტყველის — შოთას მიერ „ვეფხისტყაოსანში“.

ჭეგელის ფილოსოფიის სისტემის ორგანული ნაწილია მისი სამართლის ფილოსოფია, რომელიც მისი პოლიტიკური მრწამსის გავლენით იყო დამუშავებული. ჭეგელის პოლიტიკური იდეები შთაგონებული იყო საფრანგეთის რევოლუციის გავლენით, რომლის წარმოშობასაც ჭეგელი ფილოსოფიური აზრის დამსახურებად მიიჩნევდა. ფილოსოფიას ჭეგელი განსაზღვრავდა, როგორც აზრებში ასახულ ეპოქას. სწორედ მისივე ფილოსოფია იყო საფრანგეთის რევოლუციის, მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის გერმანიის ყოფის ამსახველი ფილოსოფია. ყველაზე დიდი დამსახურება საფრანგეთის რევოლუციისა კაცობრიობის წინაშე, ჭეგელის აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ რევოლუციამ ნამდვილი მნიშვნელობა მიანიჭა აზრებსა და სამართალს, დაამსხვრია უსამართლობის საყრდენები, გამოიმუშავა სამართლის პრინციპებით გამსჭვალული კონსტიტუცია, რასაც უნდა დაყრდნობოდა მომავალში ყოველივე. ადამიანი ემყარებოდა რა თავის აზრებს, ამიერიდან გონებით მართავდა ქვეყანას; მხოლოდ ახლა განხორციელდა პრაქტიკულად ჭერ კიდევ ანაქსაგორას მიერ ნათქვამი ქეშმარიტება, რომ გონიერება მართავს არსებულ სულიერ სინამდვილეს. ეს იყო შესანიშნავი მზის ამოსვლაო, შენიშნავს ჭეგელი. „ყველა მოაზროვნე შეიმობდა ამ ეპოქას, ყველგან ბატონობდა ამაღლებული გრძნობები. ქვეყანაზე არსებობდა ერთუზიაში, თითქოს დადგა დრო ღვთიურის და ამქვეყნიურის შერიგებისაო“<sup>12</sup>.

ხალხებს და მთ ისტორიას ჭეგელი ობიექტური სულის გამოვლინებად თვლის. საზოგადოების ფენები მას ისევე აქვს წარმოდგენილი,

<sup>11</sup> პროფესორ დავით აღლაძეს დაწერილი აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ფაუნის შესახებ შესანიშნავი შრომა, რომელსაც დიდის მაღლიერებით გავეცანი ხელნაწერში.

<sup>12</sup> შტრ. Гегель. Соч. т. 8, М., 1934, стр. 413—414.

როგორც ეს ჰქონდა პლატონს თავის მოძღვრებაში სამოქალაქო საზოგადოების შესახებ. ჰეგელი წინააღმდეგი იყო ადამიანთა გათანაბრების იდეისა<sup>13</sup>. მისი აზრით, ეს ყალბი იდეა, რადგან ადამიანთა გათანაბრება ნიშნავს მათთვის თავის მოკვებას. ფილოსოფოსის აზრით, ადამიანებს ახასითებს ნიქის, ცოდნის, აზრთა წყობისა და ა. შ. სხვადასხვა ღონე, რაც განსაზღვრავს მათ უთანასწორობას. ჰეგელი აქ იმ შეცდომას უშვებს, რომ ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ უთანაბრობას პოლიტიკური უფლებების საფუძვლად აღიარებს და ასევე: რადგანაც ადამიანის ანთროპოლოგიური სახე სხვადასხვაგვარია, და არ არსებობს ორი იდენტური ადამიანი, ამიტომ თანასწორობის იდეაც უფლებათა სფეროში დაუშვებელიაო. პოლიტიკური უფლებები არ არის და არც უნდა იყოს დამოკიდებული ადამიანთა განსხვავებულობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იმდენგვარ უფლება, შეზღუდული თუ გაფართოებული, იქნებოდა, რამდენი ადამიანიც ჰყავს კაცობრიობას. ეს კი აბსურდამდე მიგვიყვანდა. სამართალი მხედველობაში უნდა იღებდეს ადამიანთა დაჯილდოებას ერთნაირი უფლებებით, თუ გვინდა, რომ არ შეფერხდეს ადამიანობის პროგრესი და საერთო ადამიანობაც ექვსი ქვეშ არ იქნეს დაყენებული. ჰეგელი სამართალს განსაზღვრავს «наличное бытие свободной воли», რომელიც გამოხატულებასა და განვითარებას პოულობს უფლებრივ ეტაპებში. პირველი ეტაპი ნივთის ფლობის უფლება (საკუთრება) სუბიექტის მიერ და მისი უფლებრივი ურთიერთობა სხვა პირებთან, რაც გამოიხატება ხელშეკრულებასა და სამართლის დარღვევაში. ორივე შემთხვევაში ადამიანი შედის უფლებრივ ურთიერთობაში მეორე პირთან: ხელშეკრულების დროს — ნორმალურ, ხოლო სამართლის დარღვევის დროს — პათოლოგიურ უფლებრივ ურთიერთობაში.

სამართლის გამოხატვის მეორე სფეროდ ჰეგელს მიაჩნია მორალი, რომელიც, მისი განმარტებით, არის პირისთვის დამოკიდებული თავისივე მოქმედებებთან. მორალის უმაღლესი საფეხურია ზნეობა, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს ინდივიდის ურთიერთობის სახით; ოჯახში — ოჯახის წევრებთან; სამოქალაქო

საზოგადოებაში — საზოგადოების წევრებთან; დაბოლოს — სახელმწიფოში, სიკეთის ამ უმაღლეს მოვლენაში.

ჩვენ განვიხილეთ ადამიანის ექსპლუატაციაზე დამყარებული საზოგადოებრივი ფორმაციების გამოჩენილ იდეოლოგია მოძღვრებანი სამართლის, მართლმსაჯულების, სხვადასხვა უფლებრივი ინსტიტუტების შესახებ. იდეოლოგია ნააზრვის განალიზებამ ცხადყო შემდეგი: სამართლის ფილოსოფიაში სამართლებრივი ინსტიტუტების ახსნა ამა თუ იმ მოაზროვნის მიერ აბსტრაქტულ იდეათა ოპერირებით ხდება. პროგრესულ მხარეებთან ერთად განხილულ მოღვაწეთა მოძღვრებებს აქვთ არაპროგრესული, თავისი დროის განვითარების დონით შეზოქილი იდეები. ძველი დროის არც ერთ იურისტს, მწერალს, ფილოსოფოსს არ აუმაღლებია მართლმსაჯულების როლი ისე, როგორც ეს გააკეთა შოთა რუსთველმა; არ დაუკავშირებია ადამიანის საზოგადოებრივი ყოფნა — არყოფნის პრობლემა მართლმსაჯულების უსამართლო თუ სამართლიან განხორციელებასთან. შოთა რუსთველის სამართლებრივ მსოფლმხედველობაში უფლებრივი ინსტიტუტების ახსნა მოცემულია ცხოვრებასთან და საზოგადოებასთან, სამყაროში არსებულ ობიექტურ რეალობასთან კავშირში, თუმცა ეს სამყარო თვით შოთას მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროა, მოაზროვნის მიერ ასახული, მაგრამ არა ადეკვატური მაშინდელი რეალობისა. საზოგადოების ქვაკუთხედად რუსთაველი აღიარებს ადამიანს მთელი თავისი ყოფით.

მართლმსაჯულების არსის ფილოსოფიურად ჭეშმარიტი ახსნა, თანასწორობის, ქონებრივი აღწევა — გათანაბრებისა და ემანსიპაციის იდეის წამოყენება იმ დროისათვის, ადამიანობის უფლებისა და ღირსების დაცვა, მებრძოლი ჰუმანიზმის მიჩნევა პრაქტიკული მოღვაწეობის მიზნად, საზოგადოებრივი ცხოვრების წესთა ნორმისა და პათოლოგიის ღრმა ცოდნა, მისი მომავალი განვითარების გეზის მოხაზვა არის შოთას ზოგადსაკაცობრიო დამსახურება და ყოველივე ამით მას, საზოგადოდ, სამართლის ფილოსოფიის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს.

# ღამოქდეს მახვილი\*

პროფ. მ. კვეციანი

(ნიურნბერგის პროცესის მონაწილის შთაბეჭდილებანი)

— ასეულ ათასობით ადამიანი დაიხოცა ამგვარ კატორღებში, — ამბობს დიუბოსტი და ხელს იშვერს ბრალდებულთა სკამებისაკენ, — აი ესენი, გერინგა და ზაუკელი არიან ამაზე პასუხისმგებელნი. ეს მათ მოიგონეს ტერმინი „შრომითი მისიკვდილება“ (Bis zum God arbeiten).

ზაუკელი ისე ტანმორჩილია, რომ იმალება საბრალდებო სკამზე. გერინგი კი უხერხულად იშმუშნება ერთ ადგილზე...

## იაფი სიკვდილი...

ამის შემდეგ დიუბოსტი „მასობრივი მოსპობის სისტემის“ დასასიათებაზე გადავიდა. იგი ამტკიცებდა, რომ შიმშილით სიკვდილი, „შრომითი მისიკვდილება“ თუ პირდაპირი მკვლელობა ერთ მიზანს ემსახურებოდა: მთელი ეროვნული ერთეულების მოსპობას. პიტლერიც ამას უმეორებდა რაუშინისგან:

— არა მარტო სიკვდილით დასჯით, დახვრეტებითა და ჩამოხრჩობებით მოგსპობთ არასასურველ ხალხებს, არამედ უმტიციენელოდ, უსისხლოდ — შიმშილის საშუალებით...

გარდა ყველაფრისა, ეს ხომ მეტად იაფი სიკვდილი იყო... მეგრე ისევ დოკუმენტები, დოკუმენტები... დოკუმენტები...

ბოლოს ლორენსმაც კი ვერ გაუძლო ამას და დიუბოსტს მიმართა:

— ბატონო დიუბოსტ, თქვენ იმდენი მასალა წარმოადგინეთ საკონცენტრაციო ბანაკებზე, რომ ტრიბუნალი ფიქრობს, პროცესის ამ სტადიაზე აღარ არის საჭირო მეტი. თუ ბრალდებულები უარყოფენ წარდგენილ ბრალდებას, წესდების თანახმად, თქვენ მოგეცემათ საშუალება, წარმოადგინოთ დამატებითი მასალები...

ბრალდებულთაგან არავის არაფერი არ უარუყვია... ..მერე იმის მოსხენება დაიწყო, თუ როგორ გაძარცვეს დაპყრობილი ქვეყნები. „ყველაფერი გერმანელებისათვის!“ — ასეთი იყო ლოზუნგი. ადგილობრივი მოსახლეობის მომარაგება მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული, ბრძანებდა როზენბერგი.

— მართალია, ჩვენ ვიცით, რომ ეს სისასტიკეა, ამბობდა იგი, მაგრამ გრძობებზე ლაპარაკი აქ უადგილოა. არც შენვეს კონვენცია უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ვინმეს რომ ეკითხა, რატომო, პასუხიც მზად ჰქონდა:

— ეს არის ომი ბოლშევიზმსა და რუსეთის იმპერიის მოსასპობად, კოლონიური ტერიტორიების დასაპყრობად და ეკონომიური ექსპლუატაციისათვის...

ბრალდებულებმა დაასურათეს, თუ როგორ გაძარცვეს გერმანელებმა დასავლეთ ევროპის ტერიტორიები. საშინელი ამბები დაატრიალეს ბალკანეთში, სკანდინავიაში, საფრანგეთში, მერე კი პოლონეთსა და ბალტიისპირეთში, უფრო კი საბჭოთა კავშირში. ძარცვის ორი ფორმა არსებობდა: ოფიციალური და არაოფიციალური. ერთიც უადრესად ცინიკურ ფორმებში ტარდებოდა და მეორეც. გერმანელები ჯერ დაიპყრობდნენ რომელიმე ქვეყანას, მერე, ვითომ ჩვენ თქვენთვისაც ვომობდითო, სღაპრულ კონტრიბუციებს ადებდნენ. ეს იმას ჰგავს, თურქ იანიჩარებს ბულგარეთში ე. წ. „თურქი ბემის“ კანონი რომ ჰქონდათ შემოღებული. შევიდოდა თურქი დამპყრობელი ბულგარელის ოჯახში, ჭამდა, სვამდა და თან „კბილების გაცვეთის“ ჯარიმას ახდევინებდა. ეს კიდევ არაფერი: თჯახის რომელიმე წევრს თუ გააუბატურებდა, „გაწეული შრომის“ საფასურსაც მოითხოვდა...

განსხვავება დიდი არაფერია: პიტლერელები დაიპყრობდნენ რომელიმე ქვეყანას, ააოხრებდნენ, გაძარცვავდნენ და თან უზარმაზარ კონტრიბუციას ადებდნენ „გაწეული შრომისათვის“; ეს ოფიციალურად არაოფიციალურად კი ასეთი პრინციპი მოქმედებდა: „წაიღე, რაც გინდა“, „ყველაფერი ნებაღართუღა“. იმათაც მიჰქონდათ ყველაფერი, რაც უნდოდათ. სურსათსა და ძვირფას ნივთებზე რომ არაფერი ვთქვათ, გერმანელმა ოკუპანტებმა ხელფანების უთვალავი ქველები გაზიდეს. ამ „საქმეს“ ხელმძღვანელობდა ე. წ. „როზენბერგის შტაბი“, რაც გერინგის განკარგულებით იყო შექმნილი. მისი ყოვლისშემძლე მითითებე-

\* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1972 წ., № 3, გვ. 58—67; № 5, გვ. 68—71; № 6, გვ. 65—71; 1973 წ., № 1, გვ. 78—81, № 2, გვ. 77—80.



ბით იგზავნებოდა ყუთები ევროპის ყველა ქვეყნიდან. ამ ყუთებს ხშირად ასეთი წარწერა „ამშვენებდა“: „პიტლერისათვის“, „გერინგისათვის“, „რიბენტროპისათვის“ და ა. შ. ნაცისტების ხელმძღვანელებმა, ვისაც ამის სურვილი ჰქონდათ საკუთარი სამხატვრო გალერეები შეიქმნეს. საყოველთაოდ ცნობილი იყო პიტლერისა და გერინგის მდიდრული „კოლექცია“. მართალია, პიტლერი ანდერძში წერდა, ეს სურათები ჩემს პირად საკუთრებას არ შეადგენსო, მაგრამ ამას მაშინ „ბრძანებდა“, როცა სურათები კი არა, თავისი სიცოცხლეც არ შეადგენდა მის საკუთრებას...

...მერე დიუბოსტის კოლეგა ჟურთოფერი ადგა და ტრიბუნალს წარუდგინა მასალები, თუ რა კატასტროფამდე მიიყვანეს გერმანელებმა ოკუპირებული საფრანგეთი. გერმანელებს იქ უდიდესი სიმდიდრე დახვდათ. „ყველაფერი გერმანიას“ — გაჩნდა ისევე ეს ლოზუნგი და დაიწყო გაზიდვა, ძარცვა, ხაზინების დაცარიელება, პროდუქტების ჩამორთმევა, წარმოებების ხელში ჩაგდება. სახელმძღვანელო დებულება — ისევე ფიურერის აზრით:

— ჩვენ არ გუწადვლება, საფრანგეთის ეკონომიკის აღდგენა თუ შეუძლებელი გახდება. ფრანგებმა ომი წააგეს და უნდა ზღონ ყველაფერი. თუ წინააღმდეგი წაველენ, მივმართავ იარაღს. ყოველგვარი ეკონომიური თანამშრომლობა უარყოფილ უნდა იქნეს...

ან რა „თანამშრომლობაზე“ შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა გერმანია ძალით დაეპატრონა საფრანგეთის მთელ ეკონომიკას და დაუწესა კონტრიბუცია: 400 მილიონი ფრანკი დღეში. თან დაუმატეს, ამაში არ შედის ეს, ეს და ეს, რაც დამატებით უნდა იქნეს გადასდლილი. საფრანგეთის ეკონომიური დლეგაციის მეთაურმა გენერალმა უინციგერმა ამის შესახებ მოახსენა თავის მთავრობას:

— ეს დიდი ვადასახადები გერმანიას მისცემს საშუალებას, მთლიანად იყიდოს საფრანგეთი საზღვარგარეთის ანაბრებისა და შემოსავლის ჩათვლით, რაც ჩვენი ქვეყნის დაღუპვა იქნება.

1940 წლის 26 აგვისტოს „გაუპატრიურებული საფრანგეთის“ მთავრობამ ასეთი მიგრაციულ-მოგრენილი და თანაც მოკრძალებული ნოტა მიართვა იმ მაჯლაჟუნა გერმანიას:

— ფრანგ ერს არ ეშინია არც შრომისა და არც ტანჯვის, თღონდ ისე, რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს. აი, რატომ არ შეუძლია საფრანგეთის მთავრობას, განაგრძოს სვლა იმავე გზით, რომლითაც მიდიოდა, თუ რაიხის მთავრობის მოთხოვნებიდანაა მასშტაბების ზრდა არ მისცემს მას არსებობის საშუალებას.

გერმანელებმა არც კი უპასუხეს მათ, კონტრიბუცია კი თანდათან გააღიდეს... შედეგი? სხვა რომ თავი დავანებოთ, ოფიციალური ცნობით, ოკუპაციის პერიოდში, სულ მცირე, 160 ათასი ფრანგი მოკვდა შიმშილით, ასეულ ათასობით კი დაავადდა, რადგან კალორიების ნორმა, რასაც ფრანგი იღებდა, თვით

გერმანელების ადიარებით, „იწვევდა თანდათანობით სიკვდილს“.

ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ დასავლეთის სხვა სახელმწიფოებიც. მე არაფერს ვამბობ საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სადაც გერინგის, ჰიმლერისა და როსენბერგის აზრით, მოსახლეობის კვების საკითხზე ზრუნვა კი არა, ფიქრიც „ზედმეტი ჰუმანურობა“ იყო...

გველეშობის ფანტაზია...

არც არავინ დებდა თავს ამაზე. ან რომელ „ჰუმანურობაზე“ შეიძლება ლაპარაკი, როცა გერინგის ეგონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო დასოცილი ადამიანების პირადი საკუთრება იყო. ამიტომაც „ჰადრეს“ მას ასეთი კითხვა:

— იცოდით თუ არა თქვენ, საიდან მოდიოდა მილიონობით ნახშირი ტანისამოსი, ფეხსაცმელი, 20.952 ცალი საქორწინო ბეჭედი, 35 ვაგონი ძვირფასი ბეჭევეული. არ კითხულობდით, საიდან? თქვენი ხომ მეურნეობას განაგებდით. ყველაფერი ეს თქვენს წყვეებში შედიოდა და თქვენს გამგებლობაში იყო. ვთქვათ, ცალკეულ ქაღალდებს არ კითხულობდით, არც საჩივრებს, თუნდაც ასეთს, თქვენი ხელქვეითები რომ ჩიოდნენ, ერთი ქალის „სასიკვდილოდ დამუშავებას“ ხუთი წუთი მიაქვს, რადგან წინასწარ თმები უნდა გადავპარსოთ, ლეიბების გასაკეთებლად, რაც აბრკოლებს საქმეს...

აქ გერინგი აღელდა და ნიშნის მოგებით შეუბრუნა ბრალმძებელ მაქსუელ-ფაიფს:

— აბა, თქვენ როგორ გვინათ, მე თუ მეურნეობის მთავარ მმართველებს განვაგებდი, ლეიბებისა და ტანისამოსის საქმეებშიც ვეროვდი?

— თქვენი მეგობარი ჰიმლერი არასოდეს დაგლაპარაკებიათ ამაზე?

გერინგს სულ ცეცხლი წაეკიდა და პროტესტი განაცხადა:

— ნუ ამბობთ, რომ ჰიმლერი ჩემი მეგობარია!

ამის საპასუხოდ მაქსუელ-ფაიფმა მსუბუქი ინგლისური ირონია მოიშველია:

— კარგი, მე ვიტყვი: „თქვენი მტერი ჰიმლერი“ ან, უბრალოდ, „ჰიმლერი“ ხომ მისხედებით, ვისაც ვგულისხმობ?

— დიახ, მიუგო გერინგმა.

ჰიმლერისაგან თავის ამგვარი შორს დაჭერა გერინგს რას უშველიდა, როცა ყველა ანტისემიტური კანონი მის მიერ იყო ხელმოწერილი. გარდა ამისა, მას ჰაიდრისის მიერ ვანზეუმი ჩატარებული საგანგებო თათბირის უზარმაზარი ოქმი წაუკითხეს. ამ თათბირს ესწრებოდნენ: გესტაპოს უფროსი მიულერი, ანტიებრალულ ღონისძიებათა სპეციალისტი აისმანი და დაინტერესებული სამინისტროების მეთაურები: როსენბერგის, ფრიკის, გერინგის, რიბენტროპის და სხვათა



წარმომადგენლები. დღის წესრიგში აღნიშნულია ერთი საკითხი: „რაისმარშალ გერინგის დავალება ებრაელთა საკითხის საბოლოო გადაწყვეტის (Endlösung) შესახებ“.

ჰაიდრიხმა განმარტა, რას ნიშნავს ეს „საბოლოო გადაწყვეტა“. ეს ნიშნავს თერთმეტი მილიონი კაცის მოსპობას, — მოკლედ მოჭრა მან. შემდეგ კი განაცხადა, რომ ამ ისტორიული ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა „არაჩვეულებრივი ფანტაზია“ (seltsame Phantasie) და რომ ამ საკითხის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული გერმანელთა საბოლოო გამარჯვება. აქ ჰაიდრიხმა ისეთი საოცარი გამოთქმა იხმარა, რომ სიტყვის ძალას შეაძლებს კაცს: „mörderische Schuermen“ ანუ „მკვლელობითი ოცნება“.

ხომ ხედავთ, როზენბერგის ფილოსოფია „გერმანელთა მეოცნებობის“ შესახებ როგორ სახეს იღებს პრაქტიკაში. ამიტომ იყო, ამ მოვილსოფოსო „ებრაელთამკვლელს“ (Judenfresser) შეათუჯურ რომ განუშარტეს, საქმე ანტისემიტისმის ფილოსოფიურ მხარეს კი არ ეხება, არამედ კრიმინალურსო...

...ამის შემდეგ მოთათბირეი შეუდგნენ იმის განგარნებებს, თუ, პირველ რიგში, რამდენის მოსპობას გასწვდელა მათი „არაჩვეულებრივი ფანტაზია“ და ექვს მილიონზე შეთანხმდნენ...

როგორ გვონიათ, ამ თათბირიდან დაბრუნებულმა წარმომადგენლებმა თავიანთ უფროსებს არ მოახსენეს ამ შეთანხმების შესახებ? ვინ დაიჯერებდა ამას? ან აქ მარჩიელობა რა საჭიროა, როცა დოკუმენტები დაღაღებდნენ, რომ ყოველმა მათგანმა თავის საშინისტროშიც მიაწყო თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეესრულებინათ ეს „ისტორიული“ დავალება. რაკი მთავარი სასაკლაოები პოლონეთის ტერიტორიაზე იყო, ფრანკმა განაცხადა:

— ებრაელები ჩვენთვის მუქთი მჭამელებია (schädliche Fresser). აქ სულ 3,5 მილიონი ებრაელი გვყავს. ცხადია, ყველას ერთბაშად დახვრეტა ან მოწამლა გავგიძნელდება, მაგრამ ისეთ ღონისძიებებს გვატარებთ, რომ არც ერთი მათგანი არ დარჩეს ცოცხალი და საგენერალგუბერნატორო გაიწმინდოს ებრაელებისაგან Judenfrei.

პროცესზე ამის თაობაზე მოწმიგებად ოლენდორფსა და ჰოსს გამოუძახეს. მათს დაკითხვაში რატომღაც დაზვევლებიც ჩაებნენ. ოლენდორფი დაწვრილებით მოყვა, თუ როგორ დახტოცეს ერთი ოჯახის ცხრა წევრი. შერე ჰოსმა სულ გააგვიყ ყველა თავისი ცინიკური გულახდილობით. დამცველი კაუფმანი თვითონ ისე შეაძრწუნა ამ საშინელმა ამბებმა, რომ გაოგნებულმა ჰკიანა ჰოსს:

— მართალია ყველაფერი, რასაც თქვენ ყვებით?  
— დიან, მართალია! — მიუგო ჰოსმა.  
კაუფმანმა ხელი ჩაიქნია და დაჯდა...

**გვამების კშბატსრა...**

შერე საკონცენტრაციო ბანაკების მაქსიმალურ გამტარუნარიანობაზე (Höchstleistung), რომ დაიწესეს ლაბარაკი, გამოირკვა, რომ ბელუნში დღეში 15 ათას კაცს სოცავდნენ, ტრებლინკაში კი 25 ათასს. ამ „მიძიხე სამუშაოებს“ უშუალოდ ასრულებდა გრუპენფიურერი გლობოჩნიკი. იგი პირადად მიიღო პიტლერმა, რომელიც ამ საკითხით იყო დაინტერესებული. გლობოჩნიკი „აღფრთოვანებული“ რომ დაბრუნდა იქიდან, ჰკითხეს:

— რა თქვა ამაზე ფიურერმა?  
— ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა ჩაატარეთ ეს ოპერაციათ.  
ფიურერის ერთმა მსლებელმა იკითხა თურმე:  
— გლობოჩნიკი, როგორ გვონიათ, გვამების დამარხვას დაწვა არ სჯობია? თორემ ჩვენს შემდეგ მოვლენ თაობები და ვერ გაიგებენ ამას.  
ამაზე გლობოჩნიკს უპასუხია:

— თუ ჩვენს შემდეგ მოვლენ ისეთი გაოსრებული და სუსტკელებიანი (Knochenwelch) თაობები, რომლებიც ამას ვერ გაიგებენ, ნაციონალ-სოციალიზმი დადუშული იქნება. მე კი მგონია, ისინი იამყებენ ამით და იტყვიან, რომ ჩვენ, ვინც ეს გავაკეთეთ, მამაცური თათბა ვიყავით...

ფიურერი აღტაცებაში მოუყვანია გლობოჩნიკის სიტყვებს და უთქვამს:

— ყოჩად გლობოჩნიკი! ჩემი შეხედულებაც ასეთია!.. შერე იმაზე უსაუბრიათ, თუ ერთმანეთზე დაწყობილი რამდენი გვამი დაიკავებს კუბიკურ მეტრს...

ყველაფერი ეს გაფორმებულია ოქმებში. ბრალმძებლები კითხულობენ ამ ოქმებს, აქვეყნებენ ჯალათების დღიურებს, ისმენენ დამწერეთა ჩვენებებს. ბრალმძებლები წრიალდნენ, შუბლიდან ოფსს იწმუნდენ, ბრალმძებლები და დამცველები კი ციფრებზე დაობენ — 6 მილიონი დახტოცეს თუ ნაკლები, ვითომ ამას რაიმე შემამსუბუქებელი მნიშვნელობა ჰქონდეს ის კი არა, უფრო გვიან გერმანელი მწერალი დირკსი წერდა:

— შურაცხმყოფელია, რომ ქვეყნად არის გერმანელი, რომელიც ამ ექვსი მილიონის თუნდაც ორ მილიონამდე შემცირებაში რამე შედავათს ხედავს.

ისე, კაცმა რომ თქვას, სადაო აქ, ნართლაც, არაფერი იყო. პოლონეთის მთავრობის ოფიციალური ცნობის მიხედვით, პიტლერული ოკუპაციის პერიოდში, რაც 2.078 დღე გრძელდებოდა, ე. წ. „საგენერალგუბერნატოროში“ დახტოცეს 6 მილიონ 28 ათასი კაცი. ყოველდღე იღუპებოდა 2.900 კაცი. მოკლეს 2.250 ათასი ბავშვი და ჭაბუკი 18 წლის ასაკამდე, ღასახირდა ნახევარი მილიონი პოლონელი; მილიონზე მეტი დაავადდა ტუბერკულოზით, ათასობით ადამიანი იტანჯებოდა ფსიკიკური დაავადებით...

...ყველაზე შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მინც ყარშავის გეტოს ლიკვიდაცამ მოახდინა. ცხადია,



ბრალდებულთაგან არავის არ უნდოდა გაემხილა, თითქოს რამე სმენია ამის შესახებ. ასე წარმოიდგინეთ, არც კალტენბრუნერს, რომელიც ამბობდა, მე ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღიაო. არ მიუღია კი არა, თვითონ ხელმძღვანელობდა ყველაფერს. ამის გამო ბრალმდებელ აპანსა და კალტენბრუნერს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

ამანი: გენერალი შტრუპი თქვენი კარგი მეგობარი იყო არა?

კალტენბრუნერი: მე იგი სულ ორჯერ-სამჯერ თუ ძინახავს ჰიმლერთან.

ამანმა მას წაუკითხა შტრუპის ჩვენება, რომ ვარშავის გეტოს ლიკვიდაციის შესახებ გაცემულ ბრძანებებს ხელს აწერდა კალტენბრუნერი.

ამანი: მართალია ეს?

კალტენბრუნერი: არა, ეს ტყუილია.

ძაშინ ამანმა მოსამართლეებს წინ დაუდო გასაოცარი დოკუმენტი: გერმანელი ოსტატების მიერ თქროთი მოჭედილი-მოფარაცხებული და მოხატული, თანაც საუკეთესო ქაღალდზე დაბეჭდილი, შტრუპის 75 გვერდიანი მოხსენებითი ბარათი ვარშავის გეტოს ლიკვიდაციის შესახებ, სადაც 56.065 კაცი დაიღუპა. როგორც გამოირკვა, შტრუპს ეს დოკუმენტი შეუქმნია ისტორიისათვის. მას თურმე შემოუნახავს იმათი სახელებიცა და გვარებიც, ვინც ამ „დიდ საქმეში თავი ისახელა“. ჩამოთვლილთა შორის პირველ ნომრად აღნიშნულია კალტენბრუნერი.

რაკი შტრუპი გენერალი იყო, იოდლმა ეს არმიის ღირსების შელახვად მიიღო და ესეცელს შეუტია:

— ეს ტუჭყიანი ღორები — ესეცელები! წარმოგიდგენიათ?! ვიდაც ღორი 71 გვერდს ავსებს ერთი პატარა დამსჯელი ექსპედიციის შესახებ...

ხედავთ, როგორ უნებლიეთ ამეღავენებს ადამიანი თავის თავს?! 56,065 კაცის დახოცვას იოდლი „ერთ პატარა ექსპედიციას“ უწოდებს!..

მერე დარბაზში მოწვეულ სწორედ ის შტრუპი შემოეყვანა. იგი ისე აღტაცებული აღწერდა, თუ როგორ ჩაატარეს ეს „ისტორიული ოპერაცია“, გვერთვობდათ ვერდენის ან ვატერლოოს ბრძოლებზე ჰყვებოდა.

ბრალმდებლებმა მისი მოხსენებითი ბარათის დასასრულიც წაიკითხეს:

— ვარშავის ყოფილი ებრაული რაიონი აღარ არსებობს. დახოცილთა საერთო რიცხვია 56,065 კაცი...

საქმეთაგან მათთან...

ვარშავის გეტოს ლიკვიდაციის საკითხმა ასე დიდ ყურადღება იმითომ მიიქცია ნიურნბერგში, რომ ეს ჰიტლერელთა, მართლაც, ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაული იყო. ამიტომ თვითონ „შეშფოთებულმა“ ბრალდებულებმა იკითხეს:

— ვინ გასცა ეს ბრძანება?

პასუხი:

— ჰიტლერიმ!..

ეს მართლაც ასეა, მაგრამ ერთ კითხვას მეორეც მოჰყვა:

— ვინ შეასრულა?

სამხედროებმა თქვეს, „იმ ესეცელმა ღორებმაო“. პროცესზე კი, როგორც აღვნიშნეთ, დადასტურდა, რომ ამ „შემადრწუნებელ საქმეში“ მთავარი როლი არმიის ნაწილებმა შეასრულეს. ეს ხომ გენერალმა შტრუპმაც აღიარა და, ბოლოს, კაიტელიც იძულებული გახდა, ასეთი აღსარება წარმოეთქვა:

— ეს ვკვდები სირცხვილით. ეს საშინელებაა. ამდენ ხანს არმიის ღირსებისა მაინც მჯეროდა. ახლა ეს რწმენაც შემერყა... ვარშავის გეტოს განადგურებაში თურმე არმიის ნაწილებიც იღებდნენ მონაწილეობას!..

— ახლა რას ფიქრობთ ჰიტლერზე? — შეაპარა ჯიღბერტმა მისთვის საინტერესო კითხვა და პასუხიც ასეთი მიიღო.

— ეს მისი გაკეთებულა. ამაში ეჭვი არ არის. ახლა ჩემთვისაც ცხადია, თუ რატომ მეუბნებოდა, ხელი დამეფარებინა პოლიციის საქმეებზე. მე რომ ეს მაშინ მცოდნოდა, ვეტყვი: ჩემო ფიურერ, აქ იყრება ჩვენი გზები. მე ამის გამართლება არ შემიძლია, გთხოვთ გადამაყნოთ, არადა, ხვალ თქვენ უკვე ცოცხალ ვეღარ მიხილავთ.

აქ კაიტელს გააურულა:

— ახლა ეს ყველაფერი აშკარაა, მაგრამ უკვე გვიანაა...

...გერინგს არ მოეწონა კაიტელის ამგვარი აღიარება და უკანასკნელი სიტყვებით ლანძღა იგი. თუმცა არც თვითონ დაადგა კარგი დღე, როცა ამაზე შემადრწუნებელი დანაშაულებანი ისევ იმ „ტუჭყიან ღორებს“ კი არა, მის ცისფერ მუნდარს შეეხო. დაკითხვის დროს ამერიკელმა ბრალმდებელმა რობერტსმა მის შტაბის უფროსს მილჰს „შეასხენა“, გერინგთან ერთად რომ მოითხოვდა ჰიმლერის „სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის“ სახელი, ცოცხალ ადამიანებზე ცდების ჩატარებით გამოერკვიათ, საპატიო ძალებისათვის საინტერესო საკითხები დიდ სიმაღლეებზე წნევის ზეგავლენას შესახებ. ბრალმდებელმა განაცხადა, რომ მილჰს მიმოწერა ჰქონდა ამ ორგანიზაციებთან.

არაფერი ისე შემადრწუნებელი არ არის, როგორც ამ მიმოწერის „მეცნიერული ტონი“. ორგანიზაცია „ანენერბე“, რომელიც ამ ექსპერიმენტებს ახდენდა, ჰიმლერის განსაზღვრითაც მეცნიერული ორგანიზაცია იყო, რომელსაც 50 ფილიალი ჰქონდა. აქ უამრავი „მეცნიერი“ მუშაობდა — პროფესორები, დოქტორები. არც მათი გამოთქმების ტონს აკლდა „მეცნიერული ინტონაცია“. ყოველგვარი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, ისინი წერენ არა უბრალოდ „მოკვლის“, არამედ „საინფრე მასალის დამზადების“ ან „სხეულის ჩონჩხად გადაქცევის“ შესახებ. როცა პროფესორ პირტს სურს, ბოლშევიკ კომისრების მოკვეთილი თავები გამოუგზავნონ, ასეთ გალიმატეას მიმართავს: „ებრაელი ბოლშევიკი კომისრების თავის ქა-

ლის გამოგზავნით, რაც წარმოადგენს შემზარავ, მაგრამ არაადამიანის დამახასიათებელ პროტოტიპს, ჩვენ საშუალებმა გვეძლევა მივიღოთ სამეცნიერო ექსპონატი“. თუ ვილაციისათვის კომისრის მოჭრილი თავი იყო „სამეცნიერო ექსპონატი“, მილქისათვის ცოცხალი კომისრები წარმოადგენდა ასეთ მასალას და ჰიმლერს თხოვდა მათ გამოგზავნას. პროცესზე ბრალმდებელმა მილქს წინ დაულო მის მიერ ამის თაობაზე ჰიმლერისათვის გაგზავნილი წერილები. მერე ჰიმლერის საპასუხო წერილიც უჩვენა. რაიხსფიურერი პირდებოდა მას „ცოცხალი ექსპონატების“ გაგზავნას ცდების ჩასატარებლად, მაგრამ მილქი მაინც თავის უკიათ ცხენზე იჯდა:

— არა, ამის შესახებ მე არაფერი არ ვიცი, — უპასუხა მან გაოცებულ რობერტს. ლოურენსმა, როგორც იქნა, დარბაზი დააწყენარა და დაკითხვა გაგრძელდა:

რობერტსი: აი, თქვენი მიმართვა, 1942 წლის 20 მაისის თარიღით, გაგზავნილი ობერგრუპენფიურერ ვოლფისადმი. ეს მიმართვა თქვენს მიერაა ხელმოწერილი. ასეა, არა?

მილქი: დიას, მე მოვაწერე ხელი ამ მიმართვას, მაგრამ ის არ არის ჩემს ბიუროში შედგენილი.

მერე მილქის ყურადღება იმასაც მიაქცევს, რომ მიმართვა სწორედ მის პირად ბლანკზეა დაბეჭდილი, მაგრამ ვერ იქნა და მაინც ვერ გატეხეს.

მილქი: მე არაფერი არ მქონდა საერთო დიდ სიმაღლეზე ფრენისათვის საჭირო ცდებთან და არც

რამე ცდებთან, რასაც ესეი ან სანიტარული ინსპექცია ატარებდა...

რობერტსი: იცოდით თუ არა თქვენ, რომ მაღალწნევის კამერებში ასდენდნენ ცდებს ცოცხალ ადამიანებზე, ცოცხალ არსებებზე, რომელნიც მოჰყავდათ დასაუდან?

მილქი: ვისზედაც ასდენდნენ ამ ცდებს, ჩანს წერილიდან, რომელიც მე გამომიგზავნა სანიტარულმა ინსპექციამ.

ბრალმდებელი მაინც არ მოეშვა ჯიუტ ფელდმარშალს.

რობერტსი: განა ჰიმლერმა 1942 წლის ნოემბერს არ გამოგზავნათ წერილი, რომელშიც წერს: „ძვირფასო მილქ! ტარდება ექსპერიმენტები მაღალი წნევის ზეგავლენის გამოსარკვევად, რისთვისაც გიგზავნით სოციალურად საშიშ პირებსა და დამნაშავეებს საკონცენტრაციო ბანაკებიდან. გახსოვთ თუ არა თქვენ ეს წერილი?“

მილქი: ეს წერილი მე მაჩვენეს, მაგრამ მე ის არ მახსოვს (1) მე არც ის ვიცი, საერთოდ რის შესახებ მწერდა ჰიმლერი...

დარბაზი ისევ ახმაურდა და რობერტსს ისღა დარჩა, მსრები აეჩერა და ტრიბუნიდან ჩამოსვლის წინ ეთქვა:

— თუ თქვენ ამბობთ, რომ არაფერი იცით თვით იმ წერილების შესახებაც, რომელთაც თვითონ მოაწერეთ ხელი, მაშინ არა მგონია, რამე აზრი ჰქონდეს ამ დოკუმენტის გაგრძელებას...



# ინფორმაცია

## შეხვედრა რედაქციას

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში გაიმართა რესპუბლიკის იურიდიული საზოგადოებრიობის შეხვედრა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ყურნალ „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრაეო“-ს მთავარ რედაქტორ პროფ. ა. ფ. შებანოვთან. შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის მეცნიერთანამშრომლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ თანამშრომლები, საქართველოს სსრ პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მუშაკები.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის გამგემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა თ. წერეთელმა. მან ილაპარაკა ყურნალის დიდ წვლილზე საბჭოთა იურიდიული მეცნიერების განვითარებაში და იმედი გამოთქვა, რომ დამსწრენი პრინციპულად იმსჯელებენ მისი რედაქციის მუშაობაზე.

მოხსენებით „იურიდიული მეცნიერების აქტუალური პრობლემები და ყურნალი „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრაეო“ — გამოვიდა პროფ. ა. ფ. შებანოვი, რომელმაც მოკლედ დაახასიათა ყურნალის შექმნისა და განვითარების ისტორია, მასში გამოქვეყნებული წერილების ავტორები და სხვ. აღინიშნა, რომ ყურნალი, რომელიც თეორიული ხასიათისაა მეცნიერულად ამუშავებს რთულ იურიდიულ პრობლემებს, აშუქებს ბურჟუაზიული და სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებს.

ყურნალი „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრაეო“ არამარტო ასახავს სამართლის მეცნიერების ცალკეულ მიღწევებს, იგი ერთდროულად ასრულებს ორგანიზატორულ როლს საბჭოთა იურიდიული მეცნიერების განვითარებაში.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა ყურნალის მომავალ სამუშაო გეგმებსა და ძირითად მიმართულებებზე.

ა. შებანოვმა ილაპარაკა იმ მოთხოვნებზე, რასაც რედაქციისა და მუშაკების წერილების ავტორებს.

პირველყოფლისა ესა თემის თეორიული ღირებულება და აქტუალობა. ნაშრომი უნდა აყენებდეს რაიმე ახალ პრობლემას ან ახლებურად აშუქებდეს ამა თუ იმ საკითხს, სამწუხაროდ, ზოგიერთი ავტორი ყოველთვის არ ითვალისწინებს ამ მოთხოვნებს. რედაქციის განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს, — თქვა მომხსენებელმა, — ავტორთა კოლექტივების მიერ მოწოდებული ნაშრომები, რომლებიც აქტუალურ საკითხებს ეხება და საინტერესოდ არის დაწერილი.

პროფ. ა. ფ. შებანოვმა ხაზი გაუსვა რედაქციის მისწრაფებას უფრო მეტი ავტორები მიიზიდოს მოკავშირე რესპუბლიკებიდან, სადაც ბევრი საინტერესო რამ კეთდება სამართლის პრობლემების დამუშავების მხრივ. მომხსენებლის აზრით, ყურნალმა უნდა გააშუქოს კანონმდებლობის სისტემატიზაციის საკითხებიც, რომლებიც არ არის მარტო პრაქტიკოს იურისტთა საქმიანობის სფერო. ამ საქმეში თავისი წვლილი მეცნიერმა იურისტებმაც უნდა შეიტანონ. მომხსენებელი შეჩერდა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაზე და მიუთითა, რომ მათ ურთიერთშედადება დიდი თავისებურებანი გამოავლინა, რაც გაპირობებული არ არის ეროვნული, ეკონომიური, თუ სხვა პირობებით. მისი აზრით, ეს აახსენება იმით, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა თვითონ წყვეტს ზემოხსენებულ საკითხებს ადგილობრივი ისტორიული გამოცდილების ნიადაგზე.

მომხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ნაშრომების პრაქტიკული ღირებულების საკითხებს. აღინიშნა, რომ აუცილებელია სტატიაში თეორიულ ნაწილთან ერთად კანონმდებლობის გაუმჯობესების თაობაზე პრაქტიკული რეკომენდაციების წამოყენება.

მომხსენებელმა დიდი ყურადღება დაუთმო ნაშრომების პარტიულობის ასპექტს. ითქვა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის კონცეფციების კრიტიკის დროს გამოყენებულ უნდა იქნას ახალი ფაქტობრივი მონაცემები. სამწუხაროდ ყველა ავტორი არ აკეთებს ამას, ზოგჯერ მოძველებული მასალით ხელმძღვანელობენ. ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ ყურნალს ღებულობენ საზღვარგარეთ.

პროფ. ა. ფ. შებანოვმა დამსწრეთ აცნობა, რომ



ჟურნალ „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრავო“-ს რედკოლეგიას საჭიროდ მიაჩნია ცალკეულ შემთხვევებში გამოსცეს „ენციკლოპედირი ნომრები“, სადაც მოთავსებული იქნება მასალები სამართლის სხვადასხვა საკითხებზე. ასევე განზრახულია „საცნობარო ხასიათის“ ნომრების მომზადება, რომლებშიაც მკითხველები გაეცნობიან საზღვარგარეთის ქვეყნების იურიდიულ დაწესებულებებს, სწავლების სისტემას და სხვ. დასასრულს მან დიდი მადლობა გადაუხადა შეხვედრის მოწყობის ინსტიტორებს და იმედი გამოთქვა, რომ ჟურნალისა და მკითხველების ასეთი კონტაქტები ხელს შეუწყობენ მკითხველისათვის საინტერესო პრობლემების დაზუსტებას და კეთილსასურველ შედეგს მოახდენენ რედკოლეგიის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა შ. ჩიკვაშვილმა დადებითად შეაფასა ჟურნალის მუშაობა და აღნიშნა მისი პუბლიკაციების აქტუალობა. მან მოიწონა, რომ ჟურნალს აქვს განყოფილება „სოციალისტურ ქვეყნებში“ და სურვილი გამოთქვა, რათა შეიქმნას ახალი განყოფილება „მოკავშირე რესპუბლიკებში“. პროფ. შ. ჩიკვაშვილმა მიიჩნია, რომ აუცილებელია ჟურნალის მუშაობის მეტი კოორდინაცია სხვა იურიდიულ ჟურნალებთან, ვინაიდან არის შემთხვევები, როდესაც ერთი ავტორის წერილი ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა ჟურნალში იბეჭდება. ჟურნალი უფრო აქტიურად უნდა ებრძოდეს იმ ბურჟუაზიული იურისტების ცილისმწამებლურ გამოხდომებს, რომლებიც ამახინჯებენ საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებს. სასურველია ხშირად გამოქვეყნდეს წერილები, რომლებშიც გამოყვანილი იქნება ბურჟუაზიული სამართლის, კერძოდ სამოქალაქო სამართლის, რეაქციული არსი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის ქართული სამართლის ისტორიის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა დ. ფურცელიძემ მითითა ისტორიულ-სამართლებრივი გამოკვლევების პუბლიკაციის მნიშვნელობაზე და დაწვრილებით შეჩერდა იმ წერილების გამოქვეყნების მიზანშეწონილობაზე, რომლებსაც მომავალ წელს მიაწვდიან ჟურნალს ქართული სამართლის ისტორიის განყოფილების თანამშრომლები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის სისხლის სამართლის გან-

ყოფილების უფრ. მეცნიერ თანამშრომელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ტყეშელიძემ მნიშვნელოვან მოვლენად ჩათვალა სსრ კავშირის ფილოსოფიის საზოგადოების წესდების საფუძველზე სამართლის ფილოსოფიის სექციის შექმნა. უნდა ვიფიქროთ, ამით დასაბამი მიეცა ამ ახალ დარგს სამართლის სისტემაში — სამართლის ფილოსოფიას. ეს უთუოდ ხელს შეუწყობს სამართლის პრობლემების გაღრმავებულ ფილოსოფიურ-თეორიულ დამუშავებას.

გ. ტყეშელიძემ ყურადღება გაამახვილა ღირებულების თეორიის შესწავლის მნიშვნელობაზე საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში. აუცილებელია ღირებულების თეორიის მიხედვითაც გვაკრიტიკოთ ბურჟუაზიული ნორმატივიზმი. ღირებულების თეორიას მნიშვნელობა აქვს სამართლის ცალკეულ დარგებისათვის. მაგალითად, ამ თეორიის მიხედვით სწორად შეიძლება გადაწყდეს დანაშაულის შემადგენლობის ბუნების საკითხი საბჭოთა სისხლის სამართალში.

დასასრულს, გ. ტყეშელიძემ აღნიშნა, რომ ჟურნალ „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრავო“-ში ხშირად ქვეყნდება წერილები, მიძღვნილი იურიდიული მეცნიერების მიღწევებისადმი მოკავშირე რესპუბლიკებში. ეს, რასაკვირველია, კარგია. ამასთან ერთად იურიდიული მეცნიერების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს შესაბამისი ორგანიზაციული ფორმების გამოჩენა. ამის გამო სასურველია ჟურნალში გამოქვეყნდეს ისეთი წერილები, რომლებშიც დაყენებული იქნება საკითხი მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სისტემაში სამართლის დარგისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულების შექმნის შესახებ. საკითხის ასეთი დაყენება და გადაწყვეტა მნიშვნელოვანად შეუწყობს ხელს იმ ამოცანების გადაჭრას, რომელთაც სამართლის მეცნიერების წინაშე აყენებს კომუნისტური პარტია.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ა. ხონიაკინამ ილაპარაკა, თუ რა დახმარებას უწყევს ჟურნალი „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრავო“ პრაქტიკოს მუშაებს, ვინაიდან სურვილი გაფართოვდეს „სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის განყოფილება“, ხშირად გამოქვეყნდეს წერილები სასამართლო პრაქტიკის საკითხებზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილების უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, იურიდიულ მეცნი-

რებათა კანდიდატმა რ. დეკანოზოვმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში ჟურნალში გამოჩნდა განყოფილებები: „გარე სამყაროს დაცვა“, „სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობანი“ და სხვ., ხოლო ზოგიერთი განყოფილება დაზუსტდა. ამასთან ერთად, მისი აზრით საჭიროა ჟურნალის რედკოლეგიამ შეარჩიოს ზუსტი კრიტერიუმები, რომლებითაც სადემარკაციო ხაზი გაივლება სტატიებსა და სამეცნიერო ინფორმაციებს შორის. აუცილებელია გაფართოვდეს განყოფილება „ავტორებსა და წიგნებზე“. დიდი ხანია მომწიფდა მოკავშირე რესპუბლიკებში გამოსული ნაშრომების რეცენზიებისა და ანოტაციების ჟურნალში რეგულარულად გამოქვეყნების საკითხი. მიზანშეწონილია, ჟურნალმა ხშირად მოაწყოს „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის მრგვალი მაგიდის“ ვარდა საერთო ხასიათის დისკუსიებიც. უფრო ოპერატიულად უნდა ხდებოდეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში გამოსული ნაშრომების რეცენზირებაც. შეუწყნარებელია, როდესაც გამოხმაურება იბეჭდება დიდი დავიანებით. აუცილებელია მეტი ყურადღება დაეთმოს საერთაშორისო სამართლის ისეთი პრობლემების განხილვას, როგორიცაა: საერთო სარგებლობის საერთაშორისო ტერიტორიის თეორიული საკითხები, არქტიკისა და ანტარქტიკის სამართლებრივი რეჟიმი, ჩვეულებითი ნორმების მნიშვნელობა და ადგილი თანამედროვე საერთაშორისო სამართალში და სხვ.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე ი. შოთაშვილი შეჩერდა ჟურნალის თემატიკის მრავალფეროვნებაზე, რაც მის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა რედკოლეგიამ დისკუსიები მოაწყოს მხოლოდ აქტუალურ საკითხებზე. ჟურნალი ზოგჯერ ჩამორჩება ცხოვრებას, სახელდობრ აღინიშნა „ლიტერატურაშია ვახეტა“-ში გამართულ დისკუსიაზე ვადაცნაოთა კოლექსის შემოღების საჭიროების შესახებ, რასაც ჟურნალი არ გამოხმაურებია. რედკოლეგია ნაკლებ ყურადღებას უთმობს საპროკურორო ზედამხედველობისა და სასამართლო წარმოების თეორიულ საკითხებს. საჭიროა ამ თემატიკაზე უფრო მეტი წერილების გამოქვეყნება. ი. შოთაშვილმა სურვილი გამოთქვა, რომ პერიოდულად გამოქვეყნდეს საზღვარგარეთის ქვეყნების უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტები და უცხოური იურიდიული ლიტერატურის მოკლე ანოტაციები. მოხდეს იმ ნაშრომების მიმოხილვა, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკებში იბეჭდება.

საბოლოო სიტყვაში პ.ოფ. ა. ფ. შებანოვმა მადლობა გადაუხადა კამათში გამოსულთა და აღნიშნა, რომ გამოთქმულ წინადადებებსა და

შენიშვნებს რედკოლეგია შეისწავლის და სათანადო დასკვნებს გამოიტანს.

მან გაიზიარა შენიშვნა საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ წერილების გამოქვეყნების საჭიროებაზე და დასძინა, რომ კარგი იქნება, თუ ასეთი ხასიათის ნაშრომს რედკოლეგია მიიღებს სქართველიდან. სასურველია, თუ წერილი მიეძღვნება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაზე საპროკურორო ზედამხედველობის საკითხებს.

პ.ოფ. ა. ფ. შებანოვი დაეთანხმა გამოსულთ და აღნიშნა, რომ დისკუსიები მხოლოდ აქტუალურ საკითხებზე უნდა მოეწყოს, ამასთან მიუთითა, რომ ჟურნალის უახლოეს ნომერში ქვეყნდება პ.ოფ. კოზირცის წერილი სასოფლო-სამეურნეო სამართლის განვითარების შესახებ, რაც უაღრესად სადისკუსიოა და კარგი იქნება თუ დამსწრე ამხანაგებიც მიიღებენ მასში მონაწილეობას.

ჟურნალში უცხოური საკანონმდებლო აქტების გამოქვეყნება მისმა მთავარმა რედაქტორმა არ მიიჩნია საჭიროდ და გამოთქვა შიში, რომ ჟურნალს ეს მისცემს ინფორმაციულ ორგანოს სახეს. უცხოური ლიტერატურის ანოტირების საკითხთან დაკავშირებით ითქვა, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გამოსვლას იწყებს ბიულეტენი, რომელიც უშუალოდ გააშუქებს ამ საკითხებს.

საბოლოოდ მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ.ოფ. თ. წერეთელმა. მან გაიზიარა მოსაზრება ჟურნალში მოთავსდეს მასალები იმ ლიტერატურის შესახებ, რომელიც გამოდის მოძვე სოციალისტურ ქვეყნებსა და მოკავშირე რესპუბლიკებში. მიზანშეწონილია ეს მოხდეს ნაშრომთა ანოტირების ფორმით, რისთვისაც ჟურნალმა უნდა შეიმოსოს სპეციალური განყოფილება „ანოტაციები“. სასურველია ჟურნალის ხელმძღვანელობამ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში საზოგადოებრივ საწყისებზე გამოყოს კორესპონდენტები, რომლებიც მიაწვდიან საჭირო მასალებს. ანალოგიურად შეიძლება გადაწყდეს ეს საკითხი სოციალისტური დემოკრატიის ქვეყნებშიც.

პ.ოფ. თ. წერეთელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს მეტისმეტად გატაცებული არიან რეკომენდაციებით კანონმდებლობის გაუმჯობესების შესახებ. რა თქმა უნდა, კანონმდებლობა მუდმივ გაუმჯობესებას და სრულყოფას უნდა განიცდიდეს, მაგრამ გადაჭარბებული გატაცება ამ რეკომენდაციებით იქამდე მივყავართ, რომ ყოველი უწყება თავს მოევაოდ თვლის, საერთის სათანადოდ შესწავლის გარეშე, ახალი კანონის გამოსვლისთანავე, წარმოადგინოს ახალი პროექტი, ხოლო ყოველი სტატია აუცილებ-



ლად იძლევა რეკომენდაციას კანონის შეცვლის შესახებ. კანონმდებლობის შეცვლას წინ უნდა უსწრებდეს საკითხის გულდასმითი და ყოველმხრივი, მათ შორის სოციოლოგიური გამოკვლევა. ქურნალმა — „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრავო“-მ — საჭიროა თავის ფურცლებზე ეს საკითხები სათანადოდ გააშუქოს, რათა ბოლო მოუღოს ასეთი დაუსაბუთებელი რეკომენდაციების წარმოდგენას.

პროფ. თ. წერეთელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ არ არის საჭირო აუცილებლად მოკავშირე რესპუბლიკათა კანონების სრული უნიფიკაციის გატარება. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში საქანონმდებლო კომპეტენცია, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე დიდი ტაქტიკით არის განაწილებული საბჭოთა კავშირისა

და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოთა შორის. ეს არ გამორიცხავს, რა თქმა უნდა, მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობებს შორის არსებულ განსხვავებათა შესწავლას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთამოცდილების გაზიარებისა და ცალკეულ დარგებში მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის გაუმჯობესებისათვის.

დასასრულ პროფ. თ. წერეთელმა მადლობა გადაუხადა როგორც მომხსენებელს, ისე გამოხსულ ამხანაგებს და იმედი გამოთქვა, რომ სხდომა კიდევ უფრო მჭიდრო კავშირს დაამყარებს ქურნალ „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრავოს“ რედკოლეგიასა და მის ქართველ მკითხველებს შორის.

ჯ. გოვიზვილი,  
ბ. თოდგია

### შეცდომის გასწორება

ქუჩან. „საბჭოთა სამართლის“ 1973 წლის მე-2 ნომრის 86-ე გვერდს მე-4 სვეტზე მე-11 სტრიქონი ზემოდან უნდა იკითხებოდეს: „ზოგიერთ რაიონისა და ოლქის პროკურატურებში საერთო ზედამხედველობა...“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.



ს. 60 353.

ИНДЕКС 76185

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 3

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда СССР, Прокуратуры СССР  
и Министерства Юстиции Грузинской ССР